ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“

სალომე კობაიძე

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადი განვითარების სივრცითი ასპექტები ქალაქ ბათუმის მაგალითზე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ვალერიან მელიქიძე,
გეოგრაფიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2025 წელი

სამადლობელო სიტყვა

მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა მადლიერება იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთა მხარდაჭერამ და წვლილმა შესაძლებლობა მომცა, შემექმნა ეს სადისერტაციო ნაშრომი.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ძვირფას ხელმძღვანელს, ბატონ ვალერიან მელიქიძეს, აქტიური მხარდაჭერისთვის, ფასდაუდებელი რჩევებისა და პროფესიული ხელმძღვანელობისთვის. თქვენი გამოცდილება და ჩემ მიმართ გამოჩენილი უდიდესი მოთმინება გადამწყვეტი იყო ნაშრომის წარმატებით დასრულებისათვის. თქვენი ხელმძღვანელობით შევძელი ამ რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო თემის სიღრმისეული შესწავლა.

ამ კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა პროექტების, კერძოდ „BRIDGE-BS - შავი ზღვის კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა ლურჯი ზრდის თანაგანვითარებისათვის მდგრადი ეკოსისტემების შენარჩუნების პირობებში და „BLACK SEA CONNECT- საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე“ – ფარგლებში მიღებული მხარდაჭერისა და კვლევითი რესურსების გარეშე. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ამ პროექტების ქართული მხარის ხელმძღვანელს, ბატონ კახაბერ ბილაშვილს, ასევე კოორდინატორებსა და გუნდის წევრებს, რომელთაც დახმარება გამიწიეს მონაცემების მოპოვებაში, ანალიზსა და ამ ღირებული ინიციატივების განხორციელებაში. თქვენი წვლილი ნამდვილად აისახა ნაშრომის ხარისხსა და სიღრმეზე.

დიდი მადლობა ყველას, ვინც პირდაპირ თუ ირიბად გვერდით მედგა ამ პროცესში. თქვენი ერთობლივი ძალისხმევის გარეშე, ჩემი ნაშრომის წარდგენა შეუძლებელი იქნებოდა.

Acknowledgments

I would like to express my deepest gratitude to the individuals and organizations whose support and contributions made the completion of this dissertation possible.

My sincere appreciation goes to my esteemed supervisor, Mr. Valerian Melikidze, for his continuous support, invaluable advice, and immense patience throughout the entire period of working on this dissertation. His expertise and guidance were crucial in successfully completing this research. Under his mentorship, I was able to delve deeply into this complex yet fascinating topic.

The execution of this research would have been impossible without the support and research resources provided by the projects, namely "BRIDGE-BS - Advancing Black Sea Research and Innovation to Co-Develop Blue Growth within Resilient Ecosystems " and "BLACK SEA CONNECT: Coordination of Marine and Maritime Research and Innovation in the Black Sea". I would like to extend my special thanks to the head of the Georgian side of these projects, Mr. Kakhaber Bilashvili, as well as to the coordinators and team members who assisted me in data acquisition, analysis, and the implementation of these valuable initiatives. Their contributions have truly enhanced the quality and depth of this dissertation.

Finally, I am profoundly grateful to everyone who supported me directly or indirectly throughout this process. The presentation of this dissertation would not have been possible without their collective efforts.

აბსტრაქტი

ოკეანეებისა და ზღვების რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. მეთევზეობა, აკვაკულტურა, ტურიზმი, საზღვაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მცირედი ჩამონათვალია იმ ეკონომიკური სექტორებისა, რომლებიც დამოკიდებულია ზღვებისა და ოკეანეების რესურსების გამოყენებაზე. აღნიშნულ რესურსებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვაო, განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან სწორედ ამ რესურსების მდგრადი გამოყენებაა ამ სახელმწიფოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების წინაპირობა.

ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ზღვებისა და ოკეანეების რესურსების მდგრადი გამოყენების, შენარჩუნებისა და დაცვისთვის შემუშავდა "ლურჯი ეკონომიკის" კონცეფცია, რომელიც, ამავდროულად, ხელს უწყობს ამ მიმართულებით სიღრმისეული სამეცნიერო კვლევების განხორციელებას და მათზე დაყრდნობით გლობალური, რეგიონული ან სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას. ლურჯი ეკონომიკის პრაქტიკაში დანერგვა ყველა საზღვაო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში, როგორც საზღვაო ქვეყანაში, მისი განხორციელების პერსპექტივებზე. საუბარია ლურჯი ეკონომიკის განვითარების აუცილებლობის შესახებ მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პარალელურად, განმარტებულია ლურჯი ეკონომიკის სექტორები, საუბარია გეოგრაფიულ გარემოში არსებული გამოწვევების შესახებ და ამასთან, განხილულია ლურჯი ეკონომიკის განვითარებისა და დანერგვის შესაძლებლობები.

ნაშრომი მეთოდოლოგიურად ეყრდნობა ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევებს და მეორეული წყაროების დამუშავებას, პოლიტიკური დოკუმენტებისა და შესაბამისი საბუთების კვლევას, მეცნიერული წყაროების შესწავლას, აღნიშნული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და ანალიზს.

აღნიშნულმა ნაშრომმა ცხადყო, რომ ლურჯი ეკონომიკის დანერგვის პროცესი საჭიროებს კონკრეტულ სახელმწიფოში, ამ შემთხვევაში საქართველოში, გააზრებულ

პოლიტიკურ ხედვასა და გონივრულ, მიზანმიმართულ ქმედებებს, ასევე გადაწყვეტილების მიღების მოქნილობას, რაც დაეფუძნება სამეცნიერო კვლევებისა და შესაბამისი სიღრმისეული ანალიზის შედეგებს.

კვლევის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, იმ ძირითადი საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქართველოში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების დანერგვის დაჩქარებას.

ნაშრომმა ცხადყო, რომ ლურჯი ეკონომიკის განხორციელების პროცესი საჭიროებს ახალ უნარებსა და ადამიანურ რესურსებს, როგორც არსებული, ასევე ახალი და განვითარებადი ეკონომიკური დარგების ხელშეწყობისთვის. აუცილებელია ლურჯი ეკონომიკის ჩართულობითი მართვის სისტემების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ძლიერი, ინკლუზიური პოლიტიკის შექმნას, რომელიც ყალიბდება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. პატარა სახელმწიფოებში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გატარება ასევე მოითხოვს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, საზღვაო, ოკეანოგრაფიული და სხვა მონაცემებთა ბაზების განახლებას, ან მათი მოპოვების ახალი ფორმების შემუშავებას. მონაცემების შეგროვება თავისთავად დაკავშირებულია „ჭკვიან“ ტექნოლოგიებთან.

ლურჯი ეკონომიკის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ახალი ინსტრუმენტების შექმნა საქართველოსთვის აუცილებელია, როგორც ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე თანამშრომლობის განსამტკიცებლად. მნიშვნელოვანია ახალ საერთაშორისო ინიციატივებთან მიერთება და აღნიშნული ინიციატივების მიზნების, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტექნიკური შესაძლებლობებისა და ცოდნის დაგროვებას ლურჯი ეკონომიკის პრინციპების ეფექტიანი განხორციელებისთვის. ამასთან, იკვეთება ახალი, მრავალმხრივი რეგიონული ინიციატივების საჭიროება ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული ინვესტიციების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის, ასევე საქართველოს, როგორც საზღვაო

ქვეყნის გლობალურ და რეგიონულ დონეებზე წარმატებული თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

საქართველო წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ქვეყანას, შესაბამისად, მნიშვნელოვანია აქტიური თანამშრომლობა და პარტნიორობა შავი ზღვის ყველა სახელმწიფოსთან, რაც მას დაეხმარება არსებული გამოწვევების გადაჭრაში, ახალი ტექნოლოგიების, ახალი ფინანსების, ინოვაციების და ლურჯი ეკონომიკის ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების განვითარების გაძლიერებით და გამოყენებით.

Abstract

The resources of oceans and seas are of paramount importance to humanity's social and economic advancement. Sectors like fisheries, aquaculture, tourism, and maritime transport infrastructure directly depend on their sustainable utilization. This dependency is especially pronounced in maritime developing states, where judicious and sustainable management of marine resources is a critical prerequisite for economic growth and social well-being.

To foster economic expansion, social inclusivity, and the responsible use of natural resources, the concept of the "Blue Economy" has been formulated. This framework is designed to ensure the sustainable utilization, conservation, and protection of marine resources, simultaneously fostering advanced scientific research to inform global, regional, and national policy-making. The practical implementation of the Blue Economy is a critical priority for all coastal states. This study specifically explores the prospects of its realization in Georgia, a prominent Black Sea littoral nation. It discusses the imperative for Blue Economy development in conjunction with the adoption of Green Economy principles, delineates its key sectors, examines challenges posed by the geographical context, and evaluates opportunities for sustainable implementation.

The methodological underpinning of this research draws upon primary investigations and comprehensive analysis of secondary sources, including a thorough review of policy documents, regulatory frameworks, and relevant scientific literature. The findings underscore the necessity of a well-defined political vision, strategic policymaking, and flexible decision-making informed by rigorous scientific research and comprehensive data analysis.

The analysis presented in this study has identified key priorities essential for accelerating the adoption of Blue Economy principles in Georgia. The findings highlight the need for capacity building and specialized human capital development to support both existing and emerging maritime economic sectors. Establishing inclusive governance frameworks is imperative, fostering strong, participatory policies shaped through collaboration among governmental institutions, civil society organizations, and local communities. For smaller states, the effective implementation of Blue Economy principles further necessitates enhancing economic, environmental, maritime, and

oceanographic data systems, alongside developing innovative methodologies for data collection and management. These processes are inherently linked to advancements in smart technologies and digital innovation.

Additionally, the study underscores the importance of developing new platforms for knowledge and expertise exchange, both nationally (to raise awareness and capacity within Georgia) and regionally/internationally (to strengthen collaboration with global partners). Active engagement in international initiatives and the incorporation of best practices will be instrumental in enhancing technical expertise and advancing the successful implementation of Blue Economy principles. Furthermore, the study identifies the pressing need for multilateral and regional cooperation frameworks that facilitate investment attraction, infrastructure development, and Georgia's broader integration into global maritime networks.

As a Black Sea coastal country, Georgia must prioritize active engagement with regional partners to address existing challenges and capitalize on emerging opportunities. Such strengthened cooperation will enable the country to harness new technologies, secure financial resources, foster innovation, and enhance institutional and human capacities, thereby ensuring the long-term sustainability and resilience of its marine-based economic sectors.

სარჩევი

აბსტრაქტი IV

შესავალი 1

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია და ლიტერატურის მიმოხილვა 7

1.1 კვლევის მიზანი და ამოცანები 7

1.2 კვლევის სტრატეგია და მონაცემთა შეგროვების მეთოდები 8

1.3 მონაცემთა ანალიზის მეთოდები და მონაცემთა წყაროები 13

1.4 კვლევის შეზღუდვები 17

1.5 ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები და შეთანხმებები/ გადაწყვეტილებები 18

1.6 ძირითადი სამეცნიერო კვლევითი დოკუმენტები 21

1.7 მწვანე და ლურჯი ეკონომიკის ერთობლივი განვითარების აუცილებლობა 24

1.8 ლურჯი ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და საქართველო 27

თავი II. საკვლევი არეალის ზოგადგეოგრაფიული და სოციალურ - ეკონომიკური მახასიათებლები 32

2.1 რელიეფი და გეომორფოლოგია 32

2.2 გეოგრაფიული მდებარეობა 33

2.3 სანაპიროს მორფოდინამიკა 35

2.4 კლიმატი 38

2.5 ჰიდროლოგია 45

2.6 ბათიმეტრია, ზღვის დონე 48

2.7 შავი ზღვის სანაპიროს ბიომრავალფეროვნება 51

2.8 ქობულეთის დაცული ტერიტორიები 54

2.9 ბათუმის ბოტანიკური ბაღი 58

2.10 მოსახლეობა და დემოგრაფია 59

2.11 ეკონომიკური კონტექსტი 64

თავი III. კვლევის შედეგები და დისკუსია 77

3.1 კვლევის შედეგები: ქ. ბათუმისა და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტების მაგალითზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით 77

3.2 საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ურბანული არეალების ლურჯი განვითარება და სანაპირო საფრთხეები - ბათუმის მაგალითი 82

3.2.1ურბანული ლურჯი ეკონომიკა: კონცეპტუალური ჩარჩო და გამოწვევები 83

3.2.2 ბათუმის ურბანული ევოლუცია: ისტორიული პერსპექტივა და თანამედროვე ტენდენციები 85
3.2.3 კლასიფიცირების საფუძვლები და ინდიკატორები 92
3.2.4 ფუნქციური ზონები 95
3.2.5 კვლევის შედეგები და ანალიზი: ბათუმის სანაპირო ზონის ურბანული ტრანსფორმაცია ლურჯი ეკონომიკის ჭრილში, სამშენებლო სექტორის დინამიკა და მდგრადი განვითარების გამოწვევები 108
3.2.6 ბათუმის გენერალური გეგმის კონცეფცია და „ლურჯი ეკონომიკის“ სტრატეგიული ხედვა 114
3.2.7 ხელოვნური კუნძულის პროექტი: „ლურჯი ეკონომიკის“ პერსპექტივები და პარადოქსები 115
3.2.8 კვლევის შედეგების ანალიზი და „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპების კვეთა 116
3.2.9 დასკვნები და რეკომენდაციები „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების კონტექსტში 118
3.3 მთავარი ეკოსისტემური სერვისები საქართველოს სანაპირო ზონისთვის, ზეწოლა და რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ლურჯი ეკონომიკის განვითარებას 119
3.4 ლურჯი ეკონომიკის სექტორები, როგორც პასუხი არსებულ გამოწვევებზე 129
3.5 ლურჯი ეკონომიკის შესაძლებლობები 134
3.6 ლურჯი ეკონომიკის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში 136
3.7 ლურჯი ეკონომიკის დარგების ტრანსფორმაციული სტრატეგიები და ტრანსფორმაციის ხელშემწყობი ღონისძიებების ინოვაციური მიდგომები 143
თავი 4. დასკვნა 158
გამოყენებული ლიტერატურა 163
დანართი 1: 2024-2025წწ-ში მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობის სახეების და საკუთრების ფორმის მიხედვით ქ. ბათუმში 168
დანართი 2: ინოვაციური მიდგომები ლურჯ ეკონომიკაში 172
დანართი 3: დოკუმენტი 1 - კვლევის კითხვარი 195

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები (მ/წმ) ბათუმის და ქობულეთის სანაპიროზე ----40
ცხრილი 2: ძლიერქარიანი დღეების საშუალო რიცხვი ----40
ცხრილი 3: ჰაერის ტემპერატურის საშუალო მრავალთვიური და მრავალწლიური მნიშვნელობები ----40
ცხრილი 4: შავი ზღვის რეგიონის ქალაქების: სოჭის, ვარნას, ოდესის, კონსტანცას ძირითადი კლიმატური პარამეტრები ბათუმთან მიმართებით ----42
ცხრილი 5: აჭარის მდინარეების ზოგადი მახასიათებლები----45
ცხრილი 6: აჭარის მდინარეების საშუალო სეზონური ჩამონადენი ----46
ცხრილი 7: აჭარის მდინარეების მყარი ნატანი ----47
ცხრილი 8: აჭარის მდინარეების პლაჟწარმომქმნელი ნატანი ----47
ცხრილი 9: აჭარის სანაპირო ზონაში მობინადრე და გადამფრენი ფრინველები ----52
ცხრილი 10: აჭარის მდინარეების დელტებში გავრცელებული თევზების სახეობები----53
ცხრილი 11: ქ. ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შედარებითი სტატისტიკა 2012 – 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.----59
ცხრილი 12:აჭარის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება ----62
ცხრილი 13: საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 15 წლიდან (ათასი კაცი), დასაქმება-უმუშევრობა, სამუშაო ძალის ინდიკატორები----63
ცხრილი 14: სამუშაო ძალის ინდიკატორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ----63
ცხრილი 15: 2024 წელს რეგისტრირებულ და მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ქ. ბათუმსა და ქობულეთის მინიციპალიტეტში ----67
ცხრილი 16: საქართველოს ბათუმის და ფოთის პორტების სტატისტიკური მონაცემები ტვირთბრუნვის, მგზავრთბრუნვისა და გემების რაოდენობის მიხედვით ----71
ცხრილი 17: ქ. ბათუმის და ქ. თბილისის შედარება რამოდენიმე ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით----72
ცხრილი 18: ეკოსისტემური სერვისების კლასიფიკაცია ----120
ცხრილი 19: ეკოსისტემური სერვისებისათვის გამოვლენილი ზეწოლა და თანმდევი რისკები 122
ცხრილი 20: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ნაბიჯები ქალაქ ბათუმის მაგალითზე ლურჯი ეკონომიკის ძირითადი დარგების განსავითარებლად ----147
ცხრილი 21: 2024-2025წწ-ში მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობის სახეების და საკუთრების ფორმის მიხედვით ქ. ბათუმში----168
ცხრილი 22: ინოვაციური მიდგომები ლურჯ ეკონომიკაში ----172

ნახაზების ჩამონათვალი

ნახაზი 1: ატმოსფერული ნალექების წლიური განაწილება შავი ზღვის ქალაქებისთვის ----43
ნახაზი 2: ატმოსფეროს მაქსიმალური წლიური ტემპერატურა შავი ზღვის ქალაქებისთვის ----43
ნახაზი 3: ატმოსფეროში წვიმიანი დღეების წლიური რიცხვი შავი ზღვის ქალაქებისთვის (დღე) ----43
ნახაზი 4: საქართველოს და აჭარის ა.რ-ის მოსახლეობის დინამიკა 1994-2024წწ----59
ნახაზი 5: აჭარის ა.რ მოსახლეობის დინამიკა 1994-2024წწ ----61

ნახაზი 6: 2023 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი საქართველოსა და რეგიონებში-------- - 62
ნახაზი 7: აჭარის ა.რ. მშპ 2018-2020-2022წწ. მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი ეკონომიკური საქმიანობების სახეები ----------74

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა ---------- 33
სურათი 2: საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა ---------- 34
სურათი 3: ქ. ბათუმის და ქ. ვარნას წლიური მზიანი დღეების შედარებითი გრაფიკები -------- 41
სურათი 4: ქ. ბათუმისა და ქ. ოდესის წლიური მზიანი დღეების შედარებითი გრაფიკები ------ 41
სურათი 5: აჭარის სანაპირო წყლების ბათიმეტრიული რუკა ---------- 48
სურათი 6: შავი ზღვის დონის რყევის გრაფიკი (1965-85 წლებში) ბალტიკის 0-თან შედარებით 50
სურათი 7: ქობულეთის დაცული ტერიტორიები ---------- 54
სურათი 8: ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებული ჰაბიტატები ---------- 55
სურათი 9: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2005 წ.- 3D ვიზუალიზაცია ---------- 86
სურათი 10: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2025 წ.- 3D ვიზუალიზაცია ---------- 87
სურათი 11: ქ. ბათუმის ფუნქციური ზონების არეალი ---------- 95
სურათი 12: ბათუმში მიმდინარე ხელოვნური კუნძულის რენდერი ---------- 117
სურათი 13: ხელოვნური კუნძულის მიმდინარე სამუშაოები ---------- 117
სურათი 14: სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცვლილების ღრმა ტრანსფორმაციის თეორია -- 145
სურათი 15: სამი ჰორიზონტის ჩარჩოს თეორია ---------- 146

რუკების ჩამონათვალი

რუკა 1: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობის დასრულების თარიღი ---------- 111
რუკა 2: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობის დასრულების თარიღი ---------- 111
რუკა 3: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა ---------- 111
რუკა 4: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა ---------- 111
რუკა 5: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა ---------- 112
რუკა 6: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა ---------- 112
რუკა 7: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში ოთახების რაოდენობა ---------- 112
რუკა 8: 2025 წელს ფუნციურ ზონებში ოთახების რაოდენობა ---------- 112
რუკა 9: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში კვ.მ ღირებულება ---------- 113
რუკა 10: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში კვ.მ ღირებულება ---------- 113
რუკა 11: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2005წ ---------- 114
რუკა 12: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2025წ ---------- 114

აბრევიატურები და აკრონიმები

SDG - მდგრადი განვითარების მიზნები

"Nature-Based Solutions" (NBS) – ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები

AI -ხელოვნური ინტელექტი

SRIA - შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგი

„BLACK SEA CONNECT“ – ჰორაიზონ 2020 -ის ფარგლებში დაფინანსებული კვლევითი პროექტი

„BRIDGE- BS“ - ჰორაიზონ 2020 -ის ფარგლებში დაფინანსებული კვლევითი პროექტი

FAO - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ICT-საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება

SAP-სტრატეგიული სამოქმედო გეგმა

BSC - შავი ზღვის კომისია

MONINFO- ორგანიზაცია, რომლის მიზანა საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება

EMODNET. აღნიშნული პროგრამა არის ევროკომისიის მიერ შემოშუავებული გრძელვადიანი ინიციატივა და ეხება საზღვაო მონაცემებს.

BSEP - შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამა

TDA - სამეცნიერო-ტექნიკური შეფასებითი ცენტრი

შესავალი

გასული საუკუნის 70-იან წლებში განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებამ გამოიწვია სახელმწიფოების გარემოსდაცვითი პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებები. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების შემსუბუქების მიზნით, დასავლეთ ევროპის მრავალ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა გავლენიანი მწვანეთა პარტიები და გარემოსდაცვითი მოძრაობები. სახელმწიფოებმა თანდათანობით დაიწყეს შედარებით მკაცრი გარემოსდაცვითი ზომების მიღება და შესაბამისი პოლიტიკის დანერგვა.

ბუნების დაცვის საკითხებზე მსოფლიო კონფერენცია, რომელიც 1972 წელს ქალაქ სტოკჰოლმში ჩატარდა, მკაცრად აკრიტიკებდა ეკონომიკური ზრდის არსებულ დონეს. კონფერენციის დელეგატების აზრით, ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში კაცობრიობას ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქრებოდა. შედეგად, კონფერენციაზე მიიღეს "ნულოვანი ზრდის" პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკური ზრდის ტემპების შეკვეცას (Abesadze, 2019).

მომავალი ათწლეულის განმავლობაში, უკვე 1980-იან წლებში, მსოფლიო საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მძიმე ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება შეუძლებელი იყო ცალკეული სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობებმა დაიწყეს ზოგადად მდგრადი განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების შესახებ მსჯელობა.

ფრაზა „მდგრადი განვითარება" პირველად მოიხსენება 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის (ბრუტლენდის კომისიის/ Brundtland Commission) ანგარიშში, რომელიც მდგრადი განვითარების შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: „განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები" (WCED, 1987). ამ განმარტებას შემდგომში დაემატა მდგრადი

განვითარების სამი განზომილება: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა, და გარემოს მდგრადობა.

მდგრადი განვითარების მიზნების ჩამოყალიბებამ განაპირობა ახალი საკვლევი დისციპლინების შექმნა, რომლებიც დაეფუძნა ე.წ. ზემოდან-ქვემოთ (Top Down) და ინტერაქციულ (Interactive) პრინციპებს, რაც გულისხმობს პოლიტიკური ხელმძღვანელობებისგან წამოსული იდეების მეცნიერულ დამუშავებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული გარკვეული პოლიტიკური ზომების მიღების, ან დაგეგმვის პროცესში შეცდომების ალბათობა. აღსანიშნავია, რომ მეცნიერულად შესწავლილი პოლიტიკური ინიციატივების დანერგვის შესაძლებლობები ეხმარება მთავრობებს შემდგომი რაციონალური ნაბიჯების გადადგმაში. მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე შექმნილი მწვანე და ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს მეცნიერების ახალ დარგებს, რომლებიც იძლევიან დასახული მიზნების განხორციელების პროცესში საჭირო ლავირების საშუალებას მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად.

მდგრადი განვითარების კონცეფცია დამტკიცდა რიო-დე-ჟანეიროში გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე 1992 წელს. იგი გულისხმობს მდგრადი გლობალური ეკონომიკის მშენებლობას, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს პლანეტის დაბინძურების პრობლემა და შეინარჩუნოს რესურსები. მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოადგენს 17 მიზნისა და 169 ინდიკატორისგან შემდგარ ყოვლისმომცველ ნაკრებს. ეს არის გლობალური პროგრამა, რომელსაც გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უჭერს მხარს, რათა მიაღწიონ უკეთეს და უფრო მდგრად მომავალს მთელ მსოფლიოში.

ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და გონივრული გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის წარმოადგენს აღნიშნული კონცეფციის ერთერთ მნიშვნელოვან მიზანსა და მიმართულებას.

„მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფორმირებაში საკვანძო როლი შეასრულა 2012 წლის გაეროს კონფერენციამ მდგრადი განვითარების შესახებ (ცნობილი

როგორც „რიო+20“), რომელიც რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა. კონფერენციის ძირითად თემას წარმოადგენდა „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპების განხილვა და მათი ინტეგრაცია მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის სტრატეგიებში. „მწვანე ეკონომიკა“ განიმარტება, როგორც ეკონომიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობასა და სოციალურ თანასწორობას, ხოლო ამავდროულად მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს რისკებსა და ეკოლოგიურ დეფიციტს (UNEP). მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს მრავალი გლობალური პრობლემის მოგვარებას. ეს პრობლემები მოიცავს: ეკონომიკური ზრდის ოპტიმიზაციას, არაგანახლებადი რესურსების ჩანაცვლებას ალტერნატიული წყაროებით, განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობების შენარჩუნებას და გარემოს დაბინძურების დონის შემცირებას.

ამავე კონფერენციაზე პოლიტიკურმა ხელმძღვანელობებმა დაიწყეს ე.წ. “ლურჯი ეკონომიკის” კონცეფციის არსებობის აუცილებლობის შესახებ მსჯელობა. ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს საზღვაო რესურსების მდგრად გამოყენებას ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც გულისხმობს როგორც გაუმჯობესებულ სამუშაო და საცხოვრებელ პირობებს, ასევე ოკეანეების ეკოსისტემების სიჯანსაღეს. ლურჯი ეკონომიკა ხელს უწყობს საზღვაო რესურსების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის აღდგენას, დაცვასა და შენარჩუნებას.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების მოდელი შემუშავდა 2014 წელს ევროკომისიის მიერ, რომლის პრიორიტეტებია: საზღვაო ენერგეტიკა, აკვაკულტურა, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, ნარჩენების მართვა და მინერალური რესურსების ათვისება, ბიოტექნოლოგია და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ლურჯი ეკონომიკა ეფუძნება ევროპის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივას, რომელიც შეიქმნა ზღვის გარემოს მდგომარეობის ე.წ. “კარგი სტატუსის” უზრუნველსაყოფად (European Commission, 2014).

ოკეანისა და ზღვის წყლის რესურსების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებულია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 17 ივნისს დაამტკიცა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. 2014 წლის სტრატეგიაში საქართველოს მთავრობის

ეკონომიკური პოლიტიკა სამ ძირითად პრინციპს ემყარებოდა: პირველი პრინციპი არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას ემსახურებოდა და გამოიხატებოდა ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორების განვითარებაში; მეორე პრინციპი ემსახურებოდა ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რაც გულისხმობდა მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში; ხოლო მესამე ძირითადი პრინციპი ეფუძნებოდა ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილებას (საქართველოს მთავრობა, 2014).

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ორი ურთიერთდაკავშირებული ფუნდამენტური ფაქტორით, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს განვითარების ტრაექტორიასა და გლობალურ პასუხისმგებლობას:

1. ევროინტეგრაციის კონტექსტი და მდგრადი განვითარების საჭიროება. საქართველო, ევროპულ სტრუქტურებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, ცდილობს დანერგოს ევროპულ ფასეულობებსა და სტანდარტებზე დაფუძნებული განვითარების მოდელები. ამ პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ და მის ეფექტიან განხორციელებას. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე, რაც „საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალ თაობებს მაქსიმალურად უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2020).

2. „მწვანე“ და „ლურჯი“ ეკონომიკების კონცეპტუალური ინტეგრაცია. ასოცირების ხელშეკრულების მე-3 თავი (301-306 მუხლი) მოიცავს გარემოს დაცვის საკითხებს, რომლებშიც ხაზგასმულია საქართველოს ვალდებულება მდგრადი განვითარების, მწვანე და ლურჯი ეკონომიკების გრძელვადიანი მიზნების განხორციელებისთვის.

განსხვავებით მწვანე ეკონომიკისგან, რომელიც უკვე კარგად ცნობილი, მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე დაფუძნებული მოდელია, ლურჯი ეკონომიკა ახალი კონცეფციაა საქართველოსთვის, რომელსაც მსოფლიო ბანკი განმარტავს შემდეგნაირად: „ლურჯი ეკონომიკა ესაა ოკეანეების, ზღვების, მდინარებისა და სანაპირო ზოლზე არსებული რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური განვითარებისათვის, ბუნებრივ-რესურსული ბაზისა და ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებით“ (World Bank, 2020).

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, წინამდებარე ნაშრომის **მიზანია** საქართველოში, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანაში, ლურჯი ეკონომიკის პრინციპების განხორციელების შესაძლებლობების მეცნიერული კვლევა და სივრცითი ასპექტების იდენტიფიცირება, ლურჯი ეკონომიკის განვითარებისა და ეფექტიანი დანერგვის აუცილებლობის გამოკვეთა და მასთან დაკავშირებული სექტორების მდგრადი განვითარების პერსპექტივების ძიება ქალაქ ბათუმის მაგალითზე.

ნაშრომის სტრუქტურა აერთიანებს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ემპირიულ კომპონენტებს, რაც იძლევა ლურჯი ეკონომიკის განვითარების პოტენციალის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების კომპლექსური ანალიზის შესაძლებლობას.

ნაშრომი აერთიანებს ოთხ თავს და დანართს.

პირველ თავში მოცემულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, კვლევის ობიექტი და სუბიექტი. გამოკვეთილია კვლევითი კითხვები, რომლებიც ორიენტირებულია ლურჯი ეკონომიკის განვითარების ძირითადი მახასიათებლების, მდგრადობის პოტენციალისა და გამოწვევების ანალიზზე. ამავე თავში გაანალიზებულია ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები, შეთანხმებები და სამეცნიერო კვლევები, რომლებიც განსაზღვრავენ ლურჯი ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს. განხილულია მწვანე და ლურჯი ეკონომიკის კონცეფციების ურთიერთკავშირი და მათი ინტეგრაციის მნიშვნელობა.

მეორე თავი აერთიანებს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ფიზიკურ, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს. განიხილება კლიმატური, ჰიდროლოგიური და ბიომრავალფეროვნების მახასიათებლები, ასევე აჭარის რეგიონის

დემოგრაფიული და ეკონომიკური სტრუქტურა, რაც განაპირობებს ლურჯი ეკონომიკის ფუნდამენტს რეგიონში. ამავე თავში საუბარია შავი ზღვის სანაპიროს ეკოსისტემებსა და დაცულ ტერიტორიებზე.

მესამე თავი ნაშრომის ძირითადი ნაწილია, სადაც განხილულია ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები და ანალიზი. ვინაიდან ნაშრომი აერთიანებს განსხვავებული მიზნებით სხვადასხვა დროს ჩატარებულ კვლევებს, აღნიშნული თავი ეთმობა თითოეულ მათგანს. პირველი კვლევა, რომელიც ჩატარდა, ესაა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით ქ.ქობულეთის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტების მაგალითზე. შემდგომ საუბარია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ურბანული არეალების ლურჯ განვითარებასა და სანაპირო საფრთხეებზე, საუბარია ქალაქ ბათუმზე. ამავე თავში განხილულია მთავარი ეკოსისტემური სერვისები საქართველოს სანაპირო ზონისთვის, ზეწოლა და რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ლურჯი ეკონომიკის განვითარებას. ყურადღება ეთმობა ლურჯი ეკონომიკის სექტორების განვითარების პოტენციალს და მათი მდგრადობის სტრატეგიებს.

მეოთხე თავი კი ნაშრომის დასკვნითი ნაწილია, სადაც ასახულია კვლევის ძირითადი შედეგები, რომლებიც მოიცავს ლურჯი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობების, გამოწვევებისა და რისკების კომპლექსურ ანალიზს. წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკის დონეზე, რათა ხელი შეეწყოს ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიების დანერგვას.

დანართში წარმოდგენილია ის მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ინფორმაცია, რაც ნაშრომის ძირითად ნაწილში განსაზღვრული ფორმატით ვერ აისახა.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია და ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 კვლევის მიზანი და ამოცანები

ვინაიდან აღნიშნული ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანაში, ლურჯი ეკონომიკის პრინციპების განხორციელების შესაძლებლობების მეცნიერული კვლევა და სივრცითი ასპექტების იდენტიფიცირება, კვლევა ორიენტირებულია საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში, კერძოდ ქალაქ ბათუმში, ლურჯი ეკონომიკის განვითარების არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის შესახებ კომპლექსური წარმოდგენის შექმნაზე.

ნაშრომი წარმოადგენს აღწერილობით-ანალიტიკურ კვლევას, რომელიც გვიჩვენებს ბათუმის სანაპირო ზოლის ურბანულ-ეკონომიკურ დინამიკას. კვლევის არეალად შეირჩა ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლი მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისა და ბოლო ათწლეულში განვითარებული ინტენსიური ურბანული ტრანსფორმაციის გამო. ეს ტერიტორია არის ქალაქის ეკონომიკური ზრდის, ტურისტული პოტენციალისა და „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების ეპიცენტრი.

ნაშრომი აერთიანებს კარტოგრაფიული ანალიზის, რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვებისა და თვისებრივი დოკუმენტური ანალიზის მეთოდებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი კვლევის ამოცანები:

1. დოკუმენტური ანალიზი და საერთაშორისო მონაცემების კვლევა: საქართველოს ლურჯი ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობის, საკანონმდებლო და სტრატეგიული ჩარჩოს შესწავლა სახელმწიფო დოკუმენტების ანალიზის გზით; ასევე საერთაშორისო პროექტების მონაცემებისა და საუკეთესო პრაქტიკის განხილვა, რათა დადგენილიყო გლობალურ კონტექსტში ქვეყნის განვითარების შესაძლებლობები.
2. კარტოგრაფიული და სივრცითი ანალიზი: საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონის, კერძოდ ბათუმის სივრცითი განვითარების თავისებურებების (სამშენებლო ბიზნესი) დადგენა.
3. ექსპერტებთან ინტერვიუები: ლურჯი ეკონომიკის სფეროში ჩართული სპეციალისტების, მათ შორის სახელმწიფო სექტორის, აკადემიური წრისა და

სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარება, ცოდნისა და ხედვების მისაღებად საქართველოს ლურჯი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობებზე, გამოწვევებსა და საჭირო შესაბამის ღონისძიებებზე უშუალოდ ამ სფეროში ჩართული პირებისგან.

4. ფოკუს-ჯგუფები: ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ. საჯარო მოხელეები, მეთევზეები, ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა) ფოკუს-ჯგუფის ორგანიზება. ამ ამოცანის ფარგლებში მიღებულ იქნა ფართო საზოგადოების დონეზე არსებული მოსაზრებები, გაზიარდა გამოცდილება და საჭიროებები, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას ლურჯი ეკონომიკის განვითარების გეგმებში.
5. მიღებული მონაცემების ინტეგრირება და ანალიზი: ზემოთ აღნიშნული ყველა წყაროდან მიღებული ინფორმაციის შეკრება, შედარება და ტრიანგულაცია, რათა ჩამოყალიბდეს საქართველოს ლურჯი ეკონომიკის განვითარების საერთო სურათი. საბოლოოდ, მიღებულ იქნა დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა მეთოდით მიღებული მტკიცებულებების სინთეზზე.

1.2 კვლევის სტრატეგია და მონაცემთა შეგროვების მეთოდები

კვლევა ეფუძნება მრავალმეთოდიან ხარისხობრივ სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს როგორც პირველადი, ისე მეორადი მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. აღნიშნული სტრატეგია აირჩა იმის გამო, რომ ლურჯი ეკონომიკის თემა არის კომპლექსური და მრავალმხრივი, მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს. შესაბამისად მხოლოდ ერთი მეთოდის გამოყენება ვერ უზრუნველყოფდა სრულყოფილ სურათს, ამიტომ გამოვიყენეთ რამდენიმე ერთმანეთის შემავსებელი მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა მიღებული შედეგები გადაგვემოწმებინა და კვლევის სანდოობა აგვემაღლებინა. კვლევის დიზაინი შეიძლება განიხილოს, როგორც შემთხვევის შესწავლა (case study) საქართველოს კონტექსტში (ქალაქ ბათუმის მაგალითი), სადაც ქვეყნის შავიზღვისპირა რეგიონის უნიკალური გარემოებები და შესაძლებლობები დეტალურად განიხილება.

კვლევა განხორციელდა ეტაპობრივად ლოგიკური თანმიმდევრობით. პირველ ეტაპზე განხორციელდა მეორადი წყაროების შესწავლა – სახელმწიფო დოკუმენტებისა და საერთაშორისო პროექტების მონაცემების აღრიცხვა და ანალიზი, რათა დაგვესახა კვლევის ჩარჩო და ძირითადი ჰიპოთეზები. შემდეგ ეტაპზე შესრულდა გეოგრაფიული (კარტოგრაფიული) ანალიზი, რომელმაც გვაჩვენა ლურჯი ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი სივრცითი მონაცემები (ქალაქ ბათუმის სივრცითი გავნითარების ასპექტები). ამის შემდგომ, მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დაიგეგმა და ჩატარდა პირველადი მონაცემების შეგროვება: ექსპერტებთან ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები დაინტერესებულ მხარეებთან. ბოლოს, ყველა მიღებული მასალა ინტეგრირდა და გაანალიზდა მთლიანობაში. ასეთმა სტრუქტურირებულმა მიდგომამ უზრუნველყო როგორც მონაცემების წყაროების მრავალფეროვნება, ასევე შედეგების სიღრმისეული გაანალიზება, რაც დადებითად აისახა კვლევის ხარისხზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ყველა დაინტერესებული მხარის ინკლუზიურ მონაწილეობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; შესაბამისად, ჩვენი კვლევითი სტრატეგიაც მოიცავდა დაინტერესებული მხარეების ჩართვას (ექსპერტები, საჯარო სექტორი, ბიზნესი) და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებას, რათა მიგვეღო ყოვლისმომცველი და დაბალანსებული ხედვა საქართველოს / ქალაქ ბათუმის ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე.

კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდი, რაც მოიცავდა როგორც თვისებრივ ინტერვიუებს, ისე დოკუმენტურ და კარტოგრაფიულ ანალიზს. კვლევის ამ ნაწილში დეტალურად არის აღწერილი თითოეული გამოყენებული მეთოდი და მისი შესრულების თავისებურებები:

- ექსპერტებთან ინტერვიუები: ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები სხვადასხვა დონის ექსპერტებთან. ინტერვიუს მონაწილეებად შეირჩნენ საჯარო სექტორის წარმომადგენლები (კერძოდ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალისტები), აკადემიური წრის მკვლევრები საზღვაო და სანაპირო

ეკონომიკის დარგში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან ლურჯი ეკონომიკის შესაბამის პროექტებსა თუ საქმიანობებში. ინტერვიუში დასმული კითხვები ჩამოყალიბდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და ფოკუსირებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: არსებული პოლიტიკის ეფექტურობა, სფეროს განვითარების ძირითადი ბარიერები და საჭიროებები, პერსპექტიული სექტორების იდენტიფიცირება და რეკომენდაციები მომავალი ნაბიჯებისთვის. თითოეული ინტერვიუ საშუალოდ გაგრძელდა 30-60 წუთი და განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით, რაც უზრუნველყოფდა როგორც თემატურ სტრუქტურას, ისე რესპონდენტებისთვის თავისუფალი მსჯელობის შესაძლებლობას. მიღებული პასუხები დეტალურად ჩაიწერა და შემდგომ გაანალიზდა კვლევის შეკითხვების ჭრილში.

- ფოკუს-ჯგუფები: პარალელურად, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფური დისკუსიები, რომლებიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ხედვის და კოლექტიური შეხედულებების გამოვლენას. თითო ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 6-8 ადამიანს. ჯგუფები დაკომპლექტდა შავიზღვისპირა ზონის სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლით. კერძოდ, ერთ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ მეთევზეები, ხოლო მეორე ჯგუფში – საზღვაო ტურიზმისა და ბიზნეს სექტორის ადგილობრივი წარმომადგენლები. დისკუსიები წარიმართა წინასწარ მომზადებული კვლევითი კითხვარის გამოყენებით. მოდერატორი აკვირდებოდა, რომ ყველა მონაწილეს ჰქონოდა თავისი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა და დიალოგი მიმდინარეობდა კონსტრუქციულად. ფოკუს-ჯგუფებმა საშუალება მოგვცა მიგვეღო მრავალხმოვანი და ფართო ინფორმაცია, გამოგვევლინა საერთო ტენდენციები და ასევე განსხვავებული ხედვები კვლევის საკითხზე.
- დოკუმენტური ანალიზი: კვლევის საწყის ეტაპზე განხორციელდა მეორადი მონაცემებისა და დოკუმენტების ღრმა ანალიზი. შესწავლეთ ოფიციალური სახელმწიფო სტრატეგიები, პოლიტიკური დოკუმენტები და სამართლებრივი

აქტები, რომლებიც ეხება ზღვის რესურსების მართვას, საზღვაო ტრანსპორტს, თევზჭერასა და აკვაკულტურას, სანაპირო ტურიზმს და ლურჯი ეკონომიკის სხვა შესაბამის დარგებს. გაანალიზდა შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის დოკუმენტები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმები, რომლებშიც შეიძლება აისახოს ლურჯი ეკონომიკის პრინციპები. გარდა ეროვნული დოკუმენტებისა, აღნიშნული მეთოდი მოიცავდა აკადემიური ლიტერატურისა და ადრე ჩატარებული კვლევების მიმოხილვას, რათა დაგვედგინა, რა ეტაპზეა საქართველო ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის განხორციელებაში. დოკუმენტური ანალიზის პროცესში აღინიშნა ისეთი საკვანძო საკითხები, როგორებიცაა ინსტიტუციური ჩარჩო, კანონმდებლობის სისრულე, მიმდინარე პროექტები და ინიციატივები, ასევე სტატისტიკური მონაცემები (მაგალითად, საზღვაო სექტორების წილი ეკონომიკაში, დასაქმება, ინვესტიციები).

- კარტოგრაფიული და სივრცითი ანალიზი (ბათუმის სანაპირო ზოლი): ლურჯი ეკონომიკის პოტენციალის სრულად გასაგებად საკვანძო მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული და სივრცითი ფაქტორების გათვალისწინებას. ამიტომ განხორციელდა კარტოგრაფიული ანალიზი, რომლის ფარგლებში შეგროვდა და დამუშავდა შესაბამისი გეოსივრცითი მონაცემები ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის შესახებ. ამ მეთოდის მეშვეობით:
    - ✓ სივრცითი ხედვა მიეცა კვლევას: გამოიკვეთა ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის ვიზუალური და სივრცითი განვითარების ასპექტები.
    - ✓ ფუნქციური ზონირება: ტერიტორია დავყავით ოთხ ძირითად ფუნქციურ ზონად. ზონირების კრიტერიუმებად გამოვიყენეთ გეოგრაფიული მახასიათებლები (ზღვიდან დაშორება, რელიეფი); მიწათსარგებლობის ტიპი (საცხოვრებელი, კომერციული, სამრეწველო, რეკრეაციული); განაშენიანების მორფოლოგია (ისტორიული, საბჭოური, თანამედროვე); არსებული ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო კვანძები, პორტი, აეროპორტი); კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა.

- ✓ წყაროები: ზონირების პროცესში გამოვიყენეთ ღია წვდომის სატელიტური გამოსახულებები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების (GIS) მონაცემები და ადგილზე ვიზუალური დაკვირვებები. ურბანული სივრცეების ზონირება წარმოადგენს ქალაქის მართვისა და დაგეგმარების ფუნდამენტურ ასპექტს, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიების ოპტიმალურ გამოყენებას მათი გეოგრაფიული, ფუნქციური და ინფრასტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით (Moudon & Hubka, 1993). ბათუმის სანაპირო ზონის კვლევა, ქალაქის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობისა და დინამიკური განვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ნაშრომის ამ ნაწილში ქალაქ ბათუმის სანაპირო ზოლის დეტალური შესწავლის მიზნით, განხორციელდა მისი დაყოფა ოთხ ძირითად ზონად. ეს ზონები, მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან არაერთი ინდიკატორის მიხედვით, რაც განაპირობებს მათი კლასიფიცირების საჭიროებას.

- საერთაშორისო პროექტების მონაცემების ანალიზი: საქართველოს გამოცდილების ფართო კონტექსტში შეფასებისთვის, შევისწავლეთ შესაბამისი საერთაშორისო მონაცემთა ბაზები და პროექტების შედეგები. გამოვიკვლიეთ მსოფლიოს ბანკის და ევროკავშირის მიერ განხორციელებული პროექტების ანგარიშები, რომლებიც ასახავს შავი ზღვის რეგიონისა და, ზოგადად, ლურჯი ეკონომიკის თემატიკას. მათ შორის აღსანიშნავია „შავი ზღვის ლურჯი ზრდის ინიციატივა“, „Blueing the Black Sea (BBSEA)“ პროექტი, EU-ის „ლურჯი ეკონომიკის ანგარიში“ ბოლო წლებში და სხვა მსგავსი პროგრამების ფარგლებში მიღებული მონაცემები. ეს მონაცემები შეიცავს როგორც სტატისტიკურ მაჩვენებლებს (მაგ., ლურჯი ეკონომიკის სექტორების წილი რეგიონულ ეკონომიკაში, ინვესტიციების მოცულობა, ახალი სამუშაო ადგილები), ასევე ხარისხობრივ დასკვნებს და რეკომენდაციებს, რომლებიც რელევანტურია საქართველოსათვის. საერთაშორისო პროექტების მონაცემების ანალიზი დაეხმარა კვლევას საქართველოს სიტუაციის შედარებაში

მეზობელ ქვეყნებსა და გლობალურ ტენდენციებთან; ასევე გამოავლინა წარმატებული მაგალითები და გაკვეთილები, რომლებიც შეიძლება საქართველოში განხორციელდეს. მიღებული საერთაშორისო მონაცემები ინტეგრირდა კვლევის სხვა შედეგებთან, რათა გამოგვევლინა, თუ რა მიმართულებით შეუძლია საქართველოს გადაადგილება და რა ტიპის მხარდაჭერა ან რეფორმებია საჭირო საერთაშორისო სტანდარტებთან დასაახლოებლად.

1.3 მონაცემთა ანალიზის მეთოდები და მონაცემთა წყაროები

მონაცემთა შეგროვების დასრულების შემდეგ, განხორციელდა თითოეული წყაროდან მიღებული ინფორმაციის სისტემური ანალიზი. ანალიზის ეტაპი მოიცავდა თვისებრივი მონაცემების დამუშავებას შესაბამისი მეთოდოლოგიური ტექნიკებით. ქვემოთ განხილულია გამოყენებული ანალიზის მიდგომები:

- ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების ანალიზი: პირველადი ხარისხობრივი მონაცემების (ექსპერტებთან ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფების ჩანაწერები) ანალიზისთვის გამოვიყენეთ თემატური ანალიზის მიდგომა. ინტერვიუებისა და დისკუსიების აუდიოჩანაწერები სიტყვასიტყვით გადაიწერა წერილობით ტექსტად, რის შემდეგაც შესრულდა კოდირება – ტექსტში გამოიკვეთა საკვანძო კატეგორიები და თემები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა კვლევის შეკითხვებსა და ამოცანებს. ანალიზის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი თემა, მაგალითად: (ა) ლურჯი ეკონომიკის განვითარების ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები; (ბ) პერსპექტიული სექტორები (მეთევზეობა, ზღვის ენერგეტიკა, ტურიზმი და ა.შ.); (გ) ინფრასტრუქტურული საჭიროებები; (დ) გარემოსდაცვითი საფრთხეები და მდგრადობის გამოწვევები; (ე) საერთაშორისო თანამშრომლობის როლი. ამ თემების ირგვლივ შემდგომ ჩატარდა ღრმა შინაარსობრივი ანალიზი და სხვადასხვა რესპონდენტის მოსაზრებების შედარება.
- დოკუმენტური მასალების ანალიზი: ოფიციალური დოკუმენტებისა და ლიტერატურის ანალიზი მიმდინარეობდა კონტენტ-ანალიზის პრინციპებით.

თითოეული დოკუმენტი (სტრატეგია, კანონი, ანგარიში) განვიხილეთ წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე – მაგალითად, შეიცავდა თუ არა ის ლურჯი ეკონომიკის ცნებას და განმარტებას, იყო თუ არა გაწერილი კონკრეტული მიზნები ზღვის სექტორების განვითარებისთვის, რა ღონისძიებები და პროექტები იყო აღნიშნული და როგორ ფასდებოდა მათი შესრულება. კონტენტ-ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა ზოგადი სურათი იმისა, თუ რამდენად გააზრებულია და მხარდაჭერილია ლურჯი ეკონომიკის იდეა საქართველოს პოლიტიკურ-სტრატეგიულ დოკუმენტებში, რომელი მიმართულებებია პრიორიტეტულად გამოყოფილი და სად არის ხარვეზები თუ შეუსაბამობები პოლიტიკის დისკურსსა და რეალურ ვითარებას შორის. მიღებული შედეგები შემდგომ დაუკავშირდა პირველადი მონაცემებიდან (ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფები) მიღებულ შეხედულებებს – მაგალითად, თუ ექსპერტები მიუთითებენ გარკვეული პოლიტიკის ნაკლოვანებაზე, დოკუმენტურ ანალიზში მოწმდება, მართლაც არსებობს თუ არა შესაბამისი პოლიტიკა და როგორ ხორციელდება ის.

- კარტოგრაფიული ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია: რუკებისა და გეოგრაფიული მონაცემების ანალიზი განხორციელდა სივრცითი ანალიზის მეთოდებით. გამოვიყენეთ გეოინფორმაციული სისტემები (GIS). ეს მიდგომა უზრუნველყოფდა ლურჯი ეკონომიკის პოტენციალის სივრცით გაგებას და გამოავლინა კონკრეტული გეოგრაფიული ზონები, სადაც ნათლად ჩანს ქალაქ ბათუმის სივრცითი განვითარების ასპექტები.
- საერთაშორისო მონაცემების შედარებითი ანალიზი: საერთაშორისო პროექტებიდან და ანგარიშებიდან მიღებული მონაცემები გაანალიზდა შედარებით ჭრილში. აშკარად გამოიკვეთა გარკვეული ინდიკატორები, რითაც საქართველოს მდგომარეობა შეფასდა სხვა ქვეყნებთან მიმართებით. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ასევე ჩართული იყო ხარისხობრივად: მაგალითად, თუ სხვა ქვეყნების პროექტებში მოცემულია რეკომენდაციები სანაპირო მართვისთვის ან საზოგადოების ჩართულობისთვის, ისინი გავითვალისწინეთ საქართველოს კონტექსტის გაანალიზებისას და შევადარეთ

ქართველ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ საჭიროებებს. საბოლოოდ, საერთაშორისო მონაცემების შედარებამ მოგვცა შესაძლელობა გაგვერკვია, საქართველოსთვის რომელი პრაქტიკებია უფრო რელევანტური და წარმატებული და როგორ შეიძლება მათი ადაპტირება.

მთლიანობაში, ანალიზის ეტაპზე მიღებული იქნა მრავალგანზომილებიანი ხედვა: რაოდენობრივი მონაცემები (ციფრები, რუკები, შედარებები) შეკავშირდა ხარისხობრივ მიგნებებთან (ექსპერტთა და მოსახლეობის ხედვები) ისე, რომ მიღებული დასკვნები მაქსიმალურად დასაბუთებული და მრავალწყაროიანი გამოვიდა. მონაცემების ტრიანგულაციის გზით მიღებული შედეგები გამოირჩევა მაღალი სანდოობით, რადგან სხვადასხვა მეთოდით მიღებული ინფორმაცია ერთმანეთის სამართალდამზღვევია და ერთმანეთთან თანხვედრაშია.

კვლევაში გამოყენებულ მონაცემთა წყაროები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც პირველადი, ისე მეორადი ინფორმაციის წყაროებს. პირველადი მონაცემები მივიღეთ უშუალოდ შეგროვილი ინფორმაციიდან – ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. მეორადი მონაცემები კი თავმოყრილია უკვე არსებულ დოკუმენტებსა და მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით. ქვემოთ მოცემულია გამოყენებული წყაროების ძირითადი კატეგორიები და მათი აღწერა:

- პირველადი მონაცემების წყაროები: ექსპერტთა ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეები შევარჩიეთ მიზნობრივი შერჩევის (purposive sampling) პრინციპით, რათა წარმოდგენილი ყოფილიყო ლურჯი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისა და ინტერესთა ჯგუფების თვალსაზრისი. ექსპერტთა ჯგუფში მოხვდნენ ისეთი პირები, როგორებიც არიან: საჯარო მოხელეები (ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სხვა შესაბამისი სტრუქტურების მიერ გამოყოფილი პირები), საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები, (მკვლევრები, რომელთა საქმიანობა ზღვის ეკოსისტემებს ან საზღვაო პოლიტიკას მოიცავს) და საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილობრივი წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ საზღვაო და სანაპირო ზონის გარემოსდაცვით პროექტებზე. ფოკუს-

ჯგუფების მონაწილეები დაკომპლექტდნენ ქ. ბათუმის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით: მათ შორის იყვნენ მეთევზეები, ტურისტული ბიზნესების მფლობელები, ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეთი შერჩევა უზრუნველყოფდა, რომ პირველადი წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მრავალმხრივი და დაბალანსებული ყოფილიყო – იგი მოიცავდა როგორც პოლიტიკის განმახორციელებელთა, ისე უშუალოდ მომხმარებელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა პერსპექტივებს.

- ოფიციალური დოკუმენტები და ანგარიშები: მეორადი წყაროებიდან ერთ-ერთ მთავარ რესურსს წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური დოკუმენტები და ანგარიშები. გავაანალიზეთ ეროვნულ დონეზე მიღებული სტრატეგიული გეგმები (მაგალითად, აზიური განვითარების ბანკთან ან მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით შემუშავებული ეკონომიკური განვითარების დოკუმენტები, „საქართველოს 2030“ სტრატეგია) საკანონმდებლო აქტები (როგორიცაა ზღვის უსაფრთოხების შესახებ კანონმდებლობა, თევზჭერის და აკვაკულტურის მარეგულირებელი ნორმები), სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშები და პრეზენტაციები (მაგ., ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშები პორტებისა და სატრანსპორტო დერეფნების განვითარების შესახებ, გარემოს დაცვის სამინისტროს ანგარიშები შავი ზღვის ეკოსისტემის მდგომარეობის შესახებ), ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. აღნიშნული დოკუმენტები იყო სანდოობის მაღალი ხარისხის, რადგან ისინი წარმოადგენენ სახელმწიფო წყაროებს და კვლევისთვის ფაქტობრივი ბაზა შექმნეს.
- აკადემიური და კვლევითი ლიტერატურა: წყაროებში შევიდა ასევე აკადემიურ-სამეცნიერო პუბლიკაციები და კვლევითი ანგარიშები, რომლებიც მიმოიხილავს ლურჯი ეკონომიკის საკითხებს როგორც გლობალურად, ისე რეგიონულ (შავი ზღვის) და ეროვნულ დონეზე. გამოვიყენეთ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის, მდგრადი საზღვაო განვითარების მოდელების, ზღვის ეკოლოგიისა და ეკონომიკის კვეთის საკითხებზე. ამ ლიტერატურის ნაწილი მოიძებნა ღია

წყაროებიდან (ResearchGate, Google Scholar), ნაწილი მივიღეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებიდან და მონაცემთა ციფრული ბაზების მეშვეობით. აკადემიური წყაროების გამოყენებამ ხელი შეუწყო კვლევის თეორიული ჩარჩოს გამყარებას და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას ანალიზში.

- საერთაშორისო პროექტები და მონაცემთა ბაზები: კვლევის ფარგლებში ვისარგებლეთ საერთაშორისო პროექტებიდან მიღებული ინფორმაციით. რაც მოიცავს როგორც ანგარიშებს, ისე ციფრულ მონაცემთა ბაზებს. განსაკუთრებით გამოსაყოფია მსოფლიო ბანკის ინიციატივები და ევროკავშირის ზღვის სტრატეგიული პროგრამები.

1.4 კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ კვლევა მაქსიმალურად ყურადღებით და მასშტაბურად დაიგეგმა, გარკვეული შეზღუდვები მაინც აღსანიშნავია: *პირველი*, ლურჯი ეკონომიკის თემის სიახლიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, საქართველოში ნაკლებად მოიპოვება სპეციფიკური ადგილობრივი მონაცემები და წინა კვლევები, რაზეც დაყრდნობა შეიძლებოდა. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში გამოვიყენეთ ექსპერტთა შეფასებები და საერთაშორისო ცნებების ადგილობრივ კონტექსტში პროექცია, რაც გარკვეულწილად სუბიექტურობის რისკს შეიცავს. *მეორე,* პირველადი მონაცემების მხრივ, ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა იყო შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ შერჩევა მიზანმიმართულად წარმოადგენდა სხვადასხვა სექტორს, აღნიშნული რაოდენობა მაინც არ იძლევა მოსახლეობის სრული წარმოდგენილობის გარანტიას. შეიძლება არსებობდეს სხვა მოსაზრებები ან გამოცდილებები, რომლებიც ამ კონკრეტული მონაწილეებისთვის არ იყო დამახასიათებელი და კვლევამ შესაბამისად ვერ დააფიქსირა. *მესამე,* გეოგრაფიული მონაცემების სიმწირე აღმოჩნდა გამოწვევა – ზოგიერთი კარტოგრაფიული ინფორმაცია, მაგალითად, ზღვის წყლის დეტალური ეკოლოგიური მონაცემები ან შელფური ზონის რესურსების სიზუსტე, რთულად ხელმისაწვდომი იყო ან მოძველებული. ეს ნიშნავს, რომ კარტოგრაფიული ანალიზის ნაწილში შესაძლოა სივრცითი ასპექტი არასაკმარისად

დეტალიზებული დარჩა. *მეოთხე,* საერთაშორისო მონაცემების თავსებადობა: საერთაშორისო პროექტებიდან აღებული ზოგიერთი მაჩვენებელი და რეკომენდაცია ზოგად დონეზეა მოცემული და შესაძლოა პირდაპირ არ შეესაბამება საქართველოს უნიკალურ ვითარებას. მათი ადაპტაცია საჭიროებს დამატებით ანალიზს, რომელიც კვლევის ფარგლებს ნაწილობრივ სცდებოდა. *მეხუთე,* კვლევის ჩატარების პერიოდი დაემთხვა კოვი 19-ის პანდემიას, რამაც გარკვეული ლოჯისტიკური სირთულეები შექმნა.

მაქსიმალურად ვეცადეთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ შემზღუდველ ფაქტორებს არ მოეხდინათ ზემოქმედება კვლევის შედეგებზე. მონაცემების ტრიანგულაციამ და სხვადასხვა წყაროების შედარებამ ხელი შეუწყო სანდოობის ამაღლებას; მონაწილეთა შერჩევის დროს გავითვალისწინეთ ლურჯი ეკონომიკის სექტორული მრავალფეროვნება. მიღებული შედეგები კი თანმიმდევრულად შემოწმდა სხვადასხვა პერსპექტივიდან. ამდენად, მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, წარმოდგენილი მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა მიგვეღო ობიექტური და გააზრებული დასკვნები საქართველოს ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ, რაც უნდა გახდეს მყარი საფუძველი სამომავლო სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევისთვის.

კვლევაში ძირითადი საძიებო სიტყვები იყო: მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, ლურჯი ეკონომიკა, ბიომრავალფეროვნება, საზღვაო და სანაპირო ბუნებრივი რესურსები, ეკოსისტემა, ეკოსისტემური სერვისები, შავი ზღვა, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი.

1.5 ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები და შეთანხმებები/ გადაწყვეტილებები

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია პირველადი და მეორეული წყაროები: პოლიტიკური დოკუმენტები და გადაწყვეტილებები და მეცნიერული წყაროები და კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის ეფექტიანი დანერგვის შესაძლებლობებთან.

ნაშრომში გამოყენებულია ევროკავშირის 2022 წლის ანგარიში ლურჯი ეკონომიკის შესახებ (European Commission , 2022). ანგარიშში განხილულია ევროკავშირის ქვეყნებისათვის როგორც ლურჯი ეკონომიკის ზოგადი ეკონომიკური კონტექსტი, ისე

ლურჯ ეკონომიკაში შემევალი თითოეული სექტორი: საზღვაო ცოცხალი და არაცოცხალი რესურსები, საზღვაო აღდგენადი ენერგია, საპორტო აქტივობები, გემთმშენებლობა, საზღვაო ტრანსპორტი და სანაპირო ტურიზმი. განხილულია გარემო და ეკოსისტემური სერვისები მდგრადი განვითარებისთვის.

აღნიშნული კვლევის უპირველეს მიზანს წარმოადგენს, განიმარტოს და დემონსტრირდეს მწვანე ეკონომიკიდან ლურჯ ეკონომიკაზე გადასვლის საჭიროების მნიშვნელობა, ასევე გაანალიზდეს ის სპეციფიკური მიზეზები, რის გამოც აუცილებელი გახდა ზღვებისა და ოკეანეების ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის აქტივობები. *ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია* - დოკუმენტი წარმოადგენს 2012 წელს გამართული გაერთიანეული ერების ორგანიზაციის კონფერენციის შედეგებს, სადაც საზღვაო ქვეყნების მხრიდან არგუმენტირებული პოზიციით დადასტურდა მწვანე ეკონომიკის პარალელურად ლურჯი ეკონომიკის განვითარების საჭიროება, აქტუალობა და რელევანტურობა. ამასთან, აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია ლურჯი ეკონომიკის სექტორში არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. დოკუმენტი დაფუძნებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)-ს სტატისტიკურ მასალებზე (United Nations, 2021).

ლურჯი ეკონომიკის ეფექტური დანერგვისთვისა და მისგან შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების პერსპექტივის ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მასში მოაზრებული სექტორებისა და დარგების წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის, ასევე მომავალი მდგრადი განვითარების შესაძლებლობები. 2017 წელს გამოცემული რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (მსოფლიო ბანკი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი დეპარტამენტების ანგარიშში *„ლურჯი ეკონომიკის შესაძლებლობა - საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება გრძელვადიანი სარგებლობისთვის მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის და განვითარებადი სანაპირო ქვეყნებისათვის“* (Vierros & De Fontaubert, 2017) განხილულია ლურჯი ეკონომიკის აღმოცენებისა და განვითარების მიმართულებები, მისი ძირითადი გამოწვევები და ლურჯი ეკონომიკის ყველა ძირითადი სექტორი: მეთევზეობა,

აკვაკულტურა, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, საზღვაო ტრანსპორტი და გადაზიდვები.

„ლურჯი ეკონომიკა ხმელთაშუა ზღვაში: შემთხვევების შესწავლა, მაგალითები და პერსპექტივები“ წარმოადგენს ერთ-ერთ სახელმძღვანელო წიგნს, სადაც საუბარია ლურჯი ეკონომიკის დარგებში არსებული ეკონომიკური საქმიანობების საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაზე (Plan Bleu, 2020).

„ლურჯი ეკონომიკის განვითარების ჩარჩო“ წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც აქტიურად გამოვიყენეთ აღნიშნული ნაშრომის მომზადებისას. იმისათვის, რომ საქართველოში, როგორც პატარა საზღვაო სახელმიწიფოში, ლურჯი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისა და სექტორების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები და მიზეზები იქნას იდენტიფიცირებული, ასევე მათი გამოვლენის შემდეგ, გადაჭრის გზების ძიების პროცესში, ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინება მოხდეს, და ხელი შეეწყოს ცირკულარული ეკონომიკის დანერგვას, წარმოდგენილი წყარო განმარტავს ლურჯი ეკონომიკის კომპონენტებს, აღმიშნულ წყაროში თვალსაჩინოდაა გამოტანილი ზღვებთან და ოკეანეებთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობების, სერვისების, ინდუსტრიებისა და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული სფეროების ფართო სპექტრი. განხილულია ლურჯი ეკონომიკის გამოწვევები და არსებული გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის გზები (World Bank Group, 2016).

1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის (ბრუტლენდის კომისიის/ Brundtland Commission) ანგარიში;

1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე მდგრადი განვითარების კონცეფციის მიღება და დამტკიცება;

2012 წელს რიო-დე-ჟანეიროში კვლავ ჩატარდა კონფერენცია “რიო+20” - ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის ჩამოყალიბება;

1.6 ძირითადი სამეცნიერო კვლევითი დოკუმენტები

„ლურჯი ეკონომიკა“ და მასთან დაკავშირებული საკითხები/თემები საზოგადოებისთვის მათ შორის სამეცნიერო წრეებისათვის, სიახლეს წარმოადგენს, შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო და კვლევითი მასალები ამ ეტაპზე მწირია, თუმცა დიდი ინტერესის და მრავალი კვლევის საგანს წარმოადგენს. არსებული ნაშრომი ეყრდნობა როგორც არსებულ სამეცნიერო სტატიებს, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებს, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიშებს.

სამეცნიერო *სტატია „ლურჯი ეკონომიკის“ პრობლემები: მტკიცებულებები და კვლევის ტენდენციები* ლურჯი ეკონომიკის საკითხის აქტუალობას ეხმიანება, რომელშიც მოცემულია ბიბლიომეტრიული ანალიზი „ლურჯი ეკონომიკის“, „საზღვაო ეკონომიკის“, „ლურჯი ზრდის“ თვალსაზრისით. სტატიის მიზანს წარმოადგენს გაარკვიოს, არის თუ რა კავშირი ლურჯ ეკონომიკასა და ცირკულარულ ეკონომიკას შორის. სტატიის შედეგებში ნათლადაა მოცემული განვითარებადი და მზარდი ტენდენციები ბოლო ათწლეულის განმავლობაში სამეცნიერო წრეებისა და ეკონომიკური სექტორების ინტერესები ლურჯი ეკონომიკის სფეროში, რაც გამოიხატება გამოქვეყნებული სტატიების ყოველწლიურად მზარდ რაოდენობასა და კვლევების რაოდენობაში ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მცირე მასშტაბის მეთევზეობა, წყლის სახეობები, ბიოსაწვავი, სანაპირო ლურჯი ეკონომიკის ზრდა და ინტერნაციონალიზაცია. სტატიის დასასრულს ავტორები ხაზს უსვამენ ალიანსების საჭიროებას იმ სექტორებს შორის, რომლებიც ქმნიან ლურჯ ზრდას წრიული ეკონომიკის ჩართვით, მდგრადი ლურჯი ეკონომიკის მისაღწევად (Rosa María Martínez Vázquez, 2021).

ნაშრომში *„ჩვენი ოკეანეები და ლურჯი ეკონომიკა - შესაძლებლობები და გამოწვევები“* - განხილულია იმ აზრებისა და ქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ლურჯი ეკონომიკის სხვადასხვა შესაძლებლობების გამოვლენის, სარგებლის მიღების გზების, ასევე გამოწვევებისა და მათი დაძლევის საშუალებების შეთავაზებაზეა ორიენტირებული (Bari, 2017). ნაშრომი წარმოადგენს სამხრეთ აზიის რეგიონში უკვე

ჩატარებული კვლევების კრებულს იმ მონაცემებისა და მასალის მოპოვებით, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნულ საკითხთან. ნაშრომში ხაზგასმულია ლურჯი ეკონომიკის მდგრადობის განვითარების ჩარჩო მისი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის დაბალანსებისას. საუბარია, თუ რა წვლილი შეაქვს ლურჯი ეკონომიკის დარგებს მშპ-ში. ნაშრომი ასკვნის, რომ ბანგლადეშს, ისევე, როგორც სამხრეთ აზიას, აქვს პოტენციალი, დაიცვას ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია. თუმცა ეს მოითხოვს ძლიერ პოლიტიკურ ნებას და ვალდებულებებს, რაც უკვე აჩვენა ბანგლადეშში. მას სჭირდება მკაცრი კვლევები და სოციალური ცნობიერების ხელშეწყობა.

ლურჯი ეკონომის შესახებ ჩატარებული კვლეევის პარალელურად იზრდება ინტერესი საზოგადოების მხრიდან და ეს უკანასკნელი აცნობიერებს მის მნიშვნელობას, პოლიტიკის შემქმნელები და კვლევითი ინსტიტუტები მთელს მსოფლიოში, რომლებიც დაკავშირებულია ოკეანესა და სანაპირო რეგიონებს, ითხოვენ ლურჯი ეკონომიკის შესახებ გაუმჯობესებულ ანალიზს. კერძოდ, მენეჯმენტის, კონოტაციის, მონაცემების ხელმისაწვდომობის, მონიტორინგისა და პროდუქტის განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად, ქვეყნები იღებენ გადაწყვეტილებებს საკუთარი საჭიროებებიდან გამომდინარე. ამ კონსენსუსის არარსებობის შედეგად, კიდევ უფრო საჭირო ხდება შემდგომი დიალოგი ლურჯი ეკონომიკის ამ შემთხვევების ანალიზის ჩათვლით. სტატიაში *„წარმატებული ლურჯი ეკონომიკის მაგალითები საერთაშორისო პერსპექტივების ჭრილში“* ყურადღება გამახვილებულია ლურჯი ეკონომიკის ცნების სწორ განმარტებასა და კონცეფციის ჩამოყალიბების ისტორიაზე, ასევე შემთხვევების შესწავლაზე, რაც ფუნდამენტურ სამუშაოს წარმოადგენს ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში. სტატიაში საუბარია ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის გაგებაზე, ლურჯი ეკონომიკის თეორიული შემთხვევების განსაზღვრაზე, ლურჯი ეკონომიკის გამოყენების შემთხვევების გაცნობასა და მომავლის პერსპექტივის უზრუნველყოფაზე. სტატია არის იმ ცოდნისა და გამოცდილების შედეგი, რომელიც აკუმულირებულია გლობალური ოკეანის დამკვირვებელი საზოგადოებისგან (Lu Wenhai, 2019).

ვინაიდან არსებობს განსხვავება კუნძულოვანი ქვეყნების, დიდი და პატარა საზღვაო სახელმწიფოების მხრიდან ზღვებსა და ოკეანეებთან დაკავშირებული შესაბამისი პოლიტიკის მართვის კუთხით, ასევე მათ პრიორიტეტებსა და მიზნებს შორის, მნიშვნელოვანია გლობალურად გაანალიზდეს ორივე ტიპის ქვეყნებში უკვე არსებული კარგი პრაქტიკები და გამოცდილება. *„პატარა სახელმწიფოები: მწვანე და ლურჯი ეკონომიკა“* და *„პატარა სახელმწიფოებში ლურჯი ეკონომიკის ოპერაციონალიზაცია - ადრეული გამოცდილებების შესახებ“* (Cyrus, 2017), საუბარია კუნძულოვანი სახელმწიფოების (სეიშელი, გრენადა, ბაჰამის კუნძულები) გამოცდილებაზე ლურჯი ეკონომიკის დანერგვის და განვითარების პროცესში. ამასთან განხილულია ის შესაძლებლობები და წარმატებები, რაც ლურჯმა ეკონომიკამ შეუძლია მოუტანოს კუნძულოვან სახელმწიფოებს. აღნიშნული სამეცნიერო სტატია წარმოადგენს ზემოაღნიშნული საკითხების ანალიზისთვის აუცილებელი მეთოდიკისა და შედეგების შეფასების ერთგვარ სახელმძღვანელოს.

სტატიაში *„ლურჯი ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია: ერთა (ბრიტანული) თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ვარიაციის და ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა“* - გამოკვლეულია ლურჯი ეკონომიკის ინტერპრეტაციების, მართვის სტრატეგიებისა და განხორციელების მიდგომების სპექტრი, რომლებიც არსებობს ერთა თანამეგობრობის ქვეყნებში. ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის ძირითადი განცხადებები და მმართველობის ინსტრუმენტები გაანალიზებულია იმის დასადგენად, თუ როგორ ხდება ლურჯი ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია ეროვნულ დონეზე მდგრადი განვითარების მიზნებისა და თანამეგობრობის ლურჯი ქარტიის გამოყენებით. „ლურჯი ეკონომიკის“ მიზნები, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციონალიზებულია სხვადასხვა სტრატეგიების, გეგმებისა და პოლიტიკის მეშვეობით, ყურადღება გამახვილებულია ასევე ლურჯი ეკონომიკის დანერგვაში სექტორული ინტეგრაციის მნიშვნელობაზე (Michelle Voyer, 2022).

გამომდინარე იქედან, რომ წინამდებარე ნაშრომში აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე არსებული პატარა სახელმწიფოს შესაძლებლობები ლურჯი ეკონომიკის ეფექტიანი დანერგვის კუთხით, ასევე

განვსაზღვროთ მისი რეგიონული და გლობალური თანამშრომლობის განვითარების გზა აღნიშნული მიმართულებით, გამოყენებულია *„შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგი SRIA”* დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სამეცნიერო წრეებს, დამფინანსებელ სააგენტოებს, სამრეწველო სექტორს, პოლიტიკის სექტორს და საზოგადოებას, რომ რეაგირება მოახდინონ შავ ზღვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ გამოწვევებზე, ხელი შეუწყონ შავი ზღვის რეგიონში ლურჯ ზრდას და ეკონომიკურ კეთილდღეობას, შექმნან კრიტიკული მხარდაჭერის სისტემები და კვლევის ინოვაციური ინფრასტრუქტურები, გააუმჯობესონ განათლება და გააძლიერონ შესაძლებლობები (ექსპერტთა ჯგუფი, 2020).

მსოფლიოში სანაპიროზე მცხოვრებ მოსახლეობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალურ ეკონომიკაში - დაახლოებით 1,5 ტრილიონი აშშ დოლარი წელიწადში, 2030 წლისთვის მოსალოდნელია დაახლოებით 3 ტრილიონი დოლარი (United Nations, 2022). *„ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელობა პატარა ქვეყნებისთვის და სანაპიროზე მცხოვრები მოსახლეობისთვის“* საუბარია გაერთიანებული ერების ამავე სახელწოდების სტატიაში. ლურკი ეკონომიკა მდგრადობის სამივე საფუძველს ანიჭებს პრიორიტეტს: გარემოსდაცვითს, ეკონომიკურს და სოციალურს. მდგრადობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია გვესმოდეს განსხვავება ლურჯ ეკონომიკასა და ოკეანის ეკონომიკას შორის (United Nations, 2022).

ზემოაღნიშნული წყაროების გარდა, ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა გადამკვეთი საკითხებისა და აღნიშნული თეორიის მიმართ არსებული მუდმივად განახლებადი განმარტებების, ასევე მისი დანერგვის კარგი პრაქტიკისა და სხვადასხვა ქვეყნების რელევანტური გამოცდილების ანალიზისათვის, აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია მრავალფეროვანი, სამეცნიერო, სტატისტიკური და კვლევითი, ეროვნული და გლობალური მასშტაბის მასალები.

1.7 მწვანე და ლურჯი ეკონომიკის ერთობლივი განვითარების აუცილებლობა

2012 წლის 22 ივნისს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია მდგრადი განვითარების თაობაზე, ე.წ. „რიო+20“. რიო +20 –

ის მოსამზადებელი პროცესის განმავლობაში, ზღვისა და ოკეანეების მოსაზღვრე ქვეყნებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მწვანე ეკონომიკის აქტუალობა და რელევანტურობა (Amrei Horstbrink, UNITAR, 2016) მათი მხრიდან არგუმენტირებული პოზიციები იქნა წარმოდგენილი რიო +20 – ზე ლურჯი ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით. ლურჯ ეკონომიკას ფართო მნიშვნელობა აქვს, რადგან კაცობრიობის ზღვასთან დაკავშირებული არაგონივრული საქმიანობით გამოწვეული შედეგები მრავალი თვალსაზრისით უკვე წარმოადგენს დაბრკოლებას მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვის გზაზე (United Nations, 2021).

აღნიშნულ კონფერენციაზე მწვანე ეკონომიკაში ლურჯი ეკონომიკის მიდგომების მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირების საკითხიც დადგა. რიო +20 კონფერენციის განმავლობაში და მას შემდეგ, მსოფლიო ოკეანეებისა და ზღვების დაცვისა და შენარჩუნების საკითხმა უფრო ღრმა ყურადღება მიიპყრო და დღეს აღნიშნული თემა მეტად კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს. აღნიშნული აისახა სხვადასხვა ინიციატივებში, მათ შორის გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტში (UNDESA; United Nations Department of Economic and Social Affairs) ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაზე ოკეანეების, ზღვებისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე, მსოფლიო ოკეანეების კომისიის მუშაობაში, გლობალური პარტნიორობა ოკეანეებზე - საქმიანობაში და გაეროს ხუთწლიან სამოქმედო გეგმებში.

უახლესი ტექნოლოგიები და სასაქონლო ფასების ზრდა წყლისქვეშა რესურსების მოპოვება-გამოყენების შესაძლებლობების ახალ გზებს ხსნის, რაც საჭიროებს აუცილებელ ყურადღებას, რათა შესაძლებელი გახდეს ოკეანეებისა და ზღვების რესურსების მდგრადი განვითარება და თავიდან ავიცილოთ მათი გადაჭარბებული, არარაციონალური ექსპლოატაცია.

წყალი ფარავს ჩვენი პლანეტის ზედაპირის 72% -ს და შეადგენს ბიოსფეროს 95% -ზე მეტს. ცხადია, სიცოცხლე წარმოიშვა ოკეანეებში, რომლებიც დღესაც განაგრძობენ სიცოცხლის შენარჩუნებას ჟანგბადის წარმოქმნით, ნახშირორჟანგის შთანთქმით, საკვები ნივთიერებების გადამუშავებითა და გლობალური კლიმატისა და ტემპერატურის რეგულირებით (Isensee, 2020).

ოკეანეები და ზღვები მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უზრუნველყოფენ საკვებითა და საარსებო საშუალებებით, ასევე წარმოადგენენ გადამწყვეტ სატრანსპორტო გზას გლობალური ვაჭრობაში. საზღვაო და სანაპირო გარემო ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს ტურიზმის ინდუსტრიისთვის (World Bank Group, 2016) რაც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას, ინფრასტრუქტურის დახვეწას, და, საბოლოოდ, ეკო-ტურიზმის გამრავალფეროვნებასა და გაფართოებას.

ადამიანის მრავალმხრივმა სამეურნეო საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეარყია საზღვაო და სანაპირო რესურსების მდგრადობა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO; The Food and Agriculture Organization of the United Nations) მონაცემებით, თევზის გლობალური მარაგების 87% უკვე გამოყენებულია. ზღვის დაბინძურების ზრდა და სანაპიროების არამდგრადი განვითარება კიდევ უფრო მეტად განაპირობებს ბიომრავალფეროვნების დაკარგვას და შესაბამისი ეკო-სერვისების მიწოდების შემცირებას. კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის სანაპირო ზოლის განვითარებას, ხოლო ატმოსფერული CO2 დონის ზრდა ხელს უშლის ზღვის მრაფალფეროვანი ეკოსისტემის შენარჩუნებას ოკეანეებში მჟავიანობის მატების გამო (United Nations, 2021).

ლურჯი ეკონომიკის პრინციპები ითვალისწინებს იმ ქვეყნების გარემოებებსა და საჭიროებებს, რომელთა სამომავლო ეკონომიკური განვითარების რესურსები ოკეანური ან საზღვაოა (Vierros & De Fontaubert, 2017) ამ მიდგომის საფუძველია სამართლიანობის პრინციპი, რომელიც ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, რომ

1.მოხდეს მათი საზღვაო გარემოს განვითარების შედეგად მიღებული სარგებლის ოპტიმიზაცია. მაგალითად, თევზის მოპოვებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების შემუშავება და აღსრულება, ბიოპროსპექტირება, ნავთობისა და მინერალების მოპოვების რაციონალიზაცია.

2.ხელი შეუწყონ ეროვნულ დონეზე ყველა სახის თანასწორობას, შესაძლებლობების თანაბრობას, გენდერული თანასწორობის ჩათვლით, განსაკუთრებით, ყველასთვის ინკლუზიური და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში.

3.სათანადოდ აისახოს მათი ინტერესები ეროვნული იურისდიქციის მიღმა მდებარე საზღვაო გარემოს განვითარებაში; მათ შორის საერთაშორისო მართვის მექანიზმების დახვეწის მიმართულებით.

1.8 ლურჯი ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და საქართველო

1992 წლის აპრილში ექვსმა შავისზღვისპირა ქვეყანამ: ბულგარეთმა, რუმინეთმა, საქართველომ, თურქეთმა, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ, ხელი მოაწერა შეთანმხმებას შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ.

ბუქარესტის კონვენცია მოიცავს შემდეგ აქტებს:

- შავი ზღვის წყალქვეშა სამყაროს დაცვა პესტიციდების, ქიმიური ნარჩენების, ნავთობპროდუქტების, სამთო ნარჩენების, ნაგვისა და კანალიზაციისაგან.
- შავი ზღვის წყლის დაცვა ნავთობისა და სხვა მანვე ნივთიერებებისგან.
- შავი ზღვის წყალქვეშა სამყაროს დაცვა გემებისგან, პლატფორმებისგან, თვითმფრინავებისა და ადამიანის მიერ შექმნილი სხვა კონსტრუქციებისგან.
- შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფთის დაცვა და შენარჩუნება.

კონტრაქტორი მხარის ვალდებულებები მოიცავს, პირველ რიგში, შემცირებას, აღმოფხვრასა და კონტროლის დაწესებას შავი ზღვის დაბინძურებაზე. წყალქვეშა სამყაროს დაცვისა და შენარჩუნებისათვის თანამშრომლობასა და შეთანხმებულ მოქმედებას. ეს ყველაფერი განმტკიცებული უნდა იყოს სამართლებრივი აქტებით. ამ აქტებმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობითი სამეცნიერო-ტექნიკური აქტივები. ბიომრავალფეროვნების და ცოცხალი არსებების დაცვა, ტრანსსასაზღვრო გადაადგილების დროს მავნე ნივთიერებების წყალში ჩაღვრის კონტროლი. კონტინენტური შელფიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვებით გამოწვეული დაბინძურების კონტროლი.

SAP - სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას შავი ზღვის დაცვისა და აღდგენის შესახებ ხელი მოეწერა 1996 წლის 31 ოქტომბერს, შავი ზღვისადმი მიძღვნილ დღეს, რომელშიც მონაწილეობდა ყველა შავიზღვისპირა ქვეყანა. აღნიშნული გეგმა განახლდა 2009 წელს. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა მოიცავს შავი ზღვის დაბინძურების შეფასებასა და მონიტორინგს. ითვალისწინებს ძირითადი დაბინძურების წყაროების განსაზღვრას და მონაცემების ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებას. 2009 წლიდან დაიწყო მუშაობა არსებული მონიტორინგის სისტემის განვითრებასა და გაუმჯობესებაზე, რათა უზრუნველყონ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შავი ზღვის წყლის დაბინძურების წყაროების შესახებ, იქნება ეს მდინარეები, პირდაპირი ჩამდინარე წყლები თუ სხვა ნივთიერებები.

SAP-ის მიზნებს წარმოადგენს:

EcoQO1.

შავი ზღვის ცოცხალი სამყაროს შენარჩუნება, თევზჭერისა და სხვა საზღვაო რესურსების მდგრადი განვითარების პრინციპების გამოყენება, წყალქვეშა სამყაროს აღდგენა/რეაბილიტაცია.

EcoQO 2. ბიომრავალფეროვნებისა და და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და შენარჩუნება, გადაშენების პირას მყოფი სახეობების დაცვა, ლანდშაფტის შენარჩუნება და ადამიანის უარყოფითი გავლენის შემცირება.

EcoQO 3. საკვები ნარჩენებისა და ატმოსფერული დაბინძურების გავლენის შემცირება.

EcoQO 4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალი და ზღვის წყლის რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენება; მიწისზედა წყაროებიდან დაბინძურების შემცირება, მათ შორის ატმოსფერული დაბინძურების; ოფშორული დანადგარებისა და ტრანსპორტირების დროს გამოწვეული ზღვის წყლის დაბინძურების შემცირება.

BSC - შავი ზღვის კომისია შედგება 6 ქვეყნისგან: საქართველო, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. კომისიის მიზანს წარმოადგენს შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგი და არსებული სიტუაციის შეფასება. აღნიშნული კომისია უზრუნველყოფს:

- ✓ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხებისათვის თვალყურის დევნებას
- ✓ თევზჭერის კონტროლსა და სხვა ზღვის რესურსების დაცვას
- ✓ მიწისზედა წყაროებიდან დაბინძურების კონტროლს
- ✓ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას
- ✓ სანაპირო ზონის დაცვას დაბინძურებისაგან

MONINFO - ორგანიზაციის მიზანია საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება/განვითარება, რათა აღმოიფხვრას ზღვის წყალში ნავთობის ჩაღვრა და დაბინძურება. რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

EMODNET. აღნიშნული პროგრამა არის ევროკომისიის მიერ შემოშუავებული გრძელვადიანი ინიციატივა და ეხება საზღვაო საკითხებსა და მეთევზეობას. პროგრამაში ჩართულია მსოფლიოს 150-ზე მეტი ორგანიზაცია. 2013 წლიდან პროგრამის ფარგლებში დაიწყო მონაცემთ შეგროვება ხმელთაშუა და ჩრდილოეთ ზღვაზე. ხოლო 2015 წლიდან კი დაემტა ატლანტის ოკეანე, ბალტიის ზღვა და შავი ზღვა.პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს გაასაჯაროოს ფრაგმენტული და დაფარული მონაცემები ზღვის რესურსების შესახებ და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადოს ინდივიდულური პირებისა და ორგანიზაციებისთვის. ასევე ხელი შეუწყოს ინვესტიციების განხორციელებას სანაპიროს მდგრადი განვითარებისათვის. შეიმუშაოს სტანდარტიზებული მონაცემები ზღვების შესახებ და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის.

BSEP - შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამა დაარსდა 1993 წლის სექტემბერში. 1994 წლისათვის სტამბულში შეიქმნა აღნიშნული პროგრამის საკოორდინაციო განყოფილება. ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ. ასევე BSEP-ი ეხმარება სახელმწიფოებს წყლის დაბინძურების მონიტორინიგში.

ამ ორგანიზაციას აქვს სამი ძირითადი ამოცანა:

- ✓ გააძლიეროს და შექმნას ახალი შესაძლებლობები შავი ზღვის ეკოსისტემის დასაცავად.

- ✓ შეიმუშაოს პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოები შავი ზღვის დაბინძურების შეფასების, კონტროლისა და პრევენციის მიზნით.
- ✓ შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოძიებას გარემოსდაცვითი პროგრამების განსახორციელებლად.

აღნიშნული საქმიანობა ფინანსდება ევროკავშირის მიერ.

TDA - ეს არის სამეცნიერო-ტექნიკური შეფასებითი ცენტრი, რომელიც აკვირდება წყლის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ავლენს წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებულ რეგიონულ პრობლემებს და ადგენს დაბინძურების გამომწვევ მიზეზების.

საფინანსო პრინციპების დეკლარაცია და ვალდებულებები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პროგრამაში გათვალისწინებულია, რომ 2030 წლისთვის „ლურჯ ეკონომიკას“, ანუ ოკეანესთან უშუალოდ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ეკონომიკის ყველა დარგთა ერთობლიობას შეეძლება დამატებითი ღირებულებისა და დასაქმების ხელშეწყობით გლობალური ეკონომიკის მთლიანად გაუმჯობესება. უახლოეს ათწლეულში ზღვის ენერგიის, ზღვის ბიოტექნოლოგიის, სანაპირო ტურიზმის, ტრანსპორტისა და საკვები პროდუქტების წარმოების დარგები უპრეცედენტო განვითარებისა და კაპიტალდაბანდების პერსპექტივას იძლევა. მიუხედავად ამისა, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ არამდგრადი ეკონომიკური საქმიანობა ოკეანის ბუნებრივი კაპიტალის იმ რესურსების ბაზას ანადგურებს, რომელზეც ხსენებული ზრდაა დამოკიდებული და შესაბამისად, იწვევს დანაკლისს მოგებაში.

ფაქტობრივად იზრდება იმის გაცნობიერება, რომ ბიზნეს საქმიანობის წარმართვა „ჩვეული კურსით“ უდიდესი საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ბიზნესისთვის, არამედ ჩვენი მომავალი კეთილდღეობისთვისა და ზოგადად, პლანეტისთვის, ვინაიდან იგი უგულებელყოფს ზღვის ეკოსისტემაზე ზემოქმედებას. ხოლო ის საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მოიცავს მდგრადი განვითარების ელემენტებს და გათვლილია ეკოლოგიურად, ეკონომიკურად თუ სოციალურად მდგრადი შედეგების მიღებაზე, ხელს შეუწყობს ჩვენი ოკეანის ჯანსაღი მდგომარეობისა და მთლიანობის შენარჩუნებას, ასევე მასზე დამოკიდებულ საერთო სოციალურ, ეკოლოგიურ თუ ეკონომიკურ ფუნქციონირებას ხანგრძლივი ვადით.

დიდი ხანი არ არის, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ განაცხადა ოკეანის მდგრადი გამოყენების, მისი რესურსების შენარჩუნებისა და ასევე მიწასთან დაკავშირებული საქმიანობის საზიანო გავლენის შემცირებისკენ სწრაფვა. დიდი შვიდეულის, დიდი ოცეულის სახელმწიფოები და სხვა ქვეყნები თუ ბაზრები თანხმდებიან, რომ ფინანსური ზრდა და ინვესტიციების მდგრადობის გარანტირება უმნიშვნელოვანესია მდგრადი განვითარებისა და კლიმატის სფეროში დასახული მიზნების მისაღწევად. ამგვარად, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საინვესტიციო კაპიტალი წარმოადგენს ლურჯი ეკონომიკის განითარების უმთავრეს საშუალებებს.

მოცემული საერთაშორისო დოკუმენტები და ორგანიზაციები ნათლად აჩვენებს, რომ ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დღის წესრიგში მტკიცედ დამკვიდრდა. შავი ზღვის რეგიონში, ბუქარესტის კონვენცია და სტრატეგიული სამოქმედო გეგმა (SAP) საფუძვლად უდევს რეგიონულ თანამშრომლობას გარემოს დაცვის მიმართულებით. აღნიშნული დოკუმენტები უშუალოდ უკავშირდება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებს, რომლებიც მოითხოვს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, დაბინძურების შემცირებას და რესურსების მდგრად გამოყენებას.

ემოციონალური და მონიტორინგის სისტემების განვითარება, როგორიცაა EMODNET, უმნიშვნელოვანესია მონაცემთა გამჭვირვალობისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების დასაბუთებისთვის. თუმცა, აუცილებელია მათი ეფექტიანი ინტეგრირება და გამოყენება ეროვნულ დონეზე. ამ კონტექსტში საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ საერთაშორისო პროგრამებში აქტიური ჩართულობა, რათა მიიღოს საჭირო ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა და დანერგოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა.

საბოლოო ჯამში, ლურჯი ეკონომიკის ფინანსური პრინციპები ხაზს უსვამს იმას, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა გარემოსდაცვითი მდგრადობის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც შავი ზღვის სანაპირო ქვეყნისთვის, ამ პრინციპების გათვალისწინება არის არა მხოლოდ გარემოს დაცვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური მომავლის უზრუნველყოფის საკითხი.

თავი II. საკვლევი არეალის ზოგადგეოგრაფიული და სოციალურ - ეკონომიკური მახასიათებლები

ნაშრომის ეს ნაწილი ეთმობა აჭარას და აჭარის რეგიონში შემავალი ქ. ბათუმის და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტიბის იმ ბუნებრივ-გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალური თუ ეკონომიკური ასპექტების მიმოხილვას რომელთაც არსებითი როლი უკავია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ლურჯი ეკონომიკის სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებაში. ანალიზი დაფუძნებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვადასხვა დეპარტამენტის მონაცემებზე. ანალიზში გამოვიყენეთ სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი.

აჭარის რეგიონზე/ქალაქზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და ყოფილ სსრკ-ში არსებული სხვა ავტონომიური რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ეს ავტონომია ყარსის ხელშეკრულების VI მუხლის საფუძველზე ოფიციალურად შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს. დღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (დამატებულია საქართველოს 2004 წლის 01 ივლისის კონსტიტუციური კანონით).

2.1 რელიეფი და გეომორფოლოგია

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის შესასწავლად, პირველ რიგში, განვსაზღვეთ სანაპირო ზონა და აღნიშნული ზონის გეოგრაფიული არეალი.

საქართველოს სანაპიროს წილად შავ ზღვაზე 310 კმ (ზოგ წყაროში 309კმ) მოდის, საქართველოს საზღვაო საზღვარი იწყება მდინარე ფსოუს შესართავიდან ქ. ოჩამჩირემდე, რომლის სანაპირო მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოჩამჩირიდან ქობულეთამდე – სამხრეთით, ქობულეთიდან სახელმწიფო საზღვრამდე – სამხრეთ-დასავლეთით. აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე - 195 (63%) კმ-ია, რომელზეც საქართველოს იურისდიქცია არ/ვერ ვრცელდება, აქედან გამომდინარე, კვლევის არეალად განვსაზღვრეთ საქართველოს სანაპირო სიგრძის 50 კმ-ით, რიგით მეორე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლი. კონკრეტულად კი ის

მუნიციპალიტეტები, რომელთაც უშუალოდ გასასვლელი აქვთ ზღვაზე: ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები, ამ უკანასკნელის როლი სანაპირო ზონაში ძალიან მცირეა მისი სანაპირო ზოლის სიგრძიდან (3 კმ) გამომდინარე.

სურათი 1: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკა

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პლატფორმა

2.2 გეოგრაფიული მდებარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრები შემდეგნაირად არის განსაზღვრული: სამხრეთით ის თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და შავშეთის ქედს მიჰყვება; მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მესხეთის ქედი, აღმოსავლეთიდან – არსიანის ქედი, ხოლო დასავლეთიდან – შავი ზღვა. აჭარის საერთო ფართობი 2.9 ათასი კვადრატული კილომეტრია (საქართველოს ტერიტორიის 4.2%), რომლის უდიდესი ნაწილი, 97.5%, მთიან რელიეფზე მოდის; დანარჩენი ტერიტორია კი დაბლობზე (1.7%) და მთისწინეთზე (0.8%) ნაწილდება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი, 2024).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, კახაბრის დაბლობის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 2-3 მეტრ სიმაღლეზე. ქალაქი გაშენებულია ღრმა და კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელის, ბათუმის ყურის ნაპირას. ტერიტორიის ფართობი 82.3 კვ.კმ-ია, ხოლო მისი გეოგრაფიული კონფიგურაცია 7 კილომეტრზეა გადაჭიმული ჩრდილო-

აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქი საშუალოდ 1-2.5 კმ სიგანისაა ზღვის ნაპირიდან ბორცვებამდე. ბათუმის დიდი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და იკავებს კახაბრის ვაკის ჩრდილოეთ სეგმენტს, ხოლო მისი სხვა უბნები განლაგებულია ყურის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარეების ყოროლისწყლისა და ბარცხანის ხეობების გასწვრივ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთით და ზოგადად, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია იწყება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთით არსებული ჭაობიანი დაბლობით და ვრცელდება რამდენიმე მდინარის ხეობაში, მათ შორის ჩოლოქის, ცხრაფონას, აჭყვას, კინტრიშის, კინკიშას, დეხვასა და ჩაქვისწყლის ხეობებში. თავად ქალაქი ქობულეთი გაშენებულია ზღვის დონიდან სულ 3-5 მეტრზე, აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე. მუნიციპალიტეტის ნიადაგები მრავალფეროვანია: ზღვისპირა დაბლობები მოიცავს ტორფ-ჭაობიან ნიადაგებს, ხეობებში გვხვდება ალპური ქანები, გორაკ-ბორცვებზე დომინირებს წითელმიწა-ნიადაგები, ხოლო უფრო მაღალ ზონებში გაეწრებული ნიადაგებია გავრცელებული, რომლებიც ხელსაყრელია სუბტროპიკული კულტურებისთვის.

სურათი 2: საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა



აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი გადაჭიმულია დაახლოებით 50 კმ-ზე მდინარე ნატანების შესართავიდან საქართველო - თურქეთის საზღვრამდე, ქმნის რა სუსტად შეზნექილ რკალს, რომლის საშუალო სიგანე 0.1-0.3 კმ-ია. უმეტესად ეს ტერიტორია ხასიათდება ქვიშა-კენჭოვანი პლაჟებითა და ძველი ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლით (Кикнадзе, 1966). ეს ზვინულები აჭარის ზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეომორფოლოგიური ელემენტია, რომელიც

როგორც თანამედროვე, ისე ძველ ზვინულებს მოიცავს. კლდოვანი, ვერტიკალური ნაპირები ლოკალურად გვხვდება მხოლოდ რამდენიმე უბანზე, მაგალითად, ციხისძირისა და მწვანე კონცხის მიდამოებში, ასევე თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარე კალენდერის კონცხის სანაპირო ზოლზე (Геоморфология Грузии, 1971).

2.3 სანაპიროს მორფოდინამიკა

საქართველოს კანონი ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების შესახებ მორფოდინამიკას განმარტავს, როგორც „სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონის წყალქვეშა და ხმელეთის ზედაპირის რელიეფწარმომქმნელი პროცესების განვითარებას დროში და სივრცეში“.

ტექტონიკური თვალსაზრისით, აჭარის სანაპირო ზონა გარდამავალ სარტყელშია მოქცეული, რომელიც შავი ზღვის ქვაბულსა და შავშეთის, აჭარა-იმერეთის ნაოჭა ქედებს, ასევე გურიის ქვეზონას შორის მდებარეობს. განივი ტექტონიკური რღვევების ზემოქმედებით, აჭარის სანაპირო დაყოფილია ოთხ ძირითად სტრუქტურულ ბლოკად: სარფი-კალენდერი, ჭოროხი-ბათუმი, ციხისძირისა და ქობულეთის ბლოკებად (Джанджгава, 1979).

აჭარის სანაპირო ზოლი, კვარიათი-სარფის მონაკვეთის გამოკლებით, მიეკუთვნება ჭოროხის დინამიკურ სისტემას. ეს კლასიფიკაცია ა. კიკნაძის დარაიონების სქემას ეფუძნება და ითვალისწინებს საზღვრებში განვითარებული მორფოდინამიკური და ლითოდინამიკური პროცესების თავისებურებებს (კიკნაძე, 1991).

სანაპირო ზოლი უმეტესად აბრაზიულ-აკუმულაციური ტიპისაა, სადაც პლაჟები ქვიშა-კენჭოვანი მასალით არის აგებული. აბრაზიული ნაპირები მოიცავს სარფი-კალენდერისა და მახინჯაური-ციხისძირის მონაკვეთებს, ხოლო აკუმულაციური ნაპირები გვხვდება კვარიათი-ბათუმის კონცხისა და ბობოყვათი-ნატანების უბნებზე. გარდა ამისა, წყალმეჩხერ შელფს კვეთენ და სანაპირო ზოლში იჭრებიან ბათუმისა და ჭოროხის კანიონები, ხოლო ქობულეთის სანაპიროს წყალქვეშა ხეობები ესაზღვრება.

მორფომეტრული და მორფოდინამიკური მახასიათებლების საფუძველზე, აჭარის სანაპირო ზოლი იყოფა სამ, შედარებით დამოუკიდებელ ქვესისტემად: 1) სოფ. კვარიათი

- ბათუმის კონცხი, 2) ბათუმი - ციხისძირის კონცხი და 3) ციხისძირის კონცხი - მდ. ნატანების შესართავი.

პირველი ქვესისტემა (კვარიათი - ბათუმის კონცხი)

ეს ქვესისტემა მოიცავს რამდენიმე სპეციფიკურ უბანს, რომლებიც განსხვავდებიან ნატანის წყაროებითა და დინამიკით:

- სარფის სანაპირო ზოლი მოქცეულია საქართველოს კალენდერისა და თურქეთის სემჯუმის კლდოვან კონცხებს შორის და შექმნილია მათი აბრაზიული ნატანით.
- კვარიათი - მდ. ჭოროხის შესართავის 5 კმ-იანი მონაკვეთი შექმნილია მდ. ჭოროხის ნატანითა და კალენდერის კონცხის აბრაზიული მასალით.
- ადლიის სანაპირო ზოლი (ჭოროხის შესართავიდან ბათუმის გემთმშენებელ ქარხნამდე) ძლიერ ეროზირებულია და დინამიკურ წონასწორობაში არ არის, რაც ჭოროხის შემცირებული გრანულომეტრიის შედეგია.
- ბათუმის ბულვარის ტერიტორია (ქ. ბათუმის სანაპირო) ბუნებრივ მდგრადობას ინარჩუნებს ადლიიდან წამოსული ნატანის წყალობით.
- ბათუმის აკუმულაციური კონცხი (დაახლოებით 1 კმ) წარმოდგენილია მდ. ჭოროხის მსხვილი მასალითა და 10-15% ქვიშით. იგი ძალზე დინამიურია და მგრძნობიარე ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ.

მეორე ქვესისტემა (ბათუმი - ციხისძირის კონცხი)

ამ ქვესისტემის გამორჩეული უბნებია:

- შედარებით სტაბილური მონაკვეთი, სადაც ალაგ-ალაგ ხრეშოვანი პლაჟებია, ვრცელდება მდ. ყოროლისწყლის შესართავამდე.
- მონაკვეთი მდ. ყოროლისწყლიდან ციხისძირის კონცხამდე ხასიათდება ხრეშოვანი პლაჟების შეზღუდული სიდიდით ან მათი არარსებობით.

მესამე ქვესისტემა (ციხისძირის კონცხი - მდ. ნატანების შესართავი)

მესამე ქვესისტემის თავისებურებებია:

- ციხისძირის კონცხზე პლაჟი პრაქტიკულად არ არსებობს.
- ქობულეთის 10 კმ-იანი მონაკვეთი, სადაც სამხრეთით მდებარე 4 კმ-იანი უბანი ყველაზე მეტად არის დაზიანებული. ამ ზონას პლაჟწარმომქმნელი ნატანით

ამარაგებენ მდინარეები: დეხვა, კინტრიში და აჭყვა, რომელთა ჯამური წლიური მოცულობა დაახლოებით 10-11 ათას m^3-ს შეადგენს. ვინაიდან მსხვილი მასალის დანაკარგი ყოველ კილომეტრზე დაახლოებით ათას m^3-ს შეადგენს, ქობულეთის 10 კმ-იან სანაპირო ზონაში ადგილობრივი ნატანის მოცულობა საკმარისია მხოლოდ ცვეთაზე დანაკარგების საკომპენსაციოდ. ჭოროხიდან ნატანის მოტანა კი კარიერების სიშორის გამო ძვირი ღონისძიებაა.

ტექტონიკური მოძრაობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანაპიროს მორფოლოგიაზე:

- ქობულეთის სტრუქტურული ბლოკი (ციხისძირის კონცხსა და მდ. ნატანების შესართავს შორის) უარყოფითი ნიშნის მოძრაობებით ხასიათდება, რაც იწვევს სანაპირო ზონის ყოველწლიურ დაძირვას 1-2 მმ-ით.
- ჭოროხი-ბათუმის სტრუქტურული ბლოკი ასევე უარყოფითი ნიშნის ტექტონიკური მოძრაობებით გამოირჩევა (ესაზღვრება მახინჯაურის და ანატოლიის რღვევის ხაზები), სადაც ზღვისპირა ნაწილი წელიწადში 0.8-1.3 მმ-ით იძირება.
- ციხისძირისა და სარფი-კალენდერის სტრუქტურული ბლოკები კი წელიწადში 1-2 მმ-ით განიცდიან აზევებას (Лилиенберг, 1966).

უახლესი ტექტონიკური მოძრაობების რეჟიმი პირდაპირ განაპირობებს სანაპირო ზონის რელიეფის მორფოლოგიურ ხასიათს: დაძირვა (ქობულეთი, ჭოროხი-ბათუმი) ხელს უწყობს აკუმულაციური ტიპის სანაპირო ზონებისა და ვაკეების განვითარებას (ქობულეთი, კახაბერი), ხოლო აზევება (ციხისძირის, სარფი-კალენდერის ბლოკები) – ტიპური აბრაზიული ნაპირების ჩამოყალიბებას.

ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი შექმნილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზღვის ზვართცემის მოქმედებით. ის წარმოადგენს ბუნებრივ დამცავ ჯებირს, რომელიც ხმელეთს იცავს ტალღების ენერგიის ზემოქმედებისგან.

- ბათუმის სამხრეთით: საქართველო-თურქეთის საზღვრამდე, სანაპიროს წყალზედა ნაწილი წარმოდგენილია მაღალი პლაჟით (4.0 მ) და თანამედროვე ზვინულებით, რომლის სიგანე 100-150 მეტრს, ხოლო სიმაღლე 3-5 მეტრს

შეადგენს. ამ უბანზე ძველი ზვინულების ზოლი არ არის განვითარებული, რაც ჭოროხის დელტის სანაპირო ზონის მაღალ დინამიურობასა და სანაპირო ხაზის ოსცილიაციურ მიგრაციაზე მიუთითებს.

- ქობულეთის ვაკის სანაპირო ზონაში (ციხისძირის კონცხიდან მდ. ნატანების შესართავამდე) კარგად არის გამოსახული ძველი და თანამედროვე ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლი (საშუალო სიგანე 150-200 მ, სიმაღლე 3-6 მ). პლაჟის სიგანე აჭარის სანაპირო ზონაში საშუალოდ 30-70 მეტრს შეადგენს.
- აჭარის ზოგიერთ მონაკვეთზე ზვინულების ზოლი ორი პარალელური ზვინულითაა წარმოდგენილი, მათ შორის 1-2 მ სიღრმის გასწვრივი ჩადაბლებით. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ქობულეთის სანაპიროს გასწვრივ, სადაც ზედაპირს საკურორტო ზონა – „ფიჭვნარი“ უკავია.

თუმცა, ნაპირგასწვრივი ზვინულების ზოლის ბუნებრივი მორფოლოგიური იერი სხვადასხვა ხარისხით არის დეგრადირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად. წარსულში ინერტული მასალის მომპოვებელი კარიერების მოქმედებამ ქობულეთის ჩრდილოეთ უბანზე დატოვა მოზრდილი ჩადაბლებები, რომლებიც წვიმის წყლით ივსება, რის გამოც ზვინულების ერთიანი ზოლის ნაცვლად მისი ფრაგმენტებია შემორჩენილი (Джанджгава, 1979).

2.4 კლიმატი

აჭარის ტერიტორია მრავალფეროვანი ლანდშაფტების რთული შერწყმაა, რაც მოიცავს საშუალო და მაღალმთიან, მთა-ტყისა და ტენიან სუბტროპიკულ ზონებს. მიუხედავად ამ ელემენტების მჭიდრო ურთიერთკავშირისა, თითოეული ლანდშაფტი ინარჩუნებს უნიკალურობას. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები და მცენარეული საფარის მრავალფეროვნება განსაზღვრავს მის დაყოფას ორ მთავარ ზონად: ზღვის სანაპიროდ და შიდამთიან აჭარად. სანაპირო ზოლი სუბტროპიკულ ჰავას ქმნის, სადაც ჭარბი ტენიანობა და მაღალი ტემპერატურაა დომინანტი, მაშინ როცა შიდამთიანი რეგიონი ხმელთაშუა ზღვის მშრალი სუბტროპიკული კლიმატის მსგავსი პირობებით გამოირჩევა (აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2024).

ბათუმი კლასიფიცირდება როგორც ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქი, რომელიც გამოირჩევა თბილი, რბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ბათუმის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით, ქალაქში საშუალო წლიური ტემპერატურა 15°C-ია. ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო მაჩვენებელი 7°C-ს შეადგენს, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, აგვისტოს, საშუალო ტემპერატურა 23°C-ია. ტემპერატურის ექსტრემალური ლიმიტებია: აბსოლუტური მინიმუმი –9°C და აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. ქალაქი ასევე ხასიათდება მაღალი ტენიანობით (საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 81%) და უხვი ნალექით, რომლის წლიური ჯამი 2560 მმ-ია, რაც ხშირი კოკისპირული წვიმებით არის განპირობებული.

ქობულეთი კლიმატურად გამოირჩევა მაღალი ფარდობითი ტენიანობით და მთელი წლის განმავლობაში ზღვის ქარების მუდმივი ზემოქმედებით. ნალექი უხვია, განსაკუთრებით შემოდგომასა და ზამთარში. ქალაქის საშუალო წლიური ტემპერატურა +14.3°C-ია, იანვრის საშუალო მაჩვენებელი +5.8°C-ს შეადგენს, ხოლო აგვისტოში +23.0°C-ს. ტემპერატურის აბსოლუტური ლიმიტები მერყეობს მინუს –16°C-დან პლუს +41°C-მდე. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია (2352 მმ), მაგრამ ეს წვიმები ხანმოკლე (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) ხასიათისაა. გეოლოგიური თავისებურების გამო (ტერიტორია ძირითადად წყალგამტარი სუბსტრატია), ნალექები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე. მაღალი სინოტივე ქობულეთში მაქსიმუმს გაზაფხულზე (75%) აღწევს, ზამთარში კი 70% შეადგენს. ქობულეთი აჭარის კურორტებს შორის მზის ნათების ყველაზე ხანგრძლივი წლიური ჯამით (2100 საათი) გამოირჩევა. დასავლეთიდან არსებული გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს დილის მზის მოქმედებას და, ბათუმისგან განსხვავებით, ნოტიო ჰაერის მასებს თავისუფლად ატარებს ხმელეთის სიღრმეში კონდენსაციის გარეშე (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2023).

აჭარის ზღვისპირა ზონის ქარის რეჟიმს უმეტესწილად დასავლეთის მიმართულების ნოტიო ქარები განსაზღვრავს. თუმცა, ზამთრის თვეებში ხმელეთიდან მიმართული ქარების სიხშირე მატულობს და ზოგიერთ უბანზე დასავლეთის ქარების სიხშირესაც კი აღემატება. რაც შეეხება ხეობებს, იქ დომინანტია აღმოსავლეთის ქარები.

საბოლოო ჯამში, ქარის მიმართულება ზაფხულში იცვლება ზღვიდან ხმელეთისკენ, ხოლო ზამთარში – ხმელეთიდან ზღვისკენ. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მეტეოროლოგიური პარამეტრი ქ.ბათუმისა და ქ. ქობულეთის მაგალითზე:

ცხრილი 1: ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები (მ/წმ) ბათუმის და ქობულეთის სანაპიროზე
ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები (მ/წმ) ბათუმის და ქობულეთის სანაპიროზე

წყაროა: ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

სადგური/თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.წლიური
ქობულეთი	2.7	3.1	3.0	2.8	2.6	2.5	2.6	2.4	2.3	2.4	2.5	2.5	2.6
ბათუმი	6.8	5.3	4.8	4.2	2.4	3.4	2.8	2.8	2.8	4.6	3.5	6.9	4.4

ცხრილი 2: ძლიერქარიანი დღეების საშუალო რიცხვი
ძლიერქარიანი დღეების საშუალო რიცხვი

წყაროა: ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო

სადგური/თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ქობულეთი	2.8	3.2	2.8	1.7	2.0	1.8	1.0	0.9	1.5	2.7	2.2	1.6	24
ბათუმი	8.6	6.0	6.0	4.0	1.8	2.0	0.3	0.7	0.8	5.0	5.5	9.2	50

აჭარის სანაპიროზე ხშირია დღეღამური ბრიზები, რომლებიც მნიშნელოვან როლს თამაშობენ ჰაერის ცირკულაციაში.

აჭარა საქართველოს ყველაზე თბილი რეგიონია. ზღვის სანაპიროზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა მერყეობს იანვარში - 6.5^0 დან 7.0^0-მდე აგვისტოში 22^0-24^0–ის ფარგლებში.

ცხრილი 3: ჰაერის ტემპერატურის საშუალო მრავალთვიური და მრავალწრიულ მნიშვნელობები
ჰაერის ტემპერატურის საშუალო მრავალთვიური და მრავალწრიულ მნიშვნელობები

წყარო: აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა

სადგური /თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ქობულეთი	4.8	5.5	7.6	10.9	15.4	19.5	22.4	22.6	19.5	15.4	10.7	6.7	13.4
ბათუმი (ქალაქი)	7.1	7.2	8.4	11.5	15.8	20.0	22.8	23.2	20.3	16.6	12.0	8.6	14.5
ბათუმი (შუქურა)	6.7	6.7	8.2	11.3	15.9	20.2	22.9	23.1	20.1	16.2	12.1	9.0	14.4

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -10° დაბლა არ ჩამოდის, აბსოლუტური მაქსიმუმი კი შეიძლება +40°-ს.

სანაპირო ზონაში ზღვის ზედაპირული წყლის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 14°-15°-ს, ზაფხულში 23°-24°-ს. აბსოლუტური მაქსიმუმი დაფიქსირებულია აგვისტოში 27.5^0-28.0^0. აბსოლუტური მინიმუმი-თებერვალში $+7.5^0$.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთლიანად შავი ზღვის რეგიონში აჭარა, კერძოდ კი ბათუმი ყველაზე არახელსაყრელი დასასვენებელი ადგილია.

წყარო: EUMETSAT-ის კლიმატის მონიტორინგის სატელიტური აპლიკაცია.



სურათი 3: ქალაქ ბათუმის და ქალაქ ვარნას წლიური მზიანი დღეების შედარებითი გრაფიკები



სურათი 4: ქალაქ ბათუმისა და ქალაქ ოდესის წლიური მზიანი დღეების შედარებითი გრაფიკები

შავი ზღვის სხვა ქალაქებთან, (მაგალითად ვარნა და ოდესა) შედარებით ბათუმი გამოირჩევა მზიანი დღეების სიმცირით და უხვი ნალექებით. კლიმატის მონიტორინგის სატელიტური გამოყენების საშუალებების მონაცემებით (Satellite Application Facility on Climate Monitoring (CM SAF) მზიანი დღეების ალბათობის წლიური საშუალო მაჩვენებლი ქალაქ ვარნასთვის 48,6 % (ზაფხულში: 66,8%), ქალაქ ოდესისთვის 44,5% (ზაფხულში 65,5%), ხოლო ქალაქ ბათუმისთვის ანალოგიური მაჩვენებელი 34,9 %-ია (ზაფხულში 30,5%).

აქვე წარმოგიდგენთ შავი ზღვის რეგიონის ქალაქების (სოჭი, ვარნა, ოდესა, კონსტანცა) ძირითად კლიმატურ პარამეტრებს ბათუმთან მიმართებით ცხრილისა და გრაფიკების სახით.

ცხრილი 4: შავი ზღვის რეგიონის ქალაქების: სოჭის, ვარნას, ოდესის, კონსტანცას ძირითადი კლიმატური პარამეტრები ბათუმთან მიმართებით

შავი ზღვის რეგიონის ქალაქების: სოჭის, ვარნას, ოდესის, კონსტანცას ძირითადი კლიმატური პარამეტრები ბათუმთან მიმართებით

ქალაქი/ქვეყანა	მზის ნათების საშუალო ხანგრძლივობა (საათი)		წლის განმავლობაში ნალექების მაჩვენებელი (მმ)		ტემპერატურის წლიური მაჩვენებელი C°		წვიმიანი დღეების რიცხვი თვეში	
	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.	მინ.	მაქ.
ბათუმი/ საქართველო	99 სთ (იანვარი)	235 სთ (ივნისი)	105.8 მმ (აპრილი)	264 მმ (სექტემბერი)	2.6 C° (თებერვალი)	25.9 C° (აგვისტო)	11.8 (აგვისტო)	16.6 (დეკემბერი)
	საშუალო წლიური	1970 სთ	საშუალო წლიური	2215 მმ	საშ.წლ. მაქ. 18 C° საშ.წლ. მინ. 11 C°		საშუალო წლიური	162 დღე
სოჭი/ რუსეთი	86 სთ (დეკემბერი)	282 სთ (აგვისტო)	75.6 მმ (აგვისტო)	158.5 მმ (იანვარი)	3.2 C° (თებერვალი)	27.4 C° (აგვისტო)	8.8 (ივლისი)	17 (დეკემბერი)
	საშუალო წლიური	2176 სთ.	საშუალო წლიური	1407 მმ	საშ.წლ. მაქ. 18 C° საშ.წლ. მინ. 12 C°		საშუალო წლიური	151 დღე
ვარნა/ ბულგარეთი	72 სთ (დეკემბერი)	283 სთ (ივლისი)	36.9 მმ (აგვისტო)	59. 4 მმ (ოქტომბერი)	0.4 C° (იანვარი)	28 C° (აგვისტო)	4.5 (აგვისტო)	7.8 (აპრილი)
	საშუალო წლიური	2158 სთ	საშუალო წლიური	614 მმ	საშ.წლ. მაქ. 17 C° საშ.წლ. მინ. 10 C°		საშუალო წლიური	75 დღე
ოდესა/ უკრაინა	57 სთ (დეკემბერი)	336 სთ (ივნისი)	34.6 მმ (თებერვალი)	52.8 მმ (ივნისი)	-3.2 C° (თებერვალი)	29.7 C° (აგვისტო)	8.1 (აგვისტო)	11.9 (იანვარი)
	საშუალო წლიური	2280 სთ	საშუალო წლიური	467 მმ	საშ.წლ. მაქ. 16 C° საშ.წლ. მინ. 8 C°		საშუალო წლიური	119 დღე
კონსტანცა/ რუმინეთი	81 სთ (დეკემბერი)	326 სთ (ივლისი)	36.2 (აგვისტო)	54.8 მმ (სექტემბერი)	0 C° (იანვარი)	28.5 C° (აგვისტო)	4.9 (აგვისტო)	10.2 (დეკემბერი)
	საშუალო წლიური	2299 სთ	საშუალო წლიური	549 მმ	საშ.წლ. მაქ. 17 C° საშ.წლ. მინ. 10 C°		საშუალო წლიური	97 დღე



ნახაზი 1:ატმოსფეროს მაქსიმალური წლიური ტემპერატურა შავი ზღვის ქალაქებისთვის



ნახაზი 2: ატმოსფერული ნალექების წლიური განაწილება შავი ზღვის ქალაქებისთვის



ნახაზი 3: ატმოსფეროში წვიმიანი დღეების წლიური რიცხვი შავი ზღვის ქალაქებისთვის (დღე)

აჭარა ყველაზე უხვნალექიანი რეგიონია საქართველოში. მრავალწლიანი მონაცემები ცხადყოფს, რომ კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სანაპირო ზონის მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე. კერძოდ, ბათუმში საშუალო წლიური ტემპერატურა 0.2°C-ით გაიზარდა 1986–2010 წლებში, წინა პერიოდთან (1961–1985 წლები) შედარებით, ხოლო ქობულეთში ეს მატება 0.5°C-ს შეადგენდა. ზოგადი ტენდენცია გვიჩვენებს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ტემპერატურა 0.2 °C –0.3°C-ით იკლებდა, თუმცა ბოლო ათწლეულში 0.2°C-ით მატება დაფიქსირდა. ეს ცვლილება ხდება ზამთრისა და გაზაფხულის აგრილებისა და ზაფხულისა და შემოდგომის დათბობის ფონზე.

ნალექების რაოდენობა 1990–2010 წლებში, 1961–2010 წლებთან შედარებით, შემცირდა ბათუმში (10 მმ-ით) და ქობულეთში (85 მმ-ით), თუმცა ჩაქვში 121 მმ-ით მოიმატა. ბათუმსა და ჩაქვში ასევე შეინიშნება დღე-ღამეში მოსული მაქსიმალური ნალექის შემცირების ტენდენცია (როგორც წლიურ საშუალოზე, ისე ზამთრის სეზონზე). ჰაერის საშუალო წლიური ტენიანობა შემცირდა ბათუმსა და ქობულეთში. ქარის სიჩქარის ცვლილება ლოკალური ხასიათისაა: ბათუმის მიმდებარედ შემცირებულია ყველა სეზონზე, გარდა ზაფხულისა, თუმცა ცვლილების სიჩქარე დაბალია (0.014 მ/წმ წელიწადში).

2.5 ჰიდროლოგია

აჭარის ზღვისპირეთის ჰიდროგრაფიული ქსელი შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი მდინარისგან, მათ შორის: აჭყვა, კინტრიში, დეხვა, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი, აბანოსწყალი, ბარცხანა და ჭოროხი შენაკადებითურთ. ამ მდინარეთა მახასიათებლები ცხრილშია წარმოდგენილი (ჯაოშვილი, 1986). ამ ჩამონათვალიდან, აჭყვა, დეხვა, ყოროლისწყალი, აბანოსწყალი და ბარცხანა სათავეს აჭარის დაბალ მთიანეთში იღებენ. ამ მდინარეების რეჟიმი სრულად არის დამოკიდებული ნალექების შიდაწლიურ განაწილებაზე. მათთვის დამახასიათებელია წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირია შემოდგომის მეორე ნახევარსა და ზამთარში, რადგან წყალმოვარდნების წლიური რიცხვი 30-40-ს აღწევს.

ცხრილი 5: აჭარის მდინარეების ზოგადი მახასიათებლები

აჭარის მდინარეების ზოდაგი მახასიათებლები (ჯაოშვილი, 1986)

მდინარე	წყალშემკრები აუზის ფართობი კმ2	წყალშემკრები აუზის საშუალო სიმაღლე მ	წყალშემკრები აუზის საშუალო დახრა, %	საშუალოდ წლ. ჩამონადენი მლნ მ³	საშუალოდ წლიური ხარჯი მ³/წმ	ჩამონადენის მოდული, ლ/წმ კმ²	საზრდოობის წყაროები		
							წვიმის	თოვლის	მიწისქვეშა
აჭყვა	37.4	165	53	59.9	1.9	50.8	16.4	_	83.6
კინტრიში	291	835	52	527	16.7	57.4	20.0	19.0	61.0
დეხვა	45.1	340	92	107	3.4	75.4	18.0	4.0	78.0
ჩაქვისწყალი	172.6	740	63	394	12.5	72.4	21.0	12.0	67.0
ყოროლისწყალი	55	500	101	119	3.8	69.1	20.0	7.0	73.0
აბანოსწყალი	3.9	190	82	7.9	0.25	64.1	18.0	_	82.0
ბარცხანა	20	300	108	41.0	1.3	65.0	18.0	4.0	78.0
ჭოროხი	22100	1530	30	89968	285	12.9	32.0	29.0	39.0

მდინარე კინტრიში და მდინარე ჩაქვისწყალი სათავეს იღებენ აჭარის შუამდინარეთში და ხასიათდებიან გრძელ პერიოდიანი გაზაფხულის წყალდიდობებით, რომელთა ჩამონადენი შეადგენს წლიურის დაახლოებით 30 %. აღნიშნული მდინარეები ქვემო წელში ხასიათდებიან შემოდგომა-ზამთრის წყალმოვარდნებით.

ცხრილი 6: აჭარის მდინარეების საშუალო სეზონური ჩამონადენი

აჭარის მდინარეების საშუალო სეზონური ჩამონადენი (%)

წყარო: ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის დანართი: სანაპირო და გარდამავალი წყლები

მდინარე	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
აჭყვა	36.2	19.0	17.7	27.1
კინტრიში	25.2	36.3	18.6	19.5
დეხვა	29.5	25.8	18.1	26.6
ჩაქვისწყალი	25.1	30.1	14.7	30.1
ყოროლისწყალი	28.1	24.8	56.2	31.9
ბარცხანა	28.7	25.8	14.2	31.3
ჭოროხი	15.1	46.1	24.8	13.7

აჭარის ზღვისპირა ტერიტორიები, მათ შორის კახაბერის ვაკე შექმნილია მდინარე ჭოროხის მყარი ნატანით. მდ. ჭოროხი სათავეს იღებს თურქეთის ტერორიაზე, მისი საერთო სიგრძეა 432 კმ, აქედან საქართველოს ტერიტორიაზე მოდის 28 კმ. მდინარის ვარდნა შეადგენს 56 მ (ჭოროხის კალაპოტის ათვისების გენგეგმა, 1994).

საქართველოს ფარგლებში მდინარე ჭოროხს უერთდება შემდეგი მდინარეები: მაჭახელასწყალი (37კმ), აჭარისწყალი (90კმ) და ჭარნალი (13 კმ); მდინარე ჭოროხის საზრდოობაში თანაბარ როლს თამაშობს გრუნტის, თოვლისა და წვიმის წყლები. წყლის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით, შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზაფხული-ზამთრის არამდგრადი წყალმარჩხობით.

საქართველოს ფარგლებში მდინარეებს ზღვაში გააქვთ 11.7 მლნ $მ^3$ მყარი ნატანი, აქედან აჭარის მდინარეებზე მოდის 5.4.მლნ $მ^3$ (ჯაოშვილი, 1986).

აჭარისთვის დამახასიათებელია მდინარეთა ცალკეული აუზების არსებობა, რომლებიც ვაკის მდინარეებისაგან განსხვავებით, არ ერთიანდებიან ერთ დიდ აუზში და დამოუკიდებლად ეურთდებიან ზღვას.

ტრადიციულად ჰიდროლოგიაში მდინარეული მყარი ნატანის ორ სახეს არჩევენ: ფსკერულს და ატივნარებულს. აჭარის მდინარეებისათვის საშუალო წლიური რაოდენობები მოყვანილია ცხრილში

ცხრილი 7: აჭარის მდინარეების მყარი ნატანი

აჭარის მდინარეების მყარი ნატანი

წყარო: ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის დანართი: სანაპირო და გარდამავალი წყლები

მდინარე	ატივნარებული ნატანი, მ³/წელი	ფსკერული ნატანი, მ³/წელი	წლიური მოცულობა, მ³	ნატანის, მოდული მ³/კმ
აჭყვა	2 200	1 100	3 300	88.2
კინტრიში	8 300	4 300	12 600	43.2
დეხვა	2 500	2 200	4 700	104
ჩაქვისწყალი	5 000	5 600	10 600	61.4
კოროლისწყალი	2 200	2 400	4 600	85.6
ბარცხანა	2 000	1 700	3 700	185
ჭოროხი	4 850 000	485 000	5 335 000	241

აჭარის მდინარეების პლაჟწარმომქმნელი ნატანის საშუალო წლიური მოცულობები მოცემულია ცხრილში

ცხრილი 8: აჭარის მდინარეების პლაჟწარმომქმნელი ნატანი

აჭარის მდინარეების პლაჟწარმომქმნელი ნატანი

წყარო: ჭოროხი-აჭარისწყლის აუზის მართვის გეგმის დანართი: სანაპირო და გარდამავალი წყლები

მდინარე	რიყის ქვა		ხვინჭა		ქვიშა		წლიური ჯამი მ³
	მ³	%	მ³	%	მ³	%	
აჭყვა	50	4	600	41	800	55	1450
კინტრიში	4100	60	250	4	2500	36	6850
დეხვა	500	20	1400	56	600	24	2500
ჩაქვისწყალი	4700	55	900	11	2900	34	8500

ყოროლისწყალი	1700	49	600	17	1200	34	3500
ბარცხანა	200	8	1100	44	1200	48	2500
ჭოროხი	310000	12	140000	6	2050000	82	250000

მდინარე ჭოროხი გადამწყვეტ როლს თამაშობს აჭარის სანაპირო ზოლისა და კახაბრის ვაკის გეომორფოლოგიაში, რადგან ეს ტერიტორიები ძირითადად მისი ალუვიონითაა აგებული. დღეისათვის, ჭოროხის შესართავი რჩება ერთადერთ საშუალებად ნაპირდაცვითი სამუშაოებისთვის საჭირო პლაჟწარმომქმნელი მასალის მოსაპოვებლად. სხვა მდინარეების წვლილი ზღვის ნაპირების ფორმირებაში უმნიშვნელოა და მხოლოდ მათ ლოკალურ შესართავებთან ვლინდება. საყურადღებოა, რომ აჭარის მდინარეებზე წყალმოვარდნები ხშირად სინქრონულად ხდება, რაც ხელს უწყობს ნატანის დიდი რაოდენობით გატანას სანაპიროს ვრცელ უბნებზე. ეს პროცესი კი მნიშვნელოვნად ზრდის სანაპირო ზოლის მდგრადობას.

2.6 ბათიმეტრია, ზღვის დონე

სურათი 5: აჭარის სანაპირო წყლების ბათიმეტრიული რუკა



შავი ზღვის სიღრმე ძირითადად 2000–დან 2200 მეტრამდე მერყეობს, მაქსიმალური წერტილი კი 2212 მეტრია. საქართველოს სანაპიროს გასწვრივ, კონტინენტური მეჩეჩი შედარებით ვიწროა და მისი სიღრმე 110-დან 160 მეტრამდეა. აჭარის სანაპირო წყლებში (1 საზღვაო მილის ფარგლებში) მეჩეჩი უმეტესად 5–დან 50 მეტრის სიღრმის იზობათებით არის წარმოდგენილი. გამონაკლისია ჭოროხიდან ადლიის მონაკვეთი, სადაც იგი 20 მეტრის იზობათამდე ეშვება. ამის

საპირისპიროდ, ყურეებსა და ქობულეთის მონაკვეთზე მეჩეჩის სიღრმე 200 მეტრის იზობათამდე აღწევს.

ზღვის დონის რყევის ამპლიტუდა მიქცევა-მოქცევის (მიმოქცევის) დროს არ აღემატება 10 სმ-ს, რაც ევროკავშირის ჩარჩო-დირექტივის თანახმად, მცირე მოქცევა-მიქცევის კატეგორიაში ჯდება. თუმცა, წყლის დონე შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს გარე ფაქტორების გამო:

- ზღვიური გრიგალი (დასავლეთ რუმბი): მას შეუძლია გამოიწვიოს წყლის დონის აწევა ნაპირთან 0.8 მ-ით.
- მდინარის შეგუბება: შესართავთან წყლის დონე შესაძლოა 2–3-ჯერ გაიზარდოს.
- კონტინენტური ჩამონადენი: გაზაფხულის წყალდიდობა-წყალმოვარდნების შედეგად, ზღვის დონე შემოდგომასთან შედარებით შეიძლება აიწიოს 0.2–0.25 მ-ით. თუ ამას შტორმული მოდენაც დაერთვება, ნაზარდმა შეიძლება 1.0–1.2 მ-ს გადააჭარბოს.

სანაპიროსთვის ასევე დამახასიათებელია ზვირთცემა, რომელიც ატმოსფერული წნევის ცვალებადობით არის გამოწვეული. ამ ოსცილაციის დროს წყლის დონე რამდენიმე საათში 0.5–0.7 მ-ის ფარგლებში იცვლება, ხოლო რყევის ამპლიტუდა 60 სმ-ს აღწევს. ყველა ამ ლოკალური ფაქტორის გარდა, მნიშვნელოვანია შავი ზღვის დონის ცვლილება, რაც დიდწილად ოკეანის დონის გლობალური მატებით არის განპირობებული.

შავი ზღვის აკვატორიის ტალღების და ქარების ატლასის (Севморгидропроект, 1963) მონაცემებით, ტალღების პარამეტრები ასეთია:

- ტალღების 4%-ისთვის დამახასიათებელია საშუალო სიგრძე 104 მ, პერიოდი 8.1 წმ, და სიმაღლე 3.2 მ.
- ტალღების 2%-ისთვის ეს პარამეტრები უფრო მაღალია: სიგრძე 160 მ, პერიოდი 10.0 წმ, და სიმაღლე 4.7 მ.

რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს, ღელვაში დასავლეთის მიმართულება დომინირებს. საერთო ღელვების 6.7%-ს შეადგენს დასავლეთის მიმართულება, ხოლო ძლიერი ღელვების შემთხვევაში მისი წილი 91.6%-მდე იზრდება. სხვა მიმართულებებიდან აღსანიშნავია ჩრდილო-დასავლეთის 7.2% და სამხრეთ-

დასავლეთის 1.2%. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ზონაში ჩრდილოეთის რუმბების ძლიერი ღელვები არ აღინიშნება (ხორავა, 1989).

აჭარის სანაპიროზე შტორმული სეზონი ზამთარში დგება, რა დროსაც 2 მ და მეტი სიმაღლის ტალღების განმეორადობა 30%-ს აღწევს. ზაფხულში ეს მაჩვენებელი მცირდება (5–13%), ხოლო გაზაფხულსა და შემოდგომაზე შეადგენს 15–17%-ს. მიუხედავად ამისა, დაფიქსირებულია ძლიერი შტორმების ერთეული შემთხვევები.

ტალღების ზემოქმედება ნაპირზე იწყება ტალღების ტრანსფორმაციასთან ერთად, დაახლოებით 15–20 მ სიღრმიდან. ტრანსფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის, ტალღის პარამეტრებზე, ფსკერის დახრილობაზე, ნაპირის კონფიგურაციასა და ექსპოზიციაზე. სანაპირო ზონის დინამიკას განსაზღვრავს არა მხოლოდ ღია ზღვის ტალღების ელემენტები, არამედ ტალღური ველი მთლიანად – დროში და სივრცეში.

ნაპირების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ზღვის დონის გლაციოევსტატიკური რყევა. ამჟამად ზღვის დონე მუდმივად იწევს დაახლოებით 1.5 მმ წელიწადში და მოსალოდნელია, რომ აწევის ტემპი გაიზრდება. მოკლევადიანი რყევები მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების გამო არ აღემატება ±10 სმ-ს. თუმცა, ცალკეულ წლებში შავი ზღვის საშუალო დონე საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით ±20 სმ-ის ფარგლებში მერყეობს, რაც კარგად არის დაფიქსირებული ბათუმის პორტის 1965–1985 წლების მონაცემებში (ხორავა, 1989).

სურათი 6: შავი ზღვის დონის რყევის გრაფიკი (1965-85 წლებში) ბალტიკის 0-თან შედარებით



2.7 შავი ზღვის სანაპიროს ბიომრავალფეროვნება

აჭარის სანაპირო ზოლის ეკოსისტემა სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: ხმელეთის, შიდა წყლებისა და გარდამავალი წყლების ჰაბიტატები. ეს მოიცავს ტბორებს, ნაკადულებს, ჭალებს, ესტუარებს (დელტებს) და სხვადასხვა სახის ჭაობებს (მათ შორის, სფაგნუმიან, ბალახოვან და ისლიან ჭაობებს), ასევე მლაშე და დამლაშებულ ტბებს.

აჭარის ზღვის სანაპირო ზონის ვაკე წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის ყველაზე სამხრეთ ნაწილს. ამ ვაკის სიგანე არათანაბარია: ქობულეთთან დაახლოებით 2–5 კმ-ია, თუმცა სამხრეთით ის ვიწროვდება, რის გამოც გონიოსა და სარფის მონაკვეთებზე მთის კალთები პირდაპირ ზღვის ნაპირს ესაზღვრება.

უხვი ნალექისა და გრუნტის წყლის მაღალი დონის გამო, აჭარის ვაკე მეტწილად დაჭაობებულია. ისტორიულად, სანაპირო ზოლის ვაკის დიდ ნაწილზე გავრცელებული იყო ტყიანი ჭაობები, ჭანჭრობები და სფაგნუმიანი ჭაობები, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო ჭაობიან მდელოებსა და ტორფიან-ჭაობიან ნიადაგებზე. თუმცა, ამჟამად ამ ტერიტორიების უმეტესობა დაშრეტებულია და ადამიანის მიერ ათვისებული. შედეგად, ჭარბტენიანი ტერიტორიების ნაშთები მხოლოდ მცირე ფართობებზეა შემორჩენილი, მაგალითად, ჭოროხის დელტასა და ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე.

ჭაობიანი ტყეების ფლორა მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ენდემურ სახეობას, მათ შორის: კავკასიის რინხოსპორას, კავკასიურ რცხილას, კოლხურ დუმფარას, ჰართვისის მუხასა და კოლხურ სუროს. ფართოდ არის გავრცელებული ისეთი მცენარეები, როგორიცაა მურყანი და ლაფანი. ტყის ქვეტყე წარმოდგენილია ხეჭრელით, კუნელით და ძახველით.

ჭოროხის ფართო ჭალებში დომინირებს მურყნარები და ქაცვის ხე-ბუჩქები, რომლებიც შერეულია ტიპურ ჭაობის მცენარეულობასთან (როგორიცაა იმერული ისლი, ჭაობის ზამბახი, ჭილი და სხვა ისლები). ნაკლებად დაბურულ ადგილებში ჭალის ტყე მაყვლითა და ლიანა მცენარეებით არის დაფარული. ასევე მცირე ფართობებზე გვხვდება გვიმრიანი, შერეულ ბალახნარიანი და ხავსიანი მურყნარები, ხოლო ნაკლებად ტენიან ნიადაგებზე იშვიათად გვხვდება შქერიანი მურყნარი.

სანაპირო ზონის ზოგირთი სახეობა (მათ შორის საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები) ცხრილის სახითაა წარმოდგენილი:

ცხრილი 9: აჭარის სანაპირო ზონაში მობინადრე და გადამფრენი ფრინველები აჭარის სანაპირო ზონაში მობინადრე და გადამფრენი ფრინველები					
სახეობა	ლათინურად	სახეობა	ლათინურად	სახეობა	ლათინურად
ბექობის არწივი	Aquila heliaca	ტურუხტანა	Philomachus pugnax	ზღვის კაჭკაჭი	Haematepus ostralegus
სისინა გედი	Cygnus olor	ველის კაკაჩა	Buteo rufinus	ფეხებბანჯგვლიანი კაკაჩა	Buteo lagopus
ჭოტი	Athene noctua	წითელი იხვი	Tadorna ferruginea	წითურთავა ბარი	Falco biarmicus
გავაზი	Falco cherrug	თვალშავი	Falco vespertinus	თოლია	Larus canus
ყვითელფეხა თოლია	Larus cachinnans	სომხური თოლია	Larus armenicus	ქედანი	Columba palumbus
გუგული	Cuculus canorus	მწვანე კოდალა	Picus viridis	მცირე ჭრელი კოდალა	Dendrocopus minor
ნამგალა	Apus apus	სოფლის მერცხალი	Hirunda rustica	მენაპირე მერცხალი	Riparia riparia
მურტალა	Podiceps grisegaena	ფასკუნჯი	Neophron percnopterus	ველის კაკაჩა	Buteo Buteo rufinus
გარიელი	Melanita fusca	ყარყატი	Ciconia nigra	ლაკლაკი	Ciconia ciconia
ქვეწარმავლები					
სახეობა	ლათინურად	სახეობა	ლათინურად	სახეობა	ლათინურად
კავკასიური გველგესლა	Darevskia clarkorum	ქართული ხვლიკი	Darevskia rudis	წითელმუცელა ხვლიკები	Darevskia parvula
ბოხმეჭები	Anguis colchica	წენგოსფერი მცურავი	Platyceps najadum	მწვანე გომბეშო	Bufo viridis
კავკასიური გომბეშოი	Bufo verrucozissimus	ტბის სალამანდრა	Rana ridibunda	კავკასიური სალამანდრა	Mertensiella caucasica

ჭოროხის მდინარის აუზი წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატს, სადაც მუდმივად ბინადრობენ და სატოფედ შედიან საქართველოს წითელი ნუსხის წარმომადგენლები – შავი ზღვის ორაგული და ნაკადულის კალმახი. აქ ასევე გავრცელებულია კოლხური და ანატოლიური ხრამული, და კოლხური წვერა.

მიუხედავად ამისა, წითელ ნუსხაში შეტანილი ზუთხისებრთა ანანდრომული ჯგუფის წარმომადგენლები, როგორიცაა კოლხური ზუთხი, ფორონჯი, ტარაღანა, სვია, რუსული და სპარსული ზუთხი, ჭოროხის მდინარეში იშვიათად შედიან და მათი გამოჩენა ძირითადად შემთხვევითი ხასიათისაა.

ცხრილი 10: აჭარის მდინარეების დელტებში გავრცელებული თევზების სახეობები

აჭარის მდინარეების დელტებში გავრცელებული თევზების სახეობები

სახეობა	ლათინური სახელწოდება	სახეობა	ლათინური სახელწოდება	სახეობა	ლათინური სახელწოდება
მდინარის გველთევზა	Anguilla anguilla	შავი ზღვის ათერინა	Atherina boyeri pontica Eichwald	ნემსთევზა	Syngnathus abaster Risso
გამბუზია	Gambusia affinis	კეფალი	Mugil cephalus	პილენგასი	Mugil soiuy
ოქროფერი კეფალი	Liza aurata	კავკასიური ქაშაპი	Squalius cephalus orientalis	ჯუჯა ქაშაპი	Petroleuciscus borysthenicus

2.8 ქობულეთის დაცული ტერიტორიები

სურათი 7: ქობულეთის დაცული ტერიტორიები

საქართველოს კანონის „ქობულეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საფუძველზე, 1999 წელს შეიქმნა ორი დაცული ტერიტორია: ქობულეთის ნაკრძალი (ცნობილი როგორც ისპანი 2) და ქობულეთის აღკვეთილი (ისპანი 1).

1997 წლიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიას, რომელიც დაცულია რამსარის კონვენციით.

2021 წლის ივლისის თვიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიები კოლხეთისა და მტირალას ეროვნულ პარკებთან ერთად და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან ერთად წარმოადგენს UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის საიტს, როგორც ,,კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები“.

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაახლოებით 1 კმ-ის მანძილითაა დაშორებული. ამ დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 782.7 ჰექტარს შეადგენს. ნაკრძალს გამოყოფილი აქვს 316.4 ჰექტარი, ხოლო აღკვეთილს – 466.3 ჰექტარი.

დაცული ტერიტორიები შინაარსობრივად შემდეგნაირად იყოფა:

- ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი ("ისპანი 2") მოიცავს სფაგნუმიან ტორფნარს და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტყით დაფარული ფართობის ვიწრო ზოლს.
- ქობულეთის აღკვეთილი ("ისპანი 1") მოიცავს სფაგნუმიან ტორფნარს, მიმდებარე რელიქტურ ტყესა და მეორად მდელოებს.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები გეოლოგიურად აგებულია თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ნალექებით, რომელიც წარმოქმნილია ზღვიური, მდინარეული და ტბიურ-ჭაობური პროცესებით. ტერიტორიის რელიეფი ძირითადად ბრტყელია, მხოლოდ მდინარეების შავი ღელესა და ტოგონას მიერ არის ოდნავ ეროზირებული. აქ

დომინირებს ტიპური ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, რომლის დროსაც წლიური ნალექიანობა შეადგენს 1500–დან 2500 მმ-მდე. ნალექის უმეტესი ნაწილი წვიმის სახით მოდის შემოდგომისა და ზამთრის სეზონებზეს. ისპანის ტორფნარები ცნობილია გადამფრენი წყლის ფრინველთა სახეობების სიმრავლით.

სურათი 8: ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე გავრცელებული ჰაბიტატები


ქობულეთის დაცული ტერიტორიები
ჰაბიტატები
5
ტორფნარი ბერეზარი
ფაგნუმიანი ტორფნარი
ბორჯომი
ქობულეთი
ისპანი 1
ისპანი 2
ბორჯომი
ქობულეთის ეროვნული ბანკი
ბორჯომი
ბორჯომი
ბორჯომ

- რელიქტური სახეობები: სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ლაზური ისლი (*Carex lasiocarpa*), ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*) და მწერიჭამია დროზერა (*Drosera rotundifolia*).
- კოლხეთის ფლორის მერქნიანი სახეობები (მანანისებრთა ოჯახი): პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron luteum*) და მოცვი (*Vaccinium arctostaphyllus*).

მნიშვნელოვანია, რომ ამ ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი – მანანა ჩვეულებრივი (*Calluna vulgaris*) – მხოლოდ ქობულეთის ისპანის სფაგნუმიან ტორფნარებშია გავრცელებული.

ბ) რელიქტური კოლხური ტყეები ტორფის საფარით ქობულეთის ნაკრძალის უნიკალური ნაწილია. კოლხური ტყე შემორჩენილია მცირე ფრაგმენტის სახით, კერძოდ, „ისპანი 2“ ტორფნარის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. ამ ტყეში გვხვდება კავკასიისა და საქართველოს წითელი ნუსხის წარმომადგენელი სახეობა – ჰარტვისის მუხა (*Quercus hartwissiana*). აგრეთვე იზრდება რცხილა (*Carpinus orientalis*), მურყანი (*Alnus glutinosa subsp. barbata*), ხეჭრელი (*Rhamnus frangula*) და ტირიფის ორი სახეობა (*Salix cinerea*, *Salix caprea*).

გ) „ისპანი 2“ ტორფნარის გარშემო არსებული ბუნებრივი მტკნარწყლიანი არხები და ტბორები უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატს წარმოადგენს. ამ არხებში გვხვდება ყვითელი დუმფარა (*Nymphaea lutea*) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica*) და წყლის ვაზი (*Potamogeton natans*). არხებთან ახლოს კი ხარობს შხაპრი (*Sparganium neglectum*).

ქობულეთის აღკვეთილისთვის დამახასიათებელი ჰაბიტატებია:

ა) ქობულეთის აღკვეთილი, იგივე პერკოლაციური სფაგნუმიანი ტორფნარი „ისპანი 1“, წლების წინ გაყვანილი სადრენაჟე არხების გამო ნაწილობრივ დეგრადირდა. თუმცა, ამჟამად, ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ტორფნარი უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

ფლორის თვალსაზრისით, ქობულეთის აღკვეთილში თითქმის ყველა ის სახეობაა წარმოდგენილი, რაც ქობულეთის ნაკრძალში ხარობს, გარდა სამი სახეობისა:

1. კავკასიის რინხოსპორა (*Rhynchospora caucasica* - კავკასიის ენდემი);
2. მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii* - გლობალური წითელი ნუსხის სახეობა);
3. ხერხა (*Cladium mariscus* - გლობალური წითელი ნუსხის სახეობა)

ბ) ქობულეთის აღკვეთილის ჩრდილოეთით მდებარეობს ორი მცირე ზომის ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორი. ეს ტბორები მნიშვნელოვანია, რადგან მათში გვხვდება გლობალური წითელი ნუსხის ორი სახეობა: ბუშტოსანა (*Utricularia minor*) და რქაფოთოლა (*Ceratophyllum demersum*).

გ) ტორფის საფარით დაფარული რელიქტური კოლხური ტყეების ფლორის ძირითად სახეობებს ქმნის: რცხილა (*Carpinus betulus*), მურყანი (*Alnus glutinosa subsp. barbata*), ხეჭრელი (*Rhamnus frangula*) და ტირიფის ორი სახეობა (*Salix cinerea* და *Salix caprea*).

დ) ქობულეთის აღკვეთილში წარმოდგენილია სახეშეცვლილი ანთროპოგენური ჰაბიტატი, რომელიც ორ ძირითად ფორმას მოიცავს:

- მეორადი მდელოები: ეს ტერიტორიები ჩამოყალიბდა ტყის გაჩეხვის შედეგად და მათზე ძირითადად ინვაზიური სახეობები დომინირებენ. ამ ინვაზიურ ფლორას მიეკუთვნება: თუნბერგის მატიტელა (*Polygonum thunbergii*), ჭილი (*Juncus acutus*) და ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia*).
- ევკალიპტების ნარგავები: აქ გავრცელებულია ევკალიპტების ნაირგვარობა, მათ შორის ცისფერი ევკალიპტი (*Eucalyptus cinerea*) და ტირიფისებრი ევკალიპტი (*Eucalyptus viminalis*). მათ თან ახლავს ისეთი მცენარეები, როგორიცაა ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*), ევლალია (*Miscanthus sinensis*) და ანდროპოგონი (*Andropogon virginicus*).

2.9 ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ბათუმის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან 9 კმ-ის დაშორებით, მწვანე კონცხსა და მდინარე ჩაქვისწყლის შესართავს შორის. ბაღს უკავია სანაპირო ზოლის დაახლოებით 1 კმ-ის სიგრძის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი და ვრცელდება ზღვის დონიდან 0-დან 220 მ-მდე სიმაღლეზე. არცთუ შორეულ წარსულში, ეს ტერიტორია მთლიანად კოლხური ტიპის ტყით იყო დაფარული (მაგალითად, წიფელი, წაბლი, ცაცხვი), რომელსაც ახლდა მარადმწვანე ქვეტყე (წყავი, შქერი და სხვა). ბაღი გამოირჩევა სპეციფიკური და მრავალფეროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის რელიეფი მთაგორიანია, ხოლო ნიადაგი მოიცავს წითელმიწა, ყომრალ და ალუვიურ ტიპებს. ბაღი ორგანიზებულია სამ დენდროპარკად, კოლხეთის ტყის ნაკრძალად და ცხრა ფლორისტულ განყოფილებად, რომლებიც ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპით არის შექმნილი. ეს განყოფილებები წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს: ამიერკავკასიის ტენიანი სუბტროპიკები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჰიმალაი, აღმოსავლეთ აზია, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, მექსიკა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები.

მცენარეთა კოლექცია 5000-ზე მეტ სახეობას, სახესხვაობას, ფორმასა და ჯიშს შეიცავს. მათ შორისაა ისეთი უნიკალური მცენარეები, როგორიცაა: პოდოკარპუსი ტოტარა, ანდერსონის ვერონიკა, სამხრეთ კორდილინე, ჰიმალაური შქერი და ნეპალის მარადმწვანე მურყანი. ბაღი განსაკუთრებით ამაყობს კოლექციებით, სადაც გვხვდება იაპონური კამელიის 80-ზე მეტი ჯიში, მაგნოლიის 15 სახეობა, ნეკერჩხლის 20 ფორმა, იელების მდიდარი კოლექცია, საპნის ხე, ქონის ხე, მრავალი სამრეწველო ბამბუკის ჯიში, მამონტის ხე, მარადმწვანე სექვოია, მეტასექვოია, სწრაფმზარდი ფოთოლმცვივანი მუხები, მექსიკური ფიჭვები და მრავალი სახეობის კაქტუსი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიური, კერძოდ კოლხეთის მესამეული პერიოდის რელიქტების დაცული კოლექცია, რომელიც მოიცავს: უნგერნის შქერს, პონტოურ შქერს, ხეწყავს, წყავმაზას, პონტოურ მუხას და სხვ. ამ ყველაფერთან ერთად, უძველესი პერიოდის კოლხური ტიპის ტყე კარგადაა დაცული.

2.10 მოსახლეობა და დემოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის 1 იანვრის მონაცემებით ქ. ბათუმის მოსახლეობა შეადგენს 183.2 ათას კაცს, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 5%-ია, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის 68.1 ათას კაცს. (საქართველოს მოსახლეობის 1.8 %), მთლიანად აჭარაში ცხოვრობს 363.2 ათასი კაცი, რაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 10%-ია. შავი ზღვის 50 კმ სიგრძის მონაკვეთი მჭიდროდ არის დასახლებული და შეიძლება მივიჩნიოთ ბათუმის ერთიანი ურბანული აგლომერაციის ნაწილად, რომელიც მოიცავს უშუალოდ დედაქალაქთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს.

ცხრილი 11: ქ. ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შედარებითი სტატისტიკა 2012 – 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.
(წყარო საქსტატი)

	ქალაქი / მუნიციპალიტეტი	მოსახლეობის რაოდენობა 2012 წ (ათასი კაცი)	მოსახლეობის რაოდენობა 2024 წ (ათასი კაცი)	საშუალო სიმჭიდროვე 2012წ	საშუალო სიმჭიდროვე 2023წ
	აჭარა	331.9	363.2	114.4	125.2
	ქ. ბათუმი	125.8	183.2	1935.4	2177.2
	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	93.0	68.1	129.2	98.9



ნახაზი 4: საქართველოს და აჭარის ა.რ-ის მოსახლეობის დინამიკა 1994-2024წწ

ქ. ბათუმის მოსახლეობა ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში იზრდება. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქ. ბათუმის მოსახლეობა შეადგენდა 151 000 კაცი, ხოლო 2024 წლის 1 იანვარს- 183.2 ათას ადამიანს. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1989 წლამდე სისტემატურად იზრდებოდა.



ნახაზი 5: აჭარის ა.რ-ის მოსახლეობის დინამიკა 1994-2024წწ

1989-2004 წლების პერიოდში საქართველოში არსებულმა რთულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის მაღალი ინტენსივობით მიგრაცია. მოსახლეობა ტოვებდა ქვეყანას როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი დედაქალაქ თბილისში გადადიოდა.

ბოლო წლებში ბათუმის მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის მიზეზებად შეგვიძლია დავასახელოთ როგორც გაუმჯობესებული დემოგრაფიული მდგომარეობა ისე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ბათუმის ტერიტორიის გაფართოება. მოსახლეობის რიცხოვნობა იზრდება როგორც ბუნებრივი, ასევე მექანიკური მოძრაობის შედეგად. განსხვავებული სურათი გვაქვს ქობულეთის

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობაში. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დინამიკაში კლებულობს, რაც გამოწვეულია მოსახლეობის იმიგრაციის თუ ბუნებრივი მატების მიზეზებით.



ნახაზი 6. ბუნებრივი მატების მაჩვენებლი საქართველოსა და რეგიონებში

აჭარა ყოველთვის ხასიათდებოდა საშუალოზე მაღალი ბუნებრივი მატებით რაც ადგილობრივი მოსახლეობის ისლამური ტრადიციებითაა გამოწვეული. აჭარა საქართველოში გამოირჩევა, როგორც ქვეყანაში ბუნებრივი ზრდის ყველაზე მაღალი ტემპის მქონე რეგიონი და 3.4-ჯერ აღემატება საშუალო მაჩვენებელს (-2542 კაცი) და 1,2-ჯერ აღემატება ქვემო ქართლის (719 კაცი) რეგიონს, რომელიც ხასიათდება მეორე ყველაზე მაღალი ბუნებრივი ზრდის ტემპით. ეს ძალიან შთამბეჭდავი რიცხვია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 12 რეგიონიდან (აფხაზეთის მონაცემები არ მოგვეპოვება) 9-ს აქვს ბუნებრივი ზრდის უარყოფითი ტემპი. 2023 წლის მონაცემებით ბათუმს ახასიათებს ქვეყანაში ყველაზე მაღალი ბუნებრივი ზრდის ტემპი - 1760 კაცი.

აჭარაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი საქართველოს საშუალოზე ოდნავ მაღალია. 2022 წლის აღწერით მან მიაღწია 65.4%-ს საქართველოში კი საშუალოდ 64.6%-ია. აჭარის მოსახლეობაც საქართველოს საშუალოზე ახალგაზრდაა. შრომისუნარიან ასაკზე მაღლა მყოფი მოსახლეობის წილი 2022 წელს 10,6% იყო, ხოლო საქართველოში საშუალოდ 16,5%. შესაბამისად 15 წლამდე მოსახლეობის წილიც საგრძნობლად აღემატებოდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - 24% აჭარაში საქართველოში კი 18,9%.

ცხრილი 12 :აჭარის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება
აჭარის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება

მოსახლეობის განაწილება	მამაკაცები,%	ქალები, %	სულ, %
სამუშაო ასაკის ქვემოთ (0-18წლამდე)	12,41	11,63	24,03
სამუშაო ასაკი (18-60 წლამდე)	32,65	32,77	65,43
სამუშაო ასაკის ზემოთ (60+)	3,10	7,43	10,54

აჭარაში უმუშევრობის დონე 12.2 %-ა, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება (16,4 %). აჭარა უმუშევრობის მაჩვენებლით საგრძნობლად ჩამორჩება თბილისის მაჩვენებელს – 17,5%. აღნიშნულ სტატისტიკას სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ, რადგან საქართველოში ყველა, ვინც ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ავტომატურად ითვლება დასაქმებულად, მაშინაც კი, თუ ასეთი საკუთრებიდან შემოსავალი არ აქვს. მსგავსი მიდგომა ზრდის დასაქმების დონეს უპირატესად სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში, შესაბამისად, თბილისი და აჭარა საშუალოზე ბევრად მაღალი უმუშევრობის მაჩვენებლებით ხასიათდება. ზოგადად, რაც უფრო მაღალია თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა თანაფარდობა, მით უფრო დაბალია უმუშევრობის დონე და პირიქით.

ცხრილი 13: საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 15 წლიდან (ათასი კაცი), დასაქმება-უმუშევრობა, სამუშაო ძალის ინდიკატორები

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 15 წლიდან (ათასი კაცი), დასაქმება-უმუშევრობა, სამუშაო ძალის ინდიკატორები

დასაქმება უმუშევრობა სამუშაო ძალის ინდკატორები საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილება 15 წლიდან (ათასი კაცი)								
	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარა	სამეგრელო ზემო სვანეთი	იმერეთი	საქართველო
სულ 15+ მოსახლეობა	236,7	949,8	216,2	336,5	274,0	252,4	414,0	2997,1
სამუშაო ძალა	133,7	521,5	114,5	172,4	159,0	125,0	204,3	1596,3
დასაქმებული	117,6	430,0	95,6	135,0	139,6	109,7	163,3	1334,6
დაქირავებული	65,3	355,5	57,1	86,4	94,1	66,9	116,9	920,4
თვითდასაქმებული	52,3	74,4	38,4	48,7	45,4	42,7	46,3	413,6
გაურკვეველი	0,0	0,0	0,1	0,0	0,1	0,1	0,1	0,5
უმუშევარი	16,0	91,5	18,9	37,4	19,4	15,3	40,9	261,7
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	103,1	428,3	101,7	164,1	115,0	127,4	209,7	1400,8
უმუშევრობის დონე, პროცენტი	12,0	17,5	16,5	21,7	12,2	12,2	20,0	16,4
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, პროცენტი	56,5	54,9	53,0	51,2	58,0	49,5	49,3	53,3

ცხრილი 14: სამუშაო ძალის ინდიკატორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

სამუშაო ძალის ინდიკატორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

დასაქმება უმუშევრობა სამუშაო ძალის ინდკატორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ათასი კაცი)				
	2020	2021	2022	2023
სულ 15+ მოსახლეობა	268,8	266,3	268,2	274,0
სამუშაო ძალა	155,1	149,4	151,7	159,0
დასაქმებული	126,1	120,7	123,8	139,6
დაქირავებული	79,7	80,6	81,2	94,1
თვითდასაქმებული	46,4	39,9	42,3	45,4
გაურკვეველი	0,1	0,2	0,3	0,1
უმუშევარი	29,0	28,7	27,9	19,4
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	113,7	116,9	116,5	115,0

უმუშევრობის დონე, პროცენტი	18,7	19,2	18,4	12,2
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, პროცენტი	57,7	56,1	56,6	58,0
დასაქმების დონე, პროცენტი	46,9	45,3	46,2	50,9
წყარო: სამუშაო ძალის გამოკვლევა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური				

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის წარმატებული განვითარებისთვის. რეგიონის დემოგრაფიული უპირატესობა (ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობა), ურბანული ცენტრების ზრდა და ზღვისპირა ზონის ეკონომიკური აქტივობა წარმოადგენს მყარ საფუძველს. ამავე დროს, აუცილებელია პოლიტიკის სწორი დაგეგმვა, რომელიც შექმნის დაქირავებით დასაქმების შესაძლებლობებს, შეამცირებს თვითდასაქმებულთა დამოკიდებულებას ტრადიციულ სექტორებზე და უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი გამოწვევების ეფექტიან მართვას. ამ მონაცემების საფუძველზე, შემდგომი კვლევა შეიძლება ფოკუსირდეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ დემოგრაფიული და შრომითი რესურსების ოპტიმალურად გამოყენება ლურჯი ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებში ინვესტიციების მოსაზიდად.

2.11 ეკონომიკური კონტექსტი

აჭარაში ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია ბათუმში. ბათუმის, როგორც ეკონომიკური ცენტრის ათვლის თარიღად შეგვიძლია 1878 წელი ჩავთვალოთ, როდესაც ბათუმის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (1885 წლამდე). ასეთი სტატუსის წყალობით ბათუმმა მოიზიდა უცხოური ინვესტიციები და საბოლოოდ გახდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და ეკონომიკური განვითარების ცენტრი მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. ამასთანავე ამ პერიოდში ბათუმი იყო რუსეთის იმპერიისთვის ერთადერთი ხელმსაწვდომი პორტი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში, რომელიც აკავშირებდა იმპერიისთვის უმნიშვნელოვანეს სამხრეთ კავკასიის რეგიონს გარე სამყაროსთან. ბათუმის ფუნქცია კიდევ უფრო გაძლიერდა ბაქო-ბათუმის რკინიგზის და განსაკუთრებით ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობით, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე გრძელი მილსადენი იყო და

ბაქოს ნავთობს აწვდიდა მსოფლიო ბაზარს. ბათუმმა ამ დროს მიიპყრო ისეთი წამყვანი გლობალური ინვესტორების ყურადღება, როგორებიც იყვნენ როტშილდი, სიმენსი და სხვა, აღსანიშნავია, რომ ბათუმში განთავსებული იყო ინგლისის ბანკის რეგიონული ფილიალი.

საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წწ.) აჭარის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. იგი პრაქტიკულად იზოლირებული იყო გარე სამყაროსგან და გადაიქცა "ჩიხად" შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. ამავე დროს, ბათუმმა შეინარჩუნა წამყვანი პორტისა და ნავთობტერმინალის ფუნქციები, თუმცა მისი როლი, როგორც რეგიონული განვითარების კერისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსი შემცირდა. მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთგული იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ეკონომიკური ფუნქციების მაქსიმალურ გაფართოებას და მოსახლეობის სრულ დასაქმებას. ასეთი პოლიტიკის ფარგლებში 1988 წელს ბათუმი გადაიქცა მულტიფუნქციურ სამრეწველო ცენტრად 67 საწარმოთი და 19,2 ათ. პერსონალით.

1928-1932 წლებში ბათუმმა შეიძინა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ყველაზე დიდი საწარმო აჭარაში. ბათუმის სამრეწველო სექტორი, ნავთობგადამუშავების გარდა, წარმოდგენილი იყო კვების მრეწველობის, მანქანებისა და აღჭურვილობის მწარმოებელი 5 საწარმოთი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო გამოყენების სხვადასხვა ელექტროტექნიკით. ასევე იყო ფარმაცევტული, ავეჯის, ტყავისა და ფეხსაცმლის, სამკერვალო და სხვადასხვა საკვების, სასმელებისა და თამბაქოს მწარმოებელი საწარმოები. ბათუმი თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის შემდეგ საქართველოს სიდიდით მე-4 ინდუსტრიული ცენტრი იყო. ის აჭარის სასაქონლო პროდუქციის 78%-ს აწარმოებდა და ინდუსტრიაში დასაქმებულთა 83.4%-ს ითვლიდა. (საქართველოს სსრ რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარება. სტატისტიკური კრებული, 1989) შედარებისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში განლაგებული 13 საწარმო ავტონომიის სასაქონლო პროდუქციის 14% აწარმოებდა და დასაქმებული იყო 1,9 ათს. პირი (მრეწველობაში დასაქმებულთა 10%) (აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში; სტატისტიკური კრებული, 2002).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბათუმი და მთლიანად რეგიონი, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო დარგებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახურული ბაზრის საჭიროებებს აკმაყოფილებდა, ვერ დარჩებოდა კონკურენტუნარიანი. ადგილობრივი ეკონომიკის არაეფექტურობას ასევე აძლიერებდა 1990-იანი წლების ქაოსი, როდესაც აჭარა ფუნქციონირებდა, როგორც ნახევრად დამოუკიდებელი, იზოლირებული ერთეული, რომელიც ძნელად ექვემდებარებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ამ პერიოდში მისი ეკონომიკა საგრძნობლად გაუარესდა, მისი სამრეწველო საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა შეჩერდა. 1995 წლისთვის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა განახევრდა. წარმოებაში 1995-2001 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა 2026-დან 427-მდე დაეცა. ბათუმის ქარხანამ, ავტონომიის უდიდესმა საწარმომ, ფუნქციონირება 1999 წელს შეწყვიტა. მისი წილი ადგილობრივ სამრეწველო წარმოებაში 1998 წელს 69,5%-დან 1999 წლამდე ნულამდე დაეცა (აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში; სტატისტიკური კრებული, 2002).

2003 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლისა და რეგიონის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების შემდეგ, აჭარისადმი განსაკუთრებით კი ბათუმისადმი, ერთგვარი „გამორჩეული“ დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. დღეისათვის ბათუმი აშკარად წარმატებული ქალაქის მაგალითია, რომელსაც ზოგჯერ საქართველოს ზაფხულის დედაქალაქადაც კი მოიხსენიებენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში რესპუბლიკაში ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება. სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მზარდ ტემპს შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ისე სერვისებზე მოთხოვნის ზრდას და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შექმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.

2023 წლის მონაცემებით, აჭარის ა.რ. 94 179 რეგისტრირებული სუბიექტია, მათ შორის 29 652 აქტიურია. აჭარაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების უმრავლესობა

ქ.ბათუმზე მოდის 59 568 მათ შორის აქტიური 19 523. თუ შევადარებთ 2012 წლისა და 2022 წლის მაჩვენებლებს დარგების მიხედვით, დავინახავთ, რომ განსაკუთრებით მაღალია ზრდა მომსახურების სფეროში, კერძოდ, გაიზარდა სასტუმროებისა და რესტორნების რაოდენობა, საწარმოთა რაოდენობა გაზრდილია ვაჭრობის დარგში. აღსანიშნავია, რომ საწარმოთა რაოდენობა შემცირებულია რამდენიმე სფეროში, ესენია : თეზჭერა და მეთევზეობა, სამთომომპოვებელი მრეწველობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება და მშენებლობა. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიზნეს რეგისტრის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლურჯი ეკონომიკის დარგებიდან ორივე მუნიციპალიტეტში წამყვანი სფეროა სანაპირო ტურიზმი მათ შორის განთავსების საშუალებები.

ცხრილი 15: 2024 წელს რეგისტრირებულ და მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ქ. ბათუმსა და ქობულეთის მინიციპალიტეტში

2024 წელს რეგისტრირებულ და მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ქ. ბათუმსა და ქობულეთის მინიციპალიტეტში (სამსახური, 2024)

	ბათუმის მუნიციპალიტეტი			ქობულეთის მუნიციპალიტეტი		
	რეგისტრირებული	აქტიური		რეგისტრირებული	აქტიური	
		სულ	მსხვილი		სულ	მსხვილი
სულ	53564	16234	42	12652	3451	2
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	162	48	0	99	24	0
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	69	38	0	15	2	0
დამამუშავებელი მრეწველობა	1905	906	4	490	239	0
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	10	4	0	4	2	0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და	27	12	2	10	4	0

დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები						
მშენებლობა	2297	1 373	3	421	287	0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	10972	4 728	5	2944	1362	0
ტრანსპორტი და დასაწყობება	1729	1 027	4	577	383	0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2388	1 040	1	618	283	0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	906	717	1	45	27	0
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	455	128	0	63	17	0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	657	451	0	81	44	0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1073	568	0	94	40	0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	687	346	0	87	39	0
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	61	24	4	22	3	0
განათლება	434	216	4	97	68	1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	342	202	6	58	27	0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	408	156	9	41	20	0
სხვა სახის მომსახურება	991	395	0	127	59	0
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	0	0	0	0		0
ექსტრატერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	3	0	0	0		0
საქმიანობა უცნობია	27988	3855	0	6759	521	0

მსხვილ საწარმოებს გააჩნიათ ქალაქწარმომქმნელი ფუნქცია, შესაბამისად ჩვენი მხრიდან აქცენტი სწორედ მსხვილ საწარმოებზე გაკეთდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებით, 2017 წლამდე მსხვილ საწარმოთა ზომა განისაზღვრებოდა შემდეგი მეთოდოლოგიით: „მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება

საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.“ თუმცა 2017 წლიდან მსხვილი საწარმო განისაზღვრება შემდეგნაირად „მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს“ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

2024 წლის ივნისის მდგომარეობით, სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის მონაცემებით, 2023 წელთან მიმართებით ბათუმში, ფაქტობრივად, არსებული მსხვილი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა მცირედით გაზრდილია, საინტერესოა ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის პროფილი, სადაც ნათლად ჩანს, რომ ქ. ბათუმს პრაქტიკულად დაკარგული აქვს სამეწარმეო, განსაკუთრებით ზღვასთან და ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული პროფილი. წარმოდგენილი მსხვილი ბიზნეს სუბიექტებიდან სახელმწიფო შპს-ებს თუ გამოვრიცხავთ, რომელთაც რეალურად არ გააჩნიათ სამეწარმეო ფუნქცია, ბათუმში მსხვილ ბიზნეს სუბიექტებში მხოლოდ ერთეული კომპანიებითაა წარმოდგენილი ლურჯი ეკონომიკა. ესაა შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური, შპს ბათუმის ნავთობტერმინალი და შპს „სტელლარ ნავიგეიშენ“ რაც შეეხება მეწარმეობას, მსუბუქი მრეწველობიდან წარმოდგენილია მხოლოდ შპს „აჭარა ტექსტილე,“ შპს „ფასთ თრექ ტექსტილე ლთდ;“ ძირითადი მსხვილი სამეწარმეო საქმიანობა კი გახლავთ აზარტული თამაშები, სამშენებლო სამუშაოები, სავაჭრო, საგანმანათლებლო და სადაზღვევო საქმიანობები. მსხვილი ბიზნეს სუბიექტები წარმოადგენენ კერძო უცხოური საკუთრების ფორმას.

აღსანიშნავია ბათუმის ეკონომიკაში აზარტული თამაშების ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და მათი როლი (2024 წელს 11 ბიზნესი მსხვილი სუბიექტი 46 დან), თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ სათამაშო ბიზნესი წარმოადგენს ქ. ბათუმის ერთ-ერთ ქალაქ წარმომქმნელ ფუნქციას.

2023 წელს ბათუმის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 62.1 მლნ ლარი, საიდანაც ძირითადი წილი (85%) მოდიოდა სამორინეებზე, კერძოდ, 52.9 მლნ ლარი. წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა 13

სამორინე, რომელთა სათამაშო აპარატების რაოდენობა იყო 1397, ხოლო სამორინეს მაგიდების - 214. ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 1.3 მილიონი, მათგან უმეტესობა არარეზიდენტია (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, 2023).

ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს სამშენებლო საქმიანობა ბათუმში- ყველაზე ფართომასშტაბური ბიზნეს საქმიანობა. საინტერესოა, რომ 178 დეველოპერი კომპანიიდან, 2024 წლის ივნისის თვის კორტერის მონაცემებზე დაყრდნობით, მსხვილ ბიზნეს სუბიექტთა ბაზაში მხოლოდ ერთეული კომპანიებია: ორბი ჯგუფი, ორბი ჯგუფი ბათუმი დრიმლენდ ოაზისით და დარ ბილდინგითაა წარმოდგენილი.

მსხვილი ბიზნეს სუბიექტების ასეთი კლასიფიკაცია პრაქტიკაში უამრავ გაუგერობას იწვევს, ვინაიდან ორი, ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელი კრიტერიუმი გამოიყენება ბიზნესის სიდიდის შესაფასებლად. ბევრი დასაქმებული არ ნიშნავს მსხვილ ბიზნესს.

ბათუმის მსხვილი ბიზნეს სუბიექტების სიაში გვხვდება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

ანალიზისთვის ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ იმ ბიზნეს სუბიექტებს, რომლებიც დიდი ბრუნვით გამოირჩევიან და არა დასაქმებულთა რაოდენობით. ქ.ბათუმიში არსებული მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობისა და საკუთრების ფორმის მიხედვით წარმოდგენილია დანართი 1-ში.

ლურჯი ეკონომიკის სფეროდან წარმოდგენილი ერთადერთ მსხვილ ბიზნეს სუბიექტს ბათუმის პორტი წარმოადგენს, თუმცა მისი ტვირთბრუნვის მაჩვენებლები საკმაოდ მცირეა თუნდაც ფოთის პორტთან შედარებით. ისიც აღსანიშნავია, რომ ბათუმის ნავსადგურის მართვის უფლება 2008 წლიდან ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ეროვნული კომპანიის JSC KazMunayGas-ის შვილობილ კომპანიას KazTransOil JSC-ს ეკუთვნის.

საქართველოში საზღვაო ტრანსპორტის ხომალდების რაოდენობა 2005 წლიდან მკვეთრად შემცირდა. UNCTAD-ის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ფლოტის საერთო ტვირთამწეობა 2005 წელს 1,340 ათასი ტონა იყო, ხოლო 2023 წელს

მხოლოდ 8.8 ათასი ტონა, რაც 152.3-ჯერ შემცირებას ნიშნავს. ეს შემცირება მთლიანად დაკავშირებულია "საბჭოთა მემკვიდრეობის" მოძველებული ხომალდების განადგურებასთან.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოს ფლოტი მოიცავდა: 1.7 ათას ტონა ტვირთამწეობის მშრალტვირთოვან გემს; 7.7 ათას ტონა ტვირთამწეობის სხვა ტიპის გემს; სულ 26 გემს (UNCTAD, 2023).

ამავე პერიოდში ფლოტში აღარ ფიქსირდება ნავთობტანკერები, საბორნე გადამზიდები და საკონტეინერო გემები, რომლებიც ადრე წარმოდგენილი იყო.

საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც საზღვაო ტრანსპორტს განკარგავს, 2021 წლის შემდეგ საჯარო საქმიანობის ანგარიშებს აღარ აქვეყნებს.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოს საზღვაო რეესტრში რეგისტრირებული იყო 30 გემი, რომლებიც ოპერირებდნენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიღმა. ეს ძირითადად მოიცავდა იახტებსა და სამაშველო/საბუქსირო კატარღებს (საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, 2025).

წყარო: საზღვაო სატრანსპორტო სააგენტო;

ცხრილი 16: საქართველოს ბათუმის და ფოთის პორტების სტატისტიკური მონაცემები ტვირთბრუნვის, მგზავრთბრუნვისა და გემების რაოდენობის მიხედვით

	ბათუმი			ფოთი		
წლები	ტვირთბრუნვა მლნ ტონა	მგზავრთბრუნვა ათასი კაცი	გემების რ-ბა ერთეული	ტვირთბრუნვა მლნ ტონა	მგზავრთბრუნვა ათასი კაცი	გემების რ-ბა ერთეული
2020	3.4	18000	590	7.4	2300	880
2021	3.7	10000	580	7.2	3900	770
2022	4.4	6500	590	7.7	1200	850
2023	4.2	8500	600	8.1	2500	840

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური ანალიზის მიხედვით, აჭარის რეგიონის, მათ შორის, ბათუმის მთლიანი შიდა პროდუქტის (მიმდინარე ფასებში) საშუალო ზრდის ტემპმა 2018-2022 წლებში შეადგინა 14.8%, ხოლო

2022 წელს მშპ-ის საშუალო მაჩვენებელმა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგინა 19 369 ლარი, ანალოგიური მაჩვენებელი 2021 წელს 15 669 ლარი გახლდათ.

ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ბათუმის და თბილისის მუნიციპალიტეტების შედარებას რამდენიმე ეკონომიკური პარამეტრის მიხედვით.

ცხრილი 17:

ქ. ბათუმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტების შედარება რამოდენიმე ეკომონოკური პარამეტრის მიხედვით

მუნიციპალიტეტი	ფართობი (კვ.კმ)	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	დასაქმებულთა რაოდენობა-ბიზნეს სექტორში (ათასი კაცი)	მშპ-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (დოლარი)	რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)	აქტიური ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა (ერთეული)
ბათუმი	82.3	183.2	1 074.1	6 588	59568	19523
თბილისი	504.2	1 241.7	460.6	10 379	439443	116773

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით TOP ინვესტორი ქვეყანა რეგიონისთვის არის 1. თურქეთი 2.ყაზახეთი და 3.რუსეთი, ხოლო TOP ეკონომიკის სექტორი თუ 2022 წელს იყო 1.უძრავი ქონება, 2.ტრანსპორტი და დასაწყობება 3.ხელოვნება, გართობა და დასვენება, 2023 წელს მცირედი ცვლილებებია პირველ ადგილზე გადმოინაცვლა ხელოვნებამ, დასვენებამ და გართობამ, მეორე ადგილზეა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა ხოლო მესამეზე ტრანსპორტი და დასაწყობება (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, 2023).

2022 წლის მონაცემებით, რეგიონში საშუალო ხელფასი განისაზღვრა 1195 ლარით და დინამიკაში მზარდია.

ტურიზმის სექტორი რაიონში ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკური აქტორია 2022 წლის მონაცემებით ამ სექტორში დასაქმებულია ჯამში 10 563 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი განთავსების და საკვების მიწოდების სფეროში 1085 ლარია, ხოლო ხელოვნების, გართობის და დასვენების სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2086 ლარით განისაზღვრა. ტურისტებისათვის განთავსების ადგილების რაოდენობა (აპარტოტელების ჩათვლით) რეგიონში 80 54-ია, ხოლო კვების ობიექტების რაოდენობა- 424. 2023 წლის

მონაცემებით სტუმართა რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში 1,3 მლნ-ით განისაზღვრა, მათ შორის 63% არარეზიდენტი ვიზიტორი იყო. ვიზიტორთა 85% დასვენების, 5% საქმიანი ვიზიტით ხოლო დანარჩენი 10% სხვა მიზნით სტუმრობდა რეგიონს.

საქართველოს რეგიონულ სტრუქტურაში ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით აჭარის რეგიონს მეორე ადგილი უჭირავს (9.3%) თბილისის შემდეგ. საინტერესო მონაცემს გვაძლევს თავად რეგიონის დარგობრივი სტრუქტურის მონაცემები, სადაც ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული დარგები საკმაოდ მცირე წილს წარმოადგენს მთლიანად ეკონომიკაში.

ნახაზი 7: აჭარის ა.რ. მშპ 2018-2020-2022წწ. მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი ეკონომიკური საქმიანობების სახეები



ნახაზ 7-ზე წარმოდგენილია აჭარის ა.რ მშპ- ს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი და შეჯამება: ლურჯი ეკონომიკის პერსპექტივები

მოცემული ისტორიული და სტატისტიკური მონაცემები ნათლად აჩვენებს აჭარის, განსაკუთრებით კი ქალაქ ბათუმის, ეკონომიკის კომპლექსურ დინამიკას. ბათუმი ისტორიულად ყოველთვის იყო რეგიონული და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი, რაც პორტო-ფრანკოს სტატუსმა და ნავთობსადენის მშენებლობამ განაპირობა. საბჭოთა პერიოდში ქალაქი ინდუსტრიულ კერად გადაიქცა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ საწარმოებმა კონკურენტუნარიანობა დაკარგა, რამაც გამოიწვია რეგიონის ეკონომიკური კოლაფსი.

დღევანდელი ეკონომიკური სტრუქტურა და ლურჯი ეკონომიკა: ახალი ათასწლეულის შემდეგ აჭარის ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. თუმცა, სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდა ძირითადად მომსახურების სექტორზე, კერძოდ კი სანაპირო ტურიზმზე, უძრავ ქონებასა და სათამაშო ბიზნესზეა დამოკიდებული. ეს ტენდენცია აშკარად ჩანს როგორც ბიზნეს სუბიექტების რაოდენობით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურით.

ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები:

ინდუსტრიული პროფილის დაკარგვა: მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ ბათუმმა დაკარგა თავისი ისტორიული სამრეწველო პროფილი, რაც ლურჯი ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ისტორიულად მნიშვნელოვანი საზღვაო პორტი იყო, დღეს პორტის ტვირთბრუნვა შედარებით მცირეა და ისიც უცხოური კომპანიის მფლობელობაშია.

ეროვნული ფლოტის კოლაფსი: ეროვნული ფლოტის მკვეთრი შემცირება 2005 წლის შემდეგ, რაც მოძველებული საბჭოთა ხომალდების განადგურებამ გამოიწვია, პირდაპირ მიანიშნებს საზღვაო ტრანსპორტის სექტორის სისუსტეზე. ეს კი ლურჯი ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

ეკონომიკის დამოკიდებულება: აჭარის ეკონომიკა ძლიერაა დამოკიდებული ტურიზმსა და ისეთ სექტორებზე, როგორებიცაა სათამაშო ბიზნესი და უძრავი ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სექტორები უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდას, ისინი ხშირად სეზონურია და შეიძლება არ იყოს მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.

ლურჯი ეკონომიკის დანარჩენი სექტორები არაა განვითარებული: ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემები აჩვენებს, რომ ლურჯი ეკონომიკის სხვა სფეროები, როგორიცაა თევზჭერა და დამამუშავებელი მრეწველობა, შემცირებულია ან წარმოდგენილია მხოლოდ მცირე რაოდენობის საწარმოებით.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარას და კერძოდ ბათუმს აქვს მყარი ეკონომიკური საფუძველი, რაც დასტურდება მშპ-ის მზარდი მაჩვენებლითა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მაღალი პროპორციით. თუმცა, რეგიონის ეკონომიკა, რომელსაც ერთ დროს ინდუსტრიული და საზღვაო პროფილის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციები ჰქონდა, ახლა ძირითადად მომსახურების სექტორზეა კონცენტრირებული. ლურჯი ეკონომიკის პრინციპების ეფექტიანი დანერგვა აჭარაში გულისხმობს არა მხოლოდ ტურიზმის განვითარებას, არამედ საზღვაო ტრანსპორტის, თევზჭერის, აკვაკულტურისა და სხვა ინოვაციური საზღვაო სექტორების აღდგენასა და გაძლიერებას. ეს მოითხოვს მიზანმიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას და ინვესტიციების მოზიდვას, რათა ეკონომიკა გახდეს უფრო მრავალფეროვანი და მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში.

თავი III. კვლევის შედეგები და დისკუსია

3.1 კვლევის შედეგები: ქ. ბათუმისა და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტების მაგალითზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით

კვლევის ძირითადი მიგნებები

- ✓ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპოდენტები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სანაპირო ზონასა და შესაბამის მუნიციპალურ ერთეულში სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციას აფასებენ ნეგატიურად.
- ✓ ლურჯი ეკონომიკის სექტორების მიმართ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, სანაპირო ზონის მართვა-დაგეგმარება, ტრანსპორტი, საზღვაო და სანაპირო გარემოს დაცვა და სხვა.
- ✓ კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა არ იცნობს ლურჯი ეკონომიკის პრინციპებს, შესაბამისად, ლურჯი ეკონომიკის ჩარჩოებში განხორციელებულ პროექტებთან არ ჰქონიათ შეხება. უმცირესობას წარმოადგენს სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლობა და ცალკეული ექპერტები, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის გატარებაში, იცნობენ ლურჯი ეკონომიკის პრინპიპებს და აქვთ შეხება ლურკი ეკონომიკის ჩარჩოებში განხორციელებულ პროექტებთან.
- ✓ ქ.ბათუმისა და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტებში რესპოდენტებმა გამოყვეს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობები, რომლებიც უკავშირდება მათ ყოველდღიურობას, ესენია: საზღვაო-სატრანსპორტო გადაზიდვები; საპორტო/სანავსადგურო საქმიანობა; სანაპირო ტურიზმი; თევზჭერა; მშენებლობა; გამოიკვეთა შემოსავლის მომტანი საქმიანობებიც შავი ზღვის აკვატორიასა და სანაპირო ზონაზე: ესაა საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, ხოლო მომდევნო პოზიციაზეა საზღვაო ტრანსპორტი და გადაზიდვები;
- ✓ გამოკითხული რესპოდენტების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ სანაპირო ზონის განვითარებას და აკვატორიის ათვისებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზღვაო

და სანაპირო ტურიზმი,ასევე საზღვაო გადაზიდვები და ტრანსპორტი, მხოლოდ რესპოდენტების მცირე ნაწილი თვლის, რომ მეთევზეობის, აკვაკულტურის და ზღვის სარეწი რესურსების გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სანაპირო ზონის განვითარებას და აკვატორიის ათვისებას. რესპოდენტების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსის მდგრადად გამოყენება არ შეუქმნის საფრთხეს ბიომრავალფეროვნებას.

- ✓ საქართველოში შავი ზღვის საზღვაო და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ ჩვენს კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს თითქმის არ სმენით, მხოლოდ დარგის ექსპერტებმა შეაფასეს ის, თან არაეფექტიანად.
- ✓ საქართველოს სანაპირო ზონის და შავი ზღვის აკვატორიის მართვის პოლიტიკის ეფექტურობასა და განხორციელებაში გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები: ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, არასათანადო დაფინანსება, საქართველოს საზღვაო პოლიტიკის არარსებობა (ნაკლებ ეფექტურობა).
- ✓ ჩვენ მიერ გამოკითხულ რესპოდენტებში დაბალია ცნობადობა იმ კვლევითი ორგანიზაციებისა და ცენტრების შესახებ, რომლებიც საზღვაო პრობლემების, მოწყვლადი ეკოსისტემების, სარისკო ჯგუფების გამოვლენასა და შესწავლაზე მუშაობენ. შესაბამისად, გაუჭირდათ დაესახელებინათ ის საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლურჯი ეკონომიკის განვითარებას.
- ✓ საინტერესოა მონაცემები, რომლებიც საკადრო პოლიტიკას ეხებოდა; გამოკითხული რესპოდენტები თვლიან, რომ ქვეყანაშიც და ცალკეულ მუნიციალიტეტებშიც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროფესიონალი კადრების შერჩევა, რაც განპირობებულია კვალიფიკაციასთან შრომის ანაზღაურების შეუსაბამობით და კვალიფიციური კადრების ნაკლებობით.
- ✓ რესპოდენტების უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყანას არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის პროფესიონალი, ვინც სანაპიროს გარემოს დაცვასა და ლურჯი ეკონომიკის განვითარებაზე იმუშავებს. სირთულეს ქმნის ასევე ბიოლოგების, გეოლოგების, ინჟინრების, ხორც-პროდუქტების/თევზის ტექნოლოგების დეფიციტი შრომის ბაზარზე.

- ✓ ეკონომიკური ბლოკის ნაწილიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოს სანაპირო ზონისთვის ლურჯი ეკონომიკის სექტორებიდან გამოწვევას წარმოადგენს და მეტ ინვესტირებას საჭიროებს სანაპირო ზონის მართვა-დაგეგმარება, საზღვაო და სანაპირო გარემოს დაცვა, განახლებადი ენერგია, ბიოეკონომიკა, გემთმშენებლობა. მეტად დამაკმაყოფილებლად ვითარდება ტურიზმის სექტორი.
- ✓ გამოიკვეთა მთელი რიგი დაბრკოლებები, რაც არსებობს ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში:

ა) ლურჯ ეკონომიკაზე ინფორმაციის არასრულყოფილი წვდომა.

ბ) საერთო ხედვისა და მიზნის უქონლობა.

გ) შესაბამისი პოლიტიკისა და მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობ.ა

დ) სამეცნიერო კვლევების ნაკლებობა.

ე)სექტორებსა და სუბიექტებს შორის შეთანხმებისა თუ ინტეგრაციის არასრულფასოვნება.

- ✓ რესპოდენტებისგან მივიღეთ ინფორმაცია ტვირთბრუნვის და ექსპორტის შესახებაც: ტვირთბრუნვა სანაპირო ზონაზე მდებარე პორტებიდან ნეიტრალურად შეფასდა. ტვირთბრუნვას ძირითადად წარმოადგენს: ნავთობპროდუქტები, მანქანები, საკვები პროდუქტები, სამშენებლო მასალები და ლითონები.დღეს არსებული სიტუაციით ექსპორტის დინამიურობაც ნეიტრალურად შეფასდა, საექსპორტო პროდუქტს კი წარმოადგენს: საკვები პროდუქტი, შავი ლითონი, მინერალური წყლები და ღვინო. საქართველოს, როგორც ტრანზიტული სახელმწიფოს არსებული ვითარება და სამომავლო პერსპექტივები ჩვენ მიერ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობამ შეაფასა მეტნაკლებად მზარდად.
- ✓ სანაპირო ზონაში მოქმედი ბიზნესები და სხვადასხვა დაწესებულებები ნაკლებად ან საერთოდ არ თანამშრომლობენ მეცნიერ-ექსპერტებთან საკუთარი საქმიანობის წარმოებისას.
- ✓ კითხვები, რომლების ეხებოდა შავი ზღვის დაბინძურების მონიტორინგსა და მართვას, შეფასდა ნაკლებ ეფექტურად.

- ✓ გამოკითხული რესპოდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, როგორც პიროვნულად, ისე სამსახურეობრივი პოზიციიდან გამომდინარე გამოხატა დაინტერესება ლურჯი ეკონომიკის დანერგვისა და განხორციელების პროცესით. სექტორულ მიგნებებს გავიმეორებ ჩვენივე სტატიიდან, რომელიც 2022 წლის 06 დეკემბერს ჟურნალ „გარემო და საზოგადოება-შია“ გამოქვეყნებული.

კვლევის ანალიზი

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის, კერძოდ, ქ. ბათუმისა და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტების ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით მოითხოვს სისტემურ მიდგომას, პოლიტიკურ მხარდაჭერას და ინსტიტუციურ რეფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი საზღვაო და სანაპირო ტურიზმის, სატრანსპორტო სექტორის, ეკოსისტემური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების კუთხით, კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები მიუთითებს არსებით გამოწვევებზე.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არის ლურჯი ეკონომიკის პრინციპების შესახებ ცოდნის დეფიციტი, რაც განაპირობებს კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების შეზღუდულ ჩართულობას პრაქტიკაში მისი დანერგვის პროცესში. შესაბამისად, ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის ჩამოყალიბება და სტრატეგიული განვითარების მექანიზმების შექმნა მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას და სხვადასხვა სექტორთან ინტენსიურ თანამშრომლობას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის მართვის პოლიტიკა ხასიათდება ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური ხარვეზებით. განსაკუთრებით პრობლემურია:

- სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის არასრულყოფილი სტრატეგია;
- შესაბამისი მარეგულირებელი მექანიზმებისა და ნორმატიული ჩარჩოს არაეფექტიანობა;

- ეკოსისტემების მდგრადი გამოყენებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის სუსტი მექანიზმები;
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის ნაკლებად ეფექტური სისტემა.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, საზღვაო ტრანსპორტი და სანაპირო ზონის მენეჯმენტი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებს. თუმცა, რესპონდენტთა უმრავლესობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მეთევზეობისა და აკვაკულტურის, ასევე ბიოეკონომიკის სექტორების პოტენციალს.

განსაკუთრებით საყურადღებოა პროფესიონალი კადრების დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სანაპირო ზონის მდგრად განვითარებას. რესპონდენტთა შეფასებით, მწვავე პრობლემას წარმოადგენს ბიოლოგების, გეოლოგების, საზღვაო ინჟინრებისა და გარემოსდაცვითი ექსპერტების სიმცირე, რაც ლურჯი ეკონომიკის სტრატეგიულ განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

ამ კვლევის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის განვითარებისთვის ლურჯი ეკონომიკის პრინციპების ინტეგრაცია მოითხოვს:

- ლურჯი ეკონომიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და განათლების პროგრამების განვითარებას;
- სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ეფექტიან რეგულაციებს;
- სამეცნიერო კვლევების გაძლიერებასა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- სახელმწიფო, კერძო და აკადემიურ სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას;
- გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით.

ამრიგად, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის განვითარების კონტექსტში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების იმპლემენტაცია მოითხოვს კომპლექსურ და

სექტორთაშორის მიდგომას, რაც ხელს შეუწყობს სანაპირო ეკოსისტემების დაცვასა და ეკონომიკური პოტენციალის მდგრად გამოყენებას.

3.2 საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ურბანული არეალების ლურჯი განვითარება და სანაპირო საფრთხეები - ბათუმის მაგალითი

თანამედროვე გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რესურსების შეზღუდულობა და ურბანიზაციის მზარდი ტენდენციები, ქალაქების როლი მდგრადი განვითარების მიღწევაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ურბანული ლურჯი ეკონომიკა, რომელიც წარმოადგენს ინოვაციურ პარადიგმას ქალაქების ეკონომიკური განვითარებისთვის ზღვისა და წყლის რესურსებთან ინტეგრაციით. საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა, განსაკუთრებით ქალაქი ბათუმი, არის ამგვარი ტრანსფორმაციის თვალსაჩინო მაგალითი, სადაც სწრაფი ურბანული ზრდა და ეკონომიკური დინამიკა ქმნის როგორც შესაძლებლობებს, ისე მნიშვნელოვან გამოწვევებს სანაპირო საფრთხეებსა და მდგრადობასთან დაკავშირებით.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ქალაქ ბათუმის სანაპირო ზონის ურბანული ტრანსფორმაციის ყოვლისმომცველ ანალიზს „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციის ჭრილში. ის იკვლევს სამშენებლო სექტორის დინამიკას, უძრავი ქონების ფასების ცვლილებას, შენობების სართულიანობასა და ბინების რაოდენობას, ასევე აფასებს მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების (როგორიცაა ხელოვნური კუნძული), პოტენციურ გავლენას ურბანულ და ეკოლოგიურ გარემოზე. ნაშრომის ეს ნაწილი ასევე აანალიზებს ბათუმის გენერალური გეგმის კონცეფციას „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპებთან მიმართებით და მიმოიხილავს ქალაქის ისტორიულ ურბანულ ევოლუციას, რათა უკეთ გავიაზროთ მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები. საბოლოოდ, ამ ნაწილში წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაციაც ბათუმის მდგრადი ურბანული განვითარებისთვის, რომელიც დააბალანსებს ეკონომიკურ ზრდას, გარემოს დაცვასა და სოციალურ კეთილდღეობას.

3.2.1ურბანული ლურჯი ეკონომიკა: კონცეპტუალური ჩარჩო და გამოწვევები

ურბანული ლურჯი ეკონომიკა (Urban Blue Economy) თანამედროვე ეკონომიკური განვითარების პარადიგმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ის მოიცავს ეკონომიკურ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია წყლის რესურსებთან, მათ შორის საზღვაო და სანაპირო ინდუსტრიებთან, მდგრად ტრანსპორტირებასთან, წყლის ეკოსისტემების მართვასთან და ცირკულარული ეკონომიკის პრაქტიკებთან (European Commission, 2024; The Ocean Foundation, 2023). ურბანულ გარემოში ლურჯი ეკონომიკის ინტეგრაცია გარდაუვალია კლიმატის ცვლილების, ეკოსისტემური სერვისების გაუარესებისა და ურბანიზაციის მზარდი ტენდენციების ფონზე (OECD, 2023; Geoeconomics, 2023). ამ კონტექსტში, აუცილებელია ქალაქებისა და რეგიონების როლის ანალიზი, მათი გავლენა წყლის ეკონომიკაზე და მრავალდონიანი მმართველობის მნიშვნელობა.

ურბანული ლურჯი ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), განსაკუთრებით წყლის რესურსების მდგრად მართვასთან (SDG 6), მდგრადი ქალაქებისა და საზოგადოებების ჩამოყალიბებასთან (SDG 11) და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასთან (SDG 13) (United Nations, 2022). რეგიონებში წყლის ეკონომიკის მართვა მოითხოვს ჰოლისტიკურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს (OECD, 2023; ResearchGate, 2023).

ურბანული ლურჯი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა წყლის რესურსების დაბინძურებაა, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემებზე (European Environment Agency, 2023). რეგიონული პოლიტიკის განმსაზღვრელთათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ინოვაციური, ცირკულარული მოდელების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, წყლის დაბინძურების შემცირებას და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას (European Commission, 2024; Ocean Foundation, 2023). ამასთანავე, მდგრადი ურბანული განვითარების ფარგლებში, აუცილებელია წყლის ინკლუზიური მმართველობის მოდელის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღებას.

ლურჯი ეკონომიკის ეფექტიანი მმართველობა მოითხოვს მრავალდონიან მიდგომას, რომელიც აერთიანებს გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დაგეგმვას (OECD, 2023; Georgian Ministry of Economy, 2023). ქალაქები და რეგიონები ამ პროცესში კრიტიკულ როლს ასრულებენ, რადგან მათ ხელთ აქვთ ისეთი ბერკეტები, როგორებიცაა ურბანული დაგეგმარება, ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკოლოგიური რეგულაციები და საჯარო-კერძო ურთიერთთანამშრომლობა (European Commission, 2024). მრავალდონიანი მმართველობის ეფექტურობა დამოკიდებულია პოლიტიკის კოორდინაციაზე, საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობასა და სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობილ გადაწყვეტილებებზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა წყლის უსაფრთხოების საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მთავრობები ხშირად პასუხისმგებელნი არიან წყლის მართვასა და სანიტარიულ მომსახურებაზე, მათ არ გააჩნიათ საკმარისი ინსტრუმენტები წყლის რესურსების სისტემური მართვისთვის (United Nations, 2022; ResearchGate, 2023). ამ კუთხით, ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის ფორმირება უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ ეკოსისტემურ თავისებურებებს, ეკონომიკურ პოტენციალს და კლიმატური პირობების ცვლილებებს (OECD, 2023). გარდა ამისა, პოლიტიკის ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა წყლის რესურსების მართვის ციფრული სისტემები და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია, უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფენ წყლის მენეჯმენტს.

ლურჯი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ინოვაციური მიდგომაა "Nature-Based Solutions" (NBS) – ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, რომლებიც აერთიანებს ეკოსისტემური სერვისების აღდგენას და მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარებას (European Environment Agency, 2023). ასევე, მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის (AI) და დიდი მონაცემების (Big Data) გამოყენება წყლის რესურსების მონიტორინგისთვის (European Commission, 2024). გარდა ამისა, "smart water" ტექნოლოგიები, რომლებიც გულისხმობს ციფრული სენსორებისა და IoT (Internet of Things) პლატფორმების გამოყენებას, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ურბანული წყლის სისტემების ეფექტურ მართვაში.

მომავალში ურბანული ლურჯი ეკონომიკის კვლევებში ყურადღება უნდა გაგახვილდეს ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა და ეკოსისტემური მდგრადობის ბალანსზე (United Nations, 2022; Geoeconomics, 2023). პოლიტიკის შემუშავება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს, რაც შესაძლებელს გახდის ინკლუზიური და მდგრადი განვითარების მოდელების დანერგვას (OECD, 2023). ამასთანავე, ლურჯი ეკონომიკის კონტექსტში მდგრადი ურბანული განვითარების სტრატეგიებში უნდა გავითვალისწინოთ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების დაძლევის მექანიზმები.

ურბანული ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მდგრადი განვითარებისთვის, რომლის ეფექტიანობა დამოკიდებულია პოლიტიკის კოორდინაციაზე, რეგიონულ მმართველობასა და ინოვაციურ მიდგომებზე (European Commission, 2024). ქალაქებისა და რეგიონების ჩართულობა, ეკოსისტემური სერვისების ინტეგრირება და წყლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კრიტიკულია, რათა ურბანული ლურჯი ეკონომიკა გახდეს მდგრადი ეკონომიკური ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა (United Nations, 2022; The Ocean Foundation, 2023). მომავალი კვლევებისა და პოლიტიკის ინიციატივების წარმატება დამოკიდებული იქნება საჯარო და კერძო სექტორებს შორის კოორდინაციაზე, ციფრულ და ბუნებაზე დაფუძნებული ინოვაციების გამოყენებასა და რეგიონული ეკოსისტემების დაცვაზე.

3.2.2 ბათუმის ურბანული ევოლუცია: ისტორიული პერსპექტივა და თანამედროვე ტენდენციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, ქალაქი ბათუმი წარმოადგენს წარმატებულ, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფად მზარდ მაგალითს.

ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2005-2025წწ-ში.



სურ 9: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2005 წ.- 3D ვიზუალიზაცია



სურ 10: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2025 წ. - 3D ვიზუალიზაცია

ბათუმი საქართველოს იმ მცირერიცხოვან დასახლებებს შორის არის, რომელმაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოახერხა მოსახლეობის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ მისი გაზრდაც კი. საბჭოთა პერიოდის ბოლოს ბათუმი ქვეყნის მოსახლეობით მეხუთე ქალაქი იყო (თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სოხუმის შემდეგ), დღეს კი თბილისის შემდეგ მეორე ურბანული ცენტრია და უდიდესი დასახლება 183.5 ათასი მცხოვრებით (2024 წლის მონაცემები). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ეს ზრდა ნაკლებად არის გამოწვეული ბუნებრივი დემოგრაფიული ან მიგრაციული პროცესებით; ის ძირითადად ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებასა და ტერიტორიის გაფართოებას უკავშირდება.

პროფესორი იოსებ სალუქვაძის მოსაზრებით, 1990-იანი წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად გარდაქმნა საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტმა აფხაზეთში და ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვამ, ისევე როგორც თურქეთთან ურთიერთობების გააქტიურებამ (თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო მიმოსვლა), განაპირობა ახალი რეალობა.

შედეგად, რუსეთთან არსებული მტრული ურთიერთობების გამო, ზუგდიდი-სოხუმის მიმართულების ჩრდილო-დასავლეთის „ზრდის ღერძი“ აღარ ფუნქციონირებს. ამის სანაცვლოდ, გაძლიერდა სამხრეთ-დასავლეთის „ზრდის ღერძი“, რომლის ძირითადი ცენტრიც ბათუმი გახდა (სალუქვაძე ი. , 2021).

ბათუმს ისტორიულად ყოველთვის მაღალი საერთაშორისო ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქის 2008 წლის გენერალური გეგმის მიხედვით, ადამიანის აქტივობა დღევანდელ ბათუმის ტერიტორიაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე დაფიქსირდა. ამ დროს მდინარე ყოროლისწყლის მარცხენა ნაპირზე ჩამოყალიბდა ტიპური კოლხური გორა-სამოსახლო, რომელიც ხის მორებით იყო შემოზღუდული.

არისტოტელე ამ პუნქტს ბათუსის სახელით იხსენიებდა, თუმცა მოგვიანებით ეს ტოპონიმი მხოლოდ მდინარეს შემორჩა. იმპერატორ ადრიანეს დროს აქ რომაელთა სამხედრო სადგური იყო. ფეოდალურ ხანაში ბათუმის ციხის ირგვლივ სოფლის ტიპის დასახლება განვითარდა, თუმცა ამბროზი კონტარინი მას ქალაქად მოიხსენიებს. 1547 წელს ტერიტორია ოსმალებმა დაიკავეს. მე-18 საუკუნეში კი ვახუშტი ბატონიშვილი ბათუმს აღწერს, როგორც „მცირე ქალაქი და ციხე კარგი“ ("გეოგრაფიკი", 2008).

ჟაკ ფრანსუა გამბა რუსეთში მოგზაურობისას ადასტურებს რომ თურქები ფლობენ ბათუმსაც, მოხსენიებულია მოხერხებულ ნავსადგურად, სადაც სამასი ტონა წყალწყვის ხომალდები დაცულია ყოველგვარი ქარებისგან. სამწუხაროდ, ამ ნავსადგურს სრულად ვერ იყენებენ ვერც ევროპელები და ვერც თურქები, რადგან ფაშა დამოუკიდებლად თვლის თავს და თავის ტერიტორიაზე თავშესაფარს აძლევს საქართველოდან და კავკასიის მეზობლად მდებარე პროვინციებიდან გამოქცეულ ლტოლვილთ“ ("გეოგრაფიკი", 2008).

მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ოსმალეთის ხელისუფლება იწყებს გარკვეული ყურადღების დათმობას ბათუმის განვითარებისთვის, რაც მათი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას ისახავდა მიზნად შავი ზღვის სანაპიროზე. თუმცა, ამ დროს ბათუმი სავალალო მდგომარეობაში იყო. როგორც თანამედროვე აღწერს, „ქალაქი თავისთავად იმ დროს პატარა სოფელს წარმოადგენდა. საუკეთესო სახლები იყო ხის, კრამიტით გადახურული და აშენებული უსახური გროვის სახით, ყოველგვარი წესრიგის

გარეშე. სრული გაგებით ქუჩები არ არსებობდა – იყო ვიწრო კორიდორები, სადაც ორი ეტლი ვერ გაივლიდა. ქალაქი გადაშენებულს ჰგავდა, მხოლოდ ერთი ნაბერეჟნი იყო ოდნავ მოძრავი, რადგან იქ იყო განთავსებული აღმოსავლური ყავახანები და რესტორნები“ ("გეოგრაფიკი", 2008).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბათუმის ქალაქის ცენტრი იწყებს გადანაცვლებას ყურის დასავლეთ ნაწილისკენ, კერძოდ, ბათუმის კონცხზე. 1870-იან წლებში ქალაქის საზღვრებმა უკვე მიაღწია ნურიე-გიოლის ტბას.

ამავე პერიოდში, სულთან აბდულ აზიზის (1861-1876) ფირმანში (განკარგულებაში) აღნიშნულია, რომ ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ, ესედ მეჰმედ ემინ მეხლის ფაშამ, დააყენა საკითხი ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ახალი ქალაქის მშენებლობის თაობაზე, რომელიც ლაზისტანის საფაშოს ცენტრს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტში იყო განსაზღვრული „ახალი ქალაქის“ გეგმარებითი წყობა და ძირითადი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები. ქალაქის დასაგეგმარებლად სულ 42 ჰა ტერიტორია გამოიყო.

ავქსენტი ცაგარელი აღნიშნავდა, რომ იმდროინდელი ბათუმი იერსახით თბილისის ძველ უბნებს (აბანოების უბანსა და აშპაშხანას) წააგავდა, რამდენიმე მინარეთით და ქაოსური განაშენიანებით. თუმცა, ქალაქში უკვე არსებობდა რამდენიმე ევროპული ტიპის მოწყობილი სასტუმროც, მათ შორის გამორჩეული იყო ფრანგული სასტუმრო „ფრანცია“.

ცაგარელი ხაზს უსვამდა, რომ ეს ნაოსმალეთარი ქალაქი სიცოცხლით დუღდა: ვაჭრობა გაცხარებული იყო, ყავახანები და ლუდხანები ხალხით იყო სავსე, შეინიშნებოდა დიდი მოძრაობა და გახურებული მუშაობა ახალ შენობებზე. განსაკუთრებით აქტიური იყო ნავსადგური, რომელიც რუსული და უცხოური გემებით იყო სავსე.

თურქეთის ბატონობის ბოლო წლებში, ბათუმის პოტენციალი სრულად არ იყო ათვისებული, რასაც ნიკო ნიკოლაძის კითხვა ადასტურებს: „ცოდვა არ არის, ამისთანა მდიდრად დაჯილდოებული ყურე... ასე ღარიბად გამოიყურებოდეს?“

1878-დან 1921 წლამდე პერიოდში ბათუმი იქცა სამხრეთ კავკასიის მთავარ სავაჭრო, ფინანსურ და ლოგისტიკურ ცენტრად. 1878 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის

დასრულების შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე, ქალაქი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ინგლისის ზეწოლის შედეგად, რუსეთმა ბათუმი „ფორტო ფრანკოდ“ (უბაჟო ვაჭრობის მქონე ქალაქად) გამოაცხადა. თუმცა, ვინაიდან ეს სტატუსი ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს კავკასიაში, ის 1886 წელს გაუქმდა.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისთანავე (1878 წ.) ბათუმის სწრაფი განვითარება დაიწყო. ქალაქის გაფართოების წინაპირობა გახდა ჰიდრომელიორაციული სამუშაოები, რომელიც კახაბრის დაჭაობებული დაბლობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩატარდა. 1882-1884 წლებში გაყვანილმა მაგისტრალურმა სადრენაჟო არხმა მნიშვნელოვნად დაწია გრუნტის წყლების დონე, რამაც ქალაქის ზრდა-განვითარებას ძირითადად სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მისცა ბიძგი.

ეკონომიკური მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა:

- 1883 წელს ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა ბაქოს (თბილისის გავლით) ნავთობპროდუქტების ექსპორტის მიზნით.
- 1907 წელს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასრულებამ კიდევ უფრო გაზარდა ბათუმის პორტის მნიშვნელობა.

პოლიტიკური არასტაბილურობა:

- პირველი მსოფლიო ომის დროს ქალაქის ეკონომიკური აქტიურობა მკვეთრად დაეცა.
- 1918 წელს ბათუმში შევიდა ოსმალეთის ჯარი და ბათუმის ხელშეკრულებით ქალაქი ოსმალეთს გადაეცა.
- იმავე 1918 წელს, ოსმალეთის ჯარი ინგლისის საოკუპაციო ჯარმა შეცვალა.
- 1920 წლის ივლისში ბათუმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაეცა.

საბჭოთა პერიოდის ფუნქცია:

- 1921 წლიდან ბათუმი გახდა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი.

- ამ პერიოდში ქალაქმა თითქმის მთელი წარმოება დაკარგა, შეინარჩუნა პორტის ფუნქცია და იქცა თურქეთიდან ტრანზიტულ ჰაბად, ძირითადად აზერბაიჯანისკენ მიმართული ნავთობის ტრანზიტისთვის.

2004 წლიდან ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია. რუსულმა ოკუპაციამ (აფხაზეთის გავლით აღმოსავლეთ-დასავლეთის განვითარების დერეფნის დახურვამ) ბათუმს მისცა შესაძლებლობების ფანჯარა განვითარებულიყო მთელ სამხრეთ კავკასიაში, როგორც წამყვანი ტურისტული, რეკრეაციული და გასართობი ცენტრი; თანამედროვე ბათუმი არის კარგი მაგალითი ბაზარზე ორიენტირებული, თავისუფალი, უსაფრთხო ქალაქის პოზიტიური იმიჯის შექმნისა რუსეთის ოკუპაციაში მყოფი ტერიტორიების წინააღმდეგ, თუმცა არ არის დაგეგმვა, განვითარების პროგრამები და ა.შ. ბათუმის ფენომენის აღსაწერად ახალი ტერმინის შემოღება - „კომპენსატორული განვითარება“ შეგვიძლია გამოვიყენოთ.

საქართველოს უახლეს ისტორიაში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა რადიკალური გავლენა მოახდინა ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარების ტენდენციებზე. ახლებურმა გამოწვევებმა ახალი პრობლემები წარმოშვა ქალაქის ფუნქციურ-გეგმარებით ევოლუციაში. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მთლიანად მოიშალა სამრეწველო და სამხედრო ობიექტები. სამრეწველო სფერო ქალაქში პრაქტიკულად აღარ არსებობს, რამაც მიწათსარგებლობის თვალსაზრისით ქალაქს ფასეული ტერიტორიების ქალაქგეგმარებითი შეცვლის საშუალება მისცა ("გეოგრაფიკი", 2008).

საქართველოსთვის არსებითია ქალაქ ბათუმის, როგორც ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებისა და ლოგისტიკის კვანძის როლი, თუმცა აღნიშნული წარმოშობს მძლავრი სატრანსპორტო საავტომობილო ნაკადის ქალაქში გატარების პრობლემას, რაც ტერიტორიული დეფიციტის პირობებში ერთ-ერთი ძირითადი ურბანული პრობლემაა.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს შემუშავებულ ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში („ქალაქ ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა“) კარგადაა წარმოჩენილი ქალაქის პრობლემური და არასასურველი

გეომორფოდინამიკური პროცესების განვითარება, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, ბათუმის სანაპიროს პლაჟის ზონის წარეცხვაში (მდინარე ჭოროხზე ბათუმის სანაპიროს მკვებავი მყარი ნატანის გადამკეტი ჰიდროელექტროსადგურების კასკადი), მეორე მხრივ, თავად ბათუმის ტერიტორიაზე ჰიდროგეოლოგიურ ვითარებაში, რომელიც არ არის ხელსაყრელი მიწისქვეშა მშენებლობებისათვის და მოითხოვს სპეციალურ ტექნოლოგიებს, დღეს ქალაქი მასშტაბური მშენებლობების ქარცეცხლშია გახვეული.

3.2.3 კლასიფიცირების საფუძვლები და ინდიკატორები

ბათუმის ოთხი ზონის დიფერენციაცია საშუალებას გვაძლევს, ბათუმის სანაპირო ზონა განვიხილოთ, როგორც კომპლექსური ურბანული სისტემა, რომელიც შედგება ფუნქციურად და მორფოლოგიურად განსხვავებული ქვესისტემებისგან. კლასიფიცირების საფუძვლად გამოყენებულია ფუნქციონალურ-მორფოლოგიური მიდგომა, რომელიც აერთიანებს ტერიტორიის ძირითად დანიშნულებას, განაშენიანების ტიპს და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურულ თავისებურებებს (Hall & Barrett, 2012). ამგვარი ზონირება აუცილებელია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის, არამედ ქალაქის მომავალი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტურ განაწილებას და ურბანული პრობლემების მოგვარებას. თითოეული ზონის სპეციფიკის გაგება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბათუმის, როგორც ტურისტული და ეკონომიკური ცენტრის, განვითარების სტრატეგიების შემუშავებისთვის.

ბათუმის სანაპირო ზონების დიფერენცირებისთვის გამოვიყენეთ შემდეგი ძირითადი ინდიკატორები:

1. ურბანული მორფოლოგია და განაშენიანების სიმჭიდროვე:
    - ✓ პირველი ზონა (ისტორიულ-ცენტრალური) ხასიათდება შერეული განაშენიანებით, სადაც დომინირებს ისტორიული არქიტექტურა (XIX-XX საუკუნეების დასაწყისი) დაბალსართულიანი და საშუალო სართულიანობის შენობებით, თანამედროვე მშენებლობის შედარებით დაბალი ინტენსივობით. განაშენიანების სიმჭიდროვე ზომიერია.

- ✓ მეორე ზონა (შერეული განვითარების ცენტრი) წარმოადგენს გარდამავალ ზონას, სადაც საბჭოთა პერიოდის ტიპური საცხოვრებელი კორპუსები თანაარსებობს ახალ, საშუალო სიმაღლის მშენებლობებთან. განაშენიანების სიმჭიდროვე ზომიერიდან მაღალისკენ მიდის, მაგრამ არ აღწევს მესამე ზონის მასშტაბებს.
- ✓ მესამე ზონა (ახალი ურბანული და ტურისტული ცენტრი) გამოირჩევა მაღლივი, თანამედროვე არქიტექტურით (აპარტოტელები, პრემიუმ კლასის სასტუმროები და საცხოვრებელი კომპლექსები), რაც განაპირობებს განაშენიანების უკიდურესად მაღალ სიმჭიდროვეს და "ვერტიკალურ" ურბანულ ლანდშაფტს.
- ✓ მეოთხე ზონას (პერიფერიული, ლოგისტიკურ-სამრეწველო) ახასიათებს დაბალი სიმჭიდროვის განაშენიანება, უმეტესად კერძო სახლებით, მცირე ზომის საცხოვრებელი კორპუსებითა და სამრეწველო-სასაწყობო ნაგებობებით. ურბანული მორფოლოგია აქ ნაკლებად დაგეგმილი და უფრო ფუნქციურია.

2. დომინანტური ფუნქციური დატვირთვა:
   - ✓ პირველი ზონა: კულტურულ-ისტორიული, ადმინისტრაციული, რეკრეაციული (ბულვარის სიახლოვე) და კომერციული.
   - ✓ მეორე ზონა: საცხოვრებელი, კომერციული და გარკვეული ტურისტული პოტენციალი.
   - ✓ მესამე ზონა: მაღალი კლასის ტურიზმი, რეკრეაცია (ახალი ბულვარი), საინვესტიციო და მაღალი სიმჭიდროვის საცხოვრებელი.
   - ✓ მეოთხე ზონა: ტრანსპორტი (აეროპორტი), ლოგისტიკა, სამრეწველო და დაბალი სიმჭიდროვის საცხოვრებელი.
3. ინფრასტრუქტურის ტიპი და განვითარების დონე:
   - ✓ პირველი ზონა: კარგად განვითარებული, მაგრამ ხშირად მოძველებული კომუნალური ინფრასტრუქტურა, რომელიც საჭიროებს განახლებას. სატრანსპორტო ქსელი ინტენსიურია, მაგრამ პარკირების პრობლემებით.

- ✓ მეორე ზონა: განვითარებული ინფრასტრუქტურა, სადაც თანაარსებობს როგორც ძველი, ისე ახალი სისტემები. სატრანსპორტო არტერიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს.
- ✓ მესამე ზონა: თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უახლესი კომუნიკაციებით. საგზაო ქსელი ფართოა, მაგრამ ტურისტული სეზონის დროს ხშირად გადატვირთული.
- ✓ მეოთხე ზონა: ინფრასტრუქტურა ორიენტირებულია სატრანსპორტო (აეროპორტი, მაგისტრალური გზები) და სამრეწველო საჭიროებებზე. კომუნალური მომსახურება ძირითადად საბაზისოა, გამწვანება კი - არარეგულარული.

4. გეოგრაფიული და მიკროკლიმატური მახასიათებლები:
   - ✓ პირველი და მეორე ზონები: უშუალო სიახლოვე ზღვასა და ბულვართან, ნოტიო სუბტროპიკული მიკროკლიმატი.
   - ✓ მესამე ზონა: უშუალოდ ზღვისპირა, ახალი ბულვარის სიახლოვე, რაც მას რეკრეაციულ მნიშვნელობას სძენს.
   - ✓ მეოთხე ზონა: მდინარე ჭოროხის ალუვიური კონუსი, აეროპორტის სიახლოვე (ხმაური, საჰაერო დერეფნები), ქალაქის პერიფერიული ნაწილი. რელიეფი ბრტყელი, მაგრამ ნაკლებად მიმზიდველი საცხოვრებლად ან ტურიზმისთვის.
5. ურბანული განვითარების დინამიკა და პოტენციალი:
   - ✓ პირველი ზონა: განვითარება შეზღუდულია ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის რეგულაციებით. პოტენციალი დაკავშირებულია კულტურული ტურიზმის განვითარებასთან.
   - ✓ მეორე ზონა: მიმდინარეობს აქტიური, მაგრამ კონტროლირებადი განაშენიანება, რაც ქალაქის ცენტრის გაფართოებას გულისხმობს.
   - ✓ მესამე ზონა: ინტენსიური, მასშტაბური და მაღალი სიმკვრივის განვითარება, ძირითადად საინვესტიციო და ტურისტული პროექტებით. მაღალი სამშენებლო პოტენციალი.

- ✓ მეოთხე ზონა: განვითარების პოტენციალი დაკავშირებულია ლოგისტიკური, სამრეწველო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან. ნაკლები პოტენციალი აქვს ტურისტული და მაღალი კლასის საცხოვრებელი მშენებლობისთვის.

3.2.4 ფუნქციური ზონები

სურათი 11: ქ. ბათუმის ფუნქციური ზონების არეალი

ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილში მოცემულია საქართველოს „ცოცხალი ლაბორატორიის“ - ბათუმის, როგორც ტურისტული მიზიდულობისა და გართობის მთავარი ცენტრის ურბანული განვითარების თავისებურებები.

კვლევის ფარგლებში განვსაზღვრეთ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ზღვისპირა ზონის განვითარებაზე მოქმედი ძირითადი ობიექტები, ძირითადი უძრავი ქონების (საინვესტიციო სამშენებლო ობიექტები) პროექტები, რადგან სწორედ ამ ტიპის სამშენებლო ობიექტები განაპირობებენ პრემიუმ კლასის სასტუმროებთან ერთად ბათუმის სანაპირო ზოლის ათვისების ტენდენციებს.

გამოვყავით მიზნობრივი პროექტები, რომლებიც 2023 წლის ოქტომბრისთვის რეალურად მიმდინარეობდა (არსებული და მშენებარე) და კვლევა გავამყარეთ 2025 წლის ანალოგიური მაჩვენებლებით, კონკრეტულად 2025 წლის ზაფხულის მაჩვენებლებით.

გამოვყავით პირდაპირი და არაპირდაპირი ობიექტების ტიპები:

- ✓ პირდაპირი ზემოქმედების ობიექტები - აქვთ უშუალო ფიზიკური და ვიზუალური წვდომა ზღვის სანაპიროზე და ქმნიან ბათუმის ურბანულ ლანდშაფტს ზღვიდან.
- ✓ არაპირდაპირი ზემოქმედების ობიექტები - არ აქვთ ან შეზღუდული აქვთ პირდაპირი წვდომა ზღვაზე, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს სანაპირო ზონის

განვითარებაზე უზარმაზარი შენობების აშენებით გამოწვეული მნიშვნელოვანი დამატებითი ზეწოლით, მათ შორის მათში მყოფი ადამიანების ჩათვლით.

განვსაზღვრეთ ურბანული განვითარების ზონები, დაწყებული ბათუმის ჩრდილოეთ მუნიციპალური საზღვრიდან სამხრეთისკენ, სულ ოთხი ზონა:

ზონა 1 - მოიცავს ჟღენტის, ნინოშვილის, რუსთაველის გამზირს, დუმბაძის, კლდიაშვილის, გორგასალის, მემედ აბაშიძის, გოგებაშვილის, ფარნავაზ მეფის, ზუბალაშვილების, აჰმედ მელაშვილის, კომახიძის, ჟორდანიასა და ელიავას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას.

ეს ტერიტორია ქალაქ ბათუმის ცენტრალური ნაწილია, რომელიც მოიცავს ქალაქის ისტორიულ ბირთვსა და მის უშუალო სიახლოვეს მდებარე ტერიტორიებს, წარმოადგენს ურბანული განვითარების, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ერთობლიობას. ეს არეალი ხასიათდება მაღალი ურბანიზაციის ხარისხითა და მრავალფეროვანი ფუნქციური დატვირთვით.

გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი

აღნიშნული ზონა განლაგებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლის პარალელურად, მოიცავს რა ბათუმის ბულვარის უშუალო სიახლოვეს მდებარე ნაწილსა და ქალაქის შიდა კვარტლებს. ზღვიდან დაშორება იცვლება რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე ასეულ მეტრამდე (მაგალითად, ნინოშვილის ქუჩა უშუალოდ ბულვარს ესაზღვრება, ხოლო ფარნავაზ მეფის ქუჩა უფრო შიდაა). ტერიტორიის რელიეფი უმეტესად ბრტყელია და დაბლობი, ზღვის დონიდან მცირედაა აწეული, რაც განაპირობებს ხელსაყრელ პირობებს ინტენსიური ურბანული განვითარებისთვის. ნიადაგები, ძირითადად, ალუვიური და დელუვიური წარმოშობისაა, ხრეშნარ-ქვიშნარი შემადგენლობით, რაც ტიპიურია სანაპირო დაბლობებისთვის. მიუხედავად ბრტყელი რელიეფისა, ქუჩების განლაგება (მაგალითად, რუსთაველის გამზირის, მემედ აბაშიძის და ფარნავაზ მეფის ქუჩების პარალელური, ხოლო ჟღენტის, დუმბაძის, გორგასალის, კომახიძის და ელიავას ქუჩების მათზე პერპენდიკულარული მიმართულება) ქმნის ქალაქის რეგულარულ, ბადისებრ სტრუქტურას.

ფუნქციური დატვირთვა

ზონის ფუნქციური დატვირთვა უკიდურესად მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- რეკრეაციულ-ტურისტული ფუნქცია: ნინოშვილისა და რუსთაველის გამზირის ზღვისპირა მონაკვეთები უშუალოდ ესაზღვრება ბათუმის ბულვარს, რომელიც წარმოადგენს ქალაქის უმთავრეს რეკრეაციულ და ტურისტულ ღირსშესანიშნაობას (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2025). აქ კონცენტრირებულია მრავალი სასტუმრო, კაფე-რესტორანი, გასართობი ობიექტი და ატრაქციონი. ჟღენტის, დუმბაძის, გორგასალის, აბაშიძის, გოგებაშვილის, ფარნავაზ მეფის, ზუბალაშვილების, აჰმედ მელაშვილის, კომახიძის, ჟორდანიასა და ელიავას ქუჩები ქმნიან კვარტლებს, სადაც განთავსებულია საოჯახო ტიპის სასტუმროები, ჰოსტელები და ნაქირავები აპარტამენტები, რაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განუყოფელი ნაწილია.
- საცხოვრებელი ფუნქცია: ზონა ხასიათდება მაღალი საცხოვრებელი სიმჭიდროვით. აქ გვხვდება როგორც XIX-XX საუკუნეების დასაწყისის ისტორიული არქიტექტურის ნიმუშები (განსაკუთრებით ფარნავაზ მეფის, გოგებაშვილის, ზუბალაშვილებისა და გორგასალის ქუჩებზე), ისე თანამედროვე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც ბოლო ათწლეულში ინტენსიურად აშენდა.
- კომერციული და ბიზნეს ფუნქცია: რუსთაველის გამზირი, მემედ აბაშიძის, ფარნავაზ მეფის, ზუბალაშვილებისა და ჟორდანიას ქუჩები წარმოადგენენ ქალაქის მთავარ კომერციულ არტერიებს. აქ განლაგებულია ბანკები, სავაჭრო ცენტრები, მაღაზიები, ოფისები, კლინიკები და მომსახურების სხვადასხვა დაწესებულებები. ეს ტერიტორია ქალაქის ეკონომიკური აქტივობის ეპიცენტრია.
- ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ფუნქცია: ზონაში განთავსებულია არაერთი ადმინისტრაციული შენობა, სახელმწიფო დაწესებულება, მუზეუმი, თეატრი, სკოლა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (მაგალითად, რუსთაველის გამზირზე მდებარეობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი), რაც ხაზს უსვამს ტერიტორიის მრავალფუნქციურ მნიშვნელობას (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2025).

ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ქსელი

- სატრანსპორტო ქსელი: ზონა გამოირჩევა კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. რუსთაველის გამზირი არის ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც აკავშირებს ქალაქის სხვადასხვა ნაწილს. ქუჩების უმეტესობა, როგორიცაა მემედ აბაშიძის, ფარნავაზ მეფის, ნინოშვილის, გოგებაშვილის, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტებით (ავტობუსები, მიკროავტობუსები), რაც ხელს უწყობს მოსახლეობისა და ტურისტების გადაადგილებას. ტერიტორიაზე აქტიურად გამოიყენება ტაქსის სერვისები და ველოსიპედები, განსაკუთრებით ბულვარის სიახლოვეს. პარკირების ადგილები შეზღუდულია, რაც ქალაქის ცენტრალური ნაწილისთვის დამახასიათებელი პრობლემაა.
- კომუნალური ინფრასტრუქტურა: ზონა სრულად უზრუნველყოფილია ძირითადი კომუნალური სერვისებით, როგორიცაა წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და საკომუნიკაციო ქსელები (ინტერნეტი, ტელეფონი). მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ძველი უბანი საჭიროებს ინფრასტრუქტურის განახლებას, ზოგადად, მომსახურების ხარისხი მაღალია.
- გამწვანება და საზოგადოებრივი სივრცეები: ბათუმის ბულვარი, რომელიც ზონის ნაწილს წარმოადგენს, ქალაქის "მწვანე ფილტვებია" და მრავალფეროვან ხე-მცენარეებს მოიცავს. გარდა ბულვარისა, ქუჩების გასწვრივ გაშენებულია ხეივნები და მცირე სკვერები, რომლებიც ქმნიან სასიამოვნო მიკროკლიმატს და დასვენების შესაძლებლობებს. ბევრი ძველი კორპუსი ინარჩუნებს გამწვანებულ შიდა ეზოებს.

ურბანული მორფოლოგია და არქიტექტურა

ეს ზონა წარმოადგენს ბათუმის ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურის სინთეზს. აქ გვხვდება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ევროპული სტილის შენობები (ნეოკლასიკური, მოდერნისტული ელემენტებით), რომლებიც ხშირად რეკონსტრუირებულია და ახლა სასტუმროებსა თუ ოფისებს მასპინძლობს.

პარალელურად, განსაკუთრებით ნინოშვილის, რუსთაველის, მემედ აბაშიძის ქუჩების მიმდებარედ, განვითარებულია თანამედროვე მაღლივი შენობები, მათ შორის სასტუმროები და საცხოვრებელი კომპლექსები. ეს არქიტექტურული მრავალფეროვნება ქმნის უნიკალურ ურბანულ ლანდშაფტს, თუმცა ზოგჯერ წარმოშობს ჰარმონიული განვითარების გამოწვევებს.

ზონა 2 მოიცავს: კობალაძის, ზურაბ გორგილაძის, თამარ მეფის, შარტავას გამზირის, ფალიაშვილის, ტბელ აბუსერიძის, 26 მაისის, ლუკა ასათიანის, გოგოლისა და შავშეთის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას.

მეორე ზონა ბათუმში მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან ოდნავ მოშორებით ან მის გაგრძელებაზე ვრცელდება, ხასიათდება განსხვავებული გეოგრაფიული მახასიათებლებითა და ფუნქციური დატვირთვით, რაც განასხვავებს მას პირველი ზონისგან. ეს არეალი წარმოადგენს ქალაქის განვითარებად დინამიკურ ნაწილს, სადაც თანამედროვე მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი

ეს ზონა მდებარეობს ბათუმის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (შერიფ ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარედ), ასევე მოიცავს ქალაქის ცენტრალური ნაწილის გაგრძელებას აღმოსავლეთით (ტბელ აბუსერიძის, 26 მაისის) და ჩრდილოეთით (თამარ მეფის გამზირი, ფალიაშვილის, ლუკა ასათიანის, გოგოლის, შავშეთის).

- სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (შერიფ ხიმშიაშვილის, კობალაძის): ეს მონაკვეთი უშუალოდ ესაზღვრება ახალ ბულვარს და სანაპირო ზოლს. რელიეფი აქაც დაბლობი და ბრტყელია, რაც ხელსაყრელია მასშტაბური მშენებლობებისთვის.
- ქალაქის ცენტრთან მიახლოებული ნაწილი (ზურაბ გორგილაძის, შარტავას გამზირი, 26 მაისის, ტბელ აბუსერიძის, ფალიაშვილის, ლუკა ასათიანის, გოგოლის, შავშეთის): ეს ქუჩები ქმნის შიდა ქალაქურ ქსელს, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ ნაწილს ქალაქის სხვა უბნებთან. რელიეფი, ისევე როგორც პირველ ზონაში, აქაც უმეტესად ბრტყელია, თუმცა შესაძლოა შეინიშნებოდეს მცირე სიმაღლეთა ცვლილებები ქალაქის განაპირა ნაწილებისკენ.

- ჩრდილოეთი ნაწილი (თამარ მეფის გამზირი): თამარ მეფის გამზირი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო არტერიას, რომელიც აკავშირებს ქალაქის ცენტრს აეროპორტსა და ჩრდილოეთით მდებარე რაიონებთან. რელიეფი ამ მიმართულებითაც უმეტესად დაბლობია, თუმცა შესაძლოა შეინიშნებოდეს ნაზი ფერდობები.

ფუნქციური დატვირთვა

მეორე ზონის ფუნქციური დატვირთვა ხასიათდება მრავალფეროვნებით და ქალაქის დინამიკური განვითარების ასახვით:

- მრავალფუნქციური განვითარება: შერიფ ხიმშიაშვილისა და კობალაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორია არის ბათუმის ახალი ურბანული ცენტრი, სადაც კონცენტრირებულია მაღალი კლასის სასტუმროები, თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსები (აპარტოტელები), სავაჭრო ცენტრები და გასართობი ობიექტები (ბათუმის მერია, 2025). ეს უბანი აქტიურად ვითარდება ტურისტული და ბიზნეს მიმართულებით.
- საცხოვრებელი და კომერციული ზონა: ზურაბ გორგილაძის, შარტავას გამზირის, 26 მაისის, ტბელ აბუსერიძის, ფალიაშვილის, ლუკა ასათიანის, გოგოლისა და შავშეთის ქუჩები უპირატესად საცხოვრებელი და კომერციული ფუნქციისაა. აქ გვხვდება როგორც საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელი კორპუსები, ისე ახალი, თანამედროვე მშენებლობები. ამ ქუჩებზე განთავსებულია სუპერმარკეტები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კვების ობიექტები და მცირე მაღაზიები, რომლებიც ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას.
- სატრანსპორტო დერეფანი: თამარ მეფის გამზირი წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც აკავშირებს ქალაქის ცენტრს აეროპორტთან, რკინიგზის სადგურთან და ცენტრალურ გზაგასაყართან. მასზე განლაგებულია სხვადასხვა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ობიექტი.

ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ქსელი

- საგზაო ინფრასტრუქტურა: ზონას გააჩნია განვითარებული საგზაო ქსელი. შერიფ ხიმშიაშვილის, თამარ მეფის, შარტავას გამზირები ფართო მაგისტრალებია,

რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. დანარჩენი ქუჩები უმეტესად ორზოლიანია, კარგი საფარით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსები, მიკროავტობუსები) მარშრუტები მოიცავს ზონის უმეტეს ნაწილს.

- კომუნალური ინფრასტრუქტურა: მთელი ზონა უზრუნველყოფილია ძირითადი კომუნალური სერვისებით: წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, საკომუნიკაციო ქსელები. ახალაშენებულ კორპუსებში ინფრასტრუქტურა თანამედროვე სტანდარტებს აკმაყოფილებს, ხოლო ძველ უბნებში მიმდინარეობს სისტემების განახლება.
- გამწვანება და რეკრეაციული სივრცეები: შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა უშუალოდ ესაზღვრება ახალ ბულვარს, რომელიც ბათუმის ბულვარის გაგრძელებაა და მდიდარია გამწვანებული სივრცეებით, სასეირნო ბილიკებითა და დასასვენებელი ზონებით. ქუჩების გასწვრივ გაშენებულია ხეები და მცირე სკვერები, რაც ხელს უწყობს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
- სოციალური ინფრასტრუქტურა: ზონაში განლაგებულია არაერთი საგანმანათლებლო (სკოლები, ბაღები), სამედიცინო დაწესებულება (მაგალითად, 26 მაისის ქუჩის სიახლოვეს), სპორტული ობიექტები და კულტურული დაწესებულებები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2025)

ურბანული მორფოლოგია და არქიტექტურა

მეორე ზონის ურბანული მორფოლოგია უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე პირველი ზონის. შერიფ ხიმშიაშვილისა და კობალაძის მონაკვეთებზე დომინირებს თანამედროვე, მაღლივი, მინისა და ბეტონის კონსტრუქციის შენობები, რომლებიც ქმნიან ქალაქის ახალ, მოდერნულ იერსახეს. ზურაბ გორგილაძის, 26 მაისის, ფალიაშვილისა და ლუკა ასათიანის ქუჩებზე გვხვდება საბჭოთა პერიოდის არქიტექტურის ნიმუშები (მრავალსართულიანი პანელური და აგურის შენობები), ასევე ახალი მშენებლობები. თამარ მეფის გამზირზე შერწყმულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, კომერციული ობიექტები და საცხოვრებელი კორპუსები. ეს მრავალფეროვნება ასახავს ქალაქის ეტაპობრივ ურბანულ განვითარებას და სხვადასხვა ეპოქის გავლენას

ზონა 3 მოიცავს შერიფ ხიმშიაშვილის (ნაწილობრივ), ინასარიძის, ანგისასა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩებს. ეს ზონა ბათუმის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად თანამედროვე უბანს წარმოადგენს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ქალაქის ისტორიული ცენტრისა და საბჭოთა პერიოდის განაშენიანებისგან.

მესამე ზონა წარმოადგენს ქალაქის "ახალ ბათუმს", რომელიც განლაგებულია ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ. ეს ტერიტორია გამოირჩევა თავისი თანამედროვე ურბანული მორფოლოგიით, განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურითა და ინტენსიური საინვესტიციო აქტივობით.

გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი

ეს ზონა მდებარეობს ბათუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ის ვრცელდება ახალი ბულვარის მთელ სიგრძეზე. შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა (რომელიც წინა ზონაშიც იყო ნახსენები, მაგრამ აქ მისი სამხრეთი მონაკვეთი იგულისხმება), ინასარიძის ქუჩა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა სანაპიროს პარალელურად მიუყვება, ხოლო ანგისას ქუჩა მათ აღმოსავლეთით, ქალაქის სიღრმეში შედის.

- რელიეფი: ტერიტორია ხასიათდება ბრტყელი და დაბლობი რელიეფით, ზღვის დონიდან მცირედი სიმაღლით. ეს გეოგრაფიული მახასიათებელი უმნიშვნელოვანესია, რადგან სწორედ მან განაპირობა აქ მასშტაბური, მაღლივი შენობების მშენებლობის შესაძლებლობა. ნიადაგები, ისევე როგორც სხვა სანაპირო ზონებში, აქაც ალუვიური და დელუვიური წარმოშობისაა, თუმცა მაღალი სიმკვრივის განაშენიანებისთვის საჭირო გახდა ფუნდამენტის გასამაგრებლად სპეციალური საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება (ბათუმის მერია, 2025).

ფუნქციური დატვირთვა

მესამე ზონის ფუნქციური დატვირთვა მკვეთრად განსხვავდება ქალაქის ძველი უბნებისგან და უპირატესად ორიენტირებულია ტურიზმზე, დასვენებასა და თანამედროვე საცხოვრებელ საჭიროებებზე:

- ტურისტულ-რეკრეაციული ბირთვი: ეს ზონა არის ბათუმის განვითარებადი ტურისტული ინდუსტრიის ეპიცენტრი. ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის გასწვრივ მდებარეობს ევროპის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტორია, სადაც კონცენტრირებულია მსოფლიო ბრენდის სასტუმროები, აპარტოტელები და თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც სპეციალურად ტურისტებისა და საინვესტიციო მიზნებისთვისაა განკუთვნილი. (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2025) აქ ასევე მდებარეობს ბათუმის იუსტიციის სახლი და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რაც ტერიტორიას კულტურულ და ადმინისტრაციულ მნიშვნელობასაც სძენს.
- მაღალი სიმკვრივის საცხოვრებელი ზონა: შერიფ ხიმშიაშვილის, ინასარიძის, ანგისასა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩების გასწვრივ განლაგებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, მათ შორის, ელიტარული საცხოვრებელი კომპლექსები ზღვის ხედებით. ამ ტერიტორიაზე ბოლო წლების განმავლობაში ვხედავთ სამშენებლო ბუმს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსახლეობის სიმჭიდროვეს და ქმნის თანამედროვე, "ვერტიკალურ" ურბანულ ლანდშაფტს.
- კომერციული და მომსახურების ობიექტები: თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსების პირველ სართულებზე, ასევე ცალკე მდგომ შენობებში განთავსებულია სავაჭრო ცენტრები, რესტორნები, კაფეები, მაღაზიები, ბანკები და მომსახურების სხვა ობიექტები, რომლებიც ემსახურებიან როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე ტურისტებს. ამ ზონაში შეინიშნება მომსახურების სექტორის მკვეთრი ზრდა, რაც პირდაპირ კავშირშია ტურიზმის განვითარებასთან.

ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ქსელი

- საგზაო ინფრასტრუქტურა: ზონის საგზაო ქსელი შედარებით ახალია და უკეთაა ადაპტირებული მაღალი სატრანსპორტო ნაკადებისთვის. შერიფ ხიმშიაშვილისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩები ფართო, მრავალზოლიანი მაგისტრალებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ კავშირს ქალაქის სხვა ნაწილებთან და აეროპორტთან. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა მაღალია,

რეგულარული მარშრუტებით. თუმცა, პარკირების ადგილების სიმცირე, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე, კვლავ გამოწვევად რჩება.

- კომუნალური ინფრასტრუქტურა: ეს ზონა უზრუნველყოფილია თანამედროვე კომუნალური ინფრასტრუქტურით, მათ შორის გაუმჯობესებული წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტროენერგიის მიწოდების, ბუნებრივი აირისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელებით. ახალი მშენებლობები აკმაყოფილებს თანამედროვე საინჟინრო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოს.
- გამწვანება და რეკრეაციული სივრცეები: ზონის უმნიშვნელოვანესი რეკრეაციული სივრცეა ახალი ბულვარი, რომელიც შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის გასწვრივ ვრცელდება. ეს ბულვარი გამოირჩევა თანამედროვე დიზაინით, ფართო სასეირნო და ველო ბილიკებით, დეკორატიული მცენარეებითა და დასასვენებელი ზონებით. ის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია დასვენებისა და სპორტისთვის (ბათუმის ბულვარი, 2025). ქუჩების შიდა კვარტლებში გამწვანება ნაკლებად ინტენსიურია, თუმცა ახალი კომპლექსები ხშირად მოიცავს კერძო გამწვანებულ ეზოებს.
- სოციალური ინფრასტრუქტურა: მიუხედავად იმისა, რომ ზონა უმეტესად ტურისტულ და საცხოვრებელ ფუნქციაზეა ორიენტირებული, აქ ასევე განთავსებულია სკოლები, ბაღები და სამედიცინო დაწესებულებები, რაც უზრუნველყოფს მზარდი მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2025);

ურბანული მორფოლოგია და არქიტექტურა

მესამე ზონის ურბანული მორფოლოგია ხასიათდება მაღლივი, თანამედროვე არქიტექტურის დომინირებით. შენობები უპირატესად წარმოდგენილია მინის, ბეტონისა და მეტალის კონსტრუქციებით, ხშირად ინოვაციური დიზაინით. ეს ქმნის ქალაქის ახალ, მოდერნულ და შთამბეჭდავ იერსახეს, რომელიც მკვეთრად კონტრასტშია ბათუმის ძველ,

ისტორიულ ნაწილთან. განაშენიანების სიმჭიდროვე მაღალია, განსაკუთრებით სანაპირო ზოლის გასწვრივ, რაც ვერტიკალური განვითარების ტენდენციას ასახავს.

ზონა 4 მოიცავს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ პერიფერიებს, კერძოდ, ნაწილობრივ: ლეხ და მარია კაჩინსკების, ელიავას, გრიგოლ ლორთქიფანიძის, ანგისას ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას, რომელიც ხასიათდება ინტენსიური ურბანული განვითარების შედარებით დაბალი ხარისხით, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ლოგისტიკური, სამრეწველო და სატრანსპორტო ფუნქციებით, რაც დიდწილად განპირობებულია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტისა და მდინარე ჭოროხის სიახლოვით. ეს არეალი წარმოადგენს გარდამავალ ზონას ქალაქის განაშენიანებული ნაწილიდან სასოფლო-სამეურნეო ან ნაკლებად ურბანიზებულ ტერიტორიამდე.

გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი

ეს ზონა მდებარეობს ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქის გარეუბანში, სადაც შავი ზღვის სანაპიროდან დაშორება უფრო მეტია, ვიდრე წინა ზონებში.

- ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა: ამ ზონაში იგულისხმება ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც უფრო მეტად აღმოსავლეთით, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს და უშუალოდ ესაზღვრება ან უახლოვდება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს. აქ განაშენიანება იშვიათია ან ინდუსტრიული ხასიათისაა, ნაცვლად მაღლივი საცხოვრებელი კომპლექსებისა.
- ელიავას ქუჩა: ამ ზონაში მისი აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ნაკლებად ურბანიზებულია და შესაძლოა მიმდებარე ტერიტორია უფრო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იყოს, მდინარე ჭოროხის შესართავთან სიახლოვით ხასიათდება.
- გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა: ეს ქუჩა ქალაქის შედარებით განაპირა ნაწილში მდებარეობს, ხშირად ახასიათებს დაბალი სიმჭიდროვის განაშენიანება, შესაძლოა კერძო სახლებით ან მცირე საწარმოებით.
- ანგისას ქუჩა: ამ ზონაში ანგისას ქუჩის ის მონაკვეთი იგულისხმება, რომელიც სამრეწველო ან სასაწყობო ზონებს ესაზღვრება, ასევე მიემართება ქალაქის გასასვლელისკენ და უშუალოდ უკავშირდება აეროპორტის ტერიტორიას.

- რელიეფი: ტერიტორია უმეტესად დაბლობი და ბრტყელია, რაც განაპირობებს ხელსაყრელ პირობებს მსხვილი ლოგისტიკური, სამრეწველო და სატრანსპორტო (მათ შორის აეროპორტის) ობიექტების განთავსებისთვის. ნიადაგები, ისევე როგორც სხვა დაბლობ ზონებში, აქაც ალუვიური წარმოშობისაა, ძლიერი გავლენით მდინარე ჭოროხის ალუვიური კონუსისა (საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო, 2025). ჭოროხის სიახლოვე და მისი შესართავი შავ ზღვასთან გავლენას ახდენს სანაპირო ზოლის მორფოდინამიკასა და გრუნტის წყლების დონეზე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, n.d.).

ფუნქციური დატვირთვა

მეოთხე ზონის ფუნქციური დატვირთვა მკვეთრად განსხვავდება წინა ზონებისგან და მოიცავს ძირითადად ინდუსტრიულ, ლოგისტიკურ, სატრანსპორტო და დაბალი სიმჭიდროვის საცხოვრებელ ფუნქციებს:

- საჰაერო ტრანსპორტის კერა: ზონის უმნიშვნელოვანესი ფუნქციური ელემენტია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (BAT), რომელიც ემსახურება როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო გადაზიდვებს (საქართველოს აეროპორტების გაერთიანება, 2025). აეროპორტის არსებობა განაპირობებს მიმდებარე ტერიტორიის სპეციფიკურ დატვირთვას, მათ შორის ლოგისტიკური კომპანიების, სასაწყობო მეურნეობების, ავტოსერვისებისა და სასტუმროების არსებობას, რომლებიც ემსახურება აეროპორტის მომხმარებლებს.
- ინდუსტრიული და ლოგისტიკური ფუნქცია: ეს ზონა მოიცავს საწარმოო ობიექტებს, სასაწყობე მეურნეობებს, ლოგისტიკურ ცენტრებს და მსგავს ინფრასტრუქტურას, რაც დიდწილად დაკავშირებულია აეროპორტის სიახლოვესთან და ქალაქის შესასვლელ-გასასვლელ გზებთან. მდინარე ჭოროხის სიახლოვე, ისტორიულად, ხელს უწყობდა სამრეწველო საქმიანობას, მათ შორის გადამამუშავებელ საწარმოებს.
- საცხოვრებელი ფუნქცია: საცხოვრებელი განაშენიანება ამ ზონაში ძირითადად წარმოდგენილია კერძო სახლებითა და დაბალსართულიანი კორპუსებით. აქ ნაკლებად გვხვდება მაღლივი, თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსები, რაც

განასხვავებს მას მეორე და მესამე ზონებისგან. ეს არის ქალაქის ის ნაწილი, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე შედარებით დაბალია და ურბანული გარემო უფრო მეტად გარეუბნის ხასიათს ატარებს. აეროპორტთან სიახლოვე ხშირად ნიშნავს ხმაურის გაზრდილ დონეს, რაც გავლენას ახდენს საცხოვრებელი გარემოს ხარისხზე.

ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ქსელი

- საგზაო ინფრასტრუქტურა: ზონა მოიცავს მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძებს, განსაკუთრებით იმ მონაკვეთებს, რომლებიც ქალაქის შესასვლელ-გასასვლელებს წარმოადგენს. ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა (მისი აღმოსავლეთი ნაწილი) და ანგისას ქუჩა წარმოადგენს ძირითად სატრანზიტო არტერიებს, რომლებიც აკავშირებენ ბათუმს მაგისტრალურ გზებთან (მათ შორის სარფის საზღვართან) და უშუალოდ აეროპორტთან. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ამ ზონაშიც ხელმისაწვდომია, თუმცა შესაძლოა ნაკლები სიხშირით, ვიდრე ცენტრალურ ნაწილში.
- კომუნალური ინფრასტრუქტურა: ზონა უზრუნველყოფილია ძირითადი კომუნალური სერვისებით (წყალმომარაგება, კანალიზაცია, ელექტროენერგია, გაზი), თუმცა ძველი ნაგებობების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო იყოს ინფრასტრუქტურის განახლება. აეროპორტის ფუნქციონირება მოითხოვს სპეციფიკურ ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას.
- მდინარე ჭოროხის გავლენა: მდინარე ჭოროხი მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს. მისი შესართავი შავ ზღვასთან გავლენას ახდენს სანაპირო ზოლის ეროზიულ-აკუმულაციურ პროცესებზე და წარმოადგენს წყლის რესურსს. მიუხედავად ამისა, მდინარის სანაპირო ზოლები ამ მონაკვეთში ნაკლებად არის რეკრეაციულად განვითარებული და უფრო მეტად ინდუსტრიულ ან სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენება.
- გამწვანება და რეკრეაციული სივრცეები: ამ ზონაში გამწვანება ნაკლებად ურბანიზებული ხასიათისაა. არ გვხვდება დიდი, ორგანიზებული ბულვარები ან პარკები, როგორც ცენტრალურ ზონებში. გამწვანება უფრო მეტად

წარმოდგენილია კერძო ეზოებში, მიწის ნაკვეთებზე ან გზის პირებზე არსებული ხეებით. რეკრეაციული სივრცეები შეზღუდულია და არ არის ისეთი ინტენსიური, როგორც ტურისტულ ზონებში. აეროპორტის გარშემო არსებობს გარკვეული შეზღუდვები სიმაღლისა და გამწვანების ტიპზე.

ურბანული მორფოლოგია და არქიტექტურა

მეოთხე ზონის ურბანული მორფოლოგია ხასიათდება დაბალი სიმჭიდროვის განაშენიანებითა და შერეული ტიპის შენობებით, სადაც დომინანტურია ფუნქციური, არადეკორატიული არქიტექტურა:

- კერძო სახლები: განსაკუთრებით ლორთქიფანიძის, ელიავას და ანგისას ქუჩების აღმოსავლეთ მონაკვეთებზე.
- მცირე ზომის საცხოვრებელი კორპუსები: ხშირად საბჭოთა პერიოდის ან 90-იანი წლების მშენებლობები.
- სამრეწველო და სასაწყობო ნაგებობები: რაც ამ ზონის ფუნქციურ დანიშნულებას უსვამს ხაზს.
- ტრანზიტული ინფრასტრუქტურა: გზები, გზაჯვარედინები, ავტოსერვისები, ბენზინგასამართი სადგურები, რომლებიც ემსახურება აეროპორტის ტრაფიკს და სატრანზიტო გზებს.

ეს არქიტექტურული მრავალფეროვნება ასახავს ზონის გარდამავალ ხასიათს და მის განსხვავებულ ფუნქციურ დანიშნულებას ქალაქის ძირითადი ტურისტული და საცხოვრებელი ზონებისგან, სადაც აეროპორტი და მდინარე ჭოროხი საკვანძო გეოგრაფიულ და ინფრასტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ.

3.2.5 კვლევის შედეგები და ანალიზი: ბათუმის სანაპირო ზონის ურბანული ტრანსფორმაცია ლურჯი ეკონომიკის ჭრილში, სამშენებლო სექტორის დინამიკა და მდგრადი განვითარების გამოწვევები

წინამდებარე კვლევამ მიზნად დაისახა ქალაქ ბათუმის სანაპირო ზონის კომპლექსური ურბანული სტრუქტურის შესწავლა და მისი განვითარების ტენდენციების იდენტიფიცირება „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციის ფონზე. როგორც ვიცით „ლურჯი

ეკონომიკა“ გულისხმობს ოკეანისა და ზღვის რესურსების მდგრად გამოყენებას ეკონომიკური ზრდის, გაუმჯობესებული საარსებო წყაროებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად, საზღვაო ეკოსისტემის ჯანსაღად შენარჩუნების პირობებში (მსოფლიო ბანკი, 2017). ამ ჭრილში, ბათუმის სანაპირო ზონის ოთხი გამოყოფილი ფუნქციური ზონის ანალიზი, Korter.ge-ს (2024) მონაცემებთან, ბათუმის გენერალური გეგმის კონცეფციასთან (სალუქვაძე, 2023) და ხელოვნური კუნძულის პროექტთან დაკავშირებულ დისკუსიებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ არსებითი დასკვნები ქალაქის განვითარების დინამიკაზე, გამოვლენილ გამოწვევებსა და სამომავლო დაგეგმარების პერსპექტივებზე „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპებთან მიმართებით.

ბათუმის სანაპიროს ოთხი ფუნქციური ზონა ასახავს ქალაქის ურბანული განვითარების მრავალფეროვან ფაზებსა და მიმართულებებს, რომელთაგან თითოეული განსხვავებულად უკავშირდება „ლურჯი ეკონომიკის“ პოტენციალს:

პირველი ზონა ისტორიულ-ცენტრალური კულტურულ-რეკრეაციული ბირთვი. ეს ზონა, ისტორიული არქიტექტურითა და ბათუმის ბულვარის სიახლოვით, უშუალოდ უკავშირდება სანაპირო ტურიზმის ასპექტს „ლურჯი ეკონომიკაში“. აქ განვითარების ტენდენცია მიმართულია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და ტურისტული სერვისების დახვეწისკენ, რაც ზღვისპირა სივრცის ესთეტიკურ და რეკრეაციულ ღირებულებას ზრდის.

მე-2 ზონა შერეული განვითარების ურბანული საცხოვრებელ-კომერციული ცენტრი. ეს ზონა წარმოადგენს ქალაქის მზარდ საცხოვრებელ და კომერციულ სივრცეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი პირდაპირი კავშირი „ლურჯ ეკონომიკასთან“ ნაკლებად თვალსაჩინოა, ის უზრუნველყოფს სამუშაო ძალისა და მომსახურების სექტორის მხარდაჭერას, რაც აუცილებელია „ლურჯი ეკონომიკის“ სხვა დარგების (მაგალითად, ტურიზმის, საზღვაო ტრანსპორტის) ფუნქციონირებისთვის.

მე-3 ზონა "ახალი ბათუმის" მაღალი სიმკვრივის ტურისტულ-საინვესტიციო ცენტრი. ამ ზონის თანამედროვე, მაღლივი არქიტექტურა და მასშტაბური საინვესტიციო პროექტები პირდაპირ ემსახურება მასობრივი ტურიზმის განვითარებას. ეს არის

„ლურჯი ეკონომიკის“ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სექტორი ბათუმში, რომელიც დიდ შემოსავლებსა და სამუშაო ადგილებს ქმნის, თუმცა მისი სწრაფი და ინტენსიური განვითარება მოითხოვს მდგრადობის პრინციპების მკაცრ დაცვას, რათა ავიცილოთ ზღვის ეკოსისტემაზე ნეგატიური გავლენა.

მე-4 ზონა პერიფერიული ლოგისტიკურ-სამრეწველო და სატრანსპორტო ზონა. ეს ზონა გადამწყვეტ როლს ასრულებს „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარებაში, ვინაიდან აქ კონცენტრირებულია ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი და პორტის ინფრასტრუქტურა. საზღვაო ლოგისტიკა, საკრუიზო გადაზიდვები, გემთშეკეთება და სხვა საზღვაო-სატრანსპორტო სერვისები „ლურჯი ეკონომიკის“ ამ ზონაში დომინანტურ ფუნქციებს წარმოადგენს. ამ ზონის განვითარება პირდაპირ უკავშირდება საქართველოს როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საკომუნიკაციო დერეფნის როლის გაძლიერებას, განსაკუთრებით „გზისა და სარტყლის ინიციატივის“ (Belt and Road Initiative) კონტექსტში.

უძრავი ქონების პლატფორმის, Korter.ge-ს (2024) მონაცემებით, ქალაქი ბათუმი თბილისის შემდგომ მეორე პოზიციაზეა მშენებარე პროექტების რაოდენობით საქართველოში. 2024 წლის მაისში ბათუმში 221 მშენებარე პროექტი ფიქსირდება, რაც 2023 წლის ოქტომბრის მაჩვენებელს 79 პროექტით აღემატება. ეს მაჩვენებლები მიუთითებს სამშენებლო სექტორის განსაკუთრებულ აქტიურობაზე, რაც დიდწილად განპირობებულია „ლურჯი ეკონომიკის“ ტურისტული და საინვესტიციო კომპონენტებით. დეველოპერი კომპანიები, როგორებიცაა ორბი ჯგუფი, გუმბათი ჯგუფი, ნექსთ გრუპი, ალიანს გრუპი და სხვები, ძირითადად აქტიურობენ მეორე და მესამე ზონებში, სადაც მაღალი სიმჭიდროვის საცხოვრებელი და აპარტოტელები შენდება.

2023-2025 წლების რუკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფუნქციურ ზონებში (როგორც 2023 ისე 2025 წელს) მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და სერიოზულ ზეწოლას განიცდის სანაპირო ხაზი. ახალი შენობების დასრულების თარიღად კი უახლესი მომავალი -2028 წელია განსაზღვრული.



რუკა 1: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობის დასრულების თარიღი
რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი



რუკა 2: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობის დასრულების თარიღი
რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

რუკა 3: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა
რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი



რუკა 4: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა
რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაციის საფუძველსა და 2023-2025 წლების კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფუნქციურ ზონებში ყველაზე მეტად 2023 წელს ქ. ბათუმში მე-3 ზონაა დატვირული, აღსანიშნავია

ისიც, რომ 2025 წელს ახალი მშენებლობების ტრაექტორია შეიცვალა და სანაპირო ხაზიდან გარეუბნებისკენ გადაინაცვლა.

შენობების სართულიანობას რაც შეეხება, ქალაქი ბათუმი გამოირჩევა მაღალსართულიანი შენობებით. საშუალოდ ახალ შენობებში სართულიანობა 30-45 აღწევს.

რუკა 5: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა



რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

რუკა 6: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში შენობების სართულიანობა



რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

ოთახების რაოდენობა კი მიმდინარე პროექტებში საშუალოდ 1000-დან 2000-ის ფარგლებში მერყეობს.

რუკა 7: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში ოთახების რაოდენობა



რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

რუკა 8: 2025 წელს ფუნციურ ზონებში ოთახების რაოდენობა



რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

საინტერესოა უძრავი ქონების ფასების დინამიკაც 2023-2025 წლის უძრავი ქონების სტატისტიკური მაჩვენებლებით, რომლებიც თითქმის გაორმაგდა გასულ წლებთან

მიმართებით. 2024-2025 წლების მონაცემების მიხედვით, უძრავი ქონების ღირებულება ქალაქ ბათუმში 1500-3000 დოლარის ექვივალენტს უტოლდება.

რუკა 9: 2023 წელს ფუნქციურ ზონებში კვ.მ ღირებულება

რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი

რუკა 10: 2025 წელს ფუნქციურ ზონებში კვ.მ ღირებულება

რუკა ჩვენ მიერაა შედგენილი



უძრავი ქონების ღირებულების მკვეთრი ზრდა პირდაპირ კავშირშია „ლურჯი ეკონომიკის“ ტურისტული სექტორის განვითარებასთან. უძრავ ქონებაზე ფასები სწორედ მესამე ზონის ელიტარულ კომპლექსებში ფიქსირდება, სადაც ზღვის ხედი და ახალ ბულვართან სიახლოვე უძრავი ქონების ღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. ეს ტენდენცია მიუთითებს საინვესტიციო მიმზიდველობაზე, თუმცა ასევე აჩენს კითხვებს ურბანული სივრცის რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და სოციალურ ხელმისაწვდომობაზე „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადი განვითარების კონტექსტში.



რუკა 11: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2005წ



რუკა 12: ქალაქ ბათუმის განაშენიანება 2025წ

3.2.6 ბათუმის გენერალური გეგმის კონცეფცია და „ლურჯი ეკონომიკის“ სტრატეგიული ხედვა

ბათუმის სივრცის განვითარებისა და გენერალური გეგმის კონცეფცია (სალუქვაძე, 2023), „ზღვაში არეკლილი ქალაქის კონცეფციით“ ინტეგრირებს „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპებს ოთხ ძირითად მიმართულებაში: თანაბრად განვითარებული, მულტიფუნქციური, მწვანე და მედეგი, უსაფრთხო ქალაქი.

გენერალური გეგმის „მულტიფუნქციური ქალაქის“ კონცეფცია პირდაპირ გულისხმობს „ლურჯი ეკონომიკის“ სხვადასხვა სექტორის ინტეგრაციას ქალაქის განვითარებაში. ის ხაზს უსვამს ბათუმის საზღვაო-საპორტო ფუნქციის შენარჩუნება-განვითარების კრიტიკულ მნიშვნელობას, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური ძვრებითა და „გზისა და სარტყლის ინიციატივის“ აქტივობებით (სალუქვაძე, 2023). ეს სტრატეგიული მიმართულება ადასტურებს მეოთხე

ზონის გადამწყვეტ როლს ქალაქის ეკონომიკურ მდგრადობაში, სადაც საზღვაო ლოგისტიკა და ტრანზიტი „ლურჯი ეკონომიკის“ ბირთვულ ელემენტებს წარმოადგენს.

„ლურჯი ეკონომიკის“ ეგიდით ბათუმისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებად მოიაზრება სანაპირო და საზღვაო ტურიზმი (რაც მოიცავს ზონა 1, 2, 3-ის განვითარებას), მეთევზეობა და აკვაკულტურის მეურნეობა, საზღვაო და საკრუიზო გადაზიდვების ინტენსიფიკაცია, საზღვაო ბიოტექნოლოგიების განვითარება და გემთშეკეთება. ეს მრავალფეროვანი მიმართულებები მიზნად ისახავს ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და ზღვის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას.

3.2.7 ხელოვნური კუნძულის პროექტი: „ლურჯი ეკონომიკის“ პერსპექტივები და პარადოქსები

ბათუმის ხელოვნური კუნძულის პროექტი წარმოადგენს „ლურჯი ეკონომიკის“ ინვესტიციური ასპექტის ყველაზე მასშტაბურ გამოხატულებას ქალაქში, ის მოიაზრება, როგორც „რეგიონული მნიშვნელობის“ გასართობ-გამაჯანსაღებელი რეზორტული ტიპის ულტრათანამედროვე კომპლექსი, რომელიც ბათუმის „საერთაშორისო დონის მიმართულებად“ გარდაქმნის პოტენციალს ფლობს (არაბიძე, 2024); პროექტის ინიციატორები ხაზს უსვამენ ჩატარებულ წინასაპროექტო კვლევებსა და სტრუქტურულ მდგრადობას.

თუმცა, ამ პროექტის მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი კრიტიკა, „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადობის პრინციპებიდან გამომდინარე. გარემოსდამცველები, მათ შორის, იქტიოლოგი არჩილ გუჩმანიძე, აცხადებს, რომ პროექტი მხოლოდ „ვიწრო, მერკანტილურ ინტერესებს ემსახურება“ და „დააზიანებს ბათუმის პორტს და ბათუმის უბეს, მთლიანად გაანადგურებს ამ მონაკვეთს და სერიოზულ რისკებს შექმნის ზღვისპირეთში ტურიზმის განვითარების კუთხით იმიტომ, რომ ნავთობით დაბინძურების და ეკოლოგიური ზიანის სერიოზულ რისკებს ქმნის“ (გუჩმანიძე, 2024). ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება „ლურჯი ეკონომიკის“ ფუნდამენტურ პრინციპს – ეკოსისტემის ჯანსაღად შენარჩუნებას.

არქიტექტორ-მგეგმარებელი გიორგი აბაშიძე აფასებს (ლორთქიფანიძე, 2024) კუნძულის გავლენას ქალაქის ეკოლოგიურ, სოციალურ და ურბანულ რეალობაზე. მისი მოსაზრებით, „უზარმაზარი ჩამკეტი შენობები“ ზღვის ვიზუალურ აღქმას შეცვლის

ქალაქის სიღრმეში, რაც „უფლებების შელახვაა“. ის ასევე ეჭვქვეშ აყენებს პროექტის ეკონომიკურ რაციონალურობას პატარა ქალაქისთვის და გვაფრთხილებს, რომ კუნძულის მოვლა-პატრონობა დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და კონკურენციას გაუწევს არსებულ ტურისტულ ინფრასტრუქტურას (ზონა 3-ში არსებული მრავალსართულიანი შენობები), რომლის ათვისებაც სრულად ვერ ხერხდება. სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით, აბაშიძე აღნიშნავს, რომ ბათუმის სწრაფ ზრდას უკვე მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის დაკარგვა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების შეფერხება, რამაც შესაძლოა მსგავსი მასშტაბის პროექტების შედეგად ქალაქში „რღვევა“ გამოიწვიოს.

აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური კუნძული თითქოს ემსახურება „ლურჯი ეკონომიკის“ ტურისტულ და საინვესტიციო მიზნებს, მისი დაგეგმარება და განხორციელება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მდგრადობის, გარემოს დაცვისა და სოციალური თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც „ლურჯი ეკონომიკის“ ქვაკუთხედია.

3.2.8 კვლევის შედეგების ანალიზი და „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპების კვეთა

კვლევის შედეგები, სამშენებლო სექტორის დინამიკის მონაცემებთან, გენერალური გეგმის ხედვებსა და ხელოვნური კუნძულის პროექტის ირგვლივ არსებულ დისკუსიებთან ერთად, ავლენს ბათუმის სანაპირო ზონის ურბანული განვითარების კომპლექსურ ხასიათს „ლურჯი ეკონომიკის“ კონტექსტში:

ფუნქციური დიფერენციაცია და „ლურჯი ეკონომიკის“ სექტორები: ზონირების შედეგად გამოვლენილი ფუნქციური სპეციალიზაცია – ტურიზმი ზონა 1, 2, 3-ში და ლოგისტიკა/პორტი ზონა 4-ში – პირდაპირ ესადაგება „ლურჯი ეკონომიკის“ მრავალფეროვან სექტორებს. გენერალური გეგმა, „მულტიფუნქციური ქალაქის“ პრინციპით, სწორედ ამ დივერსიფიკაციას უჭერს მხარს, რაც აუცილებელია ქალაქის ეკონომიკური მდგრადობისთვის.

ურბანული გაფართოება და საინვესტიციო ზეწოლა: Korter.ge-ს მონაცემები სამშენებლო ბუმის შესახებ აჩვენებს ინვესტიციების კონცენტრაციას ზღვისპირა

ზონებში, განსაკუთრებით ზონა 3-ში. მიუხედავად ეკონომიკური სარგებლისა, ეს სწრაფი და მაღალი სიმკვრივის განაშენიანება ქმნის ზეწოლას სანაპირო ეკოსისტემაზე და მოითხოვს „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადობის პრინციპების მკაცრ დაცვას – ეკონომიკური ზრდა არ უნდა მიდიოდეს გარემოს ხარჯზე.

ხელოვნური კუნძულის პროექტის რისკები „ლურჯი ეკონომიკის“ თვალსაზრისით: მიუხედავად დეველოპერის პრეტენზიებისა, რომ პროექტი „რეგიონული მნიშვნელობისაა“, ექსპერტთა კრიტიკა სერიოზულად აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ მის შესაბამისობას „ლურჯი ეკონომიკის“ ფუნდამენტურ პრინციპებთან. ეკოლოგიური ზიანი (დაბინძურება, ეკოსისტემის განადგურება) და პორტის ფუნქციონირებაზე პოტენციური ნეგატიური გავლენა პირდაპირ ეწინააღმდეგება ზღვის რესურსების „მდგრად გამოყენებას“ და „ზღვის ეკოსისტემის ჯანსაღად შენარჩუნებას“. გარდა ამისა, სოციალურ-ურბანული გამოწვევები (ვიზუალური დაბინძურება, კონკურენცია არსებულ ინფრასტრუქტურასთან, სოციალური დისბალანსი) გვაფიქრებინებს, რომ პროექტი შესაძლოა არ ემსახურებოდეს „გაუმჯობესებული საარსებო წყაროებისა და სამუშაო ადგილების შექმნას“ ფართო სოციალური კონტექსტში. ეს ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ მსგავსი მასშტაბის პროექტები შეფასდეს არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლიანობით, არამედ მათი სრული ზემოქმედებით „ლურჯი ეკონომიკის“ ყველა განზომილებაზე.

სურათი 12: ბათუმში მიმდინარე ხელოვნური კუნძულის რენდერი

სურათი 13: ხელოვნური კუნძულის მიმდინარე სამუშაოები



გარემოსდაცვითი ასპექტები და „მწვანე და მედეგი ქალაქის“ პრინციპი: „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფცია მოითხოვს ნაპირდაცვითი საქმიანობის გაძლიერებას და

ნახშირბადის სეკვესტრირებას, რაც აუცილებელია ბათუმის სანაპირო ზონისთვის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მეოთხე ზონა აეროპორტის ხმაურითა და მდინარე ჭოროხის ალუვიური კონუსის გავლენით ხასიათდება. გენერალური გეგმის „მწვანე და მედეგი ქალაქის“ პრინციპი გადამწყვეტია ამ გამოწვევების დასაძლევად და „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

3.2.9 დასკვნები და რეკომენდაციები „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების კონტექსტში

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის სანაპიროს ზონირება არის ეფექტური ინსტრუმენტი ქალაქის კომპლექსური ურბანული ლანდშაფტის გასააზრებლად „ლურჯი ეკონომიკის“ ჭრილში. მიღებული მონაცემები, Korter.ge-ს სტატისტიკასთან, გენერალური გეგმის ხედვებსა და ხელოვნური კუნძულის პროექტის ირგვლივ არსებულ დისკუსიებთან ერთად წარმოადგენს მყარ საფუძველს სამომავლო ურბანული დაგეგმარებისთვის, რაც უნდა მოიცავდეს:

- ✓ თითოეული ზონის სპეციფიკური საჭიროებების ინტეგრირებას „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების სტრატეგიებში, სადაც ტურიზმი, ლოგისტიკა, მეთევზეობა და სხვა საზღვაო დარგები ჰარმონიულად თანაარსებობენ.
- ✓ მდგრადი ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტიზაციას, რომელიც გაითვალისწინებს როგორც ეკონომიკურ სარგებელს, ისე გარემოსდაცვით და სოციალურ გავლენას. ეს მოიცავს როგორც ძველი ინფრასტრუქტურის განახლებას, ისე ახალი მშენებლობების (მათ შორის ზონა 3-ში) ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას.
- ✓ გარემოსდაცვითი რისკების მართვის გაძლიერებას, განსაკუთრებით სანაპირო ეროზიის, ხმაურის დაბინძურებისა და წყლის რესურსების ხარისხის კონტროლის მიმართულებით. ნაპირდაცვითი საქმიანობა და ნახშირბადის სეკვესტრირება უნდა გახდეს „ლურჯი ეკონომიკის“ დაგეგმარების განუყოფელი ნაწილი.
- ✓ მკაფიო ურბანული რეგულაციების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიული ზონის (ზონა 1) დაცვას და ახალი, მაღალი სიმჭიდროვის მშენებლობების (ზონა 3) ჰარმონიულ ინტეგრაციას ქალაქის ლანდშაფტში, „ლურჯი ეკონომიკის“ ვიზუალური ასპექტების გათვალისწინებით.

- ✓ უძრავი ქონების ბაზრის მუდმივ მონიტორინგს, ფასების დინამიკის, შენობების სართულიანობისა და ბინების რაოდენობების დეტალურ ანალიზს, რათა ურბანული პოლიტიკა იყოს ადაპტირებული მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებთან, თავიდან ავიცილოთ გადატვირთვა და უზრუნველვყოთ საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა.
- ✓ ხელოვნური კუნძულის მსგავსი მასშტაბური პროექტების ყოვლისმომცველ და დამოუკიდებელ შეფასებას, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, სოციალურ და ურბანულ ზემოქმედებას „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადობის პრინციპებთან მიმართებით. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი პროექტები ემსახურებოდეს არა მხოლოდ ინვესტორთა ინტერესებს, არამედ ქალაქის გრძელვადიან განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობას.
- ✓ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და ექსპერტთა ჩართულობის გაზრდას ურბანული დაგეგმარების პროცესებში, რათა უზრუნველვყოთ გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობა და გათვალისწინებული იყოს მრავალმხრივი პერსპექტივები „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპების ეფექტურად დანერგვისთვის.

3.3 მთავარი ეკოსისტემური სერვისები საქართველოს სანაპირო ზონისთვის, ზეწოლა და რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ლურჯი ეკონომიკის განვითარებას

ნაშრომის ამ ნაწილში განვსაზღვრეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაზე ეკოსისტემური სერვისების პრიორიტეტულობა, გამოვავლინეთ ძირითადი ზეწოლა და რისკები, ძირითადი გამოწვევები და დაბრკოლებები, რომელებიც ხელს უშლის ლურჯი ეკონომიკის დანერგვას შავ ზღვაზე (ბათუმის მაგალითზე) სოციალურ, გარემოსდაცვით, ეკონომიკურ, საკანონმდებლო და ტექნოლოგიურ ჭრილში. განვსაზღვრეთ ის შესაძლებლობები, რომლებიც გვაქვს სანაპირო ტურიზმის, მეთევზეობის, აკვაკულტურის, აღდგენადი ენერგიის, საზღვაო ტრანსპორტის, ლურჯი ბიოეკონომიკისა და გარემოს დაცვის სექტორებში. შევაფასეთ ზღვისა და ხმელეთის ბიომრავალფეროვნება და ეკონომიკური განვითარების არსებული დონე ლურჯი

ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე. კვლევის ჩასატარებლად, რომელიც შავი ზღვის ყველა ქვეყნის საპილოტე არეალისთვის („ცოცხალი ლაბორატორიისთვის“ - საქართველოს შემთხვევაში ქ. ბათუმი) გამოვიყენეთ, განისაზღვრა კვლევის სამიზნე ჯგუფი: ქალაქ ბათუმში, სახელმწიფო, სამცნიერო/საგანმანათლებლო არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022).

ბიომრავალფეროვნება უზრუნველგვყოფს ყველა საჭირო რესურსით და გვთავაზობს რესურსებზე არანაკლებ მნიშვნელოვან სხვადასხვა სერვისს, რომელიც პირდაპირ განაპირობებს ჩვენს არსებობას. ზემოაღნიშნულ სერვისებს ეკოსისტემურ სერვისებს უწოდებენ. ეკოსისტემური სერვისების უკეთ გასაგებად შეგვიძლია არსებული სერვისები ოთხ ძირითად ჯგუფად დავყოთ, ესენია: უზრუნველმყოფი/მომარაგებითი, მარეგულირებელი, კულტურული და დამხმარე (Walter V. Reid, 2022) (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022).

უზრუნველმყოფი სერვისები წარმოადგენს იმ პროდუქტებს, რომლებიც ეკოსისტემებს პირდაპირ გვაწვდის. აღნიშნული სერვისები ერთიანდება სამ დიდ ჯგუფში: საკვები, ენერგია და ნივთიერებები; მარეგულირებელი სერვისები წარმოადგენს მნიშვნელოვანი და საბაზისო ფუნქციების კომპლექტს. კულტურული სერვისები არის ის არამატერიალური სარგებელი, რომელსაც ადამიანები ეკოსისტემებისგან იღებენ სულიერი, რელიგიური, შთამაგონებელი და საგანმანათლებლო სახით და ბოლოს, დამხმარე სერვისები, რომლითაც სარგებელს იღებენ სახეობები, რომლებისთვისაც ეკოსისტემა წარმოადგენს მუდმივ ან დროებით საბინადრო გარემოს, თავშესაფარს, საკვებისა და წყლის მოპოვების ადგილს (Walter V. Reid, 2022) (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022).

ცხრილი 18: ეკოსისტემური სერვისების კლასიფიკაცია

ეკოსისტემური სერვისების კლასიფიკაცია			
უზრუნველმყოფი სერვისები - ეკოსისტემიდან მიღებული	მარეგულირებელი სერვისები - ეკოსისტემური პროცესების რეგულირებით მიღებული სარგებელი	კულტურული სერვისები - ეკოსისტემიდან მიღებული არამატერიალური სარგებული	მხარდამჭერი სერვისები - სერვისები, რომლებიც ემსახურება ყველა დანარჩენ სერვისებს

• საკვებით უზრუნველყოფა (მეთევზეობა და აკვაკულტურა) • წყლის მარაგი და მისი უზრუნველყოფა • ბიოტური მასალები • საწვავი, ბოჭკო	• წყლის გაწმენდა • ჰაერის ხარისხის კონტროლი • წყალდიდობებისგან და შტორმისგან დაცვა • ეროზიის კონტროლი • კლიმატის რეგულირება ამინდის რეგულირება • ოკეანის კვება • სასიცოცხლო ციკლის შენარჩუნება • ბიოლოგიური რეგულირება • ადამიანის დაავადების კონტროლი	• სულიერი და რელიგიური • საგანმანათლებლო • რეკრეაცია და ეკოტურიზმი • შთამაგონებელი • ადგილის შეგრძნება • კულტურული მემკვიდრეობა	• ფოტოსინთეზი • პირველადი წარმოება • ნუტრიენტების, მკვებავი ნივთიერებების წრებრუნვა • გამძლეობა და წინააღმდეგობა • ბიოლოგიურად განპირობებული ჰაბიტატი

ემპირიული კვლევების შედეგები

ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლენილი წამყვანი ეკოსისტემური სერვისები ქალაქ ბათუმის მაგალითზე საქართველოსთვის შემდეგი თანმიმდევრობით გადანაწილდა: 1. საკვებით უზრუნველყოფა, 2.რეკრეაცია და ეკოტურიზმი და 3. საგანმანათლებლო სერვისები. მსგავსი შედეგები გამოიკვეთა ანალოგიური კვლევის შედეგად რუმინეთისთვისაც. ესენია: 1. მეთევზეობა და საზღვაო პროდუქტები, 2. ტურიზმი და ეკოტურიზმი და მესამე, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი სექტორი, ბიოლოგიური რეგულირება. (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022)

ეკოსისტემური სერვისების განვითარება თავის მხრივ დაკავშირებულია გარემოს ზეწოლასთან, რაც საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას. ჩვენი კვლევის შედეგად დაინტერესებული მხარეების მიერ გამოვლენილი ზეწოლიდან ქალაქ ბათუმში

გამოიკვეთა სანაპირო ზონის სწრაფი ურბანიზაცია, მყარი ნარჩენი (მარინლიტერი), დაბინძურება, ურბანული ჩამდინარე წყლები, მყარი ჩამონადენი, ტურიზმის უკონტროლო განვითარება, სანაპირო ზონაზე მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ინვაზიური სახეობების შემოსვლა, ჭარბი თევზრეწვა და სხვა შესაბამისად, გარემოსთვის მიყენებული რისკებიც სხვადასხვა სახისაა: ეროზია, ლანდშაფტის დეგრადაცია, ესტეტიკური ღირებულების დაკნინება, ზღვის ფსკერის/წყლის დაბინძურება, ბალანსის დარღვევა, საცხოვრებლის/ჰაბიტატის ცვლილება, ეუთროფიკაცია, მარინლიტერი, ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, თევზის მარაგის შემცირება და სხვა. (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022)

ცხრილი 19: ეკოსისტემური სერვისებისათვის გამოვლენილი ზეწოლა და თანმდევი რისკები

ეკოსისტემური სერვისებისათვის გამოვლენილი ზეწოლა და თანმდევი რისკები		
ეკოსისტემური სერვისი	გამოვლენილი ზეწოლა	იდენტიფიცირებული რისკი
უზრუნველმყოფი	გადაჭარბებული თევზაობა, ინვაზიური სახეობები, ჰაბიტატის დეგრადაცია, თევჭერის კულტურის ნაკლებობა და განათლების ნაკლებობა	ჩვენს წყლებში გარკვეული სახეობების გაქრობა, ეკო-ბიოლოგიური ბალანსის ცვლილება, „ლიპსიტის“ დაჭერა, რომელსაც, ერთი მხრივ, არავითარი კომერციული ღირებულება არ გააჩნდა და მეორე მხრივ ამცირებს ჩვენს ზღვაში არსებულ კონკრეტულ თევზის რესურსებს.
	მდინარის და ზღვის წყლის დაბინძურება, პანდემია, კლიმატის ცვლილება, ზღვის დონის აწევა, ბიოლოგიური რეგულაცია	თევზის სახეობების შემცირება ან/და გაქრობა, ზღვის სანაპიროს დაკარგვა, სათევზაო გემებისთვის ბურჯების აშენების სირთულე თევზაობის პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა
კულტურული	სანაპირო ზოლის ხელოვნურიზაცია, უცხოელი მუშახელის შემოდინება, დაბალი	ჭარბმოსახლეობა, მასობრივი ტურიზმი, არასაკმარისი ცოდნა, ზღვის სანაპირო წყლების

	(საბიუჯეტო) ხარისხის ტურიზმი, საგანმანათლებლო საკითხები - სანაპირო ზონის მცხოვრებთა სოციალური პასუხისმგებლობის ნაკლებობით.	დაბინძურება პლასტმასით და სხვა ხელოვნური მასალებით, გენტრიფიკაცია, ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის დაქვეითება, ესთეტიკური ღირებულების დაკარგვა
მხარდამჭერი	მყარი ნარჩენები, დაბინძურება, ნარჩენების არაეფექტური მართვა, ევტროფიკაციის გავლენა პირველად წარმოებაზე, კლიმატის ცვლილება (ტემპერატურა და მჟავიანობა)	ზემოქმედება ურბანულ გარემოზე (სანაპირო წყალდიდობა), ევტროფიკაცია, ენდემური სახეობების გადაგვარება

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი საჭიროებები და შესაძლებლობები სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით, ტექნოლოგიურ და ადმინისტრაციულ/პოლიტიკურ ჭრილში რაც, აბრკოლებს ლურჯი ეკონომიკის განვითარებას საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაზე. (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022)

კვლევის შედეგად გამოკვეთილი სოციალური გამოწვევები მრავალ ასპექტს ფარავს და ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კონფლიქტები, არასრული კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის, მწვავედ დგას უმუშევრობის საკითხი, გენტრიფიკაციის გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე, გარე/უცხოელი სამუშაო ძალის შემოდინება, ჭარბი ინდუსტრიალიზაცია (დაბინძურების წყარო), გადაჭარბებული თევზაობა/ჭარბი თევზრეწვა (ზოგიერთი სახეობის გაქრობა), ზღვის დონის აწევა და სანაპიროს დატბორვა, სანაპირო ეროზია, მდინარის, ზღვის და პლაჟის ნაგავი, არასაკმარისად განვითარებული სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვის არასაკმარისი ღონისძიებები (ნაპირის დაცვა, ეროზიული პროცესები და ა.შ.), ძალიან დიდი ზეწოლა სანაპირო ზონებზე, გადაწყვეტილებების მიღება სათანადო დოკუმენტის /ან/და რაიმე გზშ-ს გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებთან შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად, დაბალია არსებული

კანონების, რეგულაციების შესრულება და ინსტიტუციებს შორის კოორდინაცია, არსებული საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022).

რაც შეეხება სოციალურ საჭიროებებს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი პროდუქტების ან/და საწარმოების ნაკლებობა; სანაპირო ზოლის პრივატიზაციის საჭიროება; კვალიფიციური კადრების დეფიციტი, საზღვაო ეკონომიკისა და ეკოლოგიის სფეროში ცოდნის ნაკლებობა, მოსახლეობის ინფორმირებულობის ნაკლებობა გარემოსდაცვით და „ლურჯი ეკონომიკის“ საკითხებში; ენერგოეფექტური მექანიზმების ნაკლებობა: 1) „ქარის ელექტროსადგურის მრავალსიჩქარიანი ქარის ტურბინა“. მიმართულება - ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი ენერგიის წყაროები; 2) „ენერგოეფექტური ძრავის შექმნა ელექტროჰიდრავლიკური ეფექტის გამოყენებით“, საზღვაო კვლევის ინფრასტრუქტურის საჭიროება და ფინანსური მხარდაჭერა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე; სანაპირო ჰაბიტატებთან დაკავშირებული ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, სანაპირო ჰაბიტატის აღდგენის ინიციატივების საჭიროება; მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის სათანადო განათლებითა და საჭირო უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფა; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022).

გარემოსდაცვითი საჭიროებებიდან გამოიკვეთა:

- ✓ საქართველოს კონტროლირებად საზღვაო მონაკვეთზე სხვადასხვა მონაცემების გასაზომად ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის არარსებობა (როგორიცაა მყარი ნარჩენები/მარინლიტერი, თევზის რესურსი, ზღვის წყლის ქიმიური კონსისტენცია და ა.შ.);
- ✓ სპეციალისტების ნაკლებობა გარემოს დაცვის სფეროში;
- ✓ დაბინძურებული ზღვის სანაპირო;

ეკონომიკურიდან:

- ✓ დაბალი შემოსავლები
- ✓ საზღვაო კვლევების არასაკმარისი დაფინანსება
- ✓ არასათანადო ბიუჯეტირება

ტექნოლოგიურიდან:

- ✓ გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები განუვითარებელია, საჭიროა სანაპირო და საზღვაო ობსერვატორია
- ✓ დაბალია ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დონე;
- ✓ სხვადასხვა მონაცემების სტატისტიკა მწირია და მიუწვდომელია, მონიტორინგი სუსტია;
- ✓ ფინანსები არასაკმარისია და მათი განკარგვა ხდება არასწორად, რაც ვერ უზრუნველყოფს დაფიქსირებული პრობლემების აღმოფხვრას.

პოლიტიკური/სამთავრობო/ადმინისტრაციულიდან:

- ✓ განახლებადი ენერგიის ხელშეწყობა საკანონმდებლო დონეზე;
- ✓ სანაპირო ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ჩარჩო დირექტივა, რომელსაც ყველა ქვეყანა ექვემდებარება (მელიქიძე & ს.კობაიძე, 2022)

სტრატეგიული კვლევების და ინოვაციების დღის წესრიგის დოკუმენტის მიხედვით ჩატარებული კვლევის შეფასება საქართველოსთვის

დღის წესრიგის დოკუმენტში იდენტიფიცირებულია 4 ძირითადი საფუძველი:

· შავი ზღვის ფუნდამენტური კვლევის გამოწვევებზე რეაგირება –„შავი ზღვის ცოდნის ხიდი"; (ექსპერტთა ჯგუფი, 2020)

· შავი ზღვის ლურჯი ზრდისთვის პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და კლასტერების ჩამოყალიბება – „შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა"; (ექსპერტთა ჯგუფი, 2020)

· კრიტიკული მხარდაჭერის სისტემებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურების შექმნა – „ძირითადი ერთობლივი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკის ინსტრუმენტები"; (ექსპერტთა ჯგუფი, 2020)

· განათლება და შესაძლებლობების შექმნა – „გაძლიერებული მოქალაქეები და გაძლიერებული სამუშაო ძალა". (ექსპერტთა ჯგუფი, 2020)

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა/გამოიკვეთა „სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი-ს" დოკუმენტის საქართველოს შესაბამისი პრიორიტეტებიც:

პირველი საფუძველის მიხედვით საქართველოსთვის ესაა:

- ✓ რეაგირება შავი ზღვის მთავარ გამოწვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია ევთროფიკაციასთან, დეოქსიგენიზაციასთან, უცხო სახეობებთან, ახალ დამბინძურებლებთან, ნარჩენებთან.
- ✓ ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების წყაროების რაოდენობრივი შეფასება, მათ შორის, მდინარის წყალშემკრებების, ატმოსფეროს, საზღვაო საქმიანობის ზემოქმედების შეფასება, რათა დადგინდეს შავ ზღვაზე ფართომასშტაბიანი ზემოქმედების მქონე ფაქტორები და პროცესები (მდინარე-ზღვა და ატმოსფერო-ჰიდროსფერო ურთიერთქმედების ჩათვლით) და მესამე პრიორიტეტი აღნიშნული მიმართულებით გახლავთ:
- ✓ სანაპირო საფრთხეების კვლევა: ეროზია, წყალქვეშა მეწყერები, ზღვის დონის ზრდა, დატბორვა, ექსტრემალური მოვლენები და კლიმატის ცვლილებასთან კავშირები;

მეორე საფუძვლის - შავი ზღვის ლურჯი ზრდისთვის პროდუქტებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და კლასტერების ჩამოყალიბება – „შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა“ -მიხედვით საქართველოსთვის პრიორიტეტულია:

- ✓ მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის, პროგნოზირების, ხარჯსარგებლიანობის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზისთვის, პროექტების ინოვაციური და ტექნიკურ-ეკონომიკური პოტენციალის შეფასების მიზნით და
- ✓ ხმელეთსა და ზღვაზე საზღვაო ნარჩენების (მათ შორის, მიკროპლასტიკატების) მართვის ინოვაციური ტექნიკების შემუშავება და დანერგვა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად.

მესამე საფუძვლის - კრიტიკული მხარდაჭერის სისტემებისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურების შექმნა – „ძირითადი ერთობლივი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკის ინსტრუმენტები“ -მიხედვით საქართველოსთვის პრიორიტეტულია:

- ✓ შავ ზღვაზე სპეციალიზებული საზღვაო კვლევითი ინფრასტრუქტურის შექმნა და გაძლიერება, რაც დაეფუძნება არსებულ ევროპულ და საერთაშორისო ინიციატივებს და უზრუნველყოფს მიმდინარე პროექტებსა და კვლევით საქმიანობას შორის კავშირს.
- ✓ მონიტორინგის საერთო სტანდარტებისა და კვლევის ინფრასტრუქტურის განვითარება ინტეგრირებული სანაპირო და საზღვაო მართვისთვის, პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გადაწყვეტილებების მიმღებთა მხარდაჭერისას და
- ✓ აუზის მასშტაბით შეთანხმებული პროგრამების მხარდაჭერა საზღვაო კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და ღირებულების ზრდისთვის

მეოთხე საფუძვლის - განათლება და შესაძლებლობების შექმნა – „გაძლიერებული მოქალაქეები და გაძლიერებული სამუშაო ძალა“- მიხედვით საქართველოსთვის პრიორიტეტულია:

- ✓ ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების კოორდინირება (სასწავლო პროგრამები და სასწავლო გეგმები) სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის. ეს განაპირობებს მომავალი მკვლევრებისა და პროფესიონალებისთვის სპეციალიზებულ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და სამეცნიერო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას ლურჯი ზრდის ყველა სფეროში;
- ✓ რეგიონის საზოგადოებების განათლება შავი ზღვის უნიკალური ღირებულების შესახებ და რეგიონში სამოქალაქო მეცნიერების ხელშეწყობა ასევე
- ✓ მიზნობრივი ღონისძიებების მეშვეობით პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გადაწყვეტილებების მიმღებებთა ტრენინგი სანაპირო და საზღვაო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისა და მართვისთვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზანი თავის მხრივ ემსახურება ეკოსისტემური სერვისების დანერგვის ხელშეწყობას საქართველოში.

ანალიზი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განისაზღვრა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში ეკოსისტემური სერვისების პრიორიტეტულობა და გამოიკეთა ძირითადი ანთროპოგენული და ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ლურჯი ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ბათუმის მაგალითზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლინდა სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, საკანონმდებლო და ტექნოლოგიური ბარიერები, აგრეთვე, შესაძლებლობები, რომლებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს სანაპირო ტურიზმის, მეთევზეობის, აკვაკულტურის, განახლებადი ენერგიის, საზღვაო ტრანსპორტის, ლურჯი ბიოეკონომიკისა და გარემოს დაცვის სექტორების მდგრად განვითარებას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ბიომრავალფეროვნება კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს ეკოსისტემური სერვისების უწყვეტი მიწოდებისთვის, რაც ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური სტაბილურობის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს. ბათუმის სანაპირო ზონის კონტექსტში პრიორიტეტული ეკოსისტემური სერვისები მოიცავს საკვებით უზრუნველყოფას, რეკრეაციულ და ეკოტურისტულ სერვისებს, აგრეთვე, საგანმანათლებლო და კულტურულ ასპექტებს.

თუმცა, ეკოსისტემური სერვისების მდგრადი მართვის პროცესში არსებული გამოწვევები მრავალფეროვანია. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სანაპირო ზონაში სწრაფი ურბანიზაცია, საზღვაო ნარჩენების (marine litter) დაგროვება, ურბანული ჩამდინარე წყლების დაბინძურება, ინვაზიური სახეობების გავრცელება, ჭარბი თევზჭერა და კლიმატური ცვლილებები ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემურ ფუნქციონირებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, საჭიროა ინტეგრირებული და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული მმართველობითი მიდგომების იმპლემენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის შესაბამისად, განისაზღვრა ოთხი საკვანძო მიმართულება, რომლებიც ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონის მდგრად განვითარებას: (1) შავი ზღვის ფუნდამენტური ეკოლოგიური და ოკეანოგრაფიული კვლევების გაძლიერება, (2) ლურჯი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, (3) საზღვაო კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და (4) განათლებისა და კვლევითი შესაძლებლობების გაფართოება. საქართველოსთვის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს სანაპირო საფრთხეების კარტოგრაფირებას, საზღვაო ნარჩენების მართვის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, მონიტორინგის ჰარმონიზებული სტანდარტების შემუშავებას და ლურჯი ეკონომიკის სექტორში სპეციალიზებული განათლების განვითარებას.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ეკოსისტემური სერვისების მდგრადი მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია სამთავრობო, აკადემიურ, არასამთავრობო და კერძო სექტორების კოორდინირებულ თანამშრომლობაზე, ინტერდისციპლინური კვლევების გაძლიერებასა და ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ეკოსისტემური სერვისების გრძელვადიან მდგრადობასა და სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის მაქსიმიზაციას.

3.4 ლურჯი ეკონომიკის სექტორები, როგორც პასუხი არსებულ გამოწვევებზე

ბუნებრივი სამყარო წარმოადგენს ფიზიკურ გარემოს და მის შემადგენელ მინერალურ კომპონენტებსა და ბიომრავალფეროვნებას, რაც არსებითად სამ დონეზე (გენეტიკური, სახეობები, ეკოსისტემა) არის ურთიერთდაკავშირებული, შესაბამისად, რაც უფრო მრავალფეროვანი და პროდუქტიულია ბუნებრივი სისტემა, მით უფრო ძლიერია მათ შორის ურთიერთკავშირის ხარისხი.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ლურჯი ეკონომიკის ეფექტიანი დანერგვა მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის პროცესში უმნიშვნელოვანესია. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ეკონომიკური საქმიანობა პირდაპირ კავშირშია გარემოში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან. ლურჯი ეკონომიკის პრინციპების

დანერგვა წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, ხოლო მასში წარმოდგენილი კომპონენტები და საქმიანობის სფეროები დაფუძნებულია სწორედ აღნიშნულ გამოწვევებზე, რომლებიც მსოფლიო ზღვებისა და ოკეანეების რესურსების, ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების პრობლემის წინაშე დგას. შესაბამისად, აქედან გამომდინარეობს ლურჯი ეკონომიკის ქვემოჩამოთვლილი ძირითადი მიმართულებები (Vierros & De Fontaubert, 2017)

ა) ბიომრავალფეროვნების მდგრადი გამოყენება:

მრავალი საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემის ბიომრავალფეროვნება გაუარესდა, რამაც გავლენა მოახდინა შესაბამისი მომსახურების მიწოდებასა და საარსებო წყაროების/საკვების მარაგებზე.

გამომდინარე აქედან, საჭიროა ეკოსისტემური მიდგომა, რაც ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნებისა და განახლებადი რესურსების აღდგენას და რესურსების მოპოვების სწორად მართვას.

ბ) სურსათის უვნებლობა:

ლურჯ ეკონომიკაში სურსათის უვნებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების მდგრად გამოყენებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ეხება გადაჭარბებულ თევზჭერას.

აკვაკულტურას გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი საკვებითა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აკვაკულტურა ლურჯ ეკონომიკაში მოიცავს ინდუსტრიულ კაპიტალს, ეკოლოგიური პარამეტრების დაცვით წარმოების მთელი ციკლის განმავლობაში, ქმნის მდგრადი და ღირსეული, მრავალპროფილური დასაქმების შესაძლებლობას და იძლევა მაღალი ღირებულების საქონელს საექსპორტოდ.

გ) არამდგრადი მეთევზეობა/ ჭარბი თევზჭერა:

აკვაკულტურა წარმოადგენს ყველაზე სწრაფად მზარდ კვების სექტორს. იგულისხმება რა უპირველესად თევზის მოხმარების სტატისტიკა. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში აკვაკულტურა მასიური გაფართოვდა. კვების სექტორის სწრაფი ზრდა, რომელიც აღემატება დაგეგმვის,

კონტროლისა და ზედამხედველობის შესაძლებლობებს, საბოლოო ჯამში, იწვევს მნიშვნელოვან პრობლემებს.

დ) კლიმატის ცვლილება და წყლის მჟავიანობის ზრდა:

ტემპერატურული ცვლილების გამო ზღვის დონის აწევა და ეკოსისტემის სტატუსის შეცვლა, ასევე მარჯნის რიფების გაქრობა და ზღვის სახეობების მიგრაცია ის საკითხებია, რომლებიც დიდი ხანია დღის წესრიგში დგას. ანთროპოგენულმა ზეგავლენამ, რაც ძირითადად უკავშირდება წარმოებისა და ინდუსტრიალიზაციის ზრდას, დღის წესრიგში შედარებით ახალი საკითხებიც დააყენა: ესენია ოკეანეთა და ზღვის წყლის მჟავიანობის ზრდა და ზღვის ეკოსისტემის შენარჩუნების აუცილებლობა.

ე) საზღვაო და სანაპირო ტურიზმი:

ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის საზღვაო და სანაპირო ტურიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, საერთაშორისო ტურიზმი განაგრძობს ზრდას. გამოწვევები ამ თვალსაზრისითაც არსებობს: მაგალითად, სათბურის აირების გამოყოფა, წყლის ჭარბი უკონტროლო მოხმარება, ჩამდინარე წყლები, ნარჩენების წარმოქმნა და სანაპიროზე ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემებთან დაკავშირებული სერვისების ზრდა და თანმდევი პრობლემები.

ვ) დაბინძურება და ზღვაში ჩამდინარე ნარჩენები:

მზარდი მსოფლიო მოსახლეობა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია და სანაპირო ზონების სწრაფი ურბანიზაცია - ეს არის ყველა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც იწვევს დაბინძურების მაღალ დონეს ზღვებში.

საზღვაო ნარჩენები საფრთხეს უქმნის ზღვაში არსებული ცოცხალი ორგანიზმების საკვები ჯაჭვების მთლიანობას. პლასტმასის მასალებითა და სხვა ნარჩენებით ოკეანეები და ზღვები საგრძნობლადაა დაბინძურებული, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მრავალი ცოცხალი ორგანიზმის არსებობას.

ზ) მართვა და საერთაშორისო თანამშრომლობა:

თითოეული სუვერენული ქვეყანა პასუხისმგებელია საკუთარ ბუნებრივ რესურსებსა და მდგრად განვითარებაზე. შესაბამისად, ეროვნული პოლიტიკისა და მისი

განვითარების სტრატეგიების შემუშავება არის ეროვნული პასუხისმგებლობა. მიუხედავად ამისა, საერთო, მაგრამ დიფერენცირებული პასუხისმგებლობის პრინციპი მაინც მოქმედებს. მართლაც, სტრუქტურული საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება საფუძვლად უდევს ლურჯი ეკონომიკის ყველა ასპექტის წარმატებულ ინტეგრირებას სახელმწიფოების ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პოლიტიკაში.

გლობალურ ეკონომიკაში ლურჯი ეკონომიკის მიდგომის დანერგვისთვის საჭირო საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი კომპონენტია კვლევა. ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია მეცნიერებაზე დაფუძნებული მიდგომა; დაწყებული არსებული ვითარების, კაპიტალისა და მონაცემთა ბაზის შეფასებით და დამთავრებული ახალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვით. რაც სახელმიწფოსთვის შექმნის საფუძველს, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და დანერგოს შესაბამისი პოლიტიკა.

ანალიზი

ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ემსახურება საზღვაო და სანაპირო რესურსების გონივრულ მართვას, ეკონომიკურ წინსვლას და ეკოსისტემების შენარჩუნებას. კვლევა აჩვენებს, რომ ლურჯი ეკონომიკის პრინციპების წარმატებული დანერგვა აუცილებელია ბუნებრივი რესურსების ჭარბი გამოყენების, ზღვის დაბინძურების, კლიმატის ცვლილების და სხვა გამოწვევების დასაძლევად.

ლურჯი ეკონომიკის ძირითადი სექტორები, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, მოიცავს ბიომრავალფეროვნების დაცვას, სურსათის უსაფრთხოებას, მეთევზეობის მდგრად განვითარებას, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შემცირებას, საზღვაო ტურიზმს, დაბინძურების კონტროლს და საერთაშორისო თანამშრომლობას. აღნიშნული მიმართულებების ინტეგრირებული მართვა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება ქმნის ძლიერ საფუძველს ეკოლოგიური სტაბილურობისა და ეკონომიკური სარგებლის მისაღწევად.

ლურჯი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ბიომრავალფეროვნების შემცირება და საზღვაო ეკოსისტემების დეგრადაციაა. ეკოსისტემური მართვისა და რეგენერაციული სტრატეგიების დანერგვა აუცილებელია, რათა უზრუნველვყოთ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება. პარალელურად, მეთევზეობისა და აკვაკულტურის სექტორებში მდგრადი პრაქტიკების დანერგვა ხელს შეუწყობს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას და საარსებო წყაროების გაფართოებას.

კლიმატის ცვლილების ზემოქმედება მსოფლიო ოკეანეებსა და ზღვებზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ზღვის დონის აწევა, წყლის მჟავიანობის ზრდა და მარჯნის რიფების დეგრადაცია საფრთხეს უქმნის საზღვაო ეკოსისტემებს და მათზე დამოკიდებულ ეკონომიკურ საქმიანობებს. შესაბამისად, აუცილებელია ადაპტაციური მექანიზმების გაძლიერება, რომლებიც ხელს შეუწყობს ზღვის რესურსების მდგრად გამოყენებას და გარემოსდაცვით მდგრადობას.

საზღვაო და სანაპირო ტურიზმის განვითარება წარმოადგენს როგორც ეკონომიკურ შესაძლებლობას, ასევე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ გამოწვევას. ეკო-მეგობრული ტურისტული პრაქტიკების ხელშეწყობა და მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის სექტორის ზრდას, ისე ეკოსისტემის დაცვას.

დაბინძურებისა და ზღვაში ჩამდინარე ნარჩენების ზრდა ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც მოითხოვს მყარი ნარჩენების მართვის ინოვაციურ მიდგომებს, პლასტმასის მოხმარების შემცირებას და სანაპირო ზონების ეკოლოგიური გაჯანსაღების პროგრამების განხორციელებას.

ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განვითარება მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვას. მონაცემთა გაცვლისა და საზღვაო ეკოსისტემების კვლევის გაძლიერება ხელს შეუწყობს ინფორმირებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამრიგად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ლურჯი ეკონომიკის ინტეგრირებული მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას

გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მდგრადობისთვის. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის გაძლიერება, ინოვაციური პოლიტიკის ფორმირება და სამეცნიერო მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა გადამწყვეტი ფაქტორებია ლურჯი ეკონომიკის გრძელვადიანი წარმატებისთვის.

3.5 ლურჯი ეკონომიკის შესაძლებლობები

ზღვებისა და ოკეანეების ეკოსისტემების შენარჩუნება და მათი განვითარების პროცესი დაკავშირებულია გარკვეულ შესაძლებლობებთან. ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს ინსტრუმენტს/საშუალებას ყველა საზღვაო სახელმწიფოსთვის, განვითარდეს მდგრადად როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ, განვითარებად სექტორებში (WORLD BANK GROUP, 2017):

ა) ტრანსპორტირებასა და საპორტო ინფრასტრუქტურაში

ბ) მეთევზეობაში

გ) ტურიზმში

დ) აკვაკულტურაში

ე) განახლებადი ენერგიის წარმოებაში

ვ) ბიოტექნოლოგიაში

ზ) ზღვის სარეწი რესურსების მოპოვებაში

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი "ლურჯი ეკონომიკა" სხვადასხვა გაგებით იქნა გამოყენებული, თავის თავში იგი მოიცავს ეკონომიკური სექტორების ფართო სპექტრს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, რომელიც ერთად განსაზღვრავს, არის თუ არა ზღვებისა და ოკეანეების რესურსების გამოყენება მდგრადი. (United Nations Environment, 2011) ამრიგად, ლურჯი ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკეანეების მდგრადობის მრავალი ასპექტის გაგება და უკეთ მართვა, დაწყებული მდგრადი მეთევზეობით, ეკოსისტემის ჯანმრთელობით/სიჯანსაღით და დამთავრებული დაბინძურების პრობლემით. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია იმის გაცნობიერება, რომ ოკეანეებისა და ზღების რესურსების მდგრადი მართვა მოითხოვს სახელმწიფოების დონეზე საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობას, რაც ხაზს უსვამს თითოეული ქვეყნის წინაშე

მდგარ ეროვნულ გამოწვევებს. ზოგიერთმა სახელმწიფომ უკვე დაიწყო ეროვნული გამოწვევების იდენტიფიცირება და ამ გამოწვევების აღმოფხვრაზე ზრუნვა.

"ლურჯი ეკონომიკის" კონცეფცია მიზნად ისახავს ეკონომიკური ზრდის, სოციალური ჩართულობისა და საარსებო წყაროს შენარჩუნების ან გაუმჯობესების ხელშეწყობას, ხოლო ამავე დროს უზრუნველყოფს ოკეანეებისა და სანაპირო ზონების გარემოს შენარჩუნებასა და მდგრადობას. ლურჯი ეკონომიკა თავის თავში გულისხმობს სოციოეკონომიკური განვითარების ჩაშლას ოკეანესთან/ზღვასთან დაკავშირებული სექტორების მიხედვით და გარემოსა და ეკოსისტემების დეგრადაციის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობებს (World Bank Group, 2016).

საზღვაო ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობების სპექტრი ინდივიდუალურია. რაც, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მათ განსაკუთრებულ გეოლოკაციასა და გარემო პირობებზე. აღნიშნული განაპირობებს სახელმწიფოთა დიფერენცირებულ პროფილს ამ მიმართულებით. შესაბამისად, ყალიბდება ეროვნული ხედვა და პოლიტიკა, რომელიც ასახავს ლურჯი ეკონომიკის სპეციფიკურ მიდგომას. პატარა ზღვისპირა სახელმწიფოების ლურჯი ეკონომიკის ზოგადი ხედვის ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი კომპონენტები:

- ქვეყნებმა უნდა იზრუნონ ზღვებისა და ოკეანეების რესურსების გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული სექტორებისგან სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მდგრადობის შენარჩუნებასა და ზრდაზე ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის.

- სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ საზღვაო ეკოსისტემების მნიშვნელობისა და ღირებულების, მრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, მდგრადობისა და მისი ძირითადი ფუნქციების აღდგენის, დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობა.

- მათი ეკონომიკური საქმიანობები დაფუძნებული უნდა იყოს სუფთა ტექნოლოგიებზე, განახლებად ენერგიასა და ცირკულარულ ეკონომიკაზე, რაც უზრუნველყოფს საზღვაო ნარჩენების მართვასა და მათი გადამუშავების ხელშეწყობას.

ლურჯი ეკონომიკა წარმოადგენს მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას, რომელიც ზღვებისა და ოკეანეების ეკოსისტემების

დაცვასთან ერთად ეკონომიკური ზრდისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. მისი მრავალმხრივი სექტორები, მათ შორის ტრანსპორტირება, მეთევზეობა, ტურიზმი, აკვაკულტურა, განახლებადი ენერგიის წარმოება და ბიოტექნოლოგია, ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს როგორც ინდივიდუალური სახელმწიფოების, ისე გლობალური ეკონომიკისთვის.

მიუხედავად პოტენციალისა, ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განვითარება მოითხოვს ოკეანეების რესურსების გონივრულ მართვას, ეკოსისტემური მომსახურებების შენარჩუნებასა და დაბინძურების შემცირებას. სახელმწიფოების მიერ ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის დიფერენცირებული პროფილი განისაზღვრება გეოგრაფიული მდებარეობისა და გარემო პირობების მიხედვით, რაც ცხადყოფს თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალური სტრატეგიული მიდგომის საჭიროებას.

ლურჯი ეკონომიკის წარმატებული განხორციელებისთვის აუცილებელია:

- ზღვებისა და ოკეანეების რესურსების მდგრადი გამოყენება, რათა ეკონომიკური სარგებელი შენარჩუნდეს როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობებისთვის;
- საზღვაო ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მათი ძირითადი ფუნქციების შენარჩუნება;
- ინოვაციური და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა, ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა და საზღვაო ნარჩენების ეფექტიანი მართვა.

ამრიგად, ლურჯი ეკონომიკა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის საშუალებაა, არამედ აუცილებელი გზაა ოკეანეების მდგრადი მართვის, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებისა და გლობალური ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისთვის.

3.6 ლურჯი ეკონომიკის დანერგვის პერსპექტივა საქართველოში

შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგის (SRIA) შემუშავების პროცესში ჩართული იყო შავი ზღვის თითეული ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელთაც ოთხ მთავარ სვეტში/მიმართულებაში გააერთიანეს შავი ზღვის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საჭირო ბიოლოგიური,

სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კვლევითი და სამეცნიერო აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სამთავრობო, აკადემიური, არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობით (ექსპერტთა ჯგუფი, 2020).

გამომდინარე აქედან, ამ ეტაპზე, ევროკავშირის დაფინანსებით, მიმდინარეობს ე.წ. Black Sea Connect პროექტი, რომლის ფარგლებშიც ხდება სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგში არსებული მიზნებისა და აქტივობების განახლება-გადასინჯვა და ეროვნულ დონეებზე პრიორიტეტების განსაზღვრა. საქართველო აღნიშნული პროექტის აქტიური მონაწილე ქვეყანაა და მის ფარგლებში გამოიყო პრიორიტეტები და ლურჯი ეკონომიკის დანერგვის საქმეში ქვეყნისთვის აუცილებელი და საჭირო საქმიანობები. SRIA-ში შემოთავაზებული მიზნები და ამოცანები კვლავ რჩება მაღალპრიორიტეტულად შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მრავალფეროვანი საზღვაო საქმიანობა, მათ შორის აკვაკულტურა, სანაპირო ტურიზმი, ზღვის ეკოსისტემის კონსერვაცია, საზღვაო გადაზიდვები და სხვა, ხშირად ერთსა და იმავე საზღვაო სივრცეში მიმდინარეობს. (United Nations, 2015)აღნიშნული სექტორები ცდილობენ შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრისას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებას და მათ პრიორიტეტად განსაზღვრას, რათა ისარგებლონ მეტი საბიუჯეტო და სხვა სახის რესურსებით.

ლურჯი ეკონომიკის განხორციელება ასევე მოითხოვს ახალ უნარებსა და ადამიანურ რესურსებს, როგორც არსებული, ასევე განვითარებადი დარგებისა და ინდუსტრიებისათვის, რომელთაგან ზოგიერთი, მაგალითად, ზღვის სარეწი რესურსების სამომავლო მდგრადი კომერციული გამოყენების ბიოდაგეგმარება, არ არის ბოლომდე შესწავლილი. სახმელეთო ეკონომიკის მაღალი კონკურენტულობა განაპირობებს ადამიანური რესურსების სიმწირეს. აღნიშნული ამძაფრებს პატარა სახელმწიფოების საჭიროებების აუცილებლობას განათლების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და უნარ – ჩვევების განვითარების კუთხით, მათ შორის: საზღვაო ინჟინრების, საზღვაო ბიოლოგების, საზღვაო მდგრადი ენერგიის ექსპერტების მომზადებას; საზღვაო მეცნიერებასა და განათლებაში ჩართულობისა და ინვესტიციების

წახალისებას; (Cyrus, 2017) სპეციფიკური დარგობრივი უნარების განვითარებას, მათ შორის, მთავრობასა და კონკრეტულ ინდუსტრიებს შორის; ინდუსტრიებსა და უნივერსიტეტებს შორის ინსტიტუციური ურთიერთობების დამყარებას.

ლურჯი ეკონომიკის დასანერგად საჭიროა ტრადიციული სექტორული დაგეგმვიდან ხმელეთის, სანაპირო და საზღვაო ინტეგრირებულ დაგეგმვაზე გადასვლა.

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ აუცილებელია ლურჯი ეკონომიკის ჩართულობითი მართვის სისტემების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ძლიერი, ინკლუზიური ზოგადი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეიქმნება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით (Rustomjee, 2016).

პატარა სახელმწიფოებში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გატარება ასევე მოითხოვს ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, საზღვაო, ოკეანოგრაფიული და სხვა მონაცემებთა ბაზების განახლებას/ახალი ფორმების შემუშავებას, რაც ასევე უნდა მოიცავდეს ოკეანეებისა და ზღვების ეკოსისტემების სიჯანსაღისა და მათი ტემპერატურის შესახებ დეტალებს. მონაცემების შეგროვება თავისთავად დაკავშირებულია ახალ და განვითარებად ტექნოლოგიებთან, მაგალითად, ზღვის ტალღური და მოქცევითი მოძრაობების მონაცემთა გაანალიზებისთან და მათი ინტერპრეტაციის ახალ უნარებსა და შესაძლებლობებთან.

თანამედროვე, ე.წ. ცოცხალი ლაბორატორიების დაარსება და ფუნქციონირება, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (ICT) გადამწყვეტ როლს თამაშობს პატარა სახელმწიფოებში ლურჯი ეკონომიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მისი პრინციპების წარმატებულ დანერგვაში. შავი ზღვის ქვეყნების იურისდიქციაში მოქცეულ საზღვაო ტერიტორიებზე არსებული რესურსების, ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და ანალიზისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. (Waite, 2014) ამას გარდა, ICT-ის გამოყენება ეხმარება პატარა სახელმწიფოებს გადალახონ წინაღობა, რომელიც დაკავშირებულია მანძილსა და გეოგრაფიასთან, მათ შორის ზუსტი სატელიტური მონიტორინგისა და მონაცემთა

ინტეგრირებულ საზღვაო მეთვალყურეობის განხორციელებაში. ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა შავი ზღვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გაუმჯობესების (EMBLAS) პროექტი, თუმცა საჭიროა მეტად სიღრმისეული კვლევითი მიდგომები. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები იძლევა შესაძლებლობას, გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა და აამაღლოს ცნობიერება ლურჯი ეკონომიკის პოლიტიკის შესახებ, ხელი შეუწყოს მეტ ჩართულობას, კონსულტაციებს და მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებასა და შედეგების მონიტორინგში.

გაეროს რამდენიმე სააგენტო და ზოგიერთი სახელმწიფო უკვე იყენებს გაერთიანებულ მონაცემთა ბაზას ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის საკვლევად: მათ შორის, თევზის მარაგების შემცირებისა და მატების ტენდენციების გაზომვა, თევზის მიგრაცია, ბუნებრივი კატასტროფების შემთხვევები და მათი გარემოზე ზემოქმედება, ოკეანეების ევოლუცია და ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. თუმცა ICT – ის წვდომა და მისი გავრცელება ნელა მიმდინარეობს დიდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში. სირთულეს წარმოადგენს პოლიტიკის განსაზღვრისა და მართვის სისწორის, ასევე ხარჯების სიდიდე, რაც ზღუდავს ლურჯ ეკონომიკაში ICT-ს ინტეგრაციას (Valles, 2014).

ლურჯი ეკონომიკის დანერგვის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ევროკავშირის შავ ზღვასთან დაკავშირებით განხორციელებული პროექტების საფუძველზე მიზანშეწონილია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების იმპლემენტაციის დაჩქარებას:

საჭიროა ახალი მიდგომის შემუშავება და დანერგვა ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული სპეციფიკური უნარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ადამიანური რესურსების განვითარების უზრუნველსაყოფად (BSEC, n.d.). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინიციატივები, საზღვაო არეალში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამების ჩათვლით, ადამიანური რესურსების საკმარისი რაოდენობით მობილიზება მოითხოვს შეთანხმებულ რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივებსაც, რომლებიც პრიორიტეტად

დაისახავენ ლურჯი ეკონომიკის სექტორებთან დაკავშირებული განსაკუთრებული უნარების განვითარებას.

საქართველოში არსებობს ლურჯი ეკონომიკის გამოწვევების ანალიზისა და კვლევების საჭიროება, აგრეთვე მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების კარგი პრაქტიკის გაზიარება, განსაკუთრებით პოლიტიკის პრიორიტეტიზაციის, მარეგულირებელი, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განსაზღვრისა და კარგი პრაქტიკის შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნის საქმეში. ლურჯი ეკონომიკის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ახალი ინსტრუმენტების შექმნა საქართველოსთვის აუცილებელია როგორც ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე თანამშრომლობის განსამტკიცებლად აღნიშნული მიმართულებით.

მნიშვნელოვანია ახალ საერთაშორისო ინიციატივებთან მიერთება (ექსპერტთა ჯგუფი, 2020) და გაზიარება, რათა დაგროვდეც ცოდნა და შეიქმნას ტექნიკური შესაძლებლობები ლურჯი ეკონომიკის ეფექტიანი განხორციელების ხელშესაწყობად, მათ შორის, გრძელვადიანი მიზნობრივი სამოქმედო გეგმისა და ხედვის შემუშავების საქმეში, ზღვის სივრცითი დაგეგმარების დაჩქარებისა და ლურჯი ეკონომიკის ახალი საქმიანობების წახალისებაში მეთევზეობაში, აკვაკულტურაში, საზღვაო და სანაპირო ტურიზმსა და ზღვის სარეწი რესურსების სამომავლო მდგრადი გამოყენების კომერციულ ბიოდაგეგმარებაში. ამასთან, იკვეთება ახალი მრავალმხრივი და რეგიონული ინიციატივების საჭიროება ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებული ინვესტიციების მოზიდვისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის, ასევე საქართველოს, როგორც პატარა საზღვაო ქვეყნის გლობალურ და რეგიონულ დონეებზე წარმატებული თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

და ბოლოს, ვინაიდან საქართველო წარმოადგენს შავი ზღვის აუზის ქვეყანას, მნიშვნელოვანია აქტიური თანამშრომლობა და პარტნიორობა შავი ზღვის ყველა სახელმწიფოსთან ლურჯი ეკონომიკის სექტორების წარმატებული დანერგვისა და ფუნქციონირებისთვის, რაც მას დაეხმარება არსებული გამოწვევების გადაჭრაში, ახალი ტექნოლოგიების, ახალი ფინანსების, ინოვაციების და ლურჯი ეკონომიკის

ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების განვითარების ახალი შესაძლებლობების გაჩენითა და გამოყენებით.

ანალიზი

ლურჯი ეკონომიკის განვითარება შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომელიც აერთიანებს ეკოლოგიურ მდგრადობას, სოციალურ ჩართულობასა და ეკონომიკურ ზრდას. შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA) ასახავს რეგიონის უნიკალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ხოლო Black Sea Connect პროექტი უზრუნველყოფს ამ მიზნების ადაპტირებასა და განახლებას. საქართველოს ჩართულობა აღნიშნულ ინიციატივებში ხაზს უსვამს ქვეყნის აქტიურ როლს ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში, რაც მოითხოვს მულტისექტორულ თანამშრომლობას სამთავრობო, აკადემიურ, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორებს შორის.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საზღვაო სივრცეში მრავალი ეკონომიკური საქმიანობა პარალელურად მიმდინარეობს, რაც საჭიროებს პოლიტიკის ინტეგრირებულ დაგეგმვასა და სექტორთა ინტერესების დაბალანსებას. საქართველოსთვის პრიორიტეტულია ადამიანური რესურსების განვითარება, რაც მოითხოვს ინვესტიციებს სპეციალიზებულ უნარ-ჩვევებში, მათ შორის, საზღვაო ინჟინერიაში, ბიოლოგიაში, ენერგეტიკასა და მონაცემთა ანალიზში. გარდა ამისა, აუცილებელია საზღვაო მეცნიერების სფეროში ჩართულობის გაძლიერება და განათლების სისტემის ადაპტაცია ლურჯი ეკონომიკის მოთხოვნებთან.

ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განხორციელება მოითხოვს ტრადიციული სექტორული დაგეგმვის შეცვლას ინტეგრირებული საზღვაო და სანაპირო სივრცითი მართვით. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მართვის ინკლუზიური მიდგომები, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი, ზრდის პოლიტიკის ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) როლი ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა. ICT-ის გამოყენება საშუალებას აძლევს ქვეყანას განახორციელოს საზღვაო სივრცის სატელიტური მონიტორინგი, გარემოს დაცვის ინტეგრირებული მეთვალყურეობა და მონაცემთა გაცვლა რეგიონულ და საერთაშორისო პარტნიორებთან. EMBLAS პროექტის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საჭიროა უფრო სიღრმისეული და მრავალფეროვანი კვლევითი მიდგომების განვითარება, რათა გაიზარდოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის ეფექტიანობა.

ლურჯი ეკონომიკის დანერგვა ასევე მოითხოვს საერთაშორისო ინიციატივებში ჩართულობასა და ცოდნის გაზიარებას. საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ისეთი პროგრამების განვითარება, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობას, ლურჯი ეკონომიკისთვის საჭირო მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებას, ასევე გრძელვადიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ზღვის სივრცითი დაგეგმარების ინტეგრირებული მიდგომა ხელს შეუწყობს საქართველოს საზღვაო რესურსების მდგრად გამოყენებას, რაც მოიცავს მეთევზეობას, აკვაკულტურას, საზღვაო ტურიზმსა და ზღვის სარეწი რესურსების ბიოდაგეგმარებას.

საქართველოს, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნის, განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია რეგიონული და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება. ლურჯი ეკონომიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა, ასევე ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და გარემოს დაცვას. ამიტომ, აუცილებელია ლურჯი ეკონომიკის ინკლუზიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, რაც ითვალისწინებს როგორც ადგილობრივ საჭიროებებს, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივებს.

საბოლოოდ, ლურჯი ეკონომიკა საქართველოსთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების გზას, არამედ მდგრადი გარემოს, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერების მძლავრ ინსტრუმენტს. მისი წარმატებული იმპლემენტაცია შესაძლებელი გახდება

მრავალმხრივი თანამშრომლობის, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციისა და განათლების სისტემის ადაპტაციის გზით.

3.7 ლურჯი ეკონომიკის დარგების ტრანსფორმაციული სტრატეგიები და ტრანსფორმაციის ხელშემწყობი ღონისძიებების ინოვაციური მიდგომები

ლურჯი ეკონომიკის დანერგვის და მისი პრაქტიკაში განხორციელების გზების საძიებლად ევროკავშირის „ჰორაიზონ 2020“-ის ფარგლებში დაფინანსებული „BRIDGE”-ის ფარგლებში 2023 წლისა და 2024 წლის აპრილში ორი განსხვავებული და ერთმანეთთან დაკავშირებული კვლევა ჩავატარეთ. ორივე კვლევაში ფოკუს-ჯგუფის მეთოდი გამოვიყენეთ. ფოკუს ჯგუფი შედგებოდა საქართველოში წარმოდგენილი და პრიორიტეტული ლურჯი ეკონომიკის ძირითადი დარგების: საზღვაო და ნაპირო ტურიზმის, მეთევზეობის და აკვაკულტურის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და საზღვაო ტრანსპორტის საჯარო, კერძო და საგანმანათლებლო სექტორში ჩართული ადამიანებისაგან (თითოეული სექტორული ფოკუს ჯგუფი შედგებოდა 6-7 წევრისაგან).

2023 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, განგვესაზღვრა ქალაქ ბათუმის მაგალითზე ლურჯი ეკონომიკის ძირითადი სექტორები, რომლებიც ჩვენი ქვეყნისთვის იქნება პრიორიტეტული 2050 წლისთვის და ჩამოგვეყალიბებინა მომავლის ხედვა 2050 წლისთვის.

კვლევის შედეგად ჩვენი ფოკუს ჯგუფის მიერ დანახული მომავლის ხედვა შემდეგნაირად ფორმულირდა:

„2050 წელს ბათუმის სანაპირო რეგიონში ლურჯი ეკონომიკა კარგად განვითარდა 30 წლიანი ლურჯი უნარებისა და მაღალი სოციალურ-ტექნოლოგიური ინვესტიციების წყალობით. რეგიონი საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც კარგად განვითარებული სანაპირო და სოფლის ეკოტურიზმის ზონა ტურისტული ინდუსტრიის მაღალი ხარისხის განვითარების შემდეგ, რომელიც დაფუძნებულია მრავალფეროვან კულტურულ და რეკრეაციულ აქტივობებზე (მაგ. წყალქვეშა მუზეუმი, დაივინგი, იახტინგი).

აკვაკულტურა არის კიდევ ერთი კარგად განვითარებული ლურჯი ეკონომიკის სექტორი, რომელიც სარგებლობს უახლესი გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებით, რაც მას მდგრადს ხდის. თევზის პროდუქტებზე ქართული მოთხოვნა სრულად არის დაფარული.

სანაპირო საზოგადოება კარგად იცნობს და ჩართულია მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, რაც უბიძგებს გარემოს დაცვის სამმართველოებს, განხორციელონ რიგი ღონისძიებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან ერთად, „სანიტარული რობოტებიდან“ დაწყებული ხელოვნური ინტელექტის ჩათვლით, რომლებსაც შეუძლიათ დააკვირდნენ, აკონტროლონ, აიცილონ და აღმოფხვრათ ჰაერისა და წყლის დაბინძურება ხმელეთიდან და საზღვაო აქტივობებიდან, შავი ზღვის ეკოსისტემები აღარ არის საფრთხეში, აღდგენილია კიდეც, მაგ. Ostrea edulis, Monachus monachus. ნარჩენების მართვის სისტემა სრულად ფუნქციონირებს გარემოს დაბინძურების გარეშე, პლასტმასის პროდუქტები 100%-ით გადამუშავდება.

ბათუმის რეგიონის ეკონომიკა დამოუკიდებელია წიაღისეული საწვავისგან, იყენებს შავი ზღვის წყალბადის სულფიდს და სხვა განახლებადი ენერგიის წყაროებს, როგორიცაა ტალღის ენერგია, ნარჩენების მართვა და ა.შ.“

ლურჯი ეკონომიკის წამყვან ეკონომიკურ სექტორებად ბათუმის მაგალითზე კი დასახელდა:

- ✓ საზღვაო და სანაპირო ტურიზმი
- ✓ მეთევზეობა და აკვაკულტურა
- ✓ საზღვაო ტრანსპორტი და გადაზიდვები/პორტები

2024 წლის აპრილში ჩატარებულ სამუაშაო შეხვედრაზე კი განვსაზღვრეთ:

1) ტრანსფორმაციული სტრატეგიები ლურჯი ეკონომიკისთვის: მოქმედებებისა და ინოვაციების პორტფოლიო ლურჯი ეკონომიკის დარგების ტრანსფორმაციის მხარდასაჭერად და 2) დავასაბუთეთ ლურჯი ეკონომიკის გავნვითარების სასურველი სცენარები.

ტრანსფორმაციული სტრატეგიები გულისხმობს ცვლილების ტრაექტორიას ან მარშრუტს, რომელიც იწვევს სისტემის, პროცესის ან სიტუაციის ფუნდამენტურ და მნიშვნელოვან ცვლილებას, არსებული არამდგრადი პრაქტიკიდან სასურველ მდგრად მდგომარეობაზე გადასასვლელად, სტატუს კვო გამოწვევებს და მივყავართ უფრო სანდო, სამართლიანი და მდგრადი შედეგებისკენ. აღნიშნული დაფუძნებულია სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცვლილების ღრმა ტრანსფორმაციის თეორიაზე (Geels & Schot, 2007).

სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცვლილების ღრმა ტრანსპორმაციის თეორიის ძირითადი ტერმინები:

სოციალურ-ტექნიკური სისტემები (STS): ღრმა გადასვლები ადამიანთა საზოგადოებებსა და ეკონომიკებს კონცეპტუალიზაციას უწევს, როგორც სხვადასხვა განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთში გადახლართული „სოციალურ-ტექნიკური სისტემებისგან“ შედგენილი. ეს არის გარკვეული სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის სისტემები, მაგალითად, ენერგია, მობილურობა ან საკვები. ისინი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან: აქტორები, წესები და ელემენტები.

ლანდშაფტი: STS იზოლირებულად არ არსებობს. სანაცვლოდ, იგი ჩართულია საზოგადოებების, ეკონომიკისა და ბუნებრივი სამყაროს უფრო ფართო ლანდშაფტში, რომელთაგან თითოეული თავისთავად დინამიურია. ლანდშაფტის ცნება შეიძლება გავიაზროთ, როგორც შერჩევითი გარემო, რომელსაც სისტემაში შემოაქვს ახალი შერჩევითი გავლენები იმდენად, რამდენადაც იგი იცვლება.

ნიშები: არის ძირითადი ცნებები მდგრადობაზე გადასვლისას. ეს არის სივრცეები, რომლებიც მხარს უჭერენ რადიკალურ ინოვაციებს, იზოლირებული სოციალურ-ტექნიკური სისტემის დომინანტური რეჟიმის შერჩევითი ზეწოლისგან. ნიშა შეიძლება იყოს ახალი (მათი ერთობლიობა) ტექნოლოგია, ბიზნეს პრაქტიკა, მომხმარებელთა ქცევა, კულტურული აღქმა და სხვა. ნიშის ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ იგი გარკვეულწილად წარმოადგენს ალტერნატიულ წესს ან წესების ერთობლიობას დომინანტური რეჟიმის წესის ან წესების ერთობლიობის მიმართ.

ჩანართი 1: სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცვლილების ღრმა ტრანსპორმაციის თეორიის ძირითადი ტერმინები



სურათი 14: სოციალურ-ტექნიკური სისტემის ცვლილების ღრმა ტრანსფორმაციის თეორია

BRIDGE-BS-ის კონტექსტში, ტრანსფორმაციული სტრატეგიები ერთობლივად შემუშავდა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რომლებმაც განსაზღვრეს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მოქმედებების პორტფოლიო, ტექნოლოგიური, სოციალური, ინსტიტუციური ინოვაციების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია ლურჯი

დარგების გარდაქმნისთვის მდგრადობის მიმართულებით, დაინტერესებული მხარეების მიერ დაგეგმილი მომავლის მისაღწევად (დაინტერესებულ მხარეთა 2050 წლის ხედვა).

კვლევაში გამოვიყენეთ რეტროპოლაციის მეთოდი, რაც გულისხმობს დაგეგმილი მომავლისკენ სავალი გზების ერთობლივ შექმნას, სადაც მომავალი განსაზღვრულია, როგორც საწყისი წერტილი და ნაბიჯ-ნაბიჯ იმ მომავლის წარსულიც განიხილება და ასევე სამი ჰორიზონტის ჩარჩოს მეთოდი.



სურათი 15: სამი ჰორიზონტის ჩარჩოს თეორია

კვლევის შედეგად განისაზღვრა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ნაბიჯები ბათუმის მაგალითზე ლურჯი ეკონომიკის ძირითადი დარგების განსავითარებლად:

ცხრილი 20: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი ნაბიჯები ქალაქ ბათუმის მაგალითზე ლურჯი ეკონომიკის ძირითადი დარგების განსავითარებლად		
საზღვაო ტრანსპორტი		
მოკლევადიანი	საშუალოვადიანი	გრძელვადიანი
1.ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენება საზღვაო და სანაპირო პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგისათვის ცოდნაზე	1.ნავსადგურში დანერგილი ელექტრონული და ინფორმაციული სისტემები (ჭკვიანი ნავსადგური) დაცულია კიბერშეტევისაგან 2.საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემები, ადგილობრივ, სუფთა ენერგიის წყაროზე გადაყვანილია	1. დაბალემისიანი საზღვაო სატრანსპორტო საშუალებები შეძენილია 2. ბათუმის ნავსადგურში აშენდა ახალი ნავმისადგომი გაბარიტული სამგზავრო გემების მისაღებად

დაფუძნებული საზღვაო მმართველობის უზრუნველსაყოფად 2.საქართველო მიუერთდა კონვენცია მარპოლის მეექსვე დანართს 3.ჰაერის დაბინძურების კონტროლი 4.აკვაკულტურის (მარიკულტურის) ფერმების ამუშავება 5.ოკეანესთან დაკავშირებული წიგნიერი საზოგადოება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საფეხურზე	3.ნარჩენების დამუშავების პრობლემა სრულად მოგვარებულია 4.სასწავლებლებში დანერგილია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული და გარემოსდაცვითი უნარების განმავითარებელი კურიკულუმები	
ჰორიზონტის ჩარჩო		
H 1- აწმყო ცვლილების გარეშე	H2. გარდამავალი ინოვაციები და მოქმედებები	H3. ახალი აღმოცენებადი ტრენდები
1.სანაპირო თევზჭერაში დასაქმებული პირების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა	1.პორტების გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის გაძლიერება	1.ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სანაპირო პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგისათვის

ა.ტურიზმში დასაქმდა ძალიან ბევრი ბ.თევზის სახეობები შემცირდა 2.ზღვის წყლის დაბინძურება ჩამდინარე წყლებით 3.საზღვაო მყარი ნარჩნების მართვა 4.სანაპირო თევზჭერა დასტაბილურდეს და სასურველია აღდგეს პოპულაცია 5.თევზჭერის ტურისტული სახეობის დანერგვით შენარჩუნდეს სფერო	დისტანციური ზონდირებით	2.თევზჭერის სფეროში - სამრეწველო თევზჭერაში დასაქმებული გემები აღიჭურვა ელექტრონული მონიტორინგის სისტემით 3.თევზჭერის სფეროში - ყველა სახეობის კომერციული დაინტერესების შემთხვევაში აღიჭურვოს მაქსიმალურად კონტროლოს და აღრიცხვის ელექტრონული სისტემები 4.აკვაკულტურა - მარიკულტურამ მაქსიმალურად უნდა გადაფაროს არსებული მოთხოვნა რითაც განტვირთავს თევზჭერის სფეროს, თუმცა არ გააქრობს 5.ნავსადგურის ელექტროფიცირებისათვს მოტივტივე გენერატორების გამოყენება 6.ბათუმის ნავსადგურის აკვატორიის გაფართოება
მონიტორინგი და გარემოს დაცვა		
მოკლევადიანი	საშუალოვადიანი	გრძელვადიანი
1.ლურჯი ეკონომიკის შესაბამისი პროგრამების და სასწავლო კურსების	1.მიღებულია და ინერგება ლურჯი ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი კანონმდებლობა	1.მულტიტროფული აკვაკულტურა განვითარებულია

დაინერგა პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში 2.დანერგილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის თანამედროვე სისტემები 3.ინოვაციური აკვაკულტურა 4.ოკეანესთან დაკავშირებული წიგნიერი საზოგადოება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს საფეხურზე 5.აკვაკულტურისა და მარიკულტურის სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევების განვითარება და გაფართოება 6.ხდება ხელისუფლების ინტენსიური ლობირება ლურჯი ეკონომიკის პრინციპების ხელშეწყობის მიზნით 7.დანერგილია ეკოლოგიური კატასტროფების ადრეული პროგნოზირების ტექნოლოგიები 8.გარემოსდაცვითი პოლიტიკის დივერსიფიკაცია 9.ინფრასტრუქტურული ...., ქალაქის დაგეგმარების პოლიტიკის გადახედვა	2.ექსპერიმენტული სადემონსტრაციო ცენტრი, რეცირკულაციური აკვაკულტურის სისტემა განვითარებულია 3.დანერგილი კანონმდებლობა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე 4.ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდების გამოყენება საზღვაო და სანაპირო პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგისათვის ცოდნაზე დაფუძნებული საზღვაო მმართველობის უზრუნველსაყოფად 5.დაზღვევის ორგანიზება თევზსაშენის უბედური-მეწყრული მოვლენებით ზარალის ასანაზღაურებლად	2.მაღალტექნოლოგიური აკვაკულტურისა და ორგანული აკვაკულტურის განვითარება 3.ხელოვნური ინტელექტის დაბალანსირებულად დანერგვა რისკების შესამცირებლად 4.გოგირდწყალბადის რესურსის გამოყენების შესაძლებლობის შეფასება და დანერგვა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებში 5.გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად გაუმჯობესებულია 6.დანერგილია ეკოლოგიური კატასტროფების ადრეული პროგნოზირების ტექნოლოგიები 7.აღდგენილია შავი ზღვის ორაგულისა და ზუთხისებრთა სახეობები 8.ურბანისტიკაში ჟანგბადწარმომქმნელი საფარის სისტემების დანერგვა მშენებლობის ყველა უბანზე

10.სახელმწიფოში მმართველობის ორგანოებში ადამიანური რესურსების განვითარება 11.თანამედროვე გარემოსდაცვითი სწავლება ყველა აკადემიურ დონეზე, დივერსიფიკაცია 12.ბალასტური წყლების კონტროლის მექანიზმების სრულყოფა ინვაზიური სახეობის კონტროლის მიზნით 13.თევზის აღწარმოების ცენტრების შექმნა გადაშენების ზღვარზე მყოფი სახეობისათვის 14.დანერგილია ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემები		9.ლურჯი ეკონომიკის პრინციპების დანერგვა ყველა ინსტიტუციურ დონეზე 10.ჯანსაღი ეკოლოგიური მდომარეობა მიღწეულია
ჰორიზონტის ჩარჩო		
H1- აწმყო ცვლილებების გარეშე	H2- გარდამავალი ინოვაციები და მოქმედებები 1.საკანონმდებლო ცვლილებები 2.საგრანტო პროგრამები მეთევზეობაში	H3 -ახალი აღმოცენებადი ტრენდები 1.ნავმისადგომის გაკეთება 2.მარიკულტურა და მეთევზეობა 3.თევზის საკვების საწარმოების შექმნა

	3.ქართველი მეთევზეების ხელშეწყობა- გაძლიერება 4.თევზის რეალიზაციის არტერნატიული ბაზრის ორგანიზება 5.მეთევზეთა კლასტერის განვითარება-გაძლიერება	4.აკვასაკვების ტექნოლოგიების განვითარება
მეთევზეობა და აკვაკულტურა		
მოკლევადიანი	საშუალოვადიანი	გრძელვადიანი
1.თევზსაჭერი გემებისათვის ახალი ნავმისადგომის დაგეგმარება 2.თევზის დაავადებების საკვლევი (მობილური) ლაბორატორიის დაარსება 3.გვაქვს 20 აკვაფერმა შავ ზღვაში 4.მეთავზეთა პროფესიული და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება 5.თევზის დაავადებებისა და წყლის ხარისხის კონტროლის გადაუდებელი/ მობილური სერვისები 6.თევზის სარეალიზაციო ბაზრის ორგანიზება 7.მეთევზეობის მართვა ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე	1.ბაზარზე არსებულთან შედარებით იაფი თევზის საკვების წარმოება ან იმპორტირებულის ფასის დაწევის გზების ძიება 2.პრაქტიკის გაზიარება თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით თევზსაშენების გასაძლიერებლად 3.აკვაკულტურის განვითარება მდგრადი გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დანერგვით 4.ფერმერთა ხელშეწყობა ინოვაციური ცენტრების ორგანიზება ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გასაზიარებლად	1.ინოვაციური აკვაკულტურა 2.დაზღვევის ორგანიზება თევზსაშენის უბედური-მეწყრული მოვლენებით ზარალის ასანაზღაურებლად 3.ტექნიკური (წყლის ხარისხის კონტროლის) მოწყობილობებით ფერმების აღჭურვის ხელშეწყობა 4.აკვაკულტურის კამონის გარკვეული მოთხოვნების (მაგალითად დასაკუთრებასთან) შერბილება, გადავადება პირველი პერიოდში 5.ორგანული თევზის მოშენებაზე ორიენტაცია

8.ქართველ მეთევზეთა ტექნიკური ხელშეწყობა-გაძლიერება 9.სათევზაო რუკის მიხედვით რაიონების დამატება და ზონების გახსნა ბათუმი-ქობულეთი-სარფი	5.ექსპორტის ბაზრის გაძლიერება 6.საერთაშორისო თანამშრომლობა კონსერვაციული მეთევზეობისათვის 7.არსებული თევზსაჭერი გემების ჩანაცვლება (ჩანაცვლების ხელშეწყობა) 8.თევზსაჭერი გემებისათვის ახალი ნავმისადგომის მშენებლობა	6.აკვაკულტურა, (მტკნარი, მარილიამი) ასევე მეთევზეობა იყენებს უახლეს გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს რაც მას ხდის მდგრადს 7.მტკნარი წყლის აკვაკულტურა (ხმელეთი), მარიკულტურა და მეთევზეობა ლურჯი ეკონომიკის მაღალგანვითარებული სექტორებია.
ჰოტიზონტის ჩარჩო		
H1-აწმყო ცვლილებების გარეშე 1.თევზის სარეწი ტექნიკური საშუალებების დივერსიფიკაცია 2.მარიკულტურაში ფიტოკულტურის დანერგვა 3.აკვაკულტურასა და მარიკულტურაში ეკოსისტემური მიდგომების დაფუძნება	H2 – გარდამავალი ინოვაციები და მოქმედებები 1. ხმელეთის აკვაკულტურა - გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამების დანერგვა აკვაკულტურაში 2.თევზის და სხვა მარაგების კვლევის მეთოდების ჰარმონიზება GFSM შესაბამისად	H3- ახალი აღმოცენებადი ტრენდები 1.მარიკულტურა - საერთაშორისო საგოცდილების გათვალისწინებით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა 2.მარიკულტურის ობიექტების დივერსიფიკაცია და ჩვენი ეკოსისტემისი სახეობების შერჩევა 3.მულტიტროფული აქვაკულტურის განვითარება

	3.აკვაკულტურის ობიექტების დივერსიფიკაცია 4.აკვაკულტურის ტექნოლოგიების სრულყოფა 5.რეცირკულაციის სისტემების დანერგვა 6.ორგანული აკვაკულტურის განვითარება	4.თევზჭერით მოპოვებული რესურსების მარკეტინგული სრულყოფა 5.თევზჭერის სეზონურობის გათვალისწინებით მენეჯმენტის სრულყოფა 6.ზღვის სიღრმისეული მუდმივტემპერატურული ფენების ათვისება
ტურიზმის სექტორი		
მოკლევადიანი	საშუალოვადიანი	გრძელვადიანი
1.ყველა ტურისტულ ობიექტზე გამწმენდი ნაგებობის გაკეთება 2.ტურისტული სერვისების უზრუნველყოფა ტურისტულ ობიექტებზე 3.სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება საჯავშნო სისტემებზე 4.დაინერგა ციფრული პლატფორმები 5.სახელმწიფო ხელს უწყობს ციფრული ინოვაციების GIS დანერგვას 6.მდგრადი ტურიზმის განვითარების პრინციპების სრულყოფა	1.ნორმატიული აქტების შემუშავება ტურისტულ სერვისებზე 2.გიდების ლიცენზირება 3.გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა მაქსიმალურად 4.ტურისტულად აქტიურ ზონებში უნდა მოხდეს გამტარიანობის დანერგვა-მოკვლევა 5.მაღალმთიანი სოფლების წყალმომარაგების, წყალარინების და კანალიზაციის სიტემების მოწესრიგებას	1.მაღალბიუჯეტიანი ტურისტებისათვის სერვისების შექმნა 2.მრავალფეროვანი ტურისტული სერვისების დამკვიდრება (თევზჭერა, დაივინგი) 3.ეკომეგობრული (სუფთა) ტრანსპორტი 4.ინფრასტრუქტურა მთლიანად მწვანეა 5.თბოიზოლირებული შენობები 6.ენერგოეფექტური ტექნოლოგიების/სისტემების გამოყენება

6.ლურჯი დროშის სტატუსი 7.სანაპირო მარშრუტების დაგეგმვა 8.საპარკინგე პრობლემების აღმოფხვრა	6.დაივინგის განვითარება - წყალქვეშ არსებული კულტურული მემკვიდრეობა მასზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტები	7.მწვანე ტრანსპორტი (ინოვაციებიდან) 8.ავტოპარკის განახლება მდგრადი ტურისტული ტრანსპორტის დამკვიდრება 9. ალტერნატიული ენერგიის გამოყენება ტურიზმის სექტორში 10. ნულოვანი ნარჩენი
ჰორიზონტის ჩარჩო		
H1-აწმყო ცვლილებების გარეშე 1.ინკლუზიური ტურიზმი ინფრასტრუქტურა 2.მასტურიზმი 3.ნარჩენები ხმელეთზე და წყალზე 4.სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება 5.სურსათის უვნებლობა და საკვები, სასმელი პროდუქციის კონტროლი 6.MICE განვითარება და ხელშეწყობა 7.კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება 8.სანაპირი ლანდშაფტის შენარჩუნება	H2 – გარდამავალი ინოვაციები და მოქმედებები 1.სოციალური ინოვაციები, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტურიზმში 2.დმო დანიშნულების მართვის ორგანიზაცია 3.ლიდერობის პროგრამები ახალგაზრდებისათვის 4.ავთენტურობა ტურიზმი 5.მზარდი კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა IUNESCO 6.ზღვის შემაკავებელი კედლების აღმართვა, ნიადაგის გამაგრება 7.პირდაპირი და არაპირდაპირი	H3 - ახალი აღმოცენებადი ტრენდები 1.ტურიზმი ოთხივე სეზონზე 2.ტურიზმში მომსახურე პერსონალის მომზადება მდგრადი განვითარებისათვის 3.ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედია 4.განათლება ტურიზმის მდგრად განვითარებაში 5.კულტურული პროგრამების უზრუნველყოფა ტურიზმისათვის 6.ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია - ეროვნული ღირებულებების

	ინვესტიციები (მშენებლობა) სერვისები 8.იახტ-კლუბი და ლოკალური საბორნე გადასასვლელები 9.დაივინგის, წყალქვეშა მუზეუმების განვითარება 10.ჭკვიანი აპლიკაციების დანერგვა 11.ალტერნატიული მარშრუტების დანერგვა (წყალქვეშა კანიონიგვი, ჯომარდობა, სათავგადასავლო) 12.ხელშეუხებელი ბუნება და მისი შენარჩუნება 13.ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა 14.სოციალური სარგებელი ტურიზმისგან (ცხოვრების დონის გაუმჯობესება) 15.მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნება ტურისტულ სექტორში	სუვერმდგენიტეტის ორგანიზაცია 7.მდგრადი ტურიზმის განვითარება 8.დაივინგის, წყალქვეშა მუზეუმების გაციფროვნება 9.სპორტული თევზჭერა 10.ცირკულარული ეკონომიკის დამკვიდრება 11.მცირე საკრუიზო მიმოცვლა 12.ქარისა და ზღვის ენერგიის გამოყენება

წინამდებარე კვლევის შედეგები უნიკალური და მნიშვნელოვანია ვინაიდან ის პრაქტიკული გეგმაა, რომელიც შექმნილია უშუალოდ სფეროს ექსპერტების მიერ. კვლევის პარგლებში შემუშავებული მომავლის ხედვა და განვითარების სტრატეგიები, არის კოლექტიური ცოდნის შედეგი ამიტომ, ამ მონაცემებს დიდი გამოყენება აქვს:

- ისინი შეიძლება გახდეს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება ბათუმის განვითარება.
- ისინი შეიძლება გახდეს სხვა მეცნიერებისთვის საფუძველი, რომ შემდგომი კვლევები ჩაატარონ ლურჯი ეკონომიკაზე, მდგრად განვითარებასა და რეგიონულ დაგეგმვაზე

როგორია ლურჯი ეკონომიკის პრინციპები

1. ზღვის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება
2. ზღვის დაბინძურების კონტროლი
3. წყლისა და ენერგორესურსების მართვა
4. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო
5. სოციალური ჩართულობა
6. სოციალური თანასწორობა
7. შრომითი უფლებების დაცვა
8. შრომის ანაზღაურების ნორმატივების დაცვა
9. საგადასახადო რისკების დაზღვევა და შესაბამისი მოთხოვნების დაცვა
10. კონკურენტუნარიანი და ცირკულარული ეკონომიკა

ანალიზი

მუდმივი განვითარებისა და მდგრადობის ხელშეწყობა ლურჯი ეკონომიკის დარგებში, განსაკუთრებით სანაპირო რეგიონებში, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას XXI საუკუნის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოში. ქალაქი ბათუმი და მისი მიმდებარე სანაპირო რეგიონი, როგორც პოტენციური ჰაბი, რომელიც მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა საზღვაო ტრანსპორტი, ტურიზმი, მეთევზეობა და აკვაკულტურა, საჭიროებს ტრანსფორმაციულ მიდგომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრადობას, ინოვაციებსა და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას.

კვლევამ აჩვენა, რომ ლურჯი ეკონომიკის ინტეგრირება რეგიონში, საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში, 2050 წლისთვის გახდება არა მხოლოდ შესაძლებლობა,

არამედ აუცილებლობა. ტრანსფორმაციული მიდგომების დანერგვა მოიცავს როგორც ტრადიციული დარგების მოდერნიზაციას, ასევე ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტურ და მდგრად გამოყენებას. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ ამ მიმართულებით როლის გაძლიერება, სპეციალიზებული ცოდნის და ტექნოლოგიების ტრანსფერი, ასევე ადამიანური რესურსების განვითარება, აუცილებელია.

კვლევით დასტურდება, რომ ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ეკოლოგიური პოლიტიკის და შესაბამისი კანონმდებლობის შენარჩუნებას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ამ პროცესმა წარმატებას მიაღწიოს. მდგრადი განვითარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური ჩართულობა, როგორც სტრატეგიული, ისე პრაქტიკული დონეებზე, უზრუნველყოფს აღნიშნული ტრანსფორმაციის რეალიზაციას.

გარდა ამისა, ტექნოლოგიური ინოვაციები, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, მზარდი აგროტექნოლოგიები, ნაჩენების მართვის სისტემები და სხვა მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ როგორც სანაპირო ეკოსისტემების მდგრად მართვაში, ისე ეკონომიკური მოდელის დივერსიფიცირებაში.

2050 წლისათვის ბათუმი და მისი რეგიონის სხვა სანაპიროები უნდა გახდეს არა მხოლოდ შავი ზღვის, არამედ მთელი ევრაზიის მასშტაბით მდგრადი ლურჯი ეკონომიკის ერთ-ერთი მოწინავე მოდელი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია ეროვნული და ადგილობრივი სტრატეგიების გაერთიანება, რაც მომდევნო ათწლეულებში ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივ ბიზნესებს, ისე გლობალური მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

თავი 4. დასკვნა

ოკეანეებისა და ზღვების რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. მეთევზეობა, აკვაკულტურა, ტურიზმი, საზღვაო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა სექტორები პირდაპირ არის დამოკიდებული ამ რესურსების მდგრად გამოყენებაზე. აღნიშნულ რესურსებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზღვაო ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სადაც ლურჯი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის.

აღნიშნული ნაშრომის კვლევის მიზანი იყო საქართველოში ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის განხორციელების შესაძლებლობების მეცნიერული შესწავლა და მისი პრაქტიკაში დანერგვის პერსპექტივების განსაზღვრა. შესაბამისად ნაშრომშის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე საკვანძო ასპექტი:

1. სტრატეგიული მნიშვნელობა – ლურჯი ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მისი განხორციელება დაკავშირებულია როგორც გარემოსდაცვით, ისე ეკონომიკურ მდგრადობასთან.
2. პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩო – ნაშრომის შედეგები აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის და პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ლურჯი ეკონომიკის მდგრად განვითარებას.
3. აჭარის რეგიონის როლი – ბათუმისა და ქობულეთის მაგალითზე შესწავლეთ ეკოსისტემური სერვისების პრიორიტეტულობა, ძირითადი ზეწოლები და რისკები, რომლებიც ლურჯი ეკონომიკის განხორციელებას უკავშირდება.
4. მთავარი გამოწვევები – გამოვლინდა საკანონმდებლო ხარვეზები, არასაკმარისი ფინანსური რესურსები, ეკოსისტემური მომსახურებების არასათანადო მართვა და საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობა.

5. პერსპექტივები – საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის სექტორებში, როგორიცაა სანაპირო ტურიზმი, აკვაკულტურა, საზღვაო ტრანსპორტი და ლურჯი ბიოეკონომიკა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ლურჯი ეკონომიკის განვითარება მოითხოვს მიზანმიმართულ პოლიტიკურ ნაბიჯებს, სამეცნიერო კვლევების გაღრმავებას და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერებას. აღნიშნული მიგნებები შეიძლება გამოვიყენეთ როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე კერძო ინვესტიციების დაგეგმვის პროცესში, რათა უზრუნველვყოთ შავი ზღვის ეკოსისტემისა და ეკონომიკის მდგრადობა.

კვლევის ფარგლებში დადასტურდა, რომ ლურჯი ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს მდგრად განვითარებაში. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საზღვაო სექტორებში ინვესტიციების მოზიდვა, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას, ისე ეკოსისტემების დაცვასა და მდგრადობას.

ნაშრომში განვიხილეთ ევროკავშირის სტრატეგიები და საერთაშორისო პრაქტიკები, რომლებიც მნიშვნელოვანი ორიენტირია საქართველოსთვის, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში არსებული ვალდებულებების გათვალისწინებით. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ეს ტენდენციები და გააძლიეროს ლურჯი ეკონომიკის სექტორები, როგორიცაა აკვაკულტურა, საზღვაო ტურიზმი, ბიოეკონომიკა, ნარჩენების მართვა და საზღვაო ტრანსპორტი.

ლურჯი ეკონომიკის მოდელის ეფექტიანი დანერგვისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის ხელშეწყობა, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ამ ნაბიჯების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მდგრად განვითარებას, რაც დადებით გავლენას მოახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ისე გარემოს დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელებულ პირველ კვლევაში „ქ.ბათუმის და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტების მაგალითზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო

ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით“გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება, მათ შორის:

1. ლურჯი ეკონომიკის დანერგვისა და ცნობადობის დაბალი დონე
2. ეკონომიკური საქმიანობა და მდგრადობის გამოწვევები
3. ინფრასტრუქტურისა გაუმართავობა და პოლიტიკის არ არსებობა
4. ეკოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევები
5. სამეცნიერო კვლევებისა და საკადრო პოლიტიკის პრობლემები
6. ლურჯი ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიები

კვლევა ცხადყოფს, რომ შავი ზღვის სანაპირო ზონის ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

- ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გაზრდილი ცნობიერება და ჩართულობა;
- უფრო ეფექტური და კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მხარს უჭერს მდგრად განვითარებას;
- საკადრო რესურსების გაძლიერება და პროფესიონალების მომზადება, რათა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ეკოსისტემები და შევიმუშაოთ მდგრადი ეკონომიკური მოდელები.

გადამწყვეტია საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების და სამეცნიერო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა, რათა რეალურად დაინერგოს რეგიონში მდგრადი და ინტეგრირებული მართვის სისტემა.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ქალაქ ბათუმის შესწავლას, როგორც კარგ მაგალითს „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ურბანული არეალების ლურჯი განვითარებისა და სანაპირო საფრთხეების“ გამოსავლენად. კვლევაში წარმოდგენილია ბათუმის ურბანული განვითარება საქართველოს ისტორიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში. ქალაქი, რომელმაც მოახერხა გადაქცეულიყო ცენტრალურ სავაჭრო, ტურისტულ და ტრანზიტულ კვანძად სამხრეთ კავკასიაში. კვლევა აჩვენებს, რომ ბათუმის ურბანული განვითარება, განსაკუთრებით ზღვისპირა ზონაში, რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ინვესტიციურ პროექტებს, ტერიტორიული განვითარების ზონებს და ეკონომიკურ თუ ეკოლოგიურ გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციას, აჩვენებს, რომ ქალაქი სრულად განიხილავს საზღვაო რესურსების მდგრად გამოყენებას და მათ შორის ტურიზმის, ლოგისტიკის, მეთევზეობისა და სხვა დარგების განვითარების მნიშვნელობას.

ნაშრომის ერთ ერთი მთავარი მიგნებაა იმ ძირითადი გამოწვევების და პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც ქალაქშია. ეს არის ქალაქის ზედმეტად სწრაფი მშენებლობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზედმეტი დატვირთვა, ეკოლოგიური პრობლემები და ქალაქის სოციალურ-კულტურული სტრუქტურის დისბალანსი. ბათუმის ურბანული განვითარების პროცესები საჭიროებს არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით სერიოზულ გათვლებს. ქალაქის სწრაფი ზრდა და ინფრასტრუქტურული ცვლილებები უნდა იყოს კონტროლირებადი, რათა არ დაირღვეს ქალაქის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული სტრუქტურა. აუცილებელია ყურადღება მიექცეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, როგორიცაა „ლურჯი ეკონომიკა“, რათა ქალაქი განვითარდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო და სოციალურად ადაპტირებულ გარემოში.

ნაშრომში წარმოდგენილი შემდგომი კვლევის „მთავარი ეკოსისტემური სერვისები საქართველოს სანაპირო ზონისთვის, ზეწოლა და რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ლურჯი ეკონომიკის განვითარებას“ ძირითადი მიგნებებიდან აღსანიშნავია, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა უზრუნველყოფს მრავალფეროვან ეკოსისტემურ სერვისებს, როგორიცაა საკვებით უზრუნველყოფა, რეკრეაცია, ეკოტურიზმი და საგანმანათლებლო სერვისები. ეს სერვისები პირდაპირ გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე, ისე ბიომრავალფეროვნებაზე. თუმცა, ამ სერვისების მდგრადი გამოყენება და ლურჯი ეკონომიკის წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად იზღუდება არსებული ზეწოლიდან და რისკებიდან გამომდინარე, როგორიცაა სანაპირო ზონის ურბანიზაცია, ზღვის დაბინძურება, ჭარბი თევზრეწვა და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემები.

მცირე ეკონომიკური შესაძლებლობების, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების არქონის, საკანონმდებლო რეგულაციების ხარვეზებისა და სოციალური გამოწვევების

ფონზე აუცილებელია გამართული პოლიტიკისა და მართვის სისტემების შემუშავება. შავი ზღვის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერება, რეგულაციების მკაცრი შესრულება, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიების განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისი განათლების სისტემის შემუშავება. ამგვარად, მხოლოდ ერთიანმა, ინტეგრირებულმა მიდგომამ და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვამ შეიძლება უზრუნველყოს ლურჯი ეკონომიკის ეფექტური განვითარება, რომელიც ემსახურება როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.

გადამწყვეტია საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ხელისუფლების და სამეცნიერო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა, რათა რეალურად მივაღწიოთ რეგიონში მდგრადი და ინტეგრირებული მართვის სისტემა. მხოლოდ ერთიანმა, ინტეგრირებულმა მიდგომამ და შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვამ შეიძლება უზრუნველყოს ლურჯი ეკონომიკის ეფექტური განვითარება, რომელიც ემსახურება როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.

ამ ნაბიჯების წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მდგრად განვითარებას, რაც დადებით გავლენას მოახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ისე გარემოს დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არაბიძე. (2024, 12 მაისი). *ბათუმში ხელოვნური კუნძულის მშენებლობის პროექტი ახალ ფაზაში გადავიდა - Ambassadori Batumi Island*. Business Insider Georgia https://www.businessinsider.ge/ka/batumshi-khelovnuri-kundzulis-msheneblobis-proekti-akhal-fazashi-gadavida-ambassadori-batumi-island
2. აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში; სტატისტიკური კრებული. (2002). *აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში: სტატისტიკური კრებული*. ბათუმი.
3. აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2024). *აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2024-2027*. https://faolex.fao.org/docs/pdf/geo212887.pdf
4. *აჭარის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი.* ბათუმი.აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. (2023). *აჭარის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი*. ბათუმი.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. (2024, 14 მაისი). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=219&gid=7
6. ბათუმის ბულვარი. (2025). *ბათუმის ბულვარი*. https://batumibulvar.ge/
7. ბათუმის მერია. (2025). *ბათუმის მერია*. https://batumi.ge/
8. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2025). *ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*. https://bsu.edu.ge/
9. გუჩმანიძე, ა**.** (2024, 12 მაისი). პროექტი, რომელიც მხოლოდ ინვესტორის მერკანტილური ინტერესებისთვის შეიქმნა და ქვეყანას აზიანებს, უნდა შეჩერდეს და მიხარია, რომ ასე მოხდა. *[Tia.ge-ს ვებგვერდი]*. https://tia.ge/260275-proeqti-romelic-mxolod-investoris-merkantiluri-interesebistvis-sheiqmna-da-qvekhanas-azianebs-unda-shecherdes-da-mixaria-rom-ase-moxda-archil-guchmanidze.html
10. "გეოგრაფიკი". (2008). *ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა „ქ. ბათუმის პერსპექტიული განვითარების ხედვა“*. მოპოვებული https://batumi.ge/ge/upload/docx/gengegma%20-2018.pdf-დან
11. დაცული ტერიტორიების სააგენტო. (თ.თ.). *სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო*. http://apa.gov.ge/ge/
12. ექსპერტთა ჯგუფი. (2020). *შავი ზღვის სტრატეგული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი.* თბილისი: უნივერსალი.
13. თაფლაძე, ა. (2003). *აჭარის ა.რ. მიწის რესურსებისა და ნიადაგების აღწერა, მათი ტიპების დაცვის,ეროზიულობის, დეგრადირებულობისა და მოსავლიანობის ცვლილებების მიხედვით".*
14. კახაბერიძე, ც. (2021, 16 ოქტომბერი). *ბათუმელები*. https://batumelebi.netgazeti.ge/news/370665/
15. კიკნაძე, ა. (1991). *სანაპირო ზონის მორფოდინამიკა და მისი გამოყენების ოპტიმიზაცია.* თბილისი.
16. ლორთქიფანიძე, ე. (2024, 05 12). *რადიო თავისუფლება*. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1

17. მელიქიძე, ვ., & ს.კობაიძე. (2022). ლურჯი ეკონომიკის კონცეფცია და საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის მდგრადი განვითარება. *გარემო და საზოგადოება*, 171-204.
18. მუნიციპალიტეტი, ქობულეთი (2023). https://kobuleti.gov.ge/?page_id=313: https://kobuleti.gov.ge/?page_id=313
19. მურღულია, ი., & სხვა. (2013). *ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმა.* CSI (Urban Development & City Planning).
20. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო. (თ.თ). *ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა.*
21. სალუქვაძე, ი. (2021). ბათუმის ურბანული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები. *Forbes GEORGIA*.
22. სალუქვაძე, მ. (2023, 05 11). *ზღვაში არეკლილი ქალაქის კონცეფცია.* https://drive.google.com/file/d/1tkukducn12_7hF70w9Cbs3u5tARqfjtU/view?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR2_879kIsiWvsm1YDqNDUtVdxZfXLDC7SgzPm5CcjuHi2J7Dr6LbK8hkpc_aem_ATRj4iAHcONdK2Ec2JxWEOQmy78DDm0dP0_2WEeBmHVXirZDjfdbGuEkotf55uPQjhs4OEyX6ZlLoH3511IH2rrs
23. სამინისტრო, ა. ა. (2022). *აჭარის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი.* ბათუმი: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
24. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2024, ივნისი 10). რეგიონების სტატისტიკა http://regions.geostat.ge/regions/adjara.php?lang=ka
25. *საქართველოს აეროპორტების გაერთიანება*. (2025, May). https://gaca.gov.ge/ge/
26. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო*. (2025, May). https://mes.gov.ge/
27. *საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო*. (2025, May). https://nea.gov.ge/ge
28. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2020, 05 25). *საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43
29. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია*. (თ.თ.). http://science.org.ge
30. საქართველოს მთავრობა. (2014). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020"*. https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
31. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. (2025, May 20). https://www.mta.gov.ge/ka/content/70
32. *საქართველოს სახალხო მეურნეობა. სტატისტიკური წელიწადი.* (1988). თბილისი, გვ. 274.
33. *საქართველოს სსრ რეგიონების სოციალურ–ეკონომიკური განვითარება. სტატისტიკური კრებული.* (1989). თბილისი: საქ. სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი.
34. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022, 09 05). https://www.geostat.ge/ka
35. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024, 06 19). *ბიზნეს სექტორის სტატისტიკის მეთოდოლოგია*. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/media/5411/BS_Methodology_GEO.pdf
36. *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია*. (2025). from https://gnta.ge/
37. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2022, 09 05). Retrieved from https://www.mof.ge/
38. *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*. (2025). https://moh.gov.ge/
39. ხორავა, გ. (1989). *აჭარის სანაპიროს გეომორფოლოგია.* თბილისი.
40. ჯაოშვილი, ვ. (1986). *საქართველოს მდინარეები.* თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.
41. ჯორბენაძე, თ. (2023, December 02). *ბათუმელები*. https://batumelebi.netgazeti.ge/news/507129/

42. Abesadze, R. (2019). “GREEN” AND “CIRCULAR” ECONOMY: ESSENCE AND MODERN CHALLENGES. *Global Issues and Trends in Governance*.

43. Amrei Horstbrink, UNITAR. (2016). *Guidance Note on Learning for an Inclusive Green Economy.* PAGE. Retrieved from Partnership for Action on Green Economy: https://www.un-page.org/files/public/guidance_note_learning_for_an_inclusive_green_economy_8_12_2016_lr_.pdf

44. Bari, A. (2017). Our Oceans and the Blue Economy: Opportunities and Challenges. *ELSEVIER*.

45. BSEC. (n.d.). *ORGANIZATION OF THE BLACK SEA ECONOMIC COOPERATION*. Retrieved from http://www.bsec-organization.org/Information/Pages/bsec.aspx

46. Cameron, A., & Clouth, S. (2012, August). *Green Economy, Green Growth, and Low-Carbon Development - history, definitions and a guide to recent publications.* Retrieved from Division for Sustainable Development, UNDESA: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/GE%20Guidebook.pdf

47. Cyrus, R. (2017). Operationalizing the Blue Economy in Small States: Lessons from the Early Movers. *Centre for International Governance Innovation*, 1-9.

48. European Commission . (2022). *The EU Blue Economy Report 2022.* Luxembourg: Publications Office of the European Union.

49. European Commission. (2014). *Blue Growth: opportunities for marine and maritime sustainable growth.* Brussels.

50. Geels, F., & Schot, J. (2007). The dynamics of transitions: A socio-technical perspective. In *Handbook of Innovation Systems and Policy: Concepts and Perspectives* (p. 401). Edward Elgar Publishing.

51. Govan, H. (2017, May). *Ocean Governance: A Sustainable Future for Small States: Pacific 2050.* Retrieved from https://docplayer.net/59547486-Ocean-governance-our-sea-of-islands-a-sustainable-future-for-small-states-pacific-2050.html

52. Hall, H., & Barrett, H. (2012). *Urban Geography.* London: Routledge.

53. Isensee, K. (2020). *Global ocean science report 2020: charting capacity for ocean sustainability*. Retrieved from UNESDOC: https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000375147

54. Kalam, T. (2022, Sep 06). *What are Ecosystem Services?* . Retrieved from ScienceABC: https://www.scienceabc.com/nature/what-are-ecosystem-services.html

55. korter.ge. (2024, 05 11). *https://korter.ge/*. Retrieved from https://korter.ge/samsheneblo-kompaniebi-batumi?page=8

56. Lu Wenhai, C. C. (2019). Successful Blue Economy Examples With an Emphasis on International Perspectives. *Frontiers in Marine Science*, 14.

57. Michelle Voyer, D. B. (2022). Institutionalizing the Blue Economy: an examination of variations and consistencies among Commonwealth countries. *THE ROYAL SOCIETY* .

58. Moudon, A. V., & Hubka, V. (1993). Urban Form: Notes on a Research Strategy. *Journal of Urban Design and Planning*.

59. Plan Bleu. (2020). *Blue economy in the Mediterranean: case studies, lessons and perspectives.* Plan Bleu Paper n°19.

60. Rosa María Martínez Vázquez, J. M. (2021). Challenges of the Blue Economy: Evidence and Research Trends. *Research Square*.

61. Rustomjee, C. (2016, May). *Small States and the Blue and Green Economy.* Retrieved from Commonwealth Foundation and People's Forum: https://commonwealthfoundation.com/wp-content/uploads/2017/01/Commonwealth-Insights-Small-states-and-the-green-and-blue-economy.pdf

62. UNCTAD. (2023). *United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD)*. Retrieved from https://unctadstat.unctad.org/CountryProfile/MaritimeProfile/en-GB/268/index.html

63. United Nations. (2015). *The Millennium Development Goals Report 2015.* New York: United Nations.

64. United Nations. (2021, იანვარი 19). Blue Economy Concept Paper. *The "Rio +20" United Nations Conference on Sustainable Development (UNCSD)* (pp. 1-13). Rio de Janeiro: https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/2978BEconcept.pdf. Retrieved from https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/2978BEconcept.pdf

65. United Nations. (2022, June). *Sustainable blue economy vital for small countries and coastal populations*. Retrieved from https://news.un.org/en/story/2022/06/1121562

66. United Nations Environment. (2011). *Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication.* Nairobi, Kenya: UNEP. Retrieved from UNEP: https://www.unenvironment.org/resources/report/pathways-sustainable-development-and-poverty-eradication

67. Valles, G. (2014). *The Oceans Economy: Opportunities and Challenges for Small Island Developing States*. Retrieved from UNCTAD: https://unctad.org/system/files/official-document/ditcted2014d5_en.pdf

68. Vierros, M., & De Fontaubert, C. (2017). *The potential of the blue economy : increasing long-term benefits of the sustainable use of marine resources for small island developing states and coastal least developed countries (English).* Washington DC.: World Bank Group. Retrieved from http://documents.worldbank.org/curated/en/523151496389684076

69. Waite, M. R. (2014). *Improving Productivity and Environmental Performance of Aquaculture.* Retrieved from https://www.researchgate.net/publication/263273903_Improving_Productivity_and_Environmental_Performance_of_Aquaculture

70. Walter V. Reid, e. (2022, 09 06). *Ecosystems and Human Well-being.* Washington, DC: Millennium Ecosystem Assessment, 2005. Retrieved from https://www.millenniumassessment.org/documents/document.356.aspx.pdf

71. World Bank. (2020, 05 25). *Infographic: What is the Blue Economy?* . Retrieved from THE WORLD BANK: https://www.worldbank.org/en/news/infographic/2017/06/06/blue-economy

72. World Bank Group. (2016, April). *BLUE ECONOMY DEVELOPMENT FRAMEWORK: Growing the Blue Economy to Combat Poverty and Accelerate Prosperity.* Washington, D.C: The World Bank Group. Retrieved from www.worldbank.org/oceans

73. World Bank Group. (2016). *Oceans 2030; FINANCING THE BLUE ECONOMY FOR SUSTANABLE DEVELOPMENT.* Washington D.C.: World Bank Group.

74. WORLD BANK GROUP. (2017). *THE POTENTIAL OF THE BLUE ECONOMY; Increasing Long-term Benefits of the Sustainable Use of.* Washington D.C: World Bank Group.

75. *Геоморфология Грузии.* (1971). Тбилиси.

76. Джанджгава, В. (1979). *Гидродинамика и осадочная динамика береговой зоны Черного моря в пределах Аджарии.* თბილისი.

77. Кикнадзе, Г. (1966). *Основные черты геоморфологии Кавказского побережья Черного моря.* Тбилиси.

78. Лилиенберг, Д. (1966). Some problems of geomorphology, Quaternary geology and neotectonics of Macedonia. *Saveza geoloških društava SFRJ.* (pp. 271-299). Ohrid: Saveza geoloških društava SFRJ.

79. Севморгидропроект. (1963). *Атлас волнений и ветра Черного моря.* Ленинград: Гидрометеоиздат.

დანართი 1: 2024-2025წწ-ში მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობის სახეების და საკუთრების ფორმის მიხედვით ქ. ბათუმში

ცხრილი 21: 2024-2025წწ-ში მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობის სახეების და საკუთრების ფორმის მიხედვით ქ. ბათუმში

2024-2025წწ-ში მსხვილი ბიზნეს სუბიექტები საქმიანობის სახეების და საკუთრების ფორმის მიხედვით ქ. ბათუმში					
N		სუბიექტის დასახელება (2024წ)	საქმიანობის დასახელება	სუბიექტის დასახელება (2025წ)	საკუთრების ფორმა
1	ადგილობრივი	შპს UniPlay	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს UniPlay	კერძო ადგილობრივი საკუთრება
2		შპს ემფაერი	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს ემფაერი	შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით
3		შპს მირექლ	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს მირექლ	კერძო უცხოური საკუთრება
4		შპს ოტიუმ კაპიტალ ჯი	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს ოტიუმ კაპიტალ ჯი	კერძო უცხოური საკუთრება
5		შპს მშვიდობა	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს მშვიდობა	კერძო უცხოური საკუთრება
6		შპს როიალ გემბლინგ	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს როიალ გემბლინგ	კერძო უცხოური საკუთრება
7		შპს გრანდ კაზინო ბათუმი	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს გრანდ კაზინო ბათუმი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
8		შპს ოქროს ლომი	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს ოქროს ლომი	კერძო უცხოური საკუთრება
9		შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია	კერძო უცხოური საკუთრება
10		შპს პრინცესს ბათუმი	აზარტული თამაშების საქმიანობები	შპს პრინცესს ბათუმი	კერძო უცხოური საკუთრება
11		შპს როიალ ბათუმი	აზარტული თამაშების საქმიანობები		კერძო უცხოური საკუთრება
			აზარტული თამაშების საქმიანობები	***შპს ეი-ჯი-პი***	
			აზარტული თამაშების საქმიანობები	***შპს ჯეიფი ჰაბ***	

12		შპს დრიმლენდ ოაზისი	სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით	გადატანილია ქობულეთში	შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით
13		შპს ორბი ჯგუფი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა	შპს ორბი ჯგუფი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
		შპს DAR BUILDING	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა		კერძო ადგილობრივი საკუთრება
14		შპს ორბი ჯგუფი ბათუმი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა	შპს ორბი ჯგუფი ბათუმი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
15	წარმოება	შპს აჭარა ტექსტილე	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება	გადატანილია ქობულეთში	კერძო უცხოური საკუთრება
16		შპს ფასთ თრექ ტექსტილე ლთდ	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება	შპს ფასთ თრექ ტექსტილე ლთდ	კერძო უცხოური საკუთრება
			სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება	***შპს ადეკსა ჯორჯია***	
17	მომსახურება	შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა	შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური	სახელმწიფო საკუთრება
18		შპს ბათუმის ნავთობტერმინალი	ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა	შპს ბათუმის ნავთობტერმინალი	კერძო უცხოური საკუთრება
19		შპს ალესოფტ	საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები		კერძო უცხოური საკუთრება
20		შპს სტელლარ ნავიგეიშენ	საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი		კერძო უცხოური საკუთრება
21		შპს ეიჩარ ფოინთ	საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში	შპს ეიჩარ ფოინთ	კერძო ადგილობრივი საკუთრება
22		შპს ბათუმის წყალი	წყლის დაგროვება, დამუშავება და განაწილება	შპს ბათუმის წყალი	მუნიციპალური საკუთრება
			საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება	***შპს ბათუმის აეროპორტი***	

23	განათლება	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	უმაღლესი განათლება	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	სახელმწიფო საკუთრება
24		შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უმაღლესი განათლება	შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სახელმწიფო საკუთრება
25	მომსახურება	სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო	დაზღვევის სხვა სახეები	სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო	კერძო უცხოური საკუთრება
26	წარმოება	შპს აჭარ ენერჯი-2007	ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ		კერძო უცხოური საკუთრება
27		შპს აჭარისწყალი ჯორჯია	ელექტროენერგიის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ	შპს აჭარისწყალი ჯორჯია	კერძო უცხოური საკუთრება
28	მომსახურება	შპს კავკას მეტალი	საბითუმო ვაჭრო-ბა ლითონებით და ლითონის მადნებით		კერძო ადგილობრივი საკუთრება
29		შპს ჯე ტრეიდ	საბითუმო ვაჭრობა დიზელის სათბობით	შპს ჯე ტრეიდ	კერძო ადგილობრივი საკუთრება
30		შპს მოდუსი	საცალო ვაჭრობა რკინა-კავეულით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში	შპს მოდუსი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
31		შპს ნაზილბე ++	საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პრო-დუქ-ტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით	შპს ნაზილბე ++	კერძო ადგილობრივი საკუთრება
32		შპს მაქსიმა	საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით	შპს მაქსიმა	კერძო ადგილობრივი საკუთრება

33	წარმოება	შპს სტარ არ ჯი	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება		შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით
34	ელექტროენერგეტიკა	შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო	საავადმყოფოების საქმიანობები	შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო	სახელმწიფო საკუთრება
35		შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა	საავადმყოფოების საქმიანობები	შპს ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი მედინა	კერძო ადგილობრივი საკუთრება
36		შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი	საავადმყოფოების საქმიანობები	შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
37		შპს BROTHERS	საავადმყოფოების საქმიანობები	შპს BROTHERS	კერძო ადგილობრივი საკუთრება
38		შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი	საავადმყოფოების საქმიანობები	შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი	კერძო ადგილობრივი საკუთრება
39		შპს გზა	გზების და ავტობანების მშენებლობა	შპს გზა	კერძო ადგილობრივი საკუთრება
40		შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	საქალაქო და საგარეუბნო სამგზავრო სახმელეთო ტრანსპორტი	შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	მუნიციპალური საკუთრება
41		სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობები	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო	სახელმწიფო საკუთრება
42		შპს სანდასუფთავება	არასახიფათო ნარჩენების შეგროვება	შპს სანდასუფთავება	მუნიციპალური საკუთრება

43		შპს გეოიმპექს	არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრო-ბა	შპს გეოიმპექს	კერძო ადგილობრივი საკუთრება
44	ფანზაანლ და ინაათვდგ	ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	ხელოვნების დაწესებულებების ექსპლუატაცია	ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი	სახელმწიფო საკუთრება
45		ბათუმის კულტურის ცენტრი	ხელოვნების დაწესებულებების ექსპლუატაცია	ბათუმის კულტურის ცენტრი	მუნიციპალური საკუთრება
46		ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ადრეული და სკოლამდელი განათლება	ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მუნიციპალური საკუთრება

ცხრილი 3: ინოვაციური მიდგომები ლურჯ ეკონომიკაში

დანართი 2: ინოვაციური მიდგომები ლურჯ ეკონომიკაში

ინოვაციური მიდგომები ლურჯ ეკონომიკაში

სექტორი	**მეთევზეობა**	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) კონცეფციის თანახმად, გადაწყვეტილებების მიზანს წარმოადგენს პასუხისმგებლიანი მეთევზეობის პრაქტიკის ხელშეწყობა თევზჭერის ეფექტური მართვის, ზღვის რესურსების დაზოგვის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და თევზჭერის ხანგრძლივი სიცოცხისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ჯანსაღი მარაგებისა და თანაბარი საარსებო პირობების შექმნის გზით.

ტექნოლოგიური **თევზჭერის მონიტორინგისა და ზედამხედველობის სისტემები**: სატელიტური მონიტორინგის, გემების თვალთვალის სისტემების (VTS) და იდენტიფიკაციის ავტომატური სისტემების (AIS) ერთობლივი გამოყენება თევზჭერის ოპერაციების მონიტორინგის, კონტროლისა და ზედამხედველობის (MCS) გასაუმჯობესებლად, რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და უკანონო,	**სოციალური** სოციალური ინოვაციები მეთევზეობის სექტორში მიზნად ისახავს სოციალური პრობლემების გადაჭრას, საარსებო პირობების გაუმჯობესებასა და მეთევზეთა თემებში ინკლუზიური და თანასწორი განვითარების ხელშეწყობას. სოციალური ინოვაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეთევზეობის სექტორში სოციალური თანასწორობის, მდგრადობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით; სოციალური ინოვაციები ხელს უწყობს მეთევზეთა

აღურიცხავი და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის გასაუმჯობესებლად.

დისტანციური ზონდირება და დიდი მონაცემების ანალიტიკა: დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა თანამგზავრი და დრონი, დიდი მონაცემების ანალიტიკასა და მანქანური სწავლების ალგორითმებთან ერთად ოკეანოგრაფიული პირობების მონიტორინგის, თევზის ფონდის დინამიკის პროგნოზირების, თევზჭერის პოტენციური რაიონების იდენტიფიცირებისა და თევზჭერის სტრატეგიების ოპტიმიზაციის მიზნით მდგრადი ჭერისა და რენტაბელობის უზრუნველსაყოფად.

შერჩევითი თევზჭერის ინსტრუმენტები და დადგენილ ზომაზე ნაკლები ზომის თევზჭერის შემცირების ტექნოლოგიები: თევზჭერის ინოვაციური იარაღებისა და აღჭურვილობის შექმნა, შერჩევითი ტრალები, საევაკუაციო პანელები (თევზსავალები) და ტრალში კუების მოხვედრის თავიდან ასაცილებელი მოწყობილობები (TEDs), არასამიზნე სახეობების **დადგენილ ზომაზე ნაკლები ზომის ჭერის მინიმუმამდე შემცირების**, ჰაბიტატის დაზიანების შემცირებისა და თევზჭერის მდგრადი ოპერაციების ხელშესაწყობად.

თევზსაჭერი მეურნეობების რესურსების შეფასების და პროგნოზირების ინსტრუმენტები: მოდელირების მოწინავე მეთოდების დანერგვა, როგორიცაა ბიოეკონომიკური მოდელები, ეკოსისტემური მოდელები და სივრცით-ექსპლიკაციური მოდელები თევზის ფონდის შესაფასებლად, პოპულაციის დინამიკის პროგნოზირებისთვის, მაქსიმალურად მდგრადი თევზჭერის (MSY) შესაფასებლად და მდგრადი თევზჭერის მასშტაბებთან დაკავშირებით მართვის გადაწყვეტილებების დასაბუთება.

თემების კეთილდღეობას, ზღვის ეკოსისტემების შენარჩუნებასა და თევზჭერის მრეწველობისა და აკვაკულტურის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას. მეთევზეობის სექტორის ზოგიერთი ძირითადი სოციალური ინოვაციის მაგალითებია:

თევზჭერის მართვა/მენეჯმენტი თემის დონეზე: მენეჯმენტის მიდგომების განხორციელება თემის დონეზე, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ მეთევზეებსა და თემებს, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თანამონაწილეობა მიიღონ თევზჭერის რესურსების მართვაში და გაიზიარონ ბუნების კონსერვაციისა სარგებლის განაწილების პასუხისმგებლობა.

კოოპერატივები და კოლექტიური საწარმოები: მეთევზეთა კოოპერატივების, სამრეწველო ორგანიზაციებისა და კოლექტიური საწარმოების შექმნა სოციალური ერთობის ხელშეწყობის, რესურსების გაერთიანების, ბაზარზე წვდომის გაუმჯობესების, ფასების შეთანხმებისა და მცირე მეთევზეებისა და თევზრეწვის ობიექტების თანამშრომლების ინტერესების დაცვის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით.

ალტერნატიული საარსებო საშუალებები და მათი მრავალფეროვნება: შემოსავლის ალტერნატიული საქმიანობებისა და საარსებო წყაროების გამრავალფეროვნების სტრატეგიების ხელშეწყობა, მათ შორის, ეკოტურიზმის, პესკა-ტურიზმის, ზღვის პროდუქტების გადამუშავების, მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტებისა და არათევზსარეწი საწარმოების, თევზჭერაზე დამოკიდებულების შემცირებისა და მეთევზეთა თემების ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერების მიზნით.

პესკა-ტურიზმი: თევზჭერის აქტივობაზე ორიენტირებული რეკრეაციული ტურიზმის ერთ-ერთი სახე; მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში, ზრდის რა ტურისტების დანახარჯებს და აძლიერებს თევზჭერის ტურისტულ კომპანიებსა და თემებს. პესკა-ტურიზმმა შეიძლება, ხელი

ტრასირება და ბლოკჩეინის ტექნოლოგიები: ტრასირების სისტემებისა და ბლოკჩეინის ტექნოლოგიების დანერგვა საკვებ ჯაჭვში ზღვის პროდუქტების ტრასირების, გამჭვირვალობისა და სურსათის უვნებლობის გაუმჯობესების, უკანონო თევზჭერისა და ზღვის პროდუქტებით თაღლითობის პრევენციისა და მომხმარებლისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ზღვის პროდუქტების წარმოშობისა და მდგრადობის შესახებ.

თევზჭერის მონაცემთა შეგროვებისა და ინფორმაციული სისტემები: ელექტრონული მონიტორინგის (EM) და ელექტრონული ანგარიშგების (ER) სისტემების უზრუნველყოფა სათევზაო გემებზე, ასევე მობილური აპლიკაციები და ონლაინ პლატფორმები, რომლებიც მეთევზეებს საშუალებას აძლევს შეატყობინონ დაჭერის მონაცემები, ჩაწერონ თევზაობა და დაუკავშირდნენ მეთევზეობის ორგანოებს. რეალურ დროში მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება თევზჭერის მართვის პროცესში.

ზღვის პროდუქტების გადამუშავებისა და კონსერვირების ტექნოლოგიები: გადამუშავებისა და კონსერვირების მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა მაღალი წნევით დამუშავება (HPP), ვაკუუმ-შეფუთვა, გაყინვა და ცივი ჯაჭვის ლოჯისტიკა პროდუქტის ხარისხის შენარჩუნების, შენახვის ვადის გახანგრძლივების, საკვების ნარჩენების შემცირებისა და უსაფრთხო და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ზღვის პროდუქტზე მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით.

შეუწყოს გარემოს ეფექტურად მართვასა და დაცვას, რადგან მეთევზეები იწყებენ ბუნებრივი ეკოსისტემების დაფასებას და გვევლინებიან თევზჭერის მდგრადი მეთოდებისა და ფაუნის სხვადასხვა წარმოამდგენლის ჰაბიტატის დამცველები.

გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება: გენდერულად სენსიტიური პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ქალების მონაწილეობასა და ლიდერობას თევზჭერის მართვის სფეროში, აუმჯობესებს რესურსებზე წვდომას, ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებასა და სწავლების შესაძლებლობებს და მეთევზეობის სექტორში აღმოფხვრის გენდერულ უთანასწორობას უფლებების, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით.

სოციალური უსაფრთხოების ქსელები და კეთილდღეობის პროგრამები: სოციალური უსაფრთხოების ქსელების, სოციალური კეთილდღეობის პროგრამებისა და სიღარიბის შემცირების ინიციატივების განხორციელება, როგორიცაა ფულადი გზავნილები, საკვებით დახმარება, ჯანდაცვის სერვისები და განათლების მხარდაჭერა სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული მეთევზეების ოჯახების კეთილდღეობის ამაღლებისა და სურსათის უვნებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

კვლევა ყველა მხარის ჩართულობით და ცოდნის გაზიარება: მეთევზეების, მეთევზეთა ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თემების ჩართვა კვლევასა და ცოდნის გაზიარებისა და პოტენციალის ამაღლების აქტივობებში თევზრეწვის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღების, ტრადიციული ცოდნის გაზიარებისა და ადგილობრივი ცოდნა-გამოცდილების სამეცნიერო ცოდნასთან შერწყმის მიზნით.

სოციალური მეწარმეობისა და ინოვაციების ცენტრები/ჰაბები: სოციალური მეწარმეობის ინიციატივების, ინოვაციების ჰაბებისა და

	ინკუბატორების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციური გადაწყვეტილებების, ტექნოლოგიებისა და ბიზნეს-მოდელების შემუშავებას მეთევზეობის სექტორში არსებული სოციალური და ეკოლოგიური გამოწვევების გადასაჭრელად და ინკლუზიური ზრდისა და სოციალური ზემოქმედების შესაძლებლობების შესაქმნელად. **თევზჭერის სფეროს სერტიფიცირება თემის დონეზე:** სათემო მეთევზეობის სერტიფიცირების სქემები, როგორიცაა „სამართლიანი ვაჭრობა“, საზღვაო სამეურვეო საბჭო (MSC) და აკვაკულტურის სამეურვეო საბჭო (ASC), რომლებიც აღიარებენ და მხარს უჭერენ თევზჭერის მდგრად პრაქტიკას, ხელს უწყობენ სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას და მეთევზეთა თემებს აძლევენ წვდომას პრემიუმ ბაზრებზე და შემოსავლის გაზრდის საშუალებას. **მცირე მეთევზეთა მხარდაჭერა: „Sea Box“:** სოციალური ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს საკვების მოხმარებისა და განაწილების ახალ მოდელს, რომელიც მიზნად ისახავს მცირე ზემოქმედების თევზჭერის ეკონომიკურად გაძლიერებას. თევზის ყუთები/კალათები გამოიყენება ახალი თევზის მისაწოდებლად უშუალოდ მომხმარებლისთვის ან ადგილობრივი შეგროვების პუნქტებში. მომხმარებელი, როგორც წესი, თანახმაა, მიიღოს თევზის გარკვეული რაოდენობა და ყუთის შიგთავსი საბოლოოდ დამოკიდებულია თევზჭერაზე. **პროგრამა „Fish for litter“**, რომელსაც შეიძლება, ვუწოდოთ „თევზჭერა მინიმალური საზღვაო ნაგვის წარმოქმნით“, მიზნად ისახავს საზღვაო ნაგვის მოცულობის შემცირებას ერთ-ერთი დაინტერესებული მხარის - თევზჭერის ინდუსტრიის - მონაწილეობით. მეთევზეები ზღვიდან იღებენ პლასტმასს, რომელიც შემდგომ ხმელეთზე გადამუშავდება. გარდა ამისა, პროგრამა ხელს უწყობს მეთევზეების ცნობიერების ამაღლებას საზღვაო ნაგვის გავლენის შესახებ და ცვლის

	მათ ქცევას ნარჩენებთან დაკავშირებით ღია ზღვაში ყოფნისას. მეთევზეობის სექტორების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, **მენეჯმენტის სხვადასხვა ზომები** შეიძლება, იქნას გამოყენებულ სხვადასხვა დონეზე, მათ შორის საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი. **თევზჭერის მართვის გეგმების შემუშავება:** თევზჭერის მართვის კომპლექსური გეგმების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც იძლევა თევზჭერის მდგრადი მართვის მკაფიო მიზნებს, ამოცანებსა და სტრატეგიებს. აღნიშნული გეგმები შეიძლება, მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორიცაა ჯამური დასაშვები თევზჭერის (TAC) ზღვრები, ინტენსიური თევზჭერის კონტროლი, შეზღუდვები სათევზაო აღჭურვილობასთან დაკავშირებით და ტერიტორიის დახურვა გადამეტებული თევზჭერის თავიდან აცილებისა და თევზის ფონდის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით. **თევზჭერის რეგულირება და წესების დაცვის უზრუნველყოფა:** თევზჭერის რეგულაციების, კანონებისა და სამოქმედო გეგმების მიღება და დაცვა თევზჭერის რეგულირების, უკანონო, აღურიცხავი და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის აღკვეთისა და კონსერვაციისა და მართვის ზომების დაცვის მიზნით. აღნიშნული შეიძლება, მოიცავდეს სათევზაო გემების მონიტორინგს, ინსპექტირებასა და ჯარიმების დაწესებას კანონდარღვევებზე. **ეკოსისტემაზე ორიენტირებული თევზჭერის მენეჯმენტი:** ეკოსისტემაზე ორიენტირებული თევზჭერის მენეჯმენტის (EBFM) მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს ურთიერთქმედებას თევზის ფონდს, ზღვის ეკოსისტემებსა და ადამიანის საქმიანობას შორის. EBFM-ის მიზანია ზღვის ეკოსისტემების სიჯანსაღისა და მდგრადობის შენარჩუნება და მდგრადი თევზჭერის უზრუნველყოფა ერთიანი და ინტეგრირებული მართვის სტრატეგიების გამოყენებით.

	პრევენციული მიდგომა: პრევენციული მიდგომის პრინციპის გამოყენება, რომელიც ხაზს უსვამს პროაქტიული და პრევენციული ზომების საჭიროებას გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად და თევზის ფონდისა და ეკოსისტემების შეუქცევადი ზიანის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულში შეიძლება, შედიოდეს თევზჭერის კონსერვატიული ლიმიტის დაწესება, მართვის ადაპტირებული სტრატეგიების განხორციელება და დროული ზომების მიღება წამოჭრილი საფრთხეების ან რისკების გადასაჭრელად. **დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მონაწილეობა:** დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მეთევზეების, მეთევზე თემების, სამრეწველო სექტორის წარმომადგენლების, მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თევზჭერის მართვის დაგეგმვასა და თანამშრომლობის ინიციატივებში. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ლეგიტიმურობასა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას მართვის ზომებზე, რის ხარჯზეც უმჯობესდება შესაბამისობისა და რეალიზაციის ხარისხი. **მეცნიერულად დასაბუთებული თევზჭერის მენეჯმენტი:** მეცნიერული კვლევების, თევზის ფონდის შეფასებისა და მონაცემთა შეგროვების პროგრამების ინტეგრირება თევზჭერის მართვის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მეცნიერულად დასაბუთებული მენეჯმენტის დახმარებით ინფორმაცია მენეჯმენტის ქმედებების შესახებ ვრცელდება მოწინავე სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით და პასუხობს თევზის ფონდის, ეკოლოგიური პირობებისა და ეკოსისტემის დინამიკის ცვლილებებს. **ეკო-მარკირება.** სერტიფიცირების სქემები და თევზჭერის გაუმჯობესების პროექტები (FIP), რომლებიც ხელს უწყობს მდგრადი თევზჭერის პრაქტიკას, წვდომას ეკოლოგიურად სუფთა წყაროებიდან მოპოვებული ზღვის

	პროდუქტების ბაზარზე და თევზჭერის მართვას მაღალი პასუხისმგებლობით. **შესაძლებლობების გაძლიერება და ტექნიკური დახმარება:** შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამებისა და სასწავლო ვორქშოფების ორგანიზება, ასევე ტექნიკური დახმარების გაწევა მეთევზეების, მათი მენეჯერებისა და სახელმწიფო მოხელეების ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით თევზჭერის მდგრადი მართვის, მონაცემთა შეგროვების, თევზის ფონდის შეფასებისა და სამართლის დაცვის მიმართულებით. **ფსკერული თევზსაჭერი ტრაულერების გამოყენების შემცირება** **მობილური ფსკერული თევზჭერის აკრძალვა ყველა საზღვაო ნაკრძალში 30 მ-ზე ნაკლებ სიღრმეზე** **თევზჭერის აკრძალვა საზღვაო ნაკრძალებში** **კომერციული თევზჭერის ფლოტის შემცირება**
სექტორი	**აკვაკულტურა**
ტექნოლოგიური ***ტექნოლოგიური ინოვაციების*** შედეგს აკვაკულტურაში წარმოადგენდა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული საწარმოო ეფექტურობა, მდგრადობა და გარემოს მართვა. მოწინავე ტექნოლოგიებმა აკვაკულტურის სფეროს დაინტერესებულ მხარეებს მისცა ახალი შესაძლებლობების მოძიების, ბარიერების გადალახვისა და აკვაკულტურის სისტემების მდგრად განვითარებასა და ლურჯი ეკონომიკის გაფართოებაში წვლილის შეტანის საშუალება. აკვაკულტურის ძირითადი ტექნოლოგიური ინოვაციები ასეთია: **აკვაკულტურის რეცირკულაციური სისტემები (RAS):** RAS ტექნოლოგია იძლევა თევზისა და წყლის სხვა ორგანიზმების ინტენსიური კულტივირების საშუალებას	**სოციალური** ***სოციალური ინოვაციები*** აკვაკულტურაში - ეს არის ახლებური მიდგომები, პრაქტიკა ან ინიციატივები, რომლებიც იძლევა სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებას, ხელს უწყობს ინკლუზიურობას და აუმჯობესებს აკვაკულტურის ოპერაციებში მონაწილე ან ამ ოპერაციების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისა და თემების კეთილდღეობას; ასრულებს გადამწყვეტ როლს აკვაკულტურის სექტორში სოციალური თანასწორობის, მდგრადობისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში და აუმჯობესებს აკვაკულტურის საქმიანობაზე დამოკიდებული თემების კეთილდღეობას, საარსებო წყაროებსა და ეკოსისტემებს. თანამშრომლობის, ინკლუზიურობისა და უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობით, ინოვაციური სოციალური ინიციატივები ხელს უწყობს აკვაკულტურის უფრო სიცოცხლისუნარიანი,

დახურულ სისტემაში, რომელშიც ხდება წყლის მუდმივი რეციკლირება და დამუშავება ოპტიმალური პირობების შესანარჩუნებლად. RAS ტექნოლოგია ამცირებს წყლის ხარჯს, ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და იძლევა სახეობების კულტივირების საშუალებას ზღვაზე გასასვლელის არმქონე რაიონებში და ქალაქის პირობებში.

პრეციზიული აკვაკულტურა: პრეციზიული/ზუსტი აკვაკულტურა აერთიანებს სენსორებს, მონიტორინგის მოწყობილობებსა და მონაცემთა ანალიტიკას კვების, წყლის ხარისხისა და გარემო პირობების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით აკვაკულტურის დარგში. ზუსტი აკვაკულტურის ტექნოლოგიები იძლევა რეალურ დროში მონიტორინგის, გადაწყვეტილების მიღების, კონტროლის, წარმოების ეფექტურობის ზრდის, რესურსების გამოყენების, ნარჩენებისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების საშუალებას.

დისტანციური ზონდირება და მონიტორინგი: დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიები, მათ შორის თანამგზავრით გადაღებული სურათები, დრონები და წყალქვეშა სენსორები, იძლევა აკვაკულტურის რაიონების, წყლის ხარისხის პარამეტრებისა და გარემო პირობების მონიტორინგისა და შეფასების საშუალებას დიდ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე. დისტანციური ზონდირება ხელს უწყობს ეკოლოგიური ცვლილებების, ეპიდემიებისა და აკვაკულტურის რისკების ადრეულ გამოვლენას და იძლევა დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის პროაქტიური სტრატეგიების გამოყენების საშუალებას.

აკვასაკვების ტექნოლოგიების განვითარება: აკვასაკვების რეცეპტურის შემუშავების, ინგრედიენტების მოძიებისა და გადამუშავების ტექნოლოგიების დარგში არსებულმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა ინკლუზიური და მდგრადი სისტემების შექმნას, რაც სარგებლისმომტანია როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე მთელი პლანეტისთვის. აკვაკულტურის სფეროში სოციალური ინოვაციების ზოგიერთი მაგალითი მოყვანილია ქვემოთ:

აკვაკულტურის საწარმოები თემებში: აკვაკულტურის ისეთი სათემო საწარმოების ან კოოპერატივების შექმნა, რომელთა დახმარებითაც ადგილობრივი თემები ერთვებიან მდგრადი აკვაკულტურის საქმიანობაში, როგორიცაა მცირე ზომის თევზსაშენი მეურნეობები, აკვაპონიკის ინტეგრირებული სისტემები ან ზღვის წყალმცენარეების კულტივაცია. აღნიშნული ინიციატივები ამაღლებს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების პოტენციალს, ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციული ცოდნის შენარჩუნებას.

მდგრადი საარსებო საშუალებები და სიღარიბესთან ბრძოლა: აკვაკულტურაზე დაფუძნებული საარსებო საშუალებების უზრუნველყოფის პროგრამებისა და შემოსავლიანი საქმიანობის განხორციელება მოსახლეობის მარგინალიზებული ან დაუცველი ჯგუფებისთვის, მათ შორის მცირე ფერმერებისთვის, ქალებისთვის, ახალგაზრდობისა და ადგილობრივი თემებისთვის. ასეთი პროგრამები ითვალისწინებს სწავლებას, ტექნიკურ დახმარებასა და რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას, რაც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გაიუმჯობესონ საარსებო საშუალებები და ეკონომიკური მდგომარეობა და უკეთ გაუძლონ ეკონომიკურ შოკებს.

დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმები: დაფინანსების ინოვაციური მექანიზმების, როგორიცაა მიკროდაფინანსების ორგანიზაციების, სათემო საინვესტიციო ფონდების ან ინვესტიციების ხელმშემწყობი სააგენტოების, შექმნა აკვაკულტურის სფეროში მცირე მეწარმეებისა და სტარტაპების

ხელოვნურად მოშენებული თევზისა და კრევეტებისთვის მდგრადი და საკვები ნივთიერებებით დაბალანსებული საკვების შექმნა. ინოვაციებს აკვასაკვების წარმოებაში განეკუთვნება ცილის ალტერნატიული წყაროების გამოყენება, როგორიცაა მცენარეული ცილები, წყალმცენარეები და მწერებისგან დამზადებული ფქვილი თევზის ფქვილზე დამოკიდებულებისა და ველური თევზის ფონდზე ზეწოლის შესამცირებლად.

ზღვის მცენარეების კულტივაციისა და აღების სისტემა სასუქის წარმოებისთვის და სხვა დანიშნულებით (BS Accelerator-ის მხარდაჭერის პირობებში)

შერჩევითი სელექცია და გენეტიკა: შერჩევითი სელექციის პროგრამები და გენეტიკური სრულყოფის მეთოდები გამოიყენება ზრდის ტემპის გასაზრდელად და დაავადებებისადმი რეზისტენტობისა და ხელოვნურად გამოზრდილი წყლის სახეობების საკვების გარდაქმნის ეფექტურობის გასაუმჯობესელად. შერჩევითი სელექცია აკვაკულტურის მწარმოებლებს აძლევს სასურველი ნიშან-თვისებების მქონე შტამების გამოყვანის, აკვაკულტურის ოპერაციების პროდუქტიულობისა და რენტაბელობის გაზრდისა და მდგრადობის გაუმჯობესების საშუალებას.

ინტეგრირებული მულტიტროფიული აკვაკულტურა (IMTA): IMTA სისტემებში, აკვაკულტურის ერთ ობიექტზე ხდება მრავალი სხვადასხვა სახეობის, მაგალითად, ფხიანი თევზის, კიბოსნაირებისა და ზღვის წყალმცენარეების, მოშენება რესურსების მაქსიმალურად გამოყენების, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებისა და ეკოსისტემის სერვისების გასაუმჯობესებლად. IMTA ხელს უწყობს ეკოლოგიურ სინერგიას, საკვები ნივთიერებების რეცირკულაციასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, რაც ხელს (დამწყებთა) ხელშესაწყობად. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს წვდომას კაპიტალზე, კრედიტებსა და ფინანსურ მომსახურებაზე, ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, მეწარმეობასა და სოციალურ მობილობას აკვაკულტურაზე დამოკიდებულ თემებში.

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერება: გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერება ისეთი ინიციატივების განხორციელებით აკვაკულტურის სექტორში, რომელთა მიზანია გენდერული ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა მონაწილეობას და ქმნის ინკლუზიურ შესაძლებლობებს ქალებისთვის მოცემულ სექტორში. აღნიშნულში შეიძლება, შედიოდეს სასწავლო პროგრამები, პოტენციალის ზრდის ინიციატივები და ადვოკატირება, რის მიზანსაც წარმოადგენს ქალების ხელმისაწვდომობის გაზრდა რესურსებზე, მათი როლის გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი ხელშეწყობა ლიდერის პოზიციების დასაკავებლად აკვაკულტურის ღირებულების ჯაჭვებში.

ინკლუზიური ღირებულების ჯაჭვები და ბაზარზე წვდომა: ინკლუზიური ღირებულების ჯაჭვებისა და საბაზრო კავშირების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც აკვაკულტურის მცირე მეწარმეებს ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებთან აკავშირებს. აღნიშნული გულისხმობს საბაზრო მიდგომების, სამართლიანი ვაჭრობის პრაქტიკისა და სერტიფიცირების ისეთი სქემების ხელშეწყობას, რომლებიც უზრუნველყოფს მიღებული სარგებლის სამართლიან განაწილებას, მიწოდების გამჭვირვალე ჯაჭვს და მცირე მეწარმეების უწყვეტ წვდომას ბაზარზე.

ეკოლოგიურად დასაბუთებული აკვაკულტურის მართვა: აკვაკულტურის მართვის ეკოლოგიურად დასაბუთებული მეთოდების მიღება, რომლებიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ მოსაზრებებს გადაწყვეტილების

უწყობს აკვაკულტურის მდგრად წარმოებასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას. **წყლის ცხოველების ჯანმრთელობის მართვა:** დიაგნოსტიკის საშუალებების, ეპიდზედამხედველობისა და ვაქცინაციის ტექნოლოგიების გაუმჯობესების სფეროში არსებულმა მიღწევებმა ხელი შეუწყო წყლის ცხოველების ჯანმრთელობის მართვასა და დაავადებების პრევენციას აკვაკულტურაში. ინოვაციები დაავადების გამოვლენის, ბიოუსაფრთხოების ზომებისა და ჯანმრთელობის მონიტორინგის სისტემების მიმართულებით ამცირებს დაავადების რისკებსა და დანაკარგებს და აუმჯობესებს ხელოვნურად მოშენებული წყლის სახეობების კეთილდღეობას. **„ჭკვიანი“ კულტივირების ტექნოლოგიები:** „ჭკვიანი“ კულტივირების ტექნოლოგიები, როგორიცაა ნივთების ინტერნეტის (IoT) მოწყობილობები, ავტომატური კვების სისტემები და რეალური დროის მონიტორინგის პლატფორმები, იძლევა აკვაკულტურის ოპერაციების ზუსტი მართვისა და დისტანციური კონტროლის საშუალებას. „ჭკვიანი“ კულტივირების გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციას, ამცირებს შრომის დანახარჯებს და ზრდის აკვაკულტურის საწარმოების პროდუქტიულობას, მასშტაბურობასა და რენტაბელობას.	მიღების პროცესში. ეკოლოგიურად დასაბუთებული აკვაკულტურა ხელს უწყობს პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ბუნებრივი რესურსებისადმი, ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას, აუმჯობესებს ეკოსისტემის მდგრადობას და ხელს უწყობს მდგრად საარსებო საშუალებებსა და საზოგადოების კეთილდღეობას. **აკვაკულტურის სერტიფიცირების სისტემა სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით:** აკვაკულტურის ოპერაციებისა და პროდუქტების სერტიფიცირება სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების, ეთიკური შრომითი პრაქტიკისა და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების გათვალისწინებით. აკვაკულტურის სერტიფიცირების სისტემა სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით აღიარებს და წაახალისებს იმ მწარმოებლებს, რომლებიც ემხრობიან სოციალური თანასწორობის, მშრომელთა უფლებებისა და საზოგადოების განვითარების პრინციპებს, რაც ხელს უწყობს აკვაკულტურის ინდუსტრიაში ნდობის, გამჭვირვალობისა და მომხმარებლის ნდობის ჩამოყალიბებას. **საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობითი მმართველობა:** საზოგადოების ჩართულობის, გადაწყვეტილებების პარტისიპატორული მიღებისა და დაინტერესებული მხარეების დიალოგის ხელშეწყობა აკვაკულტურის დაგეგმვის, განვითარებისა და მართვის პროცესში. საზოგადოების ჩართულობით მიიღწევა ადგილობრივი მოსახლეობის აზრის მოსმენის, პრობლემების მოგვარებისა და აკვაკულტურის თემში მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს სოციალურ ერთობას, სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას. ***მდგრადი მართვის ღონისძიებები აკვაკულტურაში*** - ეს არის სტრატეგიები და პრაქტიკა, რომელთა მიზანსაც გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება, სოციალური

	პასუხისმგებლობის ხელშეწყობა და აკვაკულტურის ოპერაციების გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აკვაკულტურის მდგრადი მართვის ზოგიერთი ძირითადი ღონისძიება მოცემულია ქვემოთ: **უბნის შერჩევა და დაგეგმვა:** აკვაკულტურის უბნების ყურადღებით შერჩევა ეკოლოგიური შესაფერისობისა და დასაშვები დატვირთვის გათვალისწინებით. უბნის შეფასებისას გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წყლის ხარისხი, დინების მოდელი, ჰაბიტატის მთლიანობა და სიახლოვე სენსიტიურ ეკოსისტემებთან, რის მიზანსაც ბუნებრივ რესურსებსა და ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება წარმოადგენს. **მართვის კარგი პრაქტიკა (BMPs):** BMP-ების დანერგვა წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესების, ნარჩენების მინიმიზაციისა და გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით აკვაკულტურის ოპერაციების შესრულებისას. BMP მოიცავს აკვაკულტურის მართვის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის საკვების მართვას, თევზის ფონდის სიმჭიდროვეს, წყლის ხარისხის მართვას, დაავადების პრევენციასა და ნარჩენების მართვას. **წყლის ხარისხის მართვა:** წყლის ხარისხის ოპტიმალური პარამეტრების მონიტორინგი და შენარჩუნება, როგორიცაა წყალში გახსნილი ჟანგბადი, ტემპერატურა, pH და საკვები ნივთიერებების კონცენტრაცია წყლის ორგანიზმების ჯანსაღი ზრდისა და კეთილდღეობის ხელშესაწყობად. წყლის ხარისხის მართვის სტრატეგიები შეიძლება მოიცავდეს აერაციას, ფილტრაციას, გადამუშავებასა და წყლის პარამეტრების რეგულარულ მონიტორინგს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. **საკვების მართვა და კვება:** საკვების მდგრადი რეცეპტურის, კვების მეთოდებისა და კვების რეჟიმების

	დანერგვა აკვაკულტურაში რესურსების დანახარჯის მინიმუმამდე შესამცირებლად, გარემოს დაბინძურების შესამცირებლად და საკვების გარდაქმნის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. საკვების მდგრადი მართვა გულისხმობს ინგრედიენტების მოპოვებას მაღალი პასუხისმგებლობით, საკვები ნივთიერებების გამოყენების ოპტიმიზაციას და საკვების ნარჩენებისა და საკვები ნივთიერებების გადინების მინიმიზაციას. **დაავადებათა პრევენცია და ჯანდაცვა:** ბიოუსაფრთხოების ზომების, ვაქცინაციის პროგრამების და ჯანმრთელობის მონიტორინგის ოქმების მოთხოვნების დაკმაყოფილება აკვაკულტურაში დაავადების გავრცელებისა და ანტიბიოტიკებისა და ქიმიური პრეპარატების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. დაავადებათა პრევენციის სტრატეგიები ორიენტირებულია ბიოუსაფრთხოების შენარჩუნებაზე, საკარანტინო პროცედურებზე და პათოგენების ადრეულ გამოვლენაზე ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. **ჰაბიტატის აღდგენა და გაუმჯობესება:** ჰაბიტატის აღდგენისა და გაძლიერების ღონისძიებების ჩართვა აკვაკულტურის პრაქტიკაში ჰაბიტატის დეგრადაციის შემცირების, ეკოსისტემის სერვისების გაძლიერებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება გულისხმობდეს ხელოვნური რიფების შექმნას, მანგროვების აღდგენას და ჰაბიტატის აღდგენის პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს თავშესაფრისა და ქვირითობის უბნების უზრუნველყოფას ადგილობრივი სახეობების გამრავლებისთვის. გაეცანით ბუნების რაციონალურ სარგებლობაზე მორგებულ გადაწყვეტილებებს. **სერტიფიცირება და ეკო-მარკირება:** სერტიფიცირების სქემების, ეკო-მარკირების პროგრამებისა და მდგრადობის სტანდარტების მიღება, როგორიცაა აკვაკულტურის სამეურვეო საბჭოს (ASC) ან კარგი აკვაკულტურის პრაქტიკის (BAP) სერტიფიკატი,

	რომელიც ადასტურებს შესაბამისობას გარემოსდაცვით, სოციალურ და ეთიკურ კრიტერიუმებთან. სერტიფიკატი მომხმარებლებში, ცალობით მოვაჭრეებსა და ინვესტორებში ნერგავს ნდობასა და რწმენას, რომ აკვაკულტურის პროდუქტები იწარმოება მაღალი ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობით. **აკვაკულტურის სექტორთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დახვეწა** **კვლევითი და ფინანსური პროგრამები სექტორის მხარდასაჭერად**
სექტორი	**სანაპირო ტურიზმი**
ტექნოლოგიური ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით შესაძლებელია სანაპირო დესტინაციების ვიზიტორებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილებების მოხდენა, რაც მიიღწევა მდგრადობის უზრუნველყოფითა და მენეჯმენტის გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით. სანაპირო ტურიზმში გამოყენებული ზოგიერთი ძირითადი ტექნოლოგიური ინოვაციის მაგალითები მოყვანილია ქვემოთ: **მობილური აპლიკაციები და ციფრული პლატფორმები:** მობილური აპლიკაციები და ციფრული პლატფორმები ტურისტებს აწვდის ინფორმაციას რეალურ დროში, ასევე ინტერაქტიულ რუკებს და მათ ინტერესებზე მორგებულ რეკომენდაციებს ზღვის სანაპირო დესტინაციების, ატრაქციებისა და აქტივობების შესახებ. ასეთი აპლიკაციები ამარტივებს მოგზაურობის დაგეგმვას, ნავიგაციასა და სერვისების დაჯავშნას, რაც აუმჯობესებს სანაპირო ტურიზმის კომფორტულობასა და მასზე წვდომას. **ვირტუალური რეალობა (VR) და აუგმენტირებული რეალობა (AR):** VR და AR ტექნოლოგიები იძლევა ვირტუალური ტურების	**სოციალური** ***სოციალური ინოვაციები სანაპირო ტურიზმში*** გულისხმობს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ ახლებურ მიდგომებს, ინიციატივებსა და მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას და აუმჯობესებს ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ვიზიტორების კეთილდღეობას სანაპირო დესტინაციებზე. სანაპირო ტურიზმის სფეროში სოციალური ინოვაციების წახალისებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ინკლუზიურ ზრდას, კულტურის შენარჩუნებასა და ეკოლოგიურ მდგრადობას და იმავდროულად გააძლიერონ ადგილობრივი თემები, რათა მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ტურიზმის განვითარების პროცესებში და მიიღონ ამ პროცესებით გათვალისწინებული სარგებელიც. სანაპირო ტურიზმის სფეროში ზოგიერთი მნიშვნელოვანი სოციალური ინოვაციის მაგალითები მოყვანილია ქვემოთ: **თემზე ორიენტირებული ტურისტული ინიციატივები:** თემზე ორიენტირებული ტურისტული ინიციატივები აძლიერებს ადგილობრივი მაცხოვრებლების შესაძლებლობებს, მონაწილეობა მიიღონ ტურიზმის განვითარების, გადაწყვეტილებების მიღებისა და სარგებლის განაწილების პროცესებში. ეს

ჩატარების, გასაოცარი გამოცდილების მიღებისა და ინტერაქტიულ ისტორიებში ჩაღრმავების საშუალებას, რაც საშუალებას აძლევს ტურისტს, დისტანციურად მოინახულოს სანაპირო ადგილები და კულტურული ობიექტები. VR და AR აპლიკაციები იძლევა სანაპირო ატრაქციების, ზღვის ეკოსისტემებისა და წყალქვეშა ჰაბიტატების წინასწარ გაცნობის შესაძლებლობას, რაც ზრდის ჩართულობას და ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის პოპულარიზაციას.

„ჭკვიანი“ დესტინაციები და ნივთების ინტერნეტი (IoT): „ჭკვიანი“ დესტინაციების შექმნის ინიციატივები იყენებს IoT სენსორებს, მონაცემთა ანალიტიკასა და ღრუბლოვან გამოთვლებს სანაპირო დესტინაციებზე ვიზიტორთა მართვის, რესურსების განაწილებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური განვითარების მიზნით. IoT ტექნოლოგიები იძლევა „ჭკვიანი“ პარკირების, ნარჩენების მართვის, ენერგოეფექტურობისა და ადამიანთა მასის მონიტორინგის სისტემების შექმნის საშუალებას, რაც აუმჯობესებს სანაპირო დესტინაციების უსაფრთხოებას, მდგრადობასა და ეფექტურობას.

უპილოტო (დრონის) ტექნოლოგიები: დრონები გამოიყენება აეროგადაღებისთვის, ვიდეო გადაღებისთვის და სანაპირო ლანდშაფტების, პლაჟებისა და ზღვების შესასწავლად. დრონის ტექნოლოგია იძლევა სანაპიროს მართვისთვის, ეკოლოგიური მონიტორინგისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს, რაც შესაბამის უწყებებს აძლევს სანაპირო ზოლის ეროზიის, ზღვის ბიომრავალფეროვნების კონტროლისა და სანაპირო რეგულაციების რეალიზების საშუალებას.

მწვანე ენერგია და მდგრადი ინფრასტრუქტურა: განახლებადი ენერგიის ინიციატივები მოიცავს თემის საკუთრებაში არსებული ტურისტული ფირმების შექმნას, კულტურის გაცნობასა და ეკო-ტურებს, რომლებიც ემსახურება ადგილობრივი ტრადიციების, ხალხური რეწვის ნიმუშებისა და მემკვიდრეობის გაცნობას, აღვივებს სიამაყის გრძნობას, აძლიერებს იდენტობის განცდას და ხელს უწყობს მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას.

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება: სოციალური ინოვაციები სანაპირო ტურიზმის სფეროში გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ადგილებისა და ცოდნის ტრადიციული სისტემების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის ღონისძიებების განხორციელებას. კულტურული მემკვიდრეობის ტურისტულ ინიციატივებში შედის ისტორიული შენობა-ნაგებობების, კულტურული ობიექტებისა და არქეოლოგიური ძეგლების რესტავრაცია, ხალხური რეწვის ნიმუშების, ტრადიციული მუსიკისა და ფესტივალების აღორძინება, რაც აღვივებს კულტურული სიამაყის გრძნობას და ხაზს უსვამს სანაპირო დესტინაციების ავთენტურობას.

საარსებო საშუალებების მდგრადი უზრუნველყოფა: სოციალური ინოვაციების ინიციატივები სანაპირო ტურიზმის დარგში მიზნად ისახავს მდგრადი საარსებო საშუალებებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობების უზრუნველყოფას ადგილობრივი თემებისთვის, პირველ რიგში კი - სანაპიროს რესურსებსა და ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაზე დამოკიდებული პირებისთვის. აღნიშნულ ინიციატივებში შედის უნარების გამომუშავების ტრენინგ-პროგრამები, მეწარმეობის მხარდაჭერა და მიკროსაფინანსო სქემები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გაამრავალფერონ საარსებო საშუალებები, გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა და იყვნენ უფრო მდგრადი ეკონომიკური შოკების მიმართ.

ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა მზის პანელები, ქარის ტურბინები და ტალღის ენერგიის ელემენტები სანაპირო ტურისტული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად. მდგრადი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის ეკო-მეგობრული სასტუმროები, მწვანე შენობები და დაბალი ზემოქმედების განაშენიანება, ამცირებს სანაპირო ატრაქციების ზემოქმედებას გარემოზე და აუმჯობესებს ენერგოეფექტურობას.

ციფრული მარკეტინგი და სოციალური მედია: ციფრული მარკეტინგული სტრატეგიები, კამპანიები სოციალურ მედიაში და გავლენიან პირებთან თანამშრომლობა გამოიყენება სანაპირო დესტინაციების, ატრაქციებისა და გამოცდილების პოპულარიზაციისთვის გლობალური აუდიტორიის საკეთილდღეოდ. სოციალური მედიის პლატფორმები, როგორიცაა Instagram, Facebook და YouTube, გვაცნობს სანაპირო დესტინაციების ბუნების სილამაზეს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და შესაძლო რეკრეაციულ აქტივობებს, რაც ზრდის ვიზიტორთა ჩართულობასა და ტურისტების მოთხოვნას ასეთ დესტინაციებზე.

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენება საკვების ნულოვანი ნარჩენებისთვის

არამატერიალური ტურისტული ინფრასტრუქტურა და მწვანე მწვანე საცხოვრებლები

ბუნების დაცვა თემის დონეზე: სოციალური ინოვაციები სანაპირო ტურიზმის დარგში გულისხმობს ბუნების დაცვის ინიციატივების განხორციელებას თემების ხელმძღვანელობით, რომლებშიც ჩაერთვება ადგილობრივი მოსახლეობა ბუნებრივი რესურსების, ზღვის ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილების დასაცავად და სამართავად. ბუნების კონსერვაციის პროექტები თემების მონაწილეობით ითვალისწინებს ზღვის დაცული ტერიტორიების (MPAs) შექმნას, სანაპიროს დასუფთავების კამპანიების ჩატარებას, მარჯნის რიფების აღდგენის, გარემოს დაცვისა და მდგრადი ტურიზმის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას.

კულტურული გაცვლა და კულტურათაშორისი დიალოგი: სოციალური ინოვაციების ინიციატივები ხელს უწყობს კულტურულ გაცვლას, კულტურათაშორის დიალოგსა და თემების მონაწილეობას სანაპირო ტურიზმში. აღნიშნულ ინიციატივებში შედის კულტურული გაცვლის პროგრამები, აკომოდაცია და კულტურული პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ვიზიტორებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის, კულტურათაშორის დიალოგს და აქცენტს აკეთებს სანაპირო დესტინაციების მრავალფეროვნებაზე.

სოციალური მეწარმეობა და ერთობლივი პარტნიორული ორგანიზაციები: სოციალური ინოვაციები სანაპირო ტურიზმში გულისხმობს სოციალური საწარმოების, კოოპერატივების და სათემო ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც ტურიზმს იყენებენ, როგორც სოციალური ცვლილებებისა და თემის განვითარების ინსტრუმენტს. საზოგადოებრივი საწარმოები საზოგადოებას სთავაზობს ისეთ პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც ხასიათდება დადებითი სოციალური და/ან გარემოსდაცვითი ზემოქმედებით. ასეთია სუვენირებით ვაჭრობა

	სამართლიანობის პრინციპების დაცვით, ეთიკური ტურები და აკომოდაცია თემში. რაც შეეხება ერთობლივ პარტნიორობას ადგილობრივ თემებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს, ისინი ხელს უწყობენ ინკლუზიური და მდგრადი ტურიზმის განვითარებას. **ახალგაზრდების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება და განათლება:** სოციალური ინოვაციების ინიციატივები სანაპირო ტურიზმის სფეროში მიზნად ისახავს ახალგაზრდების უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებას მათი განათლების, სწავლების/ტრენინგის და პოტენციალის ზრდის პროგრამების დახმარებით, რომლებიც ახალგაზრდებს აძლევს საჭირო უნარ-ჩვეებს, ცოდნასა და შესაძლებლობას, რათა მონაწილეობა მიიღონ ტურისტულ მეწარმეობაში და საზოგადოების განვითარებაში. ახალგაზრდების მიერ მართული ინიციატივები, როგორიცაა ახალგაზრდული ტურისტული საბჭოები, გარემოსდაცვითი განათლების პროგრამები და ახალგაზრდა ელჩების პროგრამები, ხორციელდება ახალგაზრდა ლიდერების, როგორც ტურიზმის მდგრადი განვითარების მეთოდების მომხრეებისა და სანაპირო დესტინაციებზე სოციალური ცვლილების აგენტების, მონაწილეობით. **სოციალური ზემოქმედების შეფასება და მონიტორინგი:** სოციალური ინოვაცია სანაპირო ტურიზმის სფეროში გულისხმობს სოციალური ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტების, მონიტორინგის ჩარჩოებისა და შეფასების მეთოდების დამუშავებას ტურიზმის განვითარებით მიღებული სოციალური სარგებლისა და მასზე გაწეული ხარჯების გაზომვისა და მართვის მიზნით. სოციალური ზემოქმედების შეფასებებით დგინდება ტურისტულ პროექტებთან დაკავშირებული პოტენციური რისკები, შესაძლებლობები და ნაკლოვანებები, ხოლო მონიტორინგისა და შეფასების სისტემები ავლენს სოციალურ შედეგებს, თემში არსებულ წარმოდგენებსა

	და ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებს სანაპიროზე მცხოვრებ თემებში, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის განვითარებას ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებებსა და მისწრაფებებთან თანხმობით. ***მდგრადი მართვის ღონისძიებები*** სანაპირო ტურიზმის სფეროში მოიცავს სტრატეგიებსა და მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და ტურისტული საქმიანობის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფას სანაპირო რაიონებში. მდგრადი მართვის ღონისძიებების განხორციელებით, სანაპირო დესტინაციებს შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, დადებითი სარგებლის მაქსიმალურად გაზრდა და ტურისტული საქმიანობის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც სარგებელს მოუტანს როგორც გარემოს, ისე ადგილობრივ თემებს. სანაპირო ტურიზმის მდგრადი მართვის ზოგიერთი ძირითადი ღონისძიება მოყვანილია ქვემოთ: **დესტინაციის დაგეგმვა და ზონირება:** დესტინაციების დეტალური გეგმებისა და ზონირების რეგულაციების შემუშავება, რომლებიც არეგულირებს სანაპირო ტურისტული საქმიანობის მდგრად განვითარებას. ზონირებით განისაზღვრება სხვადასხვა კატეგორიის ტერიტორიები ტურიზმის განვითარებისთვის, როგორიცაა კურორტები, ზღვის დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები პოტენციური კონფლიქტების მინიმუმამდე შესამცირებლად, სენსიტიური ეკოსისტემების დასაცავად და ბუნებრივი ლანდშაფტების შესანარჩუნებლად. **გამტარუნარიანობის შეფასება**: გამტარუნარიანობის შეფასება ტურისტების იმ შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის დასადგენად, რომელსაც სანაპირო დესტინაცია სტაბილურად უმასპინძლებს, გარემოს დეგრადაციისა და სოციალური კავშირების გაწყვეტის გარეშე. გამტარუნარიანობის შეფასებისას

	მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ვიზიტორების რაოდენობა,ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა, ნარჩენების წარმოქმნა და რესურსებზე წვდომა ტურიზმის მართვის გადაწყვეტილებებისა და განვითარების გეგმების დასაბუთებისთვის. **გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA):** გარემოზე ზემოქმედების შეფასება სანაპირო რაიონებში ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შემოთავაზებული პროექტების ფარგლებში გარემოზე პოტენციური ზემოქმედების შესაფასებლად და შემარბილებელი ზომების დასადგენად. გზშ აფასებს ტურისტული საქმიანობის გავლენას ეკოსისტემებზე, ჰაბიტატებზე, წყლის ხარისხზე, ჰაერის ხარისხზე, ველურ ბუნებასა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე, რის მიზანსაც გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვა და უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება წარმოადგენს. **რესურსების მართვა და კონსერვაცია:** რესურსების მართვისა და კონსერვაციის ინიციატივების განხორციელება სანაპირო ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების დეგრადაციისა და გადაჭარბებული ექსპლუატაციისგან დასაცავად. კონსერვაციის ღონისძიებებში შეიძლება, შედიოდეს ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნა, ჰაბიტატის აღდგენის პროექტები, მეთევზეობის ობიექტების მდგრადი მართვა და სანაპირო ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებები სანაპირო ეკოსისტემების მთლიანობისა და მდგრადობის შესანარჩუნებლად. **ნარჩენების მართვა და დაბინძურების კონტროლი:** ნარჩენების მართვის სტრატეგიები, ნარჩენების გადამუშავების პროგრამები და დაბინძურების კონტროლის ზომები ტურისტული საქმიანობით წარმოქმნილი მყარი ნარჩენების, ჩამდინარე წყლებისა და საზღვაო ნაგვის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ნარჩენების მდგრადი მართვის მეთოდებში შედის ნარჩენების შემცირება, სეგრეგაცია,

	გადამუშავება და სწორი განთავსება სანაპირო წყლებისა და პლაჟების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და ზღვის ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. **საზოგადოების ჩართულობა და გაძლიერება:** ადგილობრივი თემების, მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვა სანაპირო ტურიზმის დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში მათი მონაწილეობის, საკუთრების უფლებისა და სარგებლის განაწილების მიზნით. საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს სოციალურ ერთობას, კულტურის შენარჩუნებასა და ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას და აძლიერებს ზღვისპირა ტურისტული დესტინაციების სოციალურ მდგრადობასა და სიცოცხლისუნარიანობას. **ვიზიტორთა განათლება და ინფორმირება:** ვიზიტორთა ინფორმირებულობის პროგრამები, განმარტებითი ნიშნები და ეკოტურიზმის სერვისები ტურისტების ცნობიერების ასამაღლებლად გარემოს დაცვის, კულტურული მემკვიდრეობისა და მდგრადი ტურისტული მეთოდების მიმართულებით. ვიზიტორთა საგანმანათლებლო ინიციატივები ხელს უწყობს ტურისტების პასუხისმგებლობის ამაღლებას, აღძრავს მათში ადგილობრივი წეს-ჩვეულებების პატივისცემას და ასწავლის მათ ბუნებრივი და კულტურული აქტივების დაფასებას, რაც ხელს უწყობს ტურისტებში მდგრადი განვითარების კულტურის ჩამოყალიბებას. **სერთიფიცირება და მდგრადობის სტანდარტები:** სერტიფიცირების სქემების, ეკო-მარკირების პროგრამებისა და მდგრადობის სტანდარტების მიღება, როგორიცაა Green Globe სერთიფიკატი ან EarthCheck სერთიფიკატი ისეთი ტურისტული ფირმების აღიარების მიზნით, რომლებიც ორიენტირებული არიან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევაზე. სერტიფიკატი ტურისტებში, ინვესტორებსა და დესტინაციის მენეჯერებში ნერგავს რწმენას, რომ ტურისტული აქტივობები ტარდება მაღალი

	პასუხისმგებლობით და წვლილი შეაქვთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. **ზღვის მემკვიდრეობის დაცვა:** ზღვის მემკვიდრეობის ობიექტების, კულტურული ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული, კულტურული და სოციალური მნიშვნელობის მქონე ტრადიციული საზღვაო რეწვის მეთოდების დაცვა და აღორძინება. აღნიშნულში შეიძლება, იგულისხმებოდეს ტურისტული ინიციატივები, საგანმანათლებლო პროგრამები და მემკვიდრეობის დაცვის პროექტები თემის დონეზე, რომელთა მიზანსაც ცნობიერების ამაღლება, მადლიერების გრძნობის გამოწვევა და ზღვის მემკვიდრეობის შენარჩუნება წარმოადგენს მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. **ტურიზმის ალტერნატიული ფორმების განვითარება**: წყალქვეშა ტურიზმი, ეკოტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობა… **სეზონური ტურისტული ნაკადების მართვა სივრცესა და დროში** **ნავმისადგომების უზრუნველყოფა სასეირნო გემებისთვის**
სექტორი	**გარემოს მართვა და მონიტორინგი**

სოციალური ინოვაციები ზღვის გარემოს მართვისა და მონიტორინგის სფეროში გულისხმობს ახლებური მიდგომების, სტრატეგიებისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებას, თემების, დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით ზღვის ეკოსისტემებისა და რესურსების კონსერვაციაში, დაცვასა და მდგრად მართვაში. სოციალური ინოვაციების გამოყენებით ზღვის გარემოს მართვისა და მონიტორინგის სფეროში დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ თემების ჩართულობასა და მდგრად პრაქტიკას, მიაღწიონ კონსერვაციის მიზნებს და იმავდროულად უზრუნველყონ ზღვის ეკოსისტემებისა და სანაპირო თემების გრძელვადიანი სიჯანსაღე და მდგრადობა. ამ სფეროში ზოგიერთი მნიშვნელოვანი სოციალური ინოვაციის მაგალითები მოცემულია ქვემოთ:

მდინარეებიდან/ნავსადგურებიდან **საზღვაო პლასტმასის ნარჩენების** (მიკრო- და მაკროპლასტიკის) **შეგროვება და გადამუშავება**

პლაჟის დასუფთავება სამოქალაქო საზოგადოების ძალებით

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამოყვარულო მეცნიერება

მონიტორინგის პროგრამები თემის დონეზე: ადგილობრივი თემების, მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფებისა და მოყვარული მკვლევარების ჩართვა ზღვის გარემოს სიჯანსაღის შესახებ მონაცემების მონიტორინგისა და შეგროვების პროცესში. თემში მიმდინარე მონიტორინგის პროგრამები საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ავითარებს ზღვის რესურსების მესაკუთრეობისა და მათი დაცვის ვალდებულების განცდას.

ერთობლივი კარტირება და დაგეგმვა: ერთობლივი კარტირების მეთოდის გამოყენება სანაპირო თემებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით საზღვაო რესურსების, ჰაბიტატების და კონსერვაციის ტერიტორიების იდენტიფიკაციის, კარტირებისა და სივრცითი დაგეგმარების პროცესში. ერთობლივი კარტირების ინიციატივები იძლევა ადგილობრივი ცოდნის მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებთან კომბინირების საშუალებას და ხელს უწყობს გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებისა და მართვის ადაპტირებული მიდგომების გამოყენებას.

ერთობლივი მართვისა და მმართველობის მოდელები: ერთობლივი მართვისა და მმართველობის მექანიზმები რამდენიმე დაინტერესებული მხარის, მათ შორის სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თემების, სამრეწველო სექტორისა და გარემოს დაცვის ორგანიზაციების, მონაწილეობით საზღვაო რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მართვასა და მმართველობაში. ერთობლივი მართვის ასეთი მოდელები ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გაზიარებას, კონსენსუსის მიღწევასა და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას ზღვის რესურსების მართვის პროცესში.

ბუნების დაცვის ინიციატივები თემის დონეზე: თემის მიერ განხორციელებული ბუნების დაცვის ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც აძლევს ადგილობრივ თემებს საშუალებას, მიიღონ ზომები ზღვის ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების დასაცავად და შესანარჩუნებლად. თემში განხორციელებული კონსერვაციის პროექტები შეიძლება, ითვალისწინებდეს ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნას, ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებებს, მდგრადი თევზჭერის მეთოდების დანერგვას და ეკოტურიზმის ორგანიზაციების შექმნას, რაც ქმნის საარსებო სახსრების მიღების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს გარემოს დაცვას.

ეკოლოგიური განათლებისა და პოპულარიზაციის პროგრამები: ეკოლოგიური განათლებისა და პოპულარიზაციის პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებას საზღვაო საკითხებზე, ცნობიერების ამაღლებას ზღვის დაცვის მიზნების შესახებ და ქცევით ცვლილებას უფრო მდგრადი მიდგომების გამოყენების მიმართულებით. აღნიშნული პროგრამები შეიძლება, ითვალისწინებდეს აუთრიჩის ინიციატივებს სკოლებში, ვორქშოფებს თემის დონეზე, საჯარო კამპანიებსა და განმარტებით ნიშნებს ზღვის დაცვით უბნებზე.

სოციალური მეწარმეობა და მდგრადი ბიზნეს-მოდელები: სოციალური საწარმოებისა და მდგრადი ბიზნეს-მოდელების განვითარების ხელშეწყობა ზღვის კონსერვაციის პრობლემების გადასაჭრელად, იმავდროულად ადგილობრივი თემებისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნით. მაღალი სოციალური პასუხისმგელობის მქონე კომპანია შეიძლება, მუშაობდეს ეკოტურიზმის, ზღვის პროდუქტების მდგრადი წარმოების, ზღვის კონსერვაციისთვის განკუთვნილი პროდუქციის ან განახლებადი ენერგიის ღონისძიებების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს როგორც გარემოსდაცვითი, ისე სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევას.

ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნის დანერგვა: ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნისა (TEK) და ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინება საზღვაო საკითხების მართვისა და ზღვის კონსერვაციის სტრატეგიებში. ადგილობრივ თემებს ხშირად აქვთ ღირებული ცოდნა და სიბრძნე ზღვის ადგილობრივი ეკოსისტემების შესახებ, რითიც შეიძლება, გამდიდრდეს მეცნიერული კვლევის შედეგები, დასაბუთდეს რესურსების მართვის გადაწყვეტილებები, ამაღლდეს კონსერვაციის ღონისძიებების ეფექტურობა და კულტურული მნიშვნელობა.

ზღვის კონსერვაციის მდგრადი ეკოლოგიური ღონისძიებები აერთიანებს რიგ სტრატეგიებსა და მეთოდებს, რომელთა მიზანსაც ზღვის ეკოსისტემების შენარჩუნება, დაცვა და აღდგენა, ასევე ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა წარმოადგენს. ზღვის კონსერვაციის აღნიშნული ეკოლოგიური ზომები დაინტერესებულ მხარეებს აძლევს საშუალებას, იმუშაონ საზღვაო ეკოსისტემების დაცვისა და კონსერვაციის, ასევე ოკეანეებისა და სანაპირო ტერიტორიების ხანგრძლივი სიჯანსაღისა და მდგრადობის მიმართულებით მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ზღვის კონსერვაციის ზოგიერთი ძირითადი მდგრადი ეკოლოგიური ღონისძიების მაგალითები მოყვანილია ქვემოთ:

ზღვის დაცული ტერიტორიები (MPAs): ზღვის დაცული ტერიტორიების შექმნა და ეფექტური მართვა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, კრიტიკული ჰაბიტატებისა და ზღვის სახეობების დასაცავად. ზღვის დაცულ ტერიტორიებზე შეზღუდულია გარკვეული სახის საქმიანობა, როგორიცაა თევზჭერა და რესურსების მოპოვება, რის მიზანსაც ადამიანის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება და ეკოსისტემის მდგრადობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

- ➔ ზღვის დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა;
- ➔ ზღვის დაცული ტერიტორიების 30%-იანი დაფარვის მიღწევა SDG სამიზნე / EU ბიომრავალფეროვნების დირექტივის / ზღვის ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების თანახმად.

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა (ICZM): სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის მიდგომების გამოყენება, რომლებიც ამყარებს წონასწორობას გარემოს დაცვასა და სანაპიროების მდგრად განვითარებას შორის. ICZM სტრატეგიები ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, მიწათსარგებლობის დაგეგმვას და მართვას ეკოსისტემის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით ისეთი პრობლემების გადაჭრის მიზნით, როგორიცაა სანაპირო ეროზია, დაბინძურება, ჰაბიტატების დეგრადაცია და მიწისა და რესურსების კონკურენტული გამოყენება.

დაბინძურების პრევენცია და კონტროლი: ხმელეთზე და ზღვაში არსებული წყაროებით გამოწვეული დაბინძურების, მათ შორის სამრეწველო ნარჩენების, სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენი წყლების, საკანალიზაციო წყლისა და საზღვაო ნაგვის, შემცირების ღონისძიებების გატარება. დაბინძურების პრევენციის ღონისძიებები შეიძლება, ითვალისწინებდეს ჩამდინარე წყლების წმენდას, სანიაღვრე წყლების მართვისა და გადამუშავების პროგრამებსა და საგანმანათლებლო კამპანიებს ზღვის დაბინძურების საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად.

ჰაბიტატის აღდგენა და კონსერვაცია: დეგრადირებული საზღვაო ჰაბიტატების, როგორიცაა მარჯნის რიფების, მანგროვების, ზღვის წყალმცენარეების პლასტებისა და მლაშობების, აღდგენა ჰაბიტატის აღდგენის პროექტებისა და კონსერვაციის ინიციატივების საშუალებით. ჰაბიტატის აღდგენის ღონისძიებები მიზნად

ისახავს ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას, ეკოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებასა და ეკოსისტემის ძირითადი სერვისების უზრუნველყოფას, როგორიცაა სანაპირო დაცვა და ნახშირბადის შთანთქმა.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და შერბილება: ადაპტირებისა და შერბილების სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება ზღვის ეკოსისტემებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, მათ შორის ზღვის დონის აწევის, ოკეანის მჟავიანობისა და ტემპერატურისა და ნალექების რეჟიმის ცვლილების, შესამცირებლად. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებები შეიძლება, მოიცავდეს სანაპირო დაცვის სტრატეგიებს, ეკოსისტემაზე ორიენტირებულ ადაპტაციის პროექტებსა და სანაპირო ინფრასტრუქტურის მდგრად განვითარებას.

ზღვის სივრცითი დაგეგმარება (MSP): ზღვის სივრცითი დაგეგმარების პროცედურების განხორციელება წონასწორობის დასამყარებლად ზღვის გარემოს კონკურენტულ გამოყენებასა და კონკურენტი მხარეების ინტერესებს შორის, მათ შორის ნაოსნობის, თევზჭერის, ენერგეტიკოს, კონსერვაციისა და რეკრეაციული აქტივობების მიმართულებით. MSP ხელს უწყობს ზღვის სივრცის მდგრად სივრცით განაწილებას, ამცირებს კონფლიქტებს მომხმარებლებს შორის და აუმჯობესებს ეკოსისტემების დაცვასა და მდგრადობას.

საზოგადოების ჩართულობა და განათლება: დაინტერესებული მხარეების, ადგილობრივი თემებისა და საზოგადოების ჩართვა ზღვის კონსერვაციის ღონისძიებებში განათლების, აუთრიჩისა და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით. საზოგადოების ჩართულობის ინიციატივები აძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას და ხელს უწყობს მდგრადი ქცევითი ნორმების ჩამოყალიბებასა და ზღვის კონსერვაციის პოლიტიკასა და ინიციატივებს.

ზღვის წყალმცენარეების მდელოების, როგორც ნახშირბადის შთამნთქმელის, **დაცვა და კონსერვაცია** (კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიება)

ინფორმირებულობის ამაღლება ოკეანისა და ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ

კვალიფიკაციის ამაღლება და პერეკვალიფიკაცია

დანართი 3: დოკუმენტი 1 - კვლევის კითხვარი

თემატური თვისებრივი ინტერვიუს კითხვარი

კვლევის თემა: ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული შავი ზღვის სანაპირო ზონის განვითარება

ინტერვიუერის ჩანაწერი:

თარიღი:

ადგილმდებარეობა:

ინტერვიუერის სახელი და გვარი:

რესპონდენტის პოზიცია/პროფესია:

ორგანიზაცია/დამსაქმებელი:

I. ზოგადი ცნობიერება და დამოკიდებულება ლურჯი ეკონომიკის შესახებ

• გსმენიათ თუ არა ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის შესახებ? როგორ განსაზღვრავთ მას?

• თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ლურჯი ეკონომიკის განვითარება საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონისთვის?

• გაქვთ თუ არა უშუალო ან ირიბი შეხება ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებულ პროექტებთან ან ინიციატივებთან?

II. სექტორული შეფასება და არსებული პრაქტიკები

• რომელი სფეროებია თქვენი აზრით სანაპირო ზონაში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული (მაგ. ტურიზმი, ტრანსპორტი, მეთევზეობა, აკვაკულტურა, ბიოეკონომიკა, ენერგეტიკა)?

• როგორ შეაფასებდით ამ სექტორების განვითარებას თქვენს რეგიონში/მუნიციპალიტეტში?

• არსებობს თუ არა წარმატებული მაგალითები, რომლებიც ლურჯი ეკონომიკის ჩარჩოებში მოიაზრება?

III. მმართველობა, პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო

• როგორ შეაფასებდით სანაპირო ზონის მართვის არსებულ პოლიტიკას და მარეგულირებელ ჩარჩოს საქართველოში?

• გქონიათ თუ არა შეხება შავი ზღვის ინტეგრირებული სანაპირო ზოლის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებთან/პრაქტიკებთან?

• რა ბარიერებს ხედავთ პოლიტიკის განხორციელების პროცესში?

IV. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება

• რამდენადაა თქვენი აზრით დაცული შავი ზღვის სანაპირო ეკოსისტემები?

• როგორ მიმდინარეობს გარემოს მონიტორინგი და ზღვის დაბინძურების მართვა?

• როგორია საზოგადოების, ბიზნესისა და თვითმმართველობების დამოკიდებულება ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართ?

V. განათლება, კადრები და კვლევა

• არსებობს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ემსახურება ლურჯი ეკონომიკის განვითარებას?

• გაქვთ თუ არა თქვენს სფეროში პროფესიონალი კადრების დეფიციტის პრობლემა?

• მონაწილეობდით თუ არა ლურჯ ეკონომიკასთან დაკავშირებულ კვლევებში, ტრენინგებსა თუ საგანმანათლებლო პროექტებში?

VI. პარტნიორობა და თანამშრომლობა

• არსებობს თუ არა თანამშრომლობა აკადემიურ, სამეცნიერო თუ კვლევით ცენტრებთან სანაპირო ზონის განვითარებაზე მუშაობისას?

• როგორია სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სექტორებს შორის კოორდინაციის დონე?

• რა სახის მხარდაჭერა იქნება საჭირო თქვენთვის/თქვენი ორგანიზაციისთვის, რომ აქტიურად ჩაერთოთ ლურჯ ეკონომიკაში?

VII. ხედვები და რეკომენდაციები

• როგორ ხედავთ თქვენი სფეროს როლს ლურჯი ეკონომიკის ფარგლებში?

• რას მიიჩნევთ გადამწყვეტ ფაქტორად სანაპირო ზონის მდგრადი განვითარებისთვის?

• რა რეკომენდაციებს გააჟღერებდით პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის?